

სოციოლოგიური კვლევის მეთოდები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
1998

60.5
316
ს 744

წიგნი შეიცავს მასალებს სოციოლოგიური კვლევების პრაქტიკულად ჩასატარებლად. მასში მოცემულია სოციოლოგიური კვლევის ყველა ეტაპი: ჰიპოთეზების აგების და ვერიფიკაციის პროცესი, შერჩევა, ინფორმაციის შეგროვების მეთოდები, მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და სხვა.

წიგნი განკუთვნილია სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტების სტუდენტებისა და მკვლევრებისათვის.

რედაქტორი გონა ცქიტიშვილი
რეცენზენტები: ვახტანგ ერქომაიშვილი
ვაჟა გოროზია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998

ს 03020100000
608(06)-98
ISBN 99928-56-46-7

რედაქტიორისაბან

ამ თემატიკის წიგნი პირველია ქართულ ენაზე და ეს ფაქტი აშკარად მისასალმებელი და მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვნება განაპირობა არა მხოლოდ ამ თვალსაზრისით პირველობამ, არამედ ავტორთა პროფესიონალიზმმაც; მნიშვნელოვანია თავად პრეცედენტი საზოგადოებრივი აზრის კვლევის ტექნოლოგიების თემით ვერაზიის ფონდის კაეკასიის განყოფილების დაინტერესების გამო. ჩვენ განსაკუთრებული მადლიერებით ვართ განწყობილი ამ ორგანიზაციისადმი, მისი წევრებისადმი.

წიგნი ისეა შედგენილი, რომ მეტ ნაკლებად მომზადებულმა მკითხველმა შეძლოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის ტექნოლოგიების ათვისება და გამოყენება. აქ, რომელიმე ერთი თავის გაცნობა სრულიად არ იქნება საკმარისი კვლევების დამოუკიდებლად ჩასატარებლად; ამასთან, ზოგიერთი ტერმინის თუ კვლევის ელემენტის განსაზღვრება და გამოყენების წესი შესაძლოა წიგნის იმ ნაწილში ვერ მოიძიოთ, რომელსაც კითხულობთ და სხვა თავებში იპოვოთ.

ნაშრომი დამწყებ მკვლევართათვის სამაგიდო წიგნადაა მომზადებული და არა მარტივად გასაცნობად. თანაც, მისი ზოგიერთი თავი უმაღლესი მათემატიკის გარკვეული ხარისხით ცოდნასაც მოითხოვს. ამდენად, წიგნის გამოყენება მისი სრულყოფილი გაცნობის შემდეგაა შესაძლებელი.

ჩვეულებრივ, საზოგადოებრივი აზრის შესწავლას რამდენიმე სპეციალიზაციის ადამიანი ახორციელებს; სრულიად არ არის საჭირო, რომ კვლევის ყველა ელემენტში მკვლევარი თანაბრად ერკვეოდეს და ახორციელებდეს. ალბათ, გამოკითხვების სტატისტიკური ნაწილის რეალიზაციას მათემატიკური განათლების სპეციალისტები უკეთ შეძლებენ (მიუხედავად იმისა, რომ

საქართველოში სოციალური მეცნიერებების სპეციალობებზე სტუდენტები სტატისტიკასაც სწავლობენ). სხვა ელემენტები სოციოლოგების მხრიდან შედარებით მარტივად აღქმადი და რეალიზებადია.

წიგნი წარმოადგენს იმ პროექტის ერთ ნაწილს, რომელიც ევრაზიის ფონდის კავკასიის განყოფილების ხელშეწყობით განხორციელდა (სხვა ნაწილი იყო საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრთათვის სალექციო კურსის მომზადება და წაკითხვა). ჩვენ ფრიად მოხარული ვართ, რომ ამ პროექტის განხორციელებაში დემოკრატიის ქართული ინსტიტუტის წევრებთან ერთად მუშაობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის სოციოლოგიის კათედრის თანამშრომლები, რისთვისაც მათდამი მადლიერების გრძნობას გამოვხატავთ.

ასევე, მადლობელი ვართ ორგანიზაციის International Executive service Corps, რომლის უშუალო დახმარებითაც შესაძლებელი გახდა პროექტში ჩაბმულიყო ამერიკის შეერთებული შტატების ჩიკაგოს უნივერსიტეტის ორგანიზაციის NORC (National Opinion Research Center) სპეციალისტი შირლი ფლადი. მასვე ეკუთვნის წიგნის ერთი თავი.

არ ვიცი, რას იტყვის ამ წიგნზე მკითხველი, ჩვენ ის მოგვწონს. თუმცა, გვაქვს სურვილი დავხვეწოთ და ერთი წლის შემდეგ გამოვცეთ ამ წიგნის მეორე, შესწორებული და უფრო სრულყოფილი ვერსია. დემოკრატიის ქართული ინსტიტუტი მზადაა მიიღოს ნებისმიერი რეკომენდაცია ამ ვერსიისათვის ნებისმიერი სპეციალისტისაგან თუ დამწყები მკვლევრისგან.

სოციოლოგიის განმარტება

ყველაზე ზოგადი განმარტებით, სოციოლოგია¹ საზოგადოების შესახებ მეცნიერებაა. იგი შეისწავლის საზოგადოებაში სხვადასხვა მდგომარეობის მქონე ადამიანთა ჯგუფებს შორის არსებულ (ან შესაძლო) ურთიერთობებს. ადამიანთა ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის არაერთგვაროვნებით, შემოსავლის მოცულობითა და წყაროებით, მოხმარების სტრუქტურით, ცხოვრების წესით, ხარისხითა და სტილით; ასევე, ღირებულებითი ორიენტაციით, ქცევის მოტივებითა და ტიპებით.

სოციოლოგიაში ადამიანთა ჯგუფებს სოციალურ ერთობებსაც უწოდებენ. სოციალური ერთობა მრავალრიცხოვანი წარმონაქმნია და იგი არცთუ იშვიათად, ათეულობით ათას და მილიონობით ადამიანს მოიცავს. ამიტომ, სოციალურ ერთობებს შეიძლება დიდი სოციალური ჯგუფებიც ვუწოდოთ. აქედან გამომდინარე, სოციოლოგიას, ასევე განმარტავენ, როგორც მეცნიერებას სოციალური ერთობების, განვითარების, ფუნქციონირებისა და იმ სოციალური პროცესების შესახებ, რომლებიც წარმოიქმნება დიდი სოციალური ჯგუფების ურთიერთქმედების შედეგად.

ინდივიდებს და ჯგუფებს შორის ურთიერთქმედებას ხშირად მყარი, ნორმატიული, რეგულარული და ორგანიზებული სახე აქვს. სოციოლოგიაში ურთიერთმიმართების ასეთ მყარ ფორმებს სოციალურ ინსტიტუტებს უწოდებენ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საზოგადოება მრავალი სოციალური ინსტიტუტისაგან შემდგარი ერთობაა, სოციოლოგია შეიძლება განვმარტოთ როგორც მეცნიერება სოციალური ინსტიტუტების ფუნქციონირების კანონზომიერებათა შესახებ.

¹ ტერმინი სოციოლოგია მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანა ფრანგმა მეცნიერმა, პოზიტივიზმის ფუძემდებელმა, ოგიუსტ კონტმა (1798-1857)

- ტრადიციულად გამოყოფენ ინსტიტუტთა 5 ძირითად კომპლექსს:
1. ეკონომიკური ინსტიტუტები - მათი დანიშნულებაა საქონლისა და მომსახურების წარმოება და განაწილება.
 2. პოლიტიკური ინსტიტუტები აწესრიგებენ ძალაუფლების გამოყენებას და მის ხელმისაწვდომობას.
 3. სტრატეგიკაციის ინსტიტუტები განსაზღვრავენ რესურსებისა და სტატუსების განაწილებას.
 4. ნათესაობის ინსტიტუტებს საქმე აქვთ ქორწინებასთან, ოჯახთან და სოციალიზაციასთან.
 5. კულტურის ინსტიტუტები დაკავშირებული არიან რელიგიურ, მეცნიერულ და მხატვრულ მოღვაწეობასთან.

სოციოლოგები საზოგადოებას მაკრო და მიკრო დონეზე იკვლევენ. მიკროსოციოლოგია სწავლობს ადამიანთა ურთიერთობას (ინტერაქციას) ყოველდღიურ ცხოვრებაში. სოციოლოგები, რომლებიც საზოგადოებას მიკროდონეზე იკვლევენ, თვლიან, რომ სოციალური მოვლენის გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ საზრისების ანალიზის საფუძველზე, რომელსაც ადამიანები ანიჭებენ მას ერთმანეთთან ურთიერთქმედების პროცესში. მიკროდონეზე სოციოლოგების კვლევის ძირითადი თემაა ინდივიდების ქცევა, მათი მოტივები, ადამიანთა შორის ურთიერთქმედების განმსაზღვრელი მნიშვნელობები, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ საზოგადოების სტაბილურობაზე ან მასში მიმდინარე ცვლილებებზე. მაკროსოციოლოგია შეისწავლის ყველა საზოგადოებისათვის საერთო ქცევის ძირითად მოდელებს.

ამ მოდელებს სხვაგვარად სტრუქტურებსაც უწოდებენ. სტრუქტურები მოიცავს ისეთ სოციალურ (საზოგადოებრივ) ინსტიტუტებს, როგორცაა ოჯახი, განათლება, რელიგია, პოლიტიკური და ეკონომიკური ფორმაცია. ადამიანები დაბადებისთანავე “ვარდებიან” სოციალურ სტრუქტურათა მოცემულ სისტემაში და მათ ღრმა ზეგავლენას განიცდიან. მაკროსოციოლოგია ძირითად ყურადღებას საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის ურთიერთკავშირზე და ამ ურთიერთკავშირის ფორმათა ცვლილებებზე ამახვილებს.

ზემოაღნიშნულიდან, აშკარა ხდება, თუ რა ფართოა გამოკვლევის

სფერო სოციოლოგიაში. სწორედ ამიტომ, სოციოლოგებს შორის არსებობს სპეციალიზაცია და თვით სოციოლოგია მრავალ დარგად (დარგობრივ სოციოლოგიურ დისციპლინებად) არის დაყოფილი.

2. ს(ო)ცი(ო)ლ(ო)ბი(ე)ბი

ზოგადი სოციოლოგია,
ისტორიული სოციოლოგია,
სამხედრო სოციოლოგია,
სოციოგრაფია, სოციომეტრია,
სოციოდაგნოსტიკა,
ინდუსტრიული სოციოლოგია,
გამოყენებითი სოციოლოგია,
სოციალური ანთროპოლოგია,
სოციალური გერონტოლოგია,
სოციალური ინჟინერია,
სოციალური სტატისტიკა,
სოციალური ეკოლოგია,
ასაკის სოციოლოგია,
ქალაქის სოციოლოგია,
სოფლის სოციოლოგია,
დასვენების სოციოლოგია,
ცოდნის სოციოლოგია,
ზელოვნების სოციოლოგია,
კოლექტივის სოციოლოგია,
კულტურის სოციოლოგია,
პიროვნების სოციოლოგია,
მსობრივი კომუნიკაციის სოციოლოგია, ეთნოსოციოლოგია.

მედიცინის სოციოლოგია,
საერთაშორისო ურთიერთობათა
სოციოლოგია,
ახალგაზრდობის სოციოლოგია,
მორალის სოციოლოგია,
მეცნიერების სოციოლოგია,
განათლების სოციოლოგია,
საზოგადოებრივი აზრის სოციოლოგია,
ორგანიზაციის სოციოლოგია,
სქესის სოციოლოგია,
პოლიტიკური სოციოლოგია,
სამართლის სოციოლოგია,
დამნაშავეობის სოციოლოგია,
რელიგიის სოციოლოგია,
ოჯახის სოციოლოგია,
სპორტის სოციოლოგია,
შრომის სოციოლოგია,
მენეჯმენტის სოციოლოგია,
ენის სოციოლოგია,
ეკონომიკის სოციოლოგია,
ერგონომიკა,
ეთნოსოციოლოგია.

ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, დემოგრაფიაც და სოციალური ფსიქოლოგიაც სოციოლოგიის დარგია.

3. ძირითადი ს(ო)ცი(ო)ლ(ო)ბი(ე)ბი

სოციოლოგია, ფაქტობრივად, იმ ცოდნის გაღრმავებაა, რომელსაც ჩვენ ვფლობთ და ვიყენებთ ჩვენს ყოველდღიურობაში, მაგრამ

¹ აღნიშნული საკითხი დაწვრილებით იხილეთ: Н.Смелзер, Социология, Москва, 1994, стр.18.

სოციოლოგი გამოავლენს იმ არცთუ აშკარა და ძალზე ფაქიზ განსხვავებებს, რომელთაც ადგილი აქვთ სოციალურ მოვლენებს შორის და რომლებიც მიუწვდომელია არასოციოლოგის შეუიარაღებელი თვალისათვის¹. ფაქტების ასახსნელად და სოციალურ მოვლენათა შორის განსხვავებების საჩვენებლად სოციოლოგია იყენებს ხუთ ძირითად მიდგომას:

1. *დემოგრაფიული მიდგომა* - სიტყვა “დემოგრაფია” ძველი ბერძნული წარმოშობისაა და მოსახლეობის აღწერას ნიშნავს. დემოგრაფია შეისწავლის მოსახლეობის შობადობას, სიკვდილიანობას, მიგრაციას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. დემოგრაფიული მიდგომა განსაკუთრებით პროდუქტიულია ქალაქისა და სოფლის სოციოლოგიაში.

2. *ფსიქოლოგიური მიდგომა* - გეიხსნის ადამიანის ქცევის მოტივებს, ჩვევებს, სოციალურ განწყობებს. ფსიქოლოგიის ზოგიერთი მეთოდი მყარად დამკვიდრდა სოციოლოგიაში. სოციალური ფსიქოლოგები იკვლევენ მრავალ პრობლემას, მათ შორის ისეთებს, როგორიცაა სოციალური განწყობების ჩამოყალიბება, სოციალიზაციის პროცესში პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედება. ამ მიდგომის გარეშე ძნელია აიხსნას სოციოლოგიისათვის მნიშვნელოვანი “სოციალიზაცია და სოციალური ურთიერთქმედების” ცნებები.

3. *კოლექტივისტური მიდგომა* - გამოიყენება მაშინ, როცა ჩვენ ვსწავლობთ ორ ან მეტ ადამიანისაგან შემდგარ ჯგუფს ან ორგანიზაციას. როცა სოციოლოგები სწავლობენ ისეთ პირველად ჯგუფებს, როგორიცაა ოჯახი; ისეთ ფორმალურ ორგანიზაციებს, როგორიცაა არმია, ასეთ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს კოლექტივად თვლიან. კოლექტივში სოციოლოგს შეიძლება აინტერესებდეს ინდივიდებს შორის კომუნიკაციის პროცესი, ძალაუფლების განაწილების საკითხი და ა.შ. მოცემული მიდგომა

¹ “მთელი სოციოლოგია არის თეორიული კონსტრუქცია, რომელიც მიისწრაფვის ბუნდოვანი და არაცხადი ადამიანური არსებობის გაგებისაკენ... არსად კაპიტალიზმში არ წარმოგვიდგება ისე ცხადად, როგორც სოციოლოგების ცნებებში... სოციოლოგების მიზანია ზღვრულად, მაქსიმალურად გასაგები გახადონ ის, რაც არ იყო გასაგები და ცხადი თვით რეალობაში” P. Aron. Этапы развития социологической мысли, 1993, стр. 511-512.

ასევე გამოიყენება ჯგუფების, ბიუროკრატიული ორგანიზაციების და სხვა მრავალი ერთობების შესასწავლად. მისი მეშვეობით სოციოლოგებს შეუძლიათ მოახდინონ პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენციის, რასობრივ საფუძველზე წარმოქმნილი კონფლიქტების, ჯგუფთა შორის პაექრობის ანალიზი. სოციოლოგია ასევე გვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ ქმნიან ჯგუფებს საკუთარი ინტერესების დასაცავად ერთი და იმავე საზოგადოებრივი სივრცის, რასის, ეთნოსის, ასაკის, სქესის ადამიანები. გარდა ამისა, ეს მიდგომა მნიშვნელოვანია კოლექტიური ქცევის (მაგ., მასის, აუდიტორიის რეაქციის და ა.შ.) შესწავლისას.

4. მეოთხე მიდგომას ეწოდება ურთიერთდამოკიდებულება. ამ მიდგომის თანახმად, ცხოვრება განიხილება არა მასში მონაწილე ცალკეულ ადამიანებთან, არამედ ადამიანთა შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებებთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ, განპირობებულია ურთიერთობაში მონაწილე ინდივიდების სოციალური როლებით.

5. მეხუთე და ბოლო მიდგომა არის კულტუროლოგიური. კულტუროლოგიური მიდგომისას ქცევის წესები, ანუ ნორმები განიხილება როგორც ცალკეული ინდივიდებისა და ჯგუფების ქცევათა მარეგულირებელი ფაქტორები. სოციალური ნორმების საფუძველში დევს ღირებულებები; ისინი განსაზღვრავენ, თუ რა საზოგადოებრივი მიზანია სასურველი და კულტურულად გაზიარებული ამა თუ იმ საზოგადოებაში.

4. სოციოლოგიის მეცნიერულ(ო)ბის სამი სტრატეგია (პარადიგმა)¹

სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების მიმართ არსებობს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოლოდინი. პირველი მოლოდინის თანახმად, სოციოლოგია განიხილება ცხოვრებაში მიზნის, წარმატების მიღწევისა და დაბრკოლებების გადალახვის სახელმძღვანელოდ; სოციოლოგია საშუალებას გვაძლევს ვიწინასწარმეტყველოთ, ვაკონტროლოთ და ვმართოთ მოვლენები სოციალურ სფეროში. სიტუაციის კონტროლი, იმედოვნულად სხვა ადამიანის მოქმედების

¹ დაწერილებით იხილეთ: З.Бауман. Мыслить социологически. М., 1996, стр. 229.

კონტროლსა და, მაშასადამე, საზოგადოებაში გარკვეული წესრიგის უზრუნველყოფას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, სოციოლოგიაზე ამყარებენ მეორე იმედს - სოციოლოგია ხელს უწყობს სოციალური წესრიგის, წონასწორობის (ჰომეოსტაზის) შენარჩუნებას და ქაოსის თავიდან აცილებას. სოციოლოგიაზე ხშირად ამბობენ, რომ ის არის ერთადერთი მეცნიერება, რომელმაც ზუსტად იცის ის, თუ რას ფიქრობს და რა სურს საშუალო სტატისტიკურ ადამიანს. მართლაც, ანკეტაზე პასუხების რაოდენობრივი განაწილების მეშვეობით, სოციოლოგი აჩვენებს ადამიანთა დიდი ჯგუფის საშუალო სტატისტიკურ მოსაზრებებს. სოციოლოგია რეალობას ასახავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხერხებით. მას საქმე აქვს ადამიანთა დიდი მასების და მცირე სოციალური ჯგუფების ქცევასთან. ამიტომ, სოციოლოგიის ამოცანაა აღმოაჩინოს ადამიანთა შორის არსებული ინდივიდუალური განსხვავებები, რომელთაც სისტემატური ხასიათი აქვთ; განაზოგადოს ეს განსხვავებები კანონზომიერებაში და ამგვარად აღწეროს სოციალური მოვლენებისა და პროცესების მდგრადი თვისებები.

სოციოლოგიას ზემოთ აღნიშნული ორი მოლოდინის გამართლება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაამტკიცებს, რომ ის ისეთივე მეცნიერებაა, როგორცაა ფიზიკა ან ქიმია და იმგვარადვე შეუძლია პრაქტიკული რჩევების მიცემა, როგორც აღნიშნულ მეცნიერებებს. „მეცნიერულობის“ სტატუსის მასაპოვებლად სოციოლოგია სამ სტრატეგიას იყენებდა.

პირველი სტრატეგია ყველაზე მკაფიოდ ემილ დიურკჰაიმის¹ სოციოლოგიურ ნააზრევში გამოვლინდა. ამ სტრატეგიის თანახმად, მეცნიერულობის პირველი ნიშანი ობიექტურობაა. კვლევის ობიექტი მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს მისი შემსწავლელი სუბიექტისაგან. ობიექტი უნდა აღიწეროს მკაცრად ნეიტრალური და განკერძოებული ენით. სოციოლოგიას აქვს თავისი ობიექტი, საკუთარი

¹ ემილ დიურკჰაიმი (1858-1917) ფრანგი სოციოლოგი. მას ეკუთვნის შრომები, რომელთაგან მნიშვნელოვანია: “შრომის განაწილების შესახებ” (1893), “თვითმკვლელობა” (1897), “რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები” (1912), “სოციალური მეთოდის წესები” (1895)

„ტერიტორია“, რომელსაც არც ერთი სხვა მეცნიერება არ სწავლობს. ეს არის „სოციალური ფაქტების სამყარო“ ანუ კოლექტიურობის ფენომენები. კოლექტიურობის მოვლენები არ ახასიათებს არც ერთ ცალკე აღებულ ინდივიდს, მაგრამ ისინი (სოციალური ნორმა, კანონები, მორალური აკრძალვები, რიტუალები და ა.შ.) მძლავრ ზეგავლენას ახდენენ ინდივიდზე და მის ქცევაზე.

დიურკჰაიმის აზრით, სოციალური ფენომენები (კოლექტიური მოვლენები) ინდივიდის გარეშე არ არსებობენ, მაგრამ, ამასთან ისინი მოცემულნი არიან არა ინდივიდის „შიგნით“, არამედ მის „გარეთ“. ბუნებასთან (ფიზიკურ გარემოსთან) და მის გარდაუვალ კანონებთან ერთად, სოციალური ფაქტები (კოლექტიური მოვლენები) ადამიანს გარს აკრავს და მისი არსებობის გარეგან პირობებს ქმნის. დიურკჰაიმის აზრით, არავითარი აზრი არა აქვს ამ ფენომენების შესახებ კითხვით მივმართოთ ადამიანებს და ამ გზით შევისწავლოთ ისინი. ინფორმაცია, რომელსაც მივიღებდით ადამიანების გამოკითხვით იქნებოდა ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი. ადამიანებს, რომლებსაც ჩვენ მივმართავთ კითხვებით, ძალიან უმნიშვნელო ინფორმაციას მოგვაწოდებდნენ ჩვენთვის საინტერესო სოციალურ მოვლენებზე, რამდენადაც ისინი არ ირჩევენ და არ ქმნიან კოლექტიურის ფენომენებს, მათ ადამიანები უკვე მზა სახით პოულობენ და მხოლოდ ფრაგმენტულად ეცნობიან. ამიტომ, სოციალური ფაქტები უნდა შევისწავლოთ უშუალოდ, ობიექტურად, „გვერდიდან“, სისტემატური დაკვირვების გზით, ზუსტად ისევე, როგორც შეისწავლებიან სხვა საგნები, რომლებიც “ჩვენს გარეთ” იმყოფებიან.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ფაქტები ძალიან დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ბუნების მოვლენებთან, დიურკჰაიმის აზრით, მათ შორის ერთი არსებითი განსხვავება მაინც არსებობს. კერძოდ, ადამიანის მიერ ბუნების კანონების დარღვევას, უშუალოდ მოსდევს „სასჯელი“ ამგვარი ქცევისათვის და ის ადამიანური ჩანაფიქრით არ არის განპირობებული. საზოგადოებრივი ნორმის დარღვევისას კი „განაჩენი“ საზოგადოებას გამოაქვს.

გარკვეული ქცევა, აღნიშნავს დიურკჰაიმი, დასჯადია იმიტომ კი არა, რომ საზოგადოება არ იღებს მას და ზიანი მოაქვს

სუბიექტისათვის, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ნორმები კრძალავენ გარკვეული ტიპის ქმედებებს. ეს განსხვავება სოციალურ რეალობასა და ბუნების მოვლენებს შორის სულაც არ ამცირებს სოციალური ფენომენების „საგნობრივ“ ხასიათს და მისი ობიექტური შესწავლის შესაძლებლობას. პირიქით, ეს ფაქტი კიდევ უფრო აძლიერებს საზოგადოებრივ ნორმათა (სოციალური რეალობის) „საგნობრივ-ნივთიერ“ ბუნებას, რადგანაც სწორედ სოციალური ნორმები განაპირობებს ადამიანური ქცევის რეგულარობას და არაშემთხვევითობას. სოციოლოგიას აინტერესებს „საგნობრიობის მქონე“ სოციალური ფაქტები და არა ინდივიდის გრძნობა და განწყობილება. სოციოლოგმა გვერდზე უნდა დატოვოს ინდივიდის განზრახვები, პიროვნული საზრისები და უნდა შეისწავლოს მოვლენები, რომელთაც შეიძლება გვერდიდან დავაკვირდეთ და რომელიც სხვადასხვა დამკვირვებელს ერთმანეთის არაგამომრიცხავი დასკვნის გაკეთების საშუალებას მისცემს.

სოციოლოგიის მეცნიერულობის დასაბუთების მეორე სტრატეგიის წარმომადგენლად შეიძლება მაქს ვებერი¹ მივიჩნიოთ. ვებერის თანახმად, სოციოლოგიამ ბრმად არ უნდა მიბაძოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერების „მეცნიერებად ყოფნის“ ხერხი ერთადერთი არ არის. საბუნებისმეტყველო მეცნიერების და სოციოლოგიის კვლევის ობიექტები პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ადამიანური რეალობა - სოციოლოგიის კვლევის ობიექტი - განსხვავდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ობიექტისაგან - ფიზიკური სინამდვილისაგან - უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ სოციალური რეალობის სუბიექტები, ადამიანები თავიანთ მოქმედებას საზრისს ანიჭებენ. მათ აქვთ მოტივები და მოქმედებენ გარკვეული მიზნის მისაღწევად - სწორედ მიზანი აგვიხსნის მათ მოქმედებებს. ამ მიზეზების გამო, ადამიანური მოქმედება, განსხვავებით

¹ მაქს ვებერი (1864-1920.), გერმანელი სოციოლოგი. მისი შრომებიდან მნიშვნელოვანია: „მეცნიერ-საზოგადოებათმცოდნის “ობიექტურობა” და სოციალურ-პოლიტიკური შემეცნება” (1904), „გაგების სოციოლოგიის კატეგორიების შესახებ” (1913), „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული” (1904-1905), „საზოგადოება და მეურნეობა” (1921).

ფიზიკურ სამყაროში მიმდინარე მოვლენებისაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ და არა აეხსნათ.

ვებერის იდეა შემდეგში მდგომარეობს: ბუნების ფენომენების სფეროში არსებული კანონზომიერებების ახსნა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მათემატიკური ხასიათისა და ფორმის წინამძღვრებზე დაყრდნობით. სხვა სიტყვებით რომ თქვათ, ჩვენ გვჭირდება აეხსნათ მოვლენა ცლით დადასტურებული მსჯელობით, რათა გვქონდეს მათი გაგების შეგრძნება. ამგვარად, გაგება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ატარებს გაშუალებულ ხასიათს, იგი მიიღწევა ცნებებით და კავშირებით. რაც შეეხება ინდივიდის ქცევას, გაგება აქ უშუალო ხასიათს ატარებს. ტაქსში მყოფი მგზავრისათვის გასაგებია, თუ რატომ აჩერებს მძლოლი მანქანას წითელ შუქზე. მგზავრს არ სჭირდება იცოდეს, თუ რამდენი მძლოლი ჩერდება შუქნიშანთან, რომ წითელი შუქის ანთებისას მძლოლის მოქმედების მოტივი გაიგოს. ერთი სიტყვით, ვებერის თანახმად, ადამიანური მოქმედების ახსნა ნიშნავს იმ საზრისის გაგებას, რომელსაც სუბიექტი ანიჭებს საკუთარ მოქმედებას. ის ფაქტი, რომ ადამიანის მოქმედება გააზრებულია და მოითხოვს კვლევის განსაკუთრებულ მეთოდს, ცნობილი იყო ვებერამდეც.

ეს იდეა საფუძვლად ედო ჰერმენევტიკას (ჰერმენევტიკოსები უშედეგოდ იბრძოდნენ მეცნიერული სტატუსის მოსაპოვებლად). ჰერმენევტიკული მეთოდის თანახმად, მკვლევარმა საკუთარი თავი უნდა დააყენოს ტექსტის ავტორის (ან მოქმედების სუბიექტის) ადგილზე. შეხედოს ტექსტს (სუბიექტის მოქმედებას) ავტორის (მოქმედი სუბიექტის) თვალთ „გარდაისახოს“ ავტორში (მოქმედების სუბიექტში). ეს კი მკვლევრისაგან მოითხოვს ავტორთან (მოქმედების სუბიექტთან) ჭეშმარიტ სიახლოვეს და წარმოსახვის უზარმაზარ ძალას. ჰერმენევტიკული გამოკვლევის შედეგი დამოკიდებულია არა ყველასათვის თანაბარი წარმატებით ხელმისაწვდომ უნიფიცირებულ მეთოდზე, არამედ ცალკეული მკვლევრის უნიკალურ ნიჭზე. მკვლევარი გამოდის არა მეცნიერის, არამედ ხელოვანის როლში. მიუხედავად ამისა, ვებერი ფიქრობდა, რომ სოციოლოგიას მაინც შეუძლია მიაღწიოს მეცნიერული ცოდნისათვის დამახასიათებელ ობიექტურობის დონეს, მიიღოს ობიექტური

ცოდნა სუბიექტურ ადამიანურ რეალობაზე. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ცოდნის მიღება შეუძლებელია ყოველგვარი ადამიანური მოქმედებებიდან. მაგალითად, ბევრი რამ ჩვენს მოქმედებაში განპირობებულია ან ტრადიციით, ან ფაქტებით. ორივე შემთხვევაში მოქმედება არარეფლექსურია, ანუ მოქმედების სუბიექტი არ ახდენს საკუთარი მოქმედებების გააზრებულ (რაციონალურ) გათვლას, „მოქმედების“ მიზნების და მისი მიღწევის ინსტრუმენტების დაგეგმვას. ტრადიციული და ემოციურ-აფექტური მოქმედებები განპირობებულია ფაქტორებით, რომლებიც ინდივიდის ცნობიერების კონტროლს არ ექვემდებარებიან და მათი უკეთ გაგება (ბუნების მოვლენების მსგავსად) შესაძლებელია თუკი მითითებულია მათ მიზეზებზე. ზუსტ გაგებას ექვემდებარებიან რაციონალური ანუ რეფლექსური მოქმედებები. ეს მოქმედებები მიმართულია კარგად გააზრებული შედეგების მისაღწევად. რაციონალური მოქმედება მოითხოვს მოქმედების საზრისის გაგებას და არა ახსნას. ვებერი თვლიდა, რომ რაციონალურ ცნობიერებას შეუძლია თავისი თავი შეიცნოს მეორე, სხვა რაციონალურ ცნობიერებაში. ამგვარ მოქმედებას ვებერი მიზან-რაციონალურს უწოდებდა. მიზან-რაციონალური მოქმედება შესაძლებელია რაციონალურად გავიგოთ საზრისის და არა მიზეზის დადგენის მეშვეობით. ამიტომ, სოციოლოგია სულაც არ დგას მეცნიერებაზე დაბლა. პირიქით, მას უპირატესობაც კი გააჩნია. სოციოლოგიას შეუძლია არა მარტო აღწეროს თავისი ობიექტი (ადამიანი და საზოგადოება), არამედ გაიგოს კიდევაც ის. სოციოლოგია მეცნიერებაზე შორს მიდის. ის ააშკარავებს მის მიერ შესწავლილ რეალობის საზრისს.

არსებობდა მე-3 სტრატეგიაც, რომლის მიხედვითაც, სოციოლოგიის მეცნიერულობა, განსაკუთრებით კი მისი ეფექტურობა პრაქტიკაშია. სოციოლოგიისადმი პრაქტიკულ-პრაგმატულმა მიდგომამ განსაკუთრებული მხარდაჭერა აშშ-ში პოვა. ევროპელი კოლეგებისაგან განსხვავებით, პირველი ამერიკელი სოციოლოგები ნაკლებ დროს უთმობდნენ წმინდა თეორიულ საკითხებს. სამაგიეროდ, დიდი დროს ანდომებდნენ იმის დასაბუთებას და პრაქტიკულად ჩვენებას, რომ სოციოლოგიური ცოდნის გამოყენება შესაძლებელია მოვლენების წინასწარმეტყველებასა და რეალობის

ეს სტრატეგია ყურადღებას ამახვილებდა სოციალური დიაგნოზის, მეთოდების და ადამიანური ქცევის ზოგადი თეორიის დამუშავებაზე. ამ სტრატეგიის მიმდევარი სოციოლოგები აცხადებდნენ, რომ სოციოლოგიას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სოციალური პროცესების მართვაში და, მაშასადამე, სოციალური წესრიგის უზრუნველყოფაში. ამგვარად გაგებულმა სოციოლოგიამ გაიზიარა საზოგადოების მმართველების (პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის) ინტერესები. სოციოლოგია დაუკავშირდა მენეჯმენტს, სამხედრო და სადაზვერვო საქმიანობას და საბოლოო ჯამში შეიძინა მეთვალყურის იმიჯი: სოციოლოგიის ამგვარმა პრაგმატულმა გადახრებმა იგი კრიტიკის ობიექტი გახადეს. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ მოცემული სტრატეგიის დაცვა და მხარდაჭერა ნიშნავს ძალაუფლების არსებული ასიმეტრიისადმი მხარდაჭერას. ამგვარად, სოციოლოგია, ამ მე-3 სტრატეგიიდან გამომდინარე, მხოლოდ აძლიერებს კონტროლს იმათზე, ვისაც უკვე ისედაც აკონტროლებენ (ე.ი. ჩვეულებრივ მოქალაქეებზე). სოციოლოგია კიდევ უფრო ცელის სიტუაციას იმათ სასარგებლოდ, ვინც ისედაც უკვე ტკება უკეთესი მდგომარეობით. აქედან, სოციოლოგია ხელს უწყობს უთანასწორობას და სოციალურ უსამართლობას. ყველაფერი ეს წინააღმდეგობრივს ხდიდა სოციოლოგიის მდგომარეობას. ის, რასაც მოითხოვდა სოციოლოგიისაგან ერთი მხარე (სახელმწიფო), მეორე (საზოგადოება) მას განიხილავდა როგორც დასაგმობს და მიუღებელს. ჯერჯერობით, სოციოლოგიისათვის ეს წინააღმდეგობა გადაულახავია. მიუხედავად სოციოლოგიაში არსებული სიძნელებისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციოლოგია ხელს უწყობს სამყაროს მთლიანი სურათის შექმნას. ის გვეხმარება უკეთ დავინახოთ საზოგადოებრივ მოვლენებს შორის არსებული განსხვავებები, გავხადოთ ისინი კონკრეტული, აღმოვაჩინოთ პრობლემები და დავსახოთ მათი გადაჭრის გზები.

¹ სოციოლოგიის გამოყენებით მხარეს დიდი ყურადღება მიაქციეს ჩიკაგოს სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლებმა ა.სმოდმა, რ.პარკმა, ჯ.ლანდბერგმა, გ.ლეიკლოკმა და მრავალმა სხვამ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პ.ლაზარსფელდის შრომები.

თანამედროვე სოციოლოგიური სტრატეგიის არსი მდგომარეობს ყველა შესაძლო სოციოლოგიურ მიდგომათა სინთეზში, მათ ერთგვარ „გაერთიანებაში“, არა იმდენად სოციოლოგიურ დებულებათა ჭეშმარიტება-მცდარობის, მეცნიერულობის უზრუნველყოფაში, არამედ ინტერპრეტაციათა ფართო სპექტრის მოცემაში და ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების გაფართოებულ კომენტირებაში.

5. სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურა

სოციოლოგიური ცოდნის სისტემა, მთლიანობაში, არ არის ერთგვაროვანი. მასში ხშირად ჩართულია მეტათეორიულ-ფილოსოფიური ხასიათის ცოდნაც. ამ ფაქტის გათვალისწინებით სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურა შეიძლება წარმოვადგინოთ ხუთი საფეხურისაგან, ხუთი დონისაგან შემდგარ სისტემად.

პირველ დონეს წარმოადგენს სოციალური სამყაროს მეცნიერული სურათი: მასში შედის სოციოლოგიური ცოდნის ფილოსოფიური წანამძღვრები, მეტათეორიები და ზოგად ინტუიციური წარმოდგენები. ესა თუ ის ფილოსოფიური მიმდინარეობა და ტრადიცია ხშირად განსაზღვრავს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციოლოგიურ თეორიაზე. მაგ., მაქს ვებერსა და ემილ დიურკჰაიმს სოციალური სამყაროს განსხვავებული სურათი აქვთ მოცემული. ვებერი ორიენტირებული იყო ნეოკანტიანელობაზე და თვლიდა, რომ სოციალურ სივრცეში რეალურია მხოლოდ ინდივიდი და სოციოლოგიის შესწავლის ობიექტიც მხოლოდ ინდივიდი უნდა იყოს. დიურკჰაიმი კი პირიქით, იდგა პოზიტივიზმის პოზიციაზე, ერთადერთ რეალობად და სოციოლოგიის კვლევის ობიექტად კოლექტიურ ცნობიერებას (კოლექტიური ცნობიერების გამოვლინებებს) თვლიდა. ვებერი ემყარებოდა ნომინალიზმის, ხოლო დიურკჰაიმი რეალიზმის ფილოსოფიურ მოძღვრებებს.

სოციოლოგიური ცოდნის მე-2 დონეზე განლაგებულია ზოგადი სოციოლოგიური თეორია, რომელიც მოიცავს ყველაზე აბსტრაქტულ სოციოლოგიურ კატეგორიებს.

მე-3 დონეზე იმყოფება კერძო ანუ სპეციალური თეორიები. ისინი

ფორმალიზებულნი, ლოგიკურად კომპაქტურნი არიან და სოციალური სინამდვილის კონკრეტულ მოდელებს წარმოადგენენ.

მე-4 დონე მოიცავს ემპირიულ ცოდნას (ემპირიული სოციოლოგია). აქ შედის მსხვილმასშტაბიანი, რეპრეზენტატიული გამოკვლევები, რომლებიც შეესაბამებიან მეცნიერულობის ყველაზე მკაცრ მოთხოვნებს. ეს გამოკვლევები ხელს უწყობს ახალი ცოდნის ზრდას და თეორიული ცოდნის ვერიფიკაციას.

ბოლო, მე-5 დონე გამოყენებით სოციოლოგიას უჭირავს. მას შეიძლება მივაკუთვნოთ ყველა სახის პოლიტიკური გამოკითხვა, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა. გამოყენებითი სოციოლოგია არ არის ორიენტირებული ფუნდამენტური თეორიის შემოწმებაზე და ახალი ცოდნის ზრდაზე.

6. ს(ო)ციოლოგიური თეორიები

კოველგვარ თეორიას და მათ შორის სოციოლოგიურ თეორიასაც სამი ძირითადი მიზანი აქვს:

1. ზოახდინოს სამყაროში მიმდინარე მოვლენების კლასიფიკაცია და ორგანიზება ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი წარმოდგენა პერსპექტივაში;

2. ახსნას მოვლენათა მიზეზები და იწინასწარმეტყველოს, სად და როდის მოხდება მოვლენა მომავალში.

3. წარმოადგინოს ინტუიციურად მიმზიდველი, იმის ჯანსაღი „გაგება“, თუ რატომ და როგორ უნდა ვითარდებოდეს მოვლენები.

რასაკვირველია, სოციოლოგიური თეორიები ჯერჯერობით შორსაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დახვეწილობისაგან. მაგრამ მეტნაკლებად სრულყოფილი სახე ოთხ სოციოლოგიურ თეორიას აქვს :

1. ფუნქციონალიზმს;
2. კონფლიქტის სოციოლოგიურ თეორიას;
3. სიმბოლური ინტერაქციონიზმისა და როლთა თეორიას;
4. „გაცვლის“ თეორიას.

ფუნქციონალიზმი და კონფლიქტის სოციოლოგიური თეორია

მაკროსოციოლოგიური თეორიებია, ხოლო სიმბოლურ ინტერაქციონიზმსა და როლთა თეორიას მიკროსოციოლოგიურ თეორიებს მიაკუთვნებენ.

7. ბამოყენებითი ღა თე(ო)რიული ს(ო)ცი(ო)ლ(ო)გია

გამოყენებითი სოციოლოგია გამოკვლევის თეორიული მოდელების, მეთოდოლოგიური პრინციპების, მეთოდებისა და პროცედურების ერთობლიობაა. ის ასევე მოიცავს პრაქტიკული გამოყენებისა და რეალური სოციალური ეფექტის მიღებისაკენ მიმართულ სოციალურ ტექნოლოგიას, კონკრეტულ პროგრამებს და რეკომენდაციებს. გამოყენებით სოციოლოგიაში მთავარია ორიენტაცია პრაქტიკულ სარგებლიანობაზე და არა ფუნდამენტურ აღმოჩენებზე. ის აკადემიური სოციოლოგიის მსგავს მეთოდებს იყენებს. გამოყენებითი სოციოლოგია იწყება იქ, სადაც ცნებათა აპარატი და კვლევის მეთოდიკა სოციოლოგისათვის ყოველდღიურ რუტინულ საქმიანობად გადაიქცევა. აკადემიური (თეორიული) სოციოლოგია ცდილობს აღმოაჩინოს სიახლე მეთოდიკასა და თეორიაში, ხოლო გამოყენებითი სოციოლოგია ამ სიახლეებს ნერგავს პრაქტიკაში.

აკადემიური, თეორიული სოციოლოგია ყურადღებას ამახვილებს სოციალური ქცევის ბაზისურ, ფუნდამენტურ პრობლემებზე. იგი შეისწავლის წმინდა შემეცნებით საკითხებს, ამუშავებს საზოგადოების ზოგად თეორიებს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს სხვადასხვა პრაქტიკული საკითხების გადაჭრას, მაშინ როცა გამოყენებითი სოციოლოგია თავისი საკუთარი თეორიული მოდელებით, გამოკვლევების პროცედურებით მიმართულია რეალური სოციალური ეფექტის მიღებისაკენ. გამოყენებითი სოციოლოგია ორიენტირებულია „შემკვეთზე“ (შემკვეთი შეიძლება იყოს სახელმწიფოც და კერძო პირიც), კლიენტზე, ბაზარზე. ორიენტირებულია არა ფუნდამენტალურ აღმოჩენებზე (ჭეშმარიტებაზე) ან მეცნიერული ცოდნის ზრდაზე, არამედ პრაქტიკულ შედეგებზე.

გამოყენებით სოციოლოგიაში გაარჩევენ ორ ძირითად მიმართულებას: სოციალურ ინჟინერიას და კლინიკურ სოციოლოგიას (შესაბამისად,

თქინერ-სოციოლოგს და კლინიცისტ-სოციოლოგს).

ინჟინერ-სოციოლოგი უფრო ხშირად იყენებს მცირემასშტაბიან გამოკითხვებს, საველე ექსპერიმენტების სერიას, ამუშავებს მცირე ჯგუფების სოციალური გარდაქმნის პროექტებს, დაკავებულია დაგეგმვითა და ღიზანით.

სოციოლოგ-კლინიკოსის ამოცანაა დაადგინოს ამა თუ იმ მოვლენის დიაგნოზი, შესთავაზოს ალტერნატივა, გაუწიოს კონსულტაცია და მიუთითოს თერაპიულ ზომებზე. ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად ახორციელებს სოციოლოგიის ფუძემდებლის, კონტის ანდერძს (მიკროდონეზე), რომლის თანახმადაც სოციოლოგიის ძირითადი ამოცანა საზოგადოების გარდაქმნაში, სრულყოფაში მდგომარეობს.

აკადემიური სოციოლოგიის წარმომადგენლები გამოყენებითი სოციოლოგიის დარგში მომუშავეებს ადანაშაულებენ გადაჭარბებულ პრაგმატიზმში, მანიპულატორობაში. ხოლო თეორიული სოციოლოგიის წარმომადგენლებს ბრალი ედებათ აბსტრაქტულობაში, თეორიული დებულებების პრაქტიკულად შეუმოწმებლობასა და სქოლასტიზმში. ორივე მხარეს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ საკმარისი არგუმენტები გააჩნია, მაგრამ აქ მთავარია ის, რომ აკადემიური და გამოყენებითი სოციოლოგია სოციალური სინამდვილის შემეცნების საქმეში ერთმანეთს ავსებენ. გამოყენებითი სოციოლოგიის მონაცემები ხელს უწყობენ თეორიული სოციოლოგიის წინსვლას (სოციალური სამყაროს ზოგადი სურათის შევსება), ხოლო თეორიული დებულებები (საზოგადოებრივი პროცესების გლობალური გააზრებები) გამოყენებითი სოციოლოგიის სფეროში კონკრეტული მეთოდების დახვეწის საშუალება შეიძლება გახდეს.

გამოყენებითმა სოციოლოგიამ იმთავითვე (XIX ს.ბოლო და XX ს. დასაწყისი) დიდი განვითარება პოვა აშშ. დღეს ამ ქვეყანაში ასობით ორგანიზაცია დაკავებულია კონკრეტული სოციოლოგიური კვლევებით, რომელთა ძირითადი მიზანი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაა. მსგავს ორგანიზაციებში ხშირად უფრო მეტი მეცნიერებათა დოქტორი მუშაობს, ვიდრე რომელიმე უნივერსიტეტში. 1995 წლისათვის 15 ათასზე მეტი სოციოლოგი მუშაობდა აშშ

უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში, 8 ათასზე მეტი კი გამოყენებითი სოციოლოგიით იყო დაკავებული. აშშ-ში პოპულარული ხდება კურსები გამოყენებით სოციოლოგიის სწავლებაში. გარდა სალექციო-სააუდიტორიო მუშაობისა, გამოიყენება სასწავლო ფილმები, როლური თამაშები, სოციოდრამა და ა.შ.

ყოველი მეცნიერების წარმოშობასა და განვითარებას გარკვეული წანამძღვრები გააჩნია. სოციოლოგიის წარმოშობა განპირობებული იყო ევროპული საზოგადოებების გაღიაების პროცესებით (სოციოლოგია ერთგვარად არის კიდევაც ღია საზოგადოების „ლოქტრინა“). ბუნებრივია, ის ვერ იარსებებდა დესპოტიის და დიქტატურის პირობებში. დღეს საქართველოში მიმდინარე პროცესები აქტუალურს ხდის სოციოლოგიური ცოდნის ათვისებისა და გამოყენების საკითხს; ამიტომ, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს სოციოლოგიის მეცნიერების ელემენტები და მისი სათანადო ათვისების შემთხვევაში დამოუკიდებლად შეძლოს სოციოლოგიური გამოკვლევის ორგანიზება და ჩატარება.

ლიტერატურა:

1. კოლუა ე., სოციოლოგიის შესავალი, თბილისი, 1986.
2. კოლუა ე., სოციოლოგია, თბილისი, 1995.
3. Мертон Р., Мид Дж., Парсонс Т., Шюц А., В кн.: Американская социологическая мысль, тексты под редакцией проф. В.Н.Добренкова, Москва, 1994.
4. Бергер П. Приглашение в социологию, гуманистическая перспектива. Москва, 1996.
5. Бауман З. Мыслить социологически, Москва, 1994.
6. Вебер М. Избранное. Образ общества, Москва, 1994.
7. Дюркгейм Э. Самоубийство: социологический этюд, Москва, 1994.
8. Дюркгейм Э. О разделении общественного труда. Метод социологии, Москва, 1991.
9. Зимель Г. Избранное, в 2-х томах, Москва, 1996.
10. Смелзер Н. Социология, Москва, 1994.
11. Тернер Дж. Структура социологической теории, Москва, 1985.
12. Rodney Stark - Sociology Belmont, California, 1994.

13. James M. Henslin - Sociology, Boston, 1993.
14. C. Wright Mills, The Sociological Imagination - N.Y. 1959.
15. Erving Goffman. Stigma - N.Y. 1963.
16. Erving Goffman. Presentation of Self in Everiday Life - N.Y. 1959
17. Harald Kerber, Arnold Schmieder Sociologie Arbeitsfelder, Theorien, Ausbildung. Ein Grudkurs Hamburg. 1991.
18. Rainer Geibler - Die Sozialstruktur Deutschland. Bonn, 1992.

კონკრეტული სოციოლოგიური
კვლევის მეთოდოლოგია

„მეთოდოლოგია“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა (methodos - გზა რაიმესაკენ, logos - მოძღვრება). მეთოდოლოგიას განსაზღვრავენ როგორც იმ პრინციპებისა და „ნორმების“ ერთობლიობას, რომლებიც ახდენენ მეცნიერული კვლევის ორგანიზებას. მეთოდოლოგიას სხვანაირად მეცნიერული კვლევის სტრატეგიასაც უწოდებენ.

მეთოდოლოგია უნდა განვასხვავოთ მეცნიერული, მათ შორის, სოციოლოგიური თეორიისაგან. პირველი უფრო ფართოა მეორეზე. მეთოდოლოგია უშუალოდ არ უკავშირდება სოციოლოგიურ პრობლემებს, მისი პრინციპები შეიძლება გამოსადეგი გახდეს რიგი მეცნიერებებისათვის, რომლებსაც კვლევის სხვადასხვა საგანი აქვთ. ამ აზრით, მეთოდოლოგია არ არის შინაარსობრივი ხასიათის დისციპლინა. რაც შეეხება სოციოლოგიურ თეორიას, იგი განსაზღვრულია საგნობრივი შინაარსით, მას კვლევის საკუთარი სიბრტყე აქვს, რომელიც გამოყოფს სხვა დისციპლინებისაგან. აქედან გამომდინარე, სოციოლოგიურ თეორიას *სუბსტანციურ* თეორიასაც უწოდებენ. რასაკვირველია, მეთოდოლოგია და სოციოლოგიური თეორია მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს იმ თვალსაზრისით, რომ სოციოლოგიური თეორია ამა თუ იმ მეთოდოლოგიური პრინციპის გამოყენებით (საფუძველზე) აიგება. უფრო მეტი: ესა თუ ის თეორია შეიძლება თავად აღმოჩნდეს მეთოდოლოგიის როლში, როგორც ახალი, პოზიტიური ცოდნის მიღების საშუალება. მიუხედავად ამისა, მათ შორის არსებითი ფუნქციონალური განსხვავებაა. ამ განსხვავებას ასეც გამოხატავენ: მეთოდოლოგია პასუხობს კითხვაზე - „როგორ“, ხოლო, სუბსტანციური თეორია, კითხვაზე - „რა“.

ნებისმიერი მეცნიერული, მათ შორის, სოციოლოგიური კვლევაძიება საჭიროებს შესაბამის მეთოდოლოგიას. იმის მიხედვით, რა ტიპის სოციოლოგიურ კვლევასთან გვაქვს საქმე (ანუ, სოციოლოგიური ცოდნის ხარისხის გათვალისწინებით), იცვლება მეთოდოლოგიური პრინციპებიც. მოცემულ შემთხვევაში, გვინტერესებს *კონკრეტული (ემპირიული) სოციოლოგიური*

კვლევის მეთოდოლოგია (მას ზოგჯერ სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია უწოდებენ). ის წარმოადგენს პროცედურათა სისტემას, რომლებიც უზრუნველყოფენ ემპირიული სოციოლოგიური კვლევის ჩატარებას.

პროცედურა, თავის მხრივ, მოიცავს ოპერაციათა ერთობლიობას, კერძოდ, მეთოდების, ტექნიკური საშუალებების და კვლევის ინსტრუმენტების თანამიმდევრულ გამოყენებას.

მეთოდი სოციოლოგიურ კვლევაში წარმოადგენს სოციოლოგიური ინფორმაციის (მონაცემების) მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის ძირითად ხერხს.

რაც შეეხება ტექნიკას, ის შეიცავს სპეციალურ წესებს, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია ამა თუ იმ მეთოდის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. მაგალითად, სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთ მეთოდად შეიძლება გამოიყენონ ანკეტური გამოკითხვა ან ინტერვიუ. ტექნიკა, მოცემულ შემთხვევაში, იქნება კითხვების ფორმულირების სხვადასხვა წესი (ღია და დახურული, პირდაპირი და ირიბი, ძირითადი და საკონტროლო და ა.შ. კითხვები). რაც შეეხება თავად კითხვარს, მისი შევსების ინსტრუქციას, ინტერვიუერის თუ რესპონდენტის უფლება-მოვალეობებს და სხვა დოკუმენტებს – ყველაფერი ეს წარმოადგენს ინსტრუმენტებს სოციოლოგიური კვლევისათვის.

კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას, რომ სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიის შემადგენელი ძირითადი პროცედურები არ არის საგნობრივი შინაარსის მატარებელი, ანუ არ უკავშირდება სინამდვილის რომელიმე სფეროს. ეს პროცედურები შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა მეცნიერებაში. მაგალითად, გამოკითხვის (ტესტირების) მეთოდი წარმატებით მუშაობს ფსიქოლოგიური შინაარსის კვლევებში, ხოლო ისეთი სტატისტიკური მეთოდი, როგორცაა მახასიათებლების გაზომვა, ფართოდ გამოიყენება არა მხოლოდ სოციალურ, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (მაგ., ფიზიკაში). ამდენად, სოციოლოგიური კვლევებისათვის გამოსაყენებელი მეთოდები თუ ტექნიკური წესები ინტერდისციპლინარული ხასიათისაა.

როგორც ირკვევა, კონკრეტული სოციოლოგიური კვლევა არა სპონტანური, არამედ ფორმალიზებული პროცესია, რომელსაც თავისი ლოგიკა აქვს და გარკვეულ წესებს ემორჩილება. სოციოლოგიური კვლევა მოიცავს ავტონომიურ, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებულ ეტაპებს:

1. სოციოლოგიური კვლევის პროგრამის დამუშავება;
2. კვლევის მეთოდის შექმნა;
3. პილოტაჟური გამოკვლევის ჩატარება;
4. შერჩევის მოდელის შემუშავება;
5. საველე სამუშაოების ჩატარება, ანუ პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვება;
6. მიღებული მონაცემების მომზადება დამუშავებისათვის (ლოგიკური კონტროლი და კოდირება) და მათი მანქანური (კომპიუტერული) დამუშავება;
7. დამუშავებული მასალის ანალიზი და დასკვნითი ანგარიშის შედგენა.

ს(ო)ცი(ო)ლ(ო)გი(ო)ური კვლევ(ო)ის პრ(ო)გრამა

სოციოლოგიური კვლევის საწყის ეტაპზე აუცილებელია შედგეს სოციოლოგიური კვლევის პროგრამა. პროგრამაში გადმოცემულია კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური წინამძღვრები, შესაბამის პროცედურულ წესებზე მითითებით, რაც დაკავშირებულია გარკვეული მოვლენის ან პროცესის შესწავლასთან. პროგრამას, სხვაგვარად კვლევის ზოგად კონცეფციას, სტრატეგიულ დოკუმენტს უწოდებენ.

სოციოლოგიური კვლევის პროგრამა შედგება ორი — მეთოდოლოგიური და პროცედურული ნაწილისაგან. პროგრამის მეთოდოლოგიური ნაწილი შეიცავს:

- პრობლემის ფორმულირებას, კვლევის ობიექტისა და საგნის განსაზღვრას;
- კვლევის მიზნისა და ამოცანების ჩამოყალიბებას;
- ძირითადი ცნებების ინტერპრეტაციას;
- კვლევის საგნის ლოგიკურ-სისტემატურ ანალიზს;
- ჰიპოთეზების ფორმულირებას.

პროგრამის პროცედურულ ნაწილში შედის:

- სოციოლოგიური კვლევის სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება; შერჩევის ტიპის განსაზღვრა;
- პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების, აგრეთვე, მიღებული ინფორმაციის ანალიზის ძირითადი მეთოდების წინასწარი დახასიათება.

გარდა ამისა, პროგრამას ემატება სამუშაო გეგმა, რომელშიც მოცემულია ორგანიზაციული საკითხები. კერძოდ, მითითებულია კვლევის ძირითადი ეტაპები, ვადები, ფინანსური შესაძლებლობები და სხვა.

პროგრამის შედგენისას აუცილებელია დაიცვან მის შემადგენელ საფეხურებს შორის *ლოგიკური თანამიმდევრობა*. არ შეიძლება პროგრამის შემუშავება დავიწყოთ ჰიპოთეზების ჩამოყალიბებით, როდესაც არ განხორციელებულა ძირითადი ცნებების ინტერპრეტაცია. შეუძლებელია, აგრეთვე, სტრატეგიული გეგმის შედგენის გარეშე წინასწარ განვსაზღვროთ სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების მეთოდები და ა.შ.

პროგრამას მოეთხოვება ისიც, რომ ყველა მისი დებულება იყოს მკაფიოდ ფორმულირებული და დასაბუთებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, სოციოლოგიური კვლევა არ იქნება ნაყოფიერი. ამ მოთხოვნას პროგრამის *ექსპლიციტურობას* უწოდებენ.

ს(ო)ციოლოგიური კვლევის პრობლემა,
(ობიექტი და საბანი

ნებისმიერი სოციოლოგიური კვლევა იწყება *პრობლემური სიტუაციის* დაფიქსირებით. პრობლემური სიტუაცია ყოველთვის გულისხმობს სოციალური წინააღმდეგობის არსებობას. რა წინააღმდეგობაზეა აქ ლაპარაკი? ეს არის წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, საზოგადოებაში არსებულ მოთხოვნილებებსა და მეორე მხრივ, შესაბამისი პირობებისა თუ საშუალებების არარსებობის გამო, ამ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობას შორის. სხვანაირად ამას უწოდებენ შეუსაბამობას არსებულსა და უნდაობითს (ანუ იმას, რაც უნდა

იყოს) შორის.

იმისათვის, რათა სოციალური წინააღმდეგობა, როგორც ობიექტური მოცემულობა, იქცეს სოციოლოგიური კვლევის პრობლემად, საჭიროა იგი გაცნობიერდეს, ანუ მოხდეს მასზე ცნობიერი რეფლექსია. შესაბამისად, მიუთითებენ პრობლემის ორ ასპექტზე: საგნობრივზე და გნოსეოლოგიურზე. პრობლემის საგნობრივი ასპექტი გულისხმობს რეალური სოციალური წინააღმდეგობის არსებობას საზოგადოებაში (სოციალურ სანამდვილეში), ხოლო გნოსეოლოგიური ასპექტი - რეალური წინააღმდეგობის შექმნებას (გაცნობიერებას), ანუ მის შესახებ ცოდნის მოპოვებას.

თუ არ არსებობს პრობლემური სიტუაცია, მაშინ სოციოლოგიური კვლევა აზრს კარგავს. ამიტომ, სოციოლოგმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს, რა სოციალური წინააღმდეგობები არსებობს საზოგადოებაში და კვლევა არ მიმართოს ისეთ საკითხებზე, რომლებიც პრობლემატური არ არის.

მიემართოთ მაგალითს. ვთქვათ, განზრახული გვაქვს სოციოლოგიური კვლევა მიემართოთ შიდსის პრობლემაზე. საჭიროა განისაზღვროს რა სოციალურ წინააღმდეგობებს ასახავს ეს პრობლემა. პირველ რიგში, ეს არის წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, შიდსის გავრცელების რეალურ საშიშროებას, მისი გაცნობიერების საჭიროებას და, მეორე მხრივ, საზოგადოების მიერ აღნიშნული საშიშროების არასათანადო გათვალისწინებას შორის; შემდეგ, არსებობს შეუსაბამობა პროფილაქტიკური საშუალებების დაცვის აუცილებლობასა და სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოუმზადებლობას, აგრეთვე, მოსახლეობის დაბალ ფინანსურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებს შორის; გასათვალისწინებელია აგრეთვე, შეუსაბამობა ინფიცირებულთა რეალურ და ნომინალურ რაოდენობას შორის; ყურადღება უნდა მიექცეს წინააღმდეგობას, ერთი მხრივ, რისკ-ჯგუფების ნებაყოფლობითი ტესტირების მიზანშეწონილობასა და მეორე მხრივ, მათ სამართლებრივ სტატუსებს შორის; მხედველობაში მისაღება, აგრეთვე, კონფლიქტი სექსუალური ურთიერთობების ლიბერალიზაციის, ანდა ინფიცირებულთა უფლებების დაცვის მოთხოვნასა და

კოლექტიურ ცნობიერებაში გაბატონებულ ტრადიციულ წარმოდგენებს შორის და ა.შ.

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობების გაცნობიერება ნათელყოფს შიღისის პრობლემის აქტუალობას და ამ პრობლემის შესახებ სოციოლოგიური კვლევის ჩატარების მიზანშეწონილობას.

პრობლემის ფორმულირება ახდენს კვლევის *ობიექტზე* მითითებას. *ობიექტს* სოციოლოგიურ კვლევაში წარმოადგენს ის, რაც თავის თავში, აშკარად თუ ფარულად, ატარებს სოციალურ წინააღმდეგობას, ანუ პრობლემურ სიტუაციას. ეს არის მკვლევარისაგან დამოუკიდებელი სოციალური რეალობა, რომლისკენაც მიმართულია შემეცნების პროცესი. ასეთ რეალობას წარმოადგენს სოციალური ურთიერთობები, განხორციელებული განსხვავებული სოციალური სტრუქტურების თუ ინსტიტუტების დონეზე. სხვანაირად თუ ვიტყვი, კვლევის *ობიექტი* არის სოციალური მოღვაწეობის ესა თუ ის სფერო.

რაც შეეხება სოციოლოგიური კვლევის *საგანს*, იგი წარმოადგენს *ობიექტის* იმ თვისებას (ნიშანს) თუ ასპექტს (მხარეს), რომელიც უშუალოდ ექვემდებარება შესწავლას. ერთსა და იმავე *ობიექტში* შეიძლება გამოიყოს კვლევის სხვადასხვა საგანი. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ პრობლემასთან გვაქვს საქმე.

აქ მოტანილი მაგალითის შემთხვევაში, როდესაც პრობლემას წარმოადგენს შიღისთან დაკავშირებული სოციალური წინააღმდეგობები, შესაძლებელია მივუთითოთ კვლევის სხვადასხვა *ობიექტზე*. კერძოდ, აღნიშნული პრობლემა შეიძლება გამოვიკვლიოთ სტუდენტების, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დასაქმებულების, რისკ-ჯგუფების წარმომადგენლების, ანდა, მთელი საზოგადოების (ყველა სოციალური ჯგუფის თუ ფენის) მასშტაბით. რაც შეეხება კვლევის საგანს, მოცემულ შემთხვევაში, იგი იქნება აღნიშნული *ობიექტების* დამოკიდებულება შიღისადმი.

როგორც ჩანს, შიღისის პრობლემასთან დაკავშირებით კვლევის *ობიექტის* არჩევანი ფართოა. ეს იმიტომ, რომ ეს პრობლემა მეტ-

ნაკლებად ეხება საზოგადოების თითქმის ყველა სოციალურ ფენას. თუ კვლევის საგნად ვაქცევთ. ვთქვათ, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს, მიზანშეწონილია ობიექტად ავირჩიოთ სასწავლო ურთიერთობებში ჩართული ადამიანები. ესენი, პირველ რიგში, მოსწავლეები (სტუდენტები) და პედაგოგები არიან, მათ გარდა, ის პირები, რომლებიც სასწავლო პროცესის ორგანიზებაში მონაწილეობენ.

სოციოლოგიური კვლევის მიზანი და ამოცანები

სოციოლოგიური კვლევის მიზნის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება კვლევის ორიენტაცია ორი - *თეორიული* და *გამოყენებითი* - მიმართულებით. თითოეული ორიენტაციის რეალიზაცია მოითხოვს შესაბამისი ამოცანების ჩამოყალიბებას.

როდესაც მიზანი *თეორიული* ხასიათისაა, სოციოლოგიური კვლევის დანიშნულებაა განისაზღვროს სოციალური პრობლემა და მისი გადაწყვეტის შესაძლებლობა. ამ მიზნის განხორციელებისათვის სოციოლოგმა, პროგრამის ფარგლებში, უნდა ჩაატაროს თეორიული სამუშაო, რომელიც მოიცავს: მეცნიერული ლიტერატურის შესწავლას მოცემული პრობლემის გარშემო, ძირითადი ცნებების ინტერპრეტაციას, კვლევის ობიექტის ლოგიკურ-სისტემატურ ანალიზს, სამუშაო ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას. შედეგად მიიღება გარკვეული ჰიპოთეტური, კონცეპტუალური მოდელი ობიექტის შესახებ. მხოლოდ ასეთი თეორიული მომზადების შემდეგ იწყებს სოციოლოგი შერჩევითი გამოკვლევის ჩატარებას ჰიპოთეტური მოდელის შესამოწმებლად.

სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც კვლევას *გამოყენებითი* ანუ პრაქტიკული ორიენტაცია აქვს. მისი მიზანია სოციალურ პრობლემათა პრაქტიკული გადაწყვეტა, რაც დაკავშირებულია გარკვეული პროცესების რეგულირებასთან, კერძოდ, მათ პროგნოზირებასა და მართვასთან. გამოყენებით სოციოლოგიურ კვლევას მოეთხოვება რეალური სოციალური ეფექტის მიღწევა. მისი შედეგების ღირებულება გაიზომება არა სოციოლოგიური ინფორმაციის ანალიზის სიღრმით, არამედ პრაქტიკული სარგებლიანობით. ასეთი კვლევების უკან ყოველთვის დგას შემკვეთი, რომელსაც სოციოლოგიური კვლევა

სჭირდება როგორც საშუალება კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში უკეთ ორიენტირებისათვის. აქედან გამომდინარე, გამოყენებით სოციოლოგიურ კვლევას „სოციალურ-ინჟინერულ“ კვლევასაც უწოდებენ.

აღნიშნული კვლევის პროგრამაში სოციოლოგის ფუნქციაა ზუსტად განსაზღვროს პრაქტიკული ამოცანები და მოიძიოს, არსებობს თუ არა ამ ამოცანების ტიპური გადაწყვეტა რომელიმე სპეციალურ სოციოლოგიურ თეორიაში. ხშირად, ასეთი ძიება უნაყოფოა თეორიათა ნაკლებობის გამო. ასეთ შემთხვევაში სოციოლოგი იძულებულია თავად შეიმუშაოს პრობლემის გადაჭრის ზოგადი კონცეფცია და მისი პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობა. თუმცა, ისიც დასაშვებია, რომ გამოყენებითი სოციოლოგიური კვლევა შემოიფარგლოს მხოლოდ პრობლემის პრაქტიკული გადაჭრით მოცემულ სოციალურ ვითარებაში, რაიმე ზოგადი კანონზომიერების დადგენის გარეშე. ამ დროს, სოციოლოგიური კვლევა არ შეიცავს თეორიულ ასპექტს.

ამრიგად, თეორიული და გამოყენებითი ორიენტაციის სოციოლოგიურ კვლევებში აქცენტი სხვადასხვა საკითხზე კეთდება. თეორიული ორიენტაციის შემთხვევაში მიზანია სოციალური პრობლემის გამოვლენა და მისი გადაჭრის ტიპური გზის დადგენა. გამოყენებითი სოციოლოგიური კვლევა მიმართულია სოციალური პრობლემის პრაქტიკულ გადაწყვეტაზე კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში. მიუხედავად განსხვავებისა, კვლევის ეს ორი ტიპი შეიძლება გაერთიანდეს: პირველ ეტაპზე სოციოლოგმა შესაძლოა იზრუნოს პრობლემის გადაწყვეტის ზოგადი გზის დამუშავებაზე, ხოლო შემდეგ გამოიყენოს იგი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

კვლევის მიზნის შესაბამისად ყალიბდება *ამოცანები*. მათი დაყოფა ასევე შესაძლებელია თეორიულ-შემეცნებით და პრაქტიკულ ამოცანებად. თეორიული ორიენტაციის კვლევაში ძირითადია თეორიულ-შემეცნებითი ამოცანები, ხოლო პრაქტიკული ამოცანები — მხოლოდ დამატებითი (არაძირითადი). პრაქტიკული ორიენტაციის კვლევაში ამოცანათა განაწილება პირიქით ხდება.

კვლევის ძირითადი ამოცანა დაკავშირებულია ცენტრალურ საკითხთან. რაც შეეხება დამატებით ამოცანებს, ისინი ყალიბდებიან არაძირითადი ჰიპოთეზების შესამოწმებლად, მომავალი კვლევის მოსამზადებლად და სხვა მიზნებისათვის. არაძირითადი ამოცანების გადაწყვეტა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ორიენტაციის კვლევაში, ხდება იმავე მასალის (მონაცემების) საფუძველზე, რომელიც მიღებულია ცენტრალურ საკითხზე პასუხის გასაცემად.

**ძირითადი ცნებების ემპირიული ინტერპრეტაცია
და ოპერაციონალიზაცია**

სოციოლოგიური კვლევის პროგრამის დამუშავებისას გამოიყოფა ძირითადი (ამოსავალი) ცნებები, რომლებიც შესასწავლი პრობლემის არსს გამოხატავენ. კონკრეტული კვლევისათვის მნიშვნელობას ეს ცნებები მხოლოდ მაშინ შეიძენენ, როცა ისინი ემპირიულად გამოყენებადი გახდებიან. ამას ემსახურება სწორედ ძირითადი ცნებების ემპირიული ინტერპრეტაცია.

ემპირიული ინტერპრეტაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც ცნებათა ემპირიული (ცდისეული) მნიშვნელობების მოძიება-დადგენა. რაში მდგომარეობს ამ პროცედურის აუცილებლობა სოციოლოგიური კვლევისათვის? სოციოლოგიური კვლევა ყოველთვის მიმართულია მოცემულ რეალურ ვითარებაზე, მას აინტერესებს კონკრეტულ დროსა და სივრცეში არსებული სოციალური სანამდვილის, უფრო სწორად, ამ სინამდვილეში გამჟღავნებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლა. ემპირიული სოციოლოგიური კვლევა არ მუშაობს (ოპერირებს) რეალობისაგან აბსტრაქტირებული (განყენებული) კატეგორიებით. სოციოლოგის უპირველესი ამოცანაა თეორიულ ტერმინთა ცდისეული მნიშვნელობის გახსნა, მათი თარგმნა ემპირიის „ენაზე“, რაც, თავის მხრივ, ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას და მათი შემოწმების ეფექტური მეთოდის (კვლევის ინსტრუმენტის) შექმნას უზრუნველყოფს.

ცნებათა ინტერპრეტაცია ხორციელდება ე.წ. „*ოპერაციონალური განსაზღვრების*“ გზით. ეს უკანასკნელი გულისხმობს ემპირიულ ინდიკატორებზე მითითებას, რომლებიც ცნებაში მოცემული ვითარების

არსებობის ან არარსებობის ხარისხებს ნათელყოფენ. *ემპირიული ინდიკატორი* არის რაიმე ნიშნის გარეგნულად კარგად გამოხატული მაჩვენებელი, რომლის დაფიქსირება ცდაში შესაძლებელია.

ჩვეულებრივ, მოუხერხებელია ამა თუ იმ საკვანძო ცნების პირდაპირი ემპირიული ინტერპრეტაცია ზოგადობის მაღალი ხარისხის გამო. ასეთ შემთხვევაში, საკვანძო ცნება ინტერპრეტირდება ირიბი გზით: მისი დაშლა ხდება ქვეცნებებად ანუ მახასიათებლებად, რომელთა შინაარსი უფრო ვიწროა და კონკრეტული. ასეთ დონეზე, ემპირიულ ინდიკატორებზე გასვლა გაცილებით იოლია. ემპირიულ მაჩვენებელთა დაფიქსირება შესაძლებელია გაზომვის, დაკვირვების და სხვა პროცედურების საფუძველზე.

მიემართოთ მაგალითს: შიდსის შესახებ სოციოლოგიური კვლევის პრობლემაში ფიგურირებს საკვანძო ცნება - „დამოკიდებულება შიდსისადმი“. საჭიროა განხორციელდეს ამ ცნების ემპირიული ინტერპრეტაცია, ანუ, მიზანშეწონილია ის დაისახსროს ნაკლებად ზოგად ქვეცნებებად (მახასიათებლებად). კერძოდ, დამოკიდებულება შიდსისადმი შეიძლება დახასიათდეს, როგორც: ა) დამოკიდებულება გარკვეული საშიშროებისადმი და ბ) დამოკიდებულება იმ ფენომენისადმი, რაც საზოგადოებაში სოციალურ ცვლილებებს იწვევს.

დამოკიდებულებას შიდსისადმი, როგორც საშიშროებისადმი, თავის მხრივ, ორი მახასიათებელი მოქმედნება: საშიშროება საზოგადოებისათვის და პირადი საშიშროება.

საშიშროება საზოგადოებისათვის სხვადასხვა პარამეტრით განისაზღვრება. მათ შორის შეიძლება გამოიყოს ორი: კოლექტიური (საზოგადოებრივი) ცნობიერების დონე (შიდსის საშიშროებას გაცნობიერებასთან დაკავშირებით) და ხელისუფლების ქმედითუნარიანობის ხარისხი. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ფინანსურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. რაც შეეხება პირად საშიშროებას, იგი, აგრეთვე, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. მათ შორისაა: სექსუალური კულტურის დონე, რისკის ჯგუფებისადმი კუთვნილება და საყოფაცხოვრებო ან სამედიცინო ობიექტებით სარგებლობა.

ანალოგიური ძიება შეიძლება ჩავატაროთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც გეინტერესებს დამოკიდებულება შიდსისადმი, როგორც სოციალური ცვლილებების გამომწვევი ფაქტორისადმი. ამ მიმართულებით უნდა გამოიყოს დამოკიდებულება ისეთი ცვლილებებისადმი, როგორცაა საზოგადოებაში ახალი სოციალური ჯგუფის გაჩენა, რაც სოციალური ურთიერთობის სპეციფიკურ ტიპს ქმნის; ახალი სოციალური სტრუქტურების ჩამოყალიბება და სხვა.

აღნიშნული ცვლილებების მიმართ დამოკიდებულება, თავის მხრივ, შესაძლებელია დიფერენცირდეს განსხვავებულ შინაარსობრივ მახასიათებლებად, რომლებიც ძირითადი ცნების ("დამოკიდებულება შიდსისადმი") ანალიზს ახდენენ.

როცა საკვანძო ცნება დაისახსრება ზოგადობის ნაკლები ხარისხის მქონე ქვეცნებებად, უკვე შესაძლებელია მათი პირდაპირი ემპირიული ინტერპრეტაცია ოპერაციონალური განსაზღვრების გზით. ეს ნიშნავს, რომ თითოეული მათგანისათვის შესაძლებელია მიუთითოთ ემპირიულ ინდიკატორებზე, რომლებიც ნათელყოფენ მათში მოცემული შინაარსის ცდასთან (ემპირიასთან) შესაბამისობას.

მაგალითად, კოლექტიური ცნობიერების დონის ერთ-ერთი ემპირიული ინდიკატორი იქნება ცოდნა შიდსის შესახებ, რომელიც დაფიქსირდება დამოკითხვის გზით; ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობების, როგორც ხელისუფლების ქმედითუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორის, ემპირიული მაჩვენებელი იქნება სტატისტიკური მონაცემები (მასალები); სექსუალური კულტურის დონის ინდიკატორი იქნება პროფილაქტიკური საშუალებების გამოყენება, შემთხვევითი სექსუალური პარტნიორების რაოდენობა და სხვა, რომელთა გამომჟღავნება მოხდება დამოკითხვის საშუალებით; სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ობიექტებით სარგებლობის ემპირიული მაჩვენებელია ამ ობიექტებით სარგებლობის სიხშირე, რომელიც, აგრეთვე, სოციოლოგიური დამოკითხვით ფიქსირდება და ა.შ.

ცნებათა ოპერაციონალიზაციის საფუძველზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ჰიპოთეზები კვლევის საგნის შესახებ. მოცემულ

შემთხვევაში, მიზანშეწონილია გამოითქვას ვარაუდი ისეთ ორ ცვლადს შორის მიმართების ხასიათის შესახებ, როგორცაა ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობები და ხელისუფლების ქმედითუნარიანობის ხარისხი. ჰიპოთეზა მიიღებს ასეთ სახეს: რაც უფრო მაღალია ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობები, მით უფრო მაღალია ხელისუფლების ქმედითუნარიანობის ხარისხი და, პირიქით. სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია ისეთ ცვლადებს შორის კორელაციის ხასიათის განსაზღვრა (ვარაუდის სახით), როგორცაა, ერთი მხრივ, კოლექტიური ცნობიერების დონე, ხოლო, მეორე მხრივ, ცოდნა შიღის შესახებ. შესაბამისად, ჰიპოთეზა ასე ჩამოყალიბდება: შიღის შესახებ ცოდნა განსაზღვრავს კოლექტიური ცნობიერების მიერ შიღის საშიშროების გაცნობიერებას. აღნიშნული ჰიპოთეზები ისეთი ცნებებისაგან შედგება, რომელთა ოპერაციონალიზაცია (ემპირიულ ინდიკატორებზე მითითება) განხორციელებულია, ამდენად, ისინი ემორჩილებიან ვერიფიკაციას (შემოწმებას) ემპირიული კვლევის პროცესში.

საკვანძო ცნებების ემპირიული ინტერპრეტაცია საშუალებას იძლევა, სოციალური სინამდვილის თავისებურების გათვალისწინებით შეიქმნას კვლევის ეფექტური ინსტრუმენტი (მეთოდი), რომლის საშუალებითაც მოხდება პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვება.

კვლევის ობიექტის წინასწარი სისტემური ანალიზი

ძირითადი ცნებების ემპირიული ინტერპრეტაციის შემდეგ, რაც ამ ცნებათა სინთეზურ განხილვას ითვალისწინებს, სოციოლოგმა უნდა განახორციელოს კვლევის ობიექტის ლოგიკური ანალიზი. ეს უკანასკნელი მოითხოვს, რომ სოციალური ობიექტი განვიხილოთ როგორც ერთიანი სისტემა. ლოგიკური ანალიზი გულისხმობს სისტემის შემადგენელი ელემენტების და მათი ფუნქციონირების მექანიზმის გამოაშკარავებას.

წინასწარი სისტემური ანალიზი ქმნის კვლევის ობიექტის კონცეპტუალურ, ლოგიკურ მოდელს, რომელსაც ხშირად ჰიპოთეტურ მოდელსაც უწოდებენ. რატომ არის საჭირო ასეთი მოდელის აგება? პირველ რიგში, იგი ემსახურება კვლევის საგნის

სპეციფიკის განსაზღვრას. ობიექტის სტუქტურული და ფუნქციონალური დახასიათება საშუალებას იძლევა გამოიყოს ის ფაქტორები, რომლებიც კვლევის საგანს განაპირობებს. შეიძლება ითქვას, რომ სისტემური ანალიზი ხდება საკვლევი საგნის მიმართულებით. ამიტომ, ხშირად მიუთითებენ, რომ ანალიზის პროცესში ობიექტი საგნად იქცევა.

მოვიყვანოთ მაგალითი: დაუშვათ, კვლევის საგანია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის მოტივაციები. ობიექტი მოცემულ შემთხვევაში იქნება სასწავლო საქმიანობა (მოღვაწეობა), უფრო ზუსტად, ამ საქმიანობაში ჩართული განსხვავებული სოციალური სტატუსის მქონე ადამიანები.

აღნიშნული ობიექტის ლოგიკურ-სისტემურმა ანალიზმა უნდა უპასუხოს კითხვას – როგორია სასწავლო საქმიანობის სტრუქტურა და მისი განვითარების მექანიზმი?

სასწავლო საქმიანობა (მოღვაწეობა) სხვადასხვა ურთიერთობას მოიცავს. მოცემულ შემთხვევაში, კვლევის საგნის გათვალისწინებით, გვინტერესებს ის სფერო (ურთიერთობები), რომლებშიც უშუალოდ სტუდენტები მონაწილეობენ. ამ ურთიერთობებზე შესაძლებელია სხვადასხვა ფაქტორმა იქონიოს გავლენა. ფაქტორები მიზანშეწონილია ორ ჯგუფად გაიყოს: ობიექტურად და სუბიექტურად. ობიექტურად ჩაითვლება ის ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ სასწავლო საქმიანობას არ უკავშირდებიან. ასეთებია: საზოგადოების სტაბილურობის დონე; იდეოლოგიური ან პროპაგანდისტული ზეწოლა; სოციალური პრესტიჟი და სხვა. მეორე მხრივ, შესაძლებელია გამოიყოს უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ობიექტური ფაქტორები: სწავლისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა; სწავლისათვის აუცილებელი ინტელექტუალური ბაზის მზაობა (პედაგოგთა კვალიფიკაცია, მეცნიერული ლიტერატურის არსებობა და ა.შ.); სწავლების ფორმა და სხვა.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორებს, ისინი, აგრეთვე, ორ ნაწილად გაიყოფა. ერთში შევა ინდივიდუალური დემოგრაფიული

მახასიათებლები: სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციისადმი ან პარტიისადმი კუთვნილება და ა.შ. მეორე ნაწილი მოიცავს ინდივიდის ინტერესებს, მოთხოვნებს, ღირებულებით ორიენტაციებს და ა.შ.

როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ფაქტორებიდან ზოგიერთი პირდაპირ, ხოლო ზოგი ირიბად ახდენს ზეგავლენას სასწავლო პროცესზე. ამის შებასამისად, კვლევის საგნიდან გამომდინარე, თითოეული ფაქტორი შეიძლება მეტ-ნაკლებად მონაწილეობდეს სწავლის მოტივაციაში. კერძოდ, სწავლა შეიძლება მოტივირებული იყოს:

- სახელმწიფოებრივი (ეროვნული) ინტერესებით;
- საზოგადოებაში მაღალი სოციალური სტატუსის მოპოვებით, ანუ სოციალური მობილობის შესაძლებლობით;
- სოციალური პრივილეგიების მიღებით;
- ტრადიციის (ოჯახური, ნათესაური და სხვა) შენარჩუნებით;
- პროფესიის პრესტიჟულობით;
- დამოუკიდებლობის (ვთქვით, ეკონომიკური) მიღწევის სურვილით;
- ცოდნის მოპოვების აუცილებლობით;
- სუბიექტური (პირადი) ინტერესით.

როგორც ვხედავთ, კვლევის ობიექტის ლოგიკური ანალიზის შედეგად მივიღეთ ერთგვარი კონცეპტუალური მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ საკვლევი საგნის სპეციფიკა, ვიქონიოთ მეტ-ნაკლებად სისტემატური წარმოდგენა მის შესახებ. ამგვარი წარმოდგენა, მეორე მხრივ, გვეხმარება სამუშაო ჰიპოთეზების ჩამოყალიბებაში კვლევის საგნის ძირითადი მახასიათებლების შესახებ.

ჰიპოთეზა სოციოლოგიურ კვლევაში

ჰიპოთეზა (hypothesis) ბერძნული სიტყვაა და ეტიმოლოგიურად ვარაუდს ნიშნავს. ჰიპოთეზები ნებისმიერი მეცნიერული კვლევა-ძიების აუცილებელი ნაწილია. განსაკუთრებით ნაყოფიერ როლს ისინი რეალურ-ფაქტობრივ, ანუ ემპირიულ მეცნიერებებში ასრულებენ. მათ შორისაა სოციოლოგია.

ჰიპოთეზა სოციოლოგიურ კვლევაში - ეს არის მეცნიერული ვარაუდი სოციალურ მოვლენათა შორის კავშირის ხასიათის შესახებ, სოციალური ობიექტის იმ ელემენტების და თავისებურებების შესახებ, რომლებიც კვლევის საგანს გამოყოფენ.

ჰიპოთეზის აუცილებლობა კვლევის პროცესში მაშინ იჩენს თავს, როდესაც ცოდნა, რომელსაც მკვლევარი ფლობს, არ აძლევს მას საშუალებას ახსნას სოციალური ფაქტები (მოცემულობები). ჰიპოთეზების წამოყენება ხაზს უსვამს სოციოლოგიის როგორც აქტიური სუბიექტის პოზიციას. სოციოლოგი არ იწყებს კვლევას ცარიელ ნიადაგზე, მას ყოველთვის აქვს წარმოდგენა, თუ რამდენად მნიშვნელობს მისთვის საინტერესო პრობლემა სოციალურ სინამდვილეში. ამ წარმოდგენას (ხედვას) იგი ვარაუდების სახით აყალიბებს და მიზანმიმართულად მოქმედებს მათ შესამოწმებლად. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოთეზები აძლევენ ერთგვარ მიმართულებას სოციოლოგიურ ძიებას, უქმნიან მას კონცეპტუალურ საფუძველს.

ჰიპოთეზები თავის თავში ატარებენ როგორც მათი ჭეშმარიტებად ქცევის, ისე გამცდარობის შესაძლებლობას. ჰიპოთეზათა ჭეშმარიტება-მცდარობის დადგენა, ანუ მათი ვერიფიკაცია (შემოწმება) ხდება ემპირიული კვლევის შედეგად, ცდის საფუძველზე. შებასამისად, ჰიპოთეზები ან უარიყოფიან, ან დასტურდებიან. დადასტურების შემთხვევაში ჰიპოთეზები თეორიის შემადგენელ ნაწილად იქცევიან.

იმისათვის, რომ ჰიპოთეზამ სოციოლოგიურ კვლევაში იმუშაოს, ე.ი. იყოს მეცნიერული ხასიათის, მან უნდა დააკმაყოფილოს რამდენიმე პირობა:

ჯერ ერთი, რამდენადაც ჰიპოთეზის ჭეშმარიტების კრიტერიუმს სოციოლოგიაში ცდა (ემპირია) წარმოადგენს, აუცილებელია მისი შინაარსი არ იყოს რეალური სოციალური სინამდვილისაგან განყენებული. ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ჰიპოთეზა ისეთი ცნებებისაგან შედგება, რომელთა ემპირიული ინტერპრეტაცია განხორციელებულია.

მეორე, ჰიპოთეზა არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში თეორიასთან, ე.ი. ისეთ დებულებებთან, რომელთა ჭეშმარიტება სოციალური სინამდვილისთვის უკვე დადგენილია. მეტიც: მეცნიერული ჰიპოთეზა დაფუძნებული უნდა იყოს გარკვეულ თეორიაზე (თეორიებზე), მასში გამოთქმული ვარაუდი ლატენტურად უნდა ითვალისწინებდეს მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში დაგროვილ გამოცდილებას. მაგალითად, როდესაც ვაყალიბებთ ჰიპოთეზას, რომ კანონდამრღვევთა შორის უმუშევართა ან არაუმალლესი განათლების მქონეთა ხვედრითი წილი მეტია, ვიდრე დასაქმებულების ან უმალლეს განათლებულების, ვეყრდნობით თეორიას იმის შესახებ, რომ ინდივიდის სოციალური სტატუსი გავლენას ახდენს მის მიდრეკილებაზე დანაშაულის ჩადენისაკენ. წინააღმდეგობა ჰიპოთეზასა და თეორიას შორის მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როდესაც თეორია მოძველებულია, ანუ აღარ შეესაბამება ემპირიას.

მესამე, ჰიპოთეზაში გამოთქმული უნდა იყოს ვარაუდი შეუმოწმებელ, ე.ი. მოსალოდნელ ფაქტობრივ ვითარებებზე. თუ უკვე შემოწმებულ, ანუ ცნობილ ფაქტებს შორის აღმოჩნდა ერთი მაინც, რომელსაც არ ეთანხმება ჰიპოთეზა, იგი უნდა შეიცვალოს ისე, რომ შესაბამისობაში მოვიდეს ფაქტების მთელ ერთობლიობასთან.

და ბოლოს, ჰიპოთეზა ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ შესაძლებელი გახდეს მისი დადასტურება ან უარყოფა.

ჰიპოთეზათა კლასიფიკაცია შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა საფუძველზე:

ზოგადობის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ *საფუძველმდებარე* და *გამომდინარეობითი* ხასიათის ჰიპოთეზებს. საფუძველმდებარე ჰიპოთეზაში გამოთქმულია ვარაუდი შესასწავლი სოციალური ობიექტის შესახებ მთლიანობაში. ის შედგება ზოგადი ცნებებისაგან, რომელთა ემპირიული მახასიათებლები დადგენილი არ არის, ანუ არ ხდება მითითება ემპირიულ ინდიკატორებზე, რომლებიც ნათელყოფენ ცნებათა მოსალოდნელ შესაბამისობას ცდასთან. ემპირიული კვლევის პროცესში მოწმდება არა საფუძველმდებარე

ჰიპოთეზა, არამედ მისგან დედუცირებული (გამოყვანილი), ზოგადობის შედარებით დაბალი ხარისხის მქონე გამომდინარეობითი ჰიპოთეზები. ისინი შედგებიან ისეთი ცნებებისაგან (ტერმინებისაგან), რომელთა ემპირიული ინდიკატორები მოძიებულია, ამდენად, ცდასთან მათი კორელაციის დადგენა შესაძლებელია. გამომდინარეობითი ჰიპოთეზების ვერიფიკაციაზე გავლით, საბოლოო ჯამში, მოწმდება საფუძველმდებარე ჰიპოთეზის ჭეშმარიტების მნიშვნელობა. მაგალითად, საფუძველმდებარე ჰიპოთეზა იქნება: შიდსის შესახებ ცოდნა განსაზღვრავს პროფილაქტიკური ზომების დაცულობას. აღნიშნული ჰიპოთეზიდან გამოიყვანება ორი გამომდინარეობითი ხასიათის ჰიპოთეზა: პირველი - რაც უფრო მაღალია შიდსის შესახებ ცოდნის დონე, მით უფრო მატულობს პროფილაქტიკური ზომების დაცულობის ხარისხი და მეორე - რაც უფრო დაბალია შიდსის შესახებ ცოდნის დონე, მით უფრო კლებულობს პროფილაქტიკური ზომების დაცულობის ხარისხი. სოციოლოგიური კვლევის პროცესში მოწმდება სწორედ გამომდინარეობითი ჰიპოთეზები.

კვლევის ამოცანების მიხედვით ჰიპოთეზები იყოფა *ძირითადად* და *არაძირითადად*. ძირითადი ჰიპოთეზები შეესაბამებიან კვლევის მთავარ ამოცანებს, ხოლო არაძირითადი ჰიპოთეზები - მეორეხარისხოვან ამოცანებს. არაძირითადი ჰიპოთეზები არ გამოიყვანებიან ძირითადისაგან (როგორც ეს ხდება ჰიპოთეზათა პირველი კლასიფიკაციის შემთხვევაში), ისინი უბრალოდ თანაარსებობენ.

საფუძვლიანობის ხარისხის მიხედვით გამოყოფენ *პირველად* და *მეორად* ჰიპოთეზებს. პირველადი ჰიპოთეზები პრიორიტეტულია, რამდენადაც მათ პრეტენზია აქვთ, სხვა შესაძლებლობათა ფონზე, ყველაზე მეტად განამდვილდნენ. რაც შეეხება მეორად ჰიპოთეზებს, ისინი ქმნიან პირველადის ალტერნატივას. მათი ჩამოყალიბება ხდება ან მაშინ, როდესაც ემპირიული მონაცემების საფუძველზე მოხდება პირველადი ჰიპოთეზების უარყოფა, ანდა თავიდანვე, როგორც სათადარიგო ვარიანტისა.

და ბოლოს, შინაარსობრივი თვალსაზრისით, განასხვავებენ *აღწერით* და *ახსნით* ჰიპოთეზებს. აღწერითი ჰიპოთეზები ცდილობენ უპასუხონ

კითხვას – როგორ არსებობს ესა თუ ის სოციალური მოვლენა მოცემული ობიექტის ფარგლებში (მასშტაბით). ეს გულისხმობს, კვლევის საგნის შესაბამისად, ერთი მხრივ, შესასწავლი სოციალური ობიექტის სტრუქტურის გახსნას, ხოლო, მეორე მხრივ, სტრუქტურული ელემენტების ფუნქციონალურ დახასიათებას.

რაც შეეხება ახსნით ჰიპოთეზებს, ისინი უფრო შორს მიდიან და ცდილობენ უპასუხონ კითხვას – რატომ არსებობს ესა თუ ის სოციალური მოვლენა ასე და არა სხვაგვარად? ამ კითხვის შესაბამისად, ახსნითი ჰიპოთეზა აყალიბებს ვარაუდს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ სოციალურ ობიექტში. მას, სულ მცირე, ორ ფაქტორს შორის კაუზალური (მიზეზობრივი) მიმართება აინტერესებს, რაც ანალიზის შედარებით ღრმა დონეს გულისხმობს.

მაგალითად, აღწერითი ჰიპოთეზა ასეთია: საზოგადოების წევრთა უმრავლესობა არ იყენებს შიდსისაგან თავდასაცავ პროფილაქტიკურ საშუალებებს. რაც შეეხება ახსნით ჰიპოთეზას, იგი შეიძლება ასე გამოითქვას: იმ რესპონდენტთა შორის, რომელთა ცოდნის ხარისხი შიდსის შესახებ მაღალია, პროფილაქტიკური ზომების დაცვის მოთხოვნილება იზრდება. პირველ შემთხვევაში, ხდება მოსალოდნელი ვითარების დესკრიფცია (აღწერა). მეორე შემთხვევაში, დგინდება კორელაცია ორ ცვლადს შორის, როდესაც ერთი მათგანი (ცოდნის ხარისხი) განაპირობებს მეორეს (პროფილაქტიკური ზომების დაცულობა).

ს(ო)ცი(ო)ლოგიური კვლევის სტრატეგიული გეგმა

სოციოლოგიური კვლევის სტრატეგიული გეგმა პროგრამის პროცედურულ ნაწილში შედის. სტრატეგიული გეგმა დგება იმის მიხედვით, თუ რამდენად სრულყოფილია ცოდნა, რომელსაც სოციოლოგი, მოცემულ მომენტში, ფლობს კვლევის პრობლემის და ობიექტის შესახებ. განასხვავებენ სტრატეგიული გეგმის სამ სახეს: დაზვერვითს, ანუ ძიებითს; აღწერითს, ანუ დესკრიფციულს და ექსპერიმენტალურს.

დაზვერვითი სტრატეგიული გეგმა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც კვლევის პრობლემის და ობიექტის შესახებ არსებული ცოდნა იმდენად არასრულყოფილია (ბუნდოვანია), რომ სოციოლოგს არ შეუძლია ჩამოაყალიბოს ჰიპოთეზები საკვლევი საგნის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, სოციოლოგი დეზინფორმირებულია, შესაბამისად, სოციოლოგიურ ძიებას არა აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მიმართულება.

აღნიშნული გეგმის მიზანია სოციოლოგიური კვლევის პრობლემის ნათლად ფორმულირება, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ ობიექტი და მოვახდინოთ ზოგიერთი პირველადი (საწყისი) ჰიპოთეზის ფორმულირება. რა გზები გამოიყენება ამისათვის?

დაზვერვითი (ძიებითი) გეგმა თავის თავში მოიცავს სამ ძირითად სამუშაოს: მეცნიერული ლიტერატურის (დოკუმენტების) შესწავლას; კომპეტენტური პირების, ანუ ექსპერტების გამოკითხვას და დაზვერვითი დაკვირვების ჩატარებას.

პირველ რიგში, მიზანშეწონილია მოვიძიოთ და გავეცნოთ მოცემული პრობლემის გარშემო არსებულ მეცნიერულ და დოკუმენტურ მასალას. ამისათვის საჭიროა შევადგინოთ მეტ-ნაკლებად სრული ბიბლიოგრაფია. ამას გარდა, კვლევის პრობლემისა და ობიექტის შესახებ ცოდნის გაღრმავებისათვის უნდა მივმართოთ ექსპერტებს – მეცნიერ-თეორეტიკოსებს თუ პრაქტიკოსებს, რომლებსაც აქვთ სოციოლოგიური კვლევისათვის საინტერესო თემაზე მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება. ბიბლიოგრაფიასთან ერთად საჭიროა შევადგინოთ იმ კომპეტენტური პირების სია, რომელთა გამოკითხვასაც ვაპირებთ.

ძიების დამამთავრებელი ეტაპია დაზვერვითი დაკვირვებების ჩატარება. დაკვირვება არის პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების მეთოდი, როდესაც თვითმხილველის მიერ მოვლენათა უშუალო დაფიქსირება ხდება. დაზვერვითი დაკვირვება ატარებს არაფორმალურებულ ხასიათს. ეს ნიშნავს, რომ იგი არ მიმდინარეობს დეტალურად დამუშავებული გეგმის მიხედვით. დაზვერვითი დაკვირვების სტადიაზე სოციოლოგი

სარგებლობს ზოგადი, თუმცა მიზანმიმართული გეგმით. ამ დროს სოციოლოგი ახდენს იმ მოვლენების რეგისტრაციას, რომლებიც შესასწავლ ობიექტში მიმდინარეობს.

ზემოთ აღნიშნული სამუშაოების ჩატარების, ანუ ძიებითი სტრატეგიული გეგმის განხორციელების შემდეგ, შესაძლებელია სოციოლოგიური კვლევის პრობლემის და, შესაბამისად, ობიექტის ზუსტი და მკაფიო ფორმულირება. ეს კი ჰიპოთეზების ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა.

ძიებითი სტრატეგიული გეგმა უნდა განვასხვავოთ *პილოტაჟური* გამოკვლევისაგან. პილოტაჟი არის საცდელი გამოკვლევა, რომლის მიზანია შეამოწმოს კვლევის ინსტრუმენტის (მეთოდის) ვარგისიანობა სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვებისათვის. რაც შეეხება ძიებით სტრატეგიულ გეგმას, მისი მიზანია პოზიტიური ცოდნის მოპოვება პრობლემის და ობიექტის შესახებ. უფრო მეტიც, ამ სტრატეგიული გეგმის ფარგლებში შესაძლებელია პილოტაჟის ჩატარება, ვთქვათ, იმ კითხვარის აპრობაციისთვის, რომელიც გამოიყენება ექსპერტების გამოსაკითხად.

აღწერითი (დესკრიფციული) სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავს ობიექტის არა უბრალოდ ფორმულირებას, არამედ მისი სტრუქტურის აღწერას. ეს კი გულისხმობს კვლევის ობიექტის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების განსაზღვრას. ამ მიზნის განხორციელება სოციოლოგმა აღწერითი ხასიათის ჰიპოთეზების ჩამოყალიბებით უნდა დაიწყოს. აღნიშნული სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს ამ ჰიპოთეზების შემოწმებას და საბოლოო ჯამში, ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებების შესახებ დასაბუთებული (შემოწმებული) ცოდნის მიღებას (ცხადია, ემპირიულ სოციალურ სინამდვილესთან მიმართებაში). რა გზები უნდა იქნეს ამისათვის გამოყენებული?

აღწერითი სტრატეგიული გეგმა ვერ განხორციელდება იმ საშუალებებით, რასაც ძიებითი გეგმა იყენებს (მეცნიერული ლიტერატურის შესწავლა, ექსპერტთა გამოკითხვა, დაზვერვითი დაკვირვების ჩატარება). ის მოითხოვს სხვა საშუალებების

გამოყენებას, როგორცაა: "მონოგრაფიული გამოკვლევა, რაოდენობრივი, შერჩევითი (და არა ექსპერტული) გამოკითხვა (გამოკვლევა), პირველადი ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი და სხვა¹.

რამდენადაც დესკრიფციული გეგმა მოითხოვს აღწერითი ჰიპოთეზების შემოწმებას, ამ გეგმის ფარგლებში მოითხოვება ისიც, რომ განხორციელდეს იმ ცნებათა ემპირიული ინტერპრეტაცია, რომლებსაც ჰიპოთეზა შეიცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება ვარაუდების ვერიფიკაცია, ემპირიული ინდიკატორების (მაჩვენებლების) არარსებობის გამო.

აღწერითი გეგმის ღირებულება არ მცირდება იმის გამო, რომ ის არ ითვალისწინებს ობიექტში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას. ეს არ შედის მის ფუნქციაში. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ობიექტის სტრუქტურული დახასიათება კაუზალური მიმართებების დადგენის აუცილებელი წინამძღვარია.

ექსპერიმენტული სტრატეგიული გეგმის მიზანია სოციალურ ობიექტში არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, ანუ იმ მექანიზმის გამოაშკარავება, რომლებიც ობიექტის ფუნქციონირებას განაპირობებს.

საკვლევი ობიექტის შესახებ ცოდნის მდგომარეობა, მიღებული აღწერის შედეგად, საშუალებას იძლევა ჩამოვაყალიბოთ ახსნითი ხასიათის ჰიპოთეზები. ახსნა გულისხმობს სხვადასხვა ფაქტორს შორის კაუზალური მიმართების დადგენას, როდესაც ერთი მოვლენა როგორც მიზეზი, იწვევს (განაპირობებს) მეორე მოვლენას, როგორც შედეგს. მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე გასვლა ანალიზის გაცილებით ღრმა დონეა. შესაბამისად, ახსნითი ჰიპოთეზების ვერიფიკაცია მოითხოვს ისეთი მეთოდის გამოყენებას, როგორცაა ექსპერიმენტი. ეს უკანასკნელი კვლევის სპეციფიკური სახეა, რომელიც შეიცავს განსხვავებულ ანალიტიკურ პროცედურებს.

¹ ამ მეთოდებს შემდგომ თავებში გაეცნობით დაწერილებით.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული გეგმის თითოეულ ტიპს დამოუკიდებელი ღირებულება აქვს, მათ შორის არსებობს ლოგიკური კავშირიც. გეგმის ყოველი მომდევნო ტიპი ითვალისწინებს (ეყრდნობა) წინა გეგმის ფარგლებში დაგროვილ ცოდნას (შედეგებს). ხშირად ისეც ხდება, რომ სამივე ტიპი გაერთიანებულია ერთ კვლევაში: კვლევა იწყება პრობლემის და ობიექტის ფორმულირებით, შემდეგ დგინდება ობიექტის რაოდენობრივ-თვისებრივი მახასიათებლები, მათ შორის კავშირი, და ბოლოს, ირკვევა, ატარებს თუ არა აღმოჩენილი კავშირი მიზეზობრივ (კაუზალურ) ხასიათს.

იმ შემთხვევაში, თუ სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია შერჩევითი (რაოდენობრივი) სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება, პროგრამის ფარგლებში უნდა განისაზღვროს ისიც, თუ *შერჩევის* რომელი ტიპი იქნება გამოყენებული: შემთხვევითი, ალბათური, ქვოტური (მიზანმიმართული) და ა.შ. საჭიროა იმის ხაზგასმა, რომ პროგრამულ ეტაპზე არ ხდება შერჩევის მოდელის შემუშავება მოცემული კვლევისათვის (ეს მხოლოდ პილოტაჟის შემდეგ უნდა მოხდეს). საწყის ეტაპზე, სოციოლოგი მხოლოდ წინასწარ ირჩევს შერჩევის რომელიმე ტიპს. კრიტერიუმს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს შერჩევის რეპრეზენტატულობა კვლევის ობიექტის გათვალისწინებით¹.

სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის ძირითადი მეთოდების
შერჩევა-დახასიათება

აღნიშნული პროცედურა სოციოლოგიური კვლევის პროგრამის დამამთავრებელი ეტაპია. სოციოლოგმა, კვლევის კონცეპტუალური მოდელიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა განსაზღვროს ის ხერხები (მეთოდები), რომელთა მეშვეობითაც მოხდება ამ მოდელის პრაქტიკული განხორციელება.

პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს ის, თუ რა გზით მოხდება პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვება (შეგროვება):

¹ შერჩევის მეთოდის არსი დაწვრილებით განხილული იქნება მოგვიანებით.

დაკვირვების, დოკუმენტური წყაროების ანალიზის თუ გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით. მეთოდებს შორის არჩევანი უნდა გაკეთდეს იმის მიხედვით, თუ როგორია კვლევის სტრატეგია, რა მიზანს ისახავს იგი. ამა თუ იმ მეთოდის არჩევის შემდეგ, ზუსტდება ისიც, თუ მეთოდის კონკრეტულად რომელი ფორმის გამოყენებაა მიზანშეწონილი. მაგალითად, დაკვირვების მეთოდის შემთხვევაში გამოვიყენებთ მარტივ თუ ჩართულ დაკვირვებას, სავლეს თუ ლაბორატორიულს და ა.შ. გამოკითხვის მეთოდის არჩევის შემთხვევაში – ჩავატარებთ ანკეტურ გამოკითხვას თუ ინტერვიუს. თავის მხრივ, ინტერვიუ კლინიკური იქნება თუ ფოკუსირებული და ა.შ. თითოეული ხერხის საჭიროება გაიზომება იმით, თუ რამდენად არის შესაძლებელი მათი მეშვეობით მივიღოთ ინფორმაცია, რომლის ანალიზი, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს შევამოწმოთ ჰიპოთეზათა ჭეშმარიტების მნიშვნელობა.

სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების მეთოდების გარდა, წინდაწინ უნდა აღიწეროს (დახასიათდეს) მიღებული ინფორმაციის (მონაცემების) ანალიზის მეთოდები. აქ არსებობს პროცედურათა ფართო არჩევანი: ემპირიული მასალის მარტივი კლასიფიკაციიდან და ტიპოლოგიზაციიდან დაწყებული, განსხვავებულ ცვლადებს შორის მრავალგანზომილებიანი კორელაციებით დამთავრებული. არჩევანი ამ შემთხვევაშიც ხორციელდება კვლევის სტრატეგიის და ჰიპოთეზათა ბუნების შესაბამისად.

ლიტერატურა:

1. Краткий словарь по социологии, М., 1988.
2. Рабочая книга социолога, М., 1983.
3. Смелзер Н. Социология, М., 1994.
4. Современная западная социология (словарь), М., 1990.
5. Ядов В.А. Социологическое исследование, М., 1972.
6. W. Good, P. Hatt, Methods in Social Research, N.Y., 1952.
7. David Jary, Julia Jary, Dictionary of Sociology, Glasg'ow, 1992.

სოციოლოგიური ინფორმაციის მონაცემების მოპოვების მეთოდები

სოციოლოგიური ინფორმაცია გულისხმობს მონაცემებს, რომლითაც სოციოლოგი მუშაობს გამოკვლევისას. განასხვავებენ პირველად და მეორად სოციოლოგიურ ინფორმაციებს. პირველადია ყველა ის ცნობა სოციოლოგიური კვლევის ობიექტის შესახებ, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია ანკეტური გამოკითხვით, ინტერვიუთი, დაკვირვებით, სოციალური ექსპერიმენტითა და დოკუმენტების ანალიზით. მეორადში იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის დამუშავებით მიიღება და წარმოდგენილია ცხრილების, გრაფიკების, კოეფიციენტების და ა.შ. სახით.

კვლევის საველე ეტაპის მსვლელობისას, სოციოლოგიური ინფორმაციის შესაგროვებლად სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. თითოეულს აქვს მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, მოთხოვნები, ნაკლოვანი მხარეები და უპირატესობები. მათი გამოყენების ტექნიკა მრავალფეროვანია, მაგრამ ნებისმიერი სახესხვაობა ეფუძნება ერთიან, ზოგად კანონებსა და წესებს. მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია კვლევის მიზნებსა და ამოცანებზე.

პირველადი ემპირიული მონაცემების მოპოვების მეთოდების სამი ძირითადი კლასი არსებობს: გამოკითხვა, დაკვირვება, დოკუმენტების ანალიზი.

ბამოკითხვის მეთოდი სოციოლოგიურ ბამოკვლევაში

სოციოლოგის მუშაობის შესახებ შექმნილი წარმოდგენა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა აქტუალური პრობლემის შესახებ მოსახლეობის გამოკითხვას უკავშირდება. გამოკითხვა არის პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს, პირველ რიგში, ადამიანთა გარკვეული ერთობლიობისადმი (რესპონდენტებისადმი) მკვლევრის ზეპირ ან წერილობით მიმართვას შეკითხვებით, რომელთა

შინაარსი წარმოგვიდგენს შესასწავლ პრობლემას ემპირიული მაჩვენებლების დონეზე; მეორე რიგში კი, მიღებული პასუხების რეგისტრაციას, სტატისტიკურ დამუშავებასა და მათ თეორიულ ინტერპრეტაციას.

გამოკითხვის მეთოდი მრავალ მეცნიერებასა და სოციალური პრაქტიკის სხვადასხვა სფეროში ინდივიდთაგან საჭირო ინფორმაციის მიღების მრავალგვარი ხერხის აღსანიშნავად გამოიყენება. აღნიშნულ მეთოდს ხშირად მიმართავენ სტატისტიკოსები მოსახლეობის სტრუქტურის, დასაქმების, მოხმარების ბიუჯეტის და სხვა მონაცემთა შესაგროვებლად; ჟურნალისტები, რომლებიც ინტერვიუს მეთოდით ღებულობენ ინფორმაციას აქტუალური პრობლემების შესახებ; ექიმები, რომლებიც ავადმყოფობის დასადგენად პაციენტს მიმართავენ სტანდარტული შეკითხვებით; იურისტები - ამა თუ იმ სამართალდარღვევის თუ დანაშაულის გამოძიებისას; ფსიქოლოგები ამ მეთოდს გარკვეულწილად ფსიქოთერაპიული ზემოქმედების თუ პიროვნების კვლევის მიზნით იყენებენ; სოციალური ფსიქოლოგები - შიდაჯგუფური თუ ჯგუფთაშორისი ურთიერთობების კვლევისას და ა.შ.

ამრიგად, გამოკითხვის მეთოდი წყვეტს სპეციფიკურ ამოცანებს, რაც ამა თუ იმ მეცნიერების საგნითაა განპირობებული. ამიტომაც, ყოველ სფეროში ამ მეთოდს გააჩნია სპეციფიკური თავისებურებები და მოთხოვნები მისი ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის.

გამოკითხვის მეთოდის ისტორიის განვითარება არ ისაზღვრება სოციოლოგიის ჩარჩოებით, ის საზოგადოებრივ დისციპლინებს უკავშირდება.

პირველი ცნობები გამოკითხვის ჩატარების შესახებ მიეკუთვნება ცივილიზაციის უძველეს ისტორიას და უკავშირდება მოსახლეობის რაოდენობრივ აღწერას ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში (ძველი ბერძენი ისტორიოგრაფის, ჰეროდოტეს ცნობით ეგვიპტელთა და მათი შემოსავლის აღწერა ჩატარდა 3000 წლის წინ ჩვენს ერამდე). მოსახლეობის აღწერა ანუ ცენზები

ტარდებოდა ანტიკურ ეპოქაშიც. შუა საუკუნეებში მას სისტემატური ხასიათი მიეცა ევროპის მრავალ ქვეყანაში. ამ პერიოდის და უფრო შემდგომი ხანის აღწერებს მასობრივი გამოკითხვის მეთოდის ჩამოყალიბებისათვის დიდი სოციალური და მეთოდური მნიშვნელობა ჰქონდა.

1841-74 წლებში ბელგიის ცენტრალური სტატისტიკური კომისიის თავმჯდომარემ, მათემატიკოსმა და ასტრონომმა, კეტლემ, რომელიც სტატისტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება, ჩამოაყალიბა სააღწერო ბლანკში საკითხის დასმის ოთხი წესი. მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და აქტუალობა. მისი ძირითადი დებულებები სრულად მიესადაგება კითხვარის შედგენის წესებს. ეს დებულებები კი შემდეგია: 1) მხოლოდ ისეთი კითხვები უნდა დასვა, რომლებიც აუცილებელია და მათზე პასუხის მიღება შესაძლებელია; 2) არ უნდა დასვა ისეთი კითხვები, რაც მოსახლეობაში ეჭვსა და შიშს გამოიწვევს; 3) კითხვები უნდა ჩამოყალიბდეს ნათლად და ზუსტად, რომ ისინი ერთნაირად გაიგოს გამოკითხულთა მთელმა ერთობლიობამ; 4) კითხვები უნდა უზრუნველყოფდეს ურთიერთკონტროლს, ანუ კითხვების ერთ ნაწილზე პასუხებმა კითხვათა მეორე ნაწილის შემოწმების საშუალება უნდა მოგვცეს.

გამოკითხვის, როგორც სოციალურ მოვლენათა, პროცესთა და კანონზომიერებათა შესწავლის მეთოდის ჩამოყალიბება XIX საუკუნის II ნახევარს განეკუთვნება. ის სამი ძირითადი მიმართულებით ვითარდებოდა. თავდაპირველად, როგორც უკვე აღინიშნა, სტატისტიკური კვლევების ჩატარებისას გამოიყენებოდა მოსახლეობის მოსავლის, სამეურნეო ინვენტარის, საქონლის, მიწის ნაკვეთების აღწერები და სხვ. ასეთ კვლევებში გამოკითხვა ითვლება დამხმარე ტექნიკურ ხერხად და გამოიყენება ფაქტოგრაფიული მონაცემების მოსაპოვებლად პროცესების, ადამიანთა ქცევების, მოვლენებისა და საგნების შესახებ, რაც გარეგნული დაკვირვებით მიიღწევა (შობადობა და სიკვდილიანობა, ოჯახის შემადგენლობა და რიცხოვნობა, ყოფითი საგნები და სხვ.).

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში გამოკითხვის მეთოდის განვითარებაში იქმნება მეორე მიმართულება, რომელსაც ანკეტირება

ეწოდა და გამოიყენებოდა ფაქტების შესასწავლად - ექსპერტთა შეხედულებების, შეფასებებისა და მსჯელობებისათვის. ანკეტურ მეთოდს იყენებდნენ სამთავრობო და კერძო კვლევითი ორგანიზაციები.

გამოკითხვის მეთოდის მესამე მიმართულება ითვალისწინებს საზოგადოებრივი აზრის შესწავლას. მას უკავშირდება კონიუნქტურის და რეკლამის, განათლების საკითხების და კულტურის, ამომრჩეველთა თვალსაზრისების შესწავლის პირველი ცდები.

სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების მეთოდებს შორის გამოკითხვის მეთოდი ყველაზე პოპულარულია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას განსხვავებული დატვირთვა აქვს. ერთ-ერთი მხარე, რაც სოციოლოგიურ გამოკვლევაში შესასწავლ პრობლემასთან დაკავშირებით უნდა იქნეს გათვალისწინებული, საზოგადოებრივი ცნობიერების მდგომარეობაა. ამ მეთოდის სპეციფიკა სწორედ ის არის, რომ მისი გამოყენებისას პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის პირველწყაროს ადამიანი (რესპონდენტი) წარმოადგენს, რომელიც საკვლევი საზოგადოებრივი პროცესებისა და მოვლენების უშუალო მონაწილეა. ამიტომაც, ზოგჯერ გამოკითხვისადმი უნდობლობას გამოთქვამენ, რასაც მისი მონაცემების სუბიექტური ხასიათით ხსნიან. სუბიექტურში კი გულისხმობენ რესპონდენტის საქმის არსში არასაკმარისად გარკვეულობას ან არაგულწრფელობას. სოციოლოგს აინტერესებს სწორედ სუბიექტური მხარე, ანუ როგორ აღიქმება ადამიანთა ცნობიერებაში ესა თუ ის პროცესი. სოციოლოგი გამოკითხვას განიხილავს, როგორც ინდივიდთა ქცევის გარკვეულ სახეს, რომლის გამოწვევაც ხელოვნურად, გამოკითხვის სიტუაციის შექმნით ხდება.

მოსაპოვებელი ინფორმაციის ხასიათისა და მიღების საშუალებების მიხედვით გამოკითხვა იყოფა ანკეტირებად და ინტერვიუდ. ფორმალისაციის მიხედვით განასხვავებენ სტანდარტიზებულსა (წინასწარ მომზადებული გეგმის მიხედვით) და არასტანდარტიზებულს (თავისუფალს). ჩატარების სიხშირის მიხედვით გამოკითხვა არის ერთჯერადი და მრავალჯერადი. მისი სპეციფიკური სახეა ექსპერტთა ანუ საკვლევი სფეროს სპეციალისტთა გამოკითხვა.

გამოკითხვის ყოველი ვარიანტი სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთქმედების სახესხვაობაა, რაც განპირობებულია სხვადასხვა გარემოებით: ანკეტისა თუ ინტერვიუს კითხვარის შინაარსით, ანკეტიორისა თუ ინტერვიუერის მუშაობის ხარისხით, გამოკითხვის სიტუაციითა და პირობებით, გამოკითხვის მომენტში რესპონდენტის ფსიქოლოგიური მდგომარეობით.

გამოკითხვის მეთოდი ადამიანთა დიდი ერთობლიობების შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციის მიღებისა და მათი შესწავლის საშუალებას იძლევა მაქსიმალურად მოკლე დროში. მისი მეშვეობით მოპოვებული ინფორმაცია შესასწავლ რეალობას იმ ფორმით ასახავს, როგორც აისახება ის ადამიანის ცნობიერებაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ინფორმაციის დამახინჯების შესაძლებლობის გათვალისწინება.

საძიებელი ინფორმაცია ყოველთვის მიიღება და ფიქსირდება კითხვებზე პასუხების სახით. ნებისმიერ შემთხვევაში დასასმელი კითხვები ლოგიკის, ფსიქოლოგიის მოთხოვნებს და საურთიერთობო სიტუაციებს უნდა შეესატყვისებოდეს. ამ საერთო საფუძველზე მოხდა გამოკითხვის მეთოდის სპეციფიკური სახესხვაობების ფორმირება, რომელთა გამოყენებისას გასათვალისწინებელია კვლევის ამოცანები, შესასწავლი საგნის თავისებურებები, მიღებული მონაცემების ხასიათი, ამ მონაცემთა დამუშავების შესაძლებლობები, მათი შემდგომი ინტერპრეტაციისა და გამოყენების საზღვრები.

ანკეტირება

ემპირიული სოციოლოგიის პრაქტიკაში გავრცელებულია წერილობითი გამოკითხვის ფორმა - ანკეტირება. ანკეტირება გამოკითხვის მეთოდის სახესხვაობაა, რომლის დროსაც ურთიერთობის გაშუალება სოციოლოგ მკვლევარსა და რესპონდენტს შორის ხდება ანკეტის მეშვეობით. ზოგიერთ შემთხვევაში, ანკეტირება ინფორმაციის მოპოვების ძირითადი საშუალებაა, ზოგჯერ კი დამხმარე მეთოდია და განიხილება როგორც ემპირიული მასალის შეგროვების ოპერატიული საშუალება.

ანკეტირება ისეთი სახის გამოკითხვაა, რომლის გამოყენებისას, მკვლევარს ანკეტის დარიგების მომენტიდან, სოციოლოგიური მასალის ფიქსირებაში უშუალოდ არ უხდება მონაწილეობა.

ანკეტირების სხვადასხვა სახედ დაყოფა გარკვეული საფუძვლის მიხედვით ხდება. გამოსაკითხთა რაოდენობის მიხედვით განასხვავებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ანკეტირებას. ჩატარების ადგილის მიხედვით გამოყოფენ ანკეტირებას საცხოვრებელი, სასწავლო და სამუშაო ადგილის შესაბამისად, ან მიზნობრივ აუდიტორიებში (ამა თუ იმ სანახაობის მაცურებელთან, გამოფენის დამთვალიერებლებთან, საავადმყოფოს პაციენტებთან და ა.შ.).

რესპონდენტთან კითხვარის მიწოდების მიხედვით განასხვავებენ ანკეტირებას დარიგებით (ანუ როცა ანკეტები შესავსებად უშუალოდ რესპონდენტებს ურიგდებათ), საფოსტოს (აღრესატებს ფოსტით დაეგზავნებათ) და პრესის საშუალებით (ანკეტის პუბლიკაცია ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით). გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს:

1. მკვლევრის (ანკეტიორის, ინტერვიუერის) თანდასწრებით, როდესაც იგი ინსტრუქტაჟს გამოკითხვის დაწყებამდე ატარებს და საჭიროების შემთხვევაში რესპონდენტებს უშუალოდ უწევს დახმარებას გამოკითხვის პროცესში;

2. მკვლევრის გარეშე, როცა იგი წინასწარი ინსტრუქტაჟის შემდეგ ანკეტის შევსების წესების ახსნით იფარგლება, შევსების შემდეგ კი ამოწმებს ანკეტას. დაუსწრებელ ფორმასთან გვაქვს საქმე საფოსტო და პრესის საშუალებით ანკეტირებისას.

ჯგუფური ანკეტირება წერილობითი გამოკითხვის მეთოდური და ორგანიზაციული სახეობაა, რაც გულისხმობს გარკვეულ პირთა ჯგუფის მიერ ანკეტების ერთდროულ შევსებას. ჯგუფი შეკრებილია შერჩევითი პროცედურის წესების გათვალისწინებით. ჯგუფური ანკეტირება შეიძლება ჩატარდეს საცხოვრებელი ადგილის, სამუშაოს, სასწავლებლის მიხედვით და მიზნობრივ ჯგუფებში. ამ შემთხვევაში,

უნდა შესრულდეს გარკვეული მოთხოვნები. მაგალითად, გამოკითხვის ადგილისადმი - ის სასურველია იყოს იზოლირებული. ფსიქოლოგიური სიტუაციებისადმი მოთხოვნებს უზრუნველყოფს ანკეტიორი - იგი ატარებს შესავალ საუბარს გამოკითხვის თემის, მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ, რითაც რესპონდენტებს უყალიბებს მოტივაციას მასში მონაწილეობისათვის, აცნობს ანკეტის შევსების წესებს. შესაძლებელია რესპონდენტებს გაუჩნდეთ შეკითხვები, წამოიჭრას სირთულეები, რაც მოითხოვს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და რის გათვალისწინებაც აუცილებელია სხვა ჯგუფებთან მუშაობისას. სასურველია, ჯგუფის „ზომა“ 20-25 პირს არ აღემატებოდეს. ასეთ დროს უზრუნველყოფილია ანკეტების მაქსიმალური დაბრუნება, ანკეტიორს საშუალება აქვს შეამოწმოს ანკეტის შევსების ხარისხი. ანკეტის შევსების ოპტიმალური დროა 45 წთ.-1 სთ.

ინდივიდუალური ანკეტირება ძირითადად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ტარდება. მისი ჩატარება ასევე შესაძლებელია სამსახურში ან სასწავლებელში. ასეთ სახეს ჯგუფურთან შედარებით დიდი დრო მიაქვს, თუმცა უზრუნველყოფს კონტროლს და ანკეტების სრულად დაბრუნებას. თავისი ფორმით იგი უახლოვდება სტანდარტიზებულ ინტერვიუს. ხშირად, გამოკითხვის ამ ორ ფორმას იყენებენ პარალელურადაც.

საფოსტო ანკეტირების მეთოდი გულისხმობს ანკეტების დაგზავნას სახლებში ან სამუშაო ადგილზე თხოვნით, რომ დააბრუნონ შევსებული ანკეტა მითითებულ მისამართზე. ამ მეთოდის უპირატესობა უკავშირდება ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ფაქტორებს. ეკონომიურია იმ აზრით, რომ არ ითხოვს ანკეტიორთა და ინტერვიუერთა მომზადებას; ორგანიზაციულია იმით, რომ მოითხოვს ადრესატთა არჩევას და მათთან ანკეტების ფოსტით დაგზავნას. ასეთი ანკეტირების ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს მიღებული ინფორმაციის ხარისხი - შევსებაზე კონტროლი არ ხორციელდება და, აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის მესამე პირის ჩარევა ან ჯგუფური შევსების შესაძლებლობა; ანკეტა ხშირად არასრულად და ფორმალურადაა შევსებული, ხშირია ტექნიკური ხასიათის შეცდომები, მეთოდის გამოყენება დიდ დროს მოითხოვს, მცირეა უკან დაბრუნებული

ანკეტების პროცენტული მაჩვენებელი. ყოველივე ეს იწვევს შერჩევითი ერთობლიობის სრუქტურის დარღვევას, შერჩევის ზომის და მაჩვენებლების ცვლილებას, რაც, თავის მხრივ, ზემოქმედებს ინფორმაციის სანდოობაზე. დაბრუნებულ ანკეტათა რიცხვი მატულობს ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორცაა რესპონდენტისადმი პერსონალური მიმართვა, აქტუალური თემის შერჩევა, მეთოდური მინიშნებები და სხვ. ამ სახეობის გამოყენება მართებულია ექსპერტების გამოკითხვისას.

ანკეტირება პრესის საშუალებით უკავშირდება საინფორმაციო საშუალებების (გაზეთი, ყურნალი, რადიო-ტელევიზია) აუდიტორიის შესწავლას და ეფუძნება ანკეტის ტექსტის პუბლიკაციას, რომელიც პოტენციური რესპონდენტებისადმი მიმართული (მკითხველი, მაყურებელი, მსმენელი). ამ ტიპის ანკეტირების ღირსებაა მისი ორგანიზაციული სისადავე. ნაკლია ის, რომ შეუძლებელია ანკეტების უკან დაბრუნების პროცესის მართვა, რაც არ იძლევა გენერალურ ერთობლიობაზე (მთელი პოპულაცია) რეპრეზენტატული ინფორმაციის მიღების საშუალებას. ამ დროს, ინფორმაციას ვღებულობთ მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მკითხველებისგან.

გამოკვლევებში ანკეტირების მეთოდის გამოყენებას განაპირობებს მისი მარტივი ორგანიზაციულობა, ოპერატიულობა და ეკონომიკურობა. ამ მეთოდიკის მეშვეობით, შესაძლებელია მოკლე დროში და ანკეტიორთა მცირე რაოდენობით (ან საერთოდ მათ გარეშე) გამოიკითხოს ადამიანთა მნიშვნელოვანი ერთობლიობები. ანკეტირების უპირატესობების რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ კითხვარისადმი წაყენებული მეთოდური მოთხოვნების კორექტული გამოყენებით და ორგანიზაციული სპეციფიკის დაცვით.

ზოგადი განსაზღვრებით, ანკეტა არის კვლევის საერთო მიზნით გაერთიანებული შეკითხვების სისტემა, რომლის დანიშნულებაა გამოკვლევის ობიექტის რაოდენობრივ-თვისებრივი მახასიათებლების გამოვლენა. იმისათვის, რომ ანკეტირებამ მკვლევარს საიმედო ინფორმაცია მისცეს, საჭიროა ანკეტის აგების წესებისა და პრინციპების დაცვა და, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა კითხვის თავისებურებათა ცოდნა.

ერთი შეხედვით, სოციოლოგიური კითხვარის შედგენა ნებისმიერ თემაზე, რომელიც პრობლემურ სიტუაციას ასახავს, თითქოსდა მარტივია. გამოყენებით სოციოლოგიაში კითხვა ასრულებს კვლევის ინსტრუმენტის ფუნქციას, რაც არსებითად ცვლის მოთხოვნებს მის ჩამოსაყალიბებლად. კითხვარის ავტორი თითოეული კითხვით მიმართავს ადამიანთა დიდ ერთობლიობას. აქედან გამომდინარე, კითხვა ერთნაირად გასაგები უნდა იყოს რესპონდენტთა სხვადასხვა დემოგრაფიული ჯგუფებისათვის: ახალგაზრდებისთვის და ხანდაზმულთათვის, განსხვავებული განათლების ცენზის მქონეთათვის, ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლებისთვის და ა.შ.

ანკეტა იწყება შესავალი ნაწილით, მასში მითითებულია, ვინ და რა მიზნით ატარებს გამოკითხვას, მოცემულია ანკეტის შევსების ინსტრუქცია, უკან დაბრუნების წესი; შესავალს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც იგი უქმნის რესპონდენტს განწყობას, ეს კი უშუალოდ აისახება ინფორმაციის სანდოობაზე. შესავალი სატიტულო გვერდზეა მოთავსებული.

შესავალს შესაძლებელია მოსდევდეს პასპორტული (დემოგრაფიული) ნაწილი, სადაც სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მოსაპოვებელი კითხვებია მოთავსებული. ხშირად ეს ნაწილი ანკეტის ბოლოშიც გვხვდება. სოციოლოგთა ნაწილი თვლის, რომ დასაწყისშივე ზოგიერთი მონაცემის შესახებ კითხვა არაეთიკური და სარწმუნო ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით მიზანშეუწონელია, რამდენადაც ასეთმა კითხვებმა შესაძლოა დააეჭვოს რესპონდენტი. ამ ბლოკში ჩართულია კითხვები, რომლებიც ეხება სქესს, ასაკს, განათლებას, პროფესიას, ოჯახურ მდგომარეობას. მიზნის და ამოცანის მიხედვით, პასპორტულ ნაწილში კითხვების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

ამ ნაწილს მოსდევს კონტაქტური კითხვები. მათი მიზანია რესპონდენტის პრობლემით დაინტერესება. კითხვები ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს. შესაბამისად, პასუხებიც ასეთივე უნდა იყოს. მაგრამ ამგვარი კითხვებით ანკეტა არ უნდა გადაიტვირთოს.

კონტაქტურ კითხვებს მოსდევს ძირითადი. კითხვების სწორედ ეს ბლოკია ძირითადი ინფორმაციის მიმწოდებელი. მათი შინაარსი მთლიანად კვლევის მიზნებითა და ამოცანებით არის განსაზღვრული. უმჯობესია, ცალკეულ ამოცანას შეესაბამებოდეს კითხვათა ცალკეული ბლოკი.

სულ ბოლოს დასკვნითი შეკითხვები დაისმის. ამ კითხვებმა უნდა მოუხსნან რესპონდენტს ფსიქოლოგიური დაძაბულობა და აგრძნობინონ, რომ მან მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე შეასრულა.

კითხვების კლასიფიკაცია. ანკეტაში გამოყენებული კითხვების კლასიფიკაცია შესაძლებელია: შინაარსის მიხედვით (კითხვები ცნობიერების, ქცევის ფაქტების და რესპონდენტის პიროვნების შესახებ), ფორმის მიხედვით (ღია და დახურული, პირდაპირი და ირიბი), ფუნქციის მიხედვით (ძირითადი და არაძირითადი). კითხვები ადამიანთა ცნობიერების ფაქტების შესახებ გამოხატავს შეხედულებებს, მოლოდინებს, სურვილებს. რესპონდენტის მიერ გამოთქმული ნებისმიერი შეხედულება შეფასებითი მსჯელობაა, რაც ინდივიდუალურ წარმოდგენებზეა დაფუძნებული და ამიტომ სუბიექტური ხასიათი აქვს.

კითხვები ქცევის ფაქტებზე გამოავლენს მოქმედებებს, ქცევებს, ადამიანთა მოღვაწეობის შედეგებს.

კითხვები პიროვნების შესახებ ყოველ სოციოლოგიურ ანკეტაში შედის და ქმნის კითხვების პასპორტულ ანუ სოციალურ-დემოგრაფიულ ბლოკს, რაც, როგორც აღინიშნა, აღნუსხავს სქესს, ასაკს, ეროვნებას, განათლებას, პროფესიას და რესპონდენტის სხვა მახასიათებლებს.

ფორმის მიხედვით არსებობს დახურული, ღია და ნახევრად დახურული კითხვები. დახურულს უწოდებენ კითხვას იმ შემთხვევაში, თუ ანკეტაში მოცემულია მასზე პასუხების ვარიანტები და რესპონდენტის (ან რესპონდენტის პასუხის შემდეგ ინტერვიუერს) საშუალება აქვს აირჩიოს მისთვის მისაღები ერთი ან რამდენიმე ვარიანტი. ასეთი ფორმა

მნიშვნელოვნად ამცირებს ანკეტის შევსების და დასამუშავებლად მომზადების დროს.

დახურული კითხვა, თავის მხრივ, იყოფა ალტერნატიულ და არაალტერნატიულ („მენიუს“) ტიპის კითხვებად.

ალტერნატიულის კერძო შემთხვევაა ე.წ. დიქტომიური კითხვა, რომელიც რაიმე თვისების არსებობას ან არარსებობას აფიქსირებს (მაგალითად, „დიახ - არა“, „ვეთანხმები - არ ვეთანხმები“ და ა.შ.).

ალტერნატიული კითხვა იძლევა პასუხის ერთადერთი ვარიანტის არჩევის შესაძლებლობას, რის შედეგადაც მასში წარმოდგენილი პასუხის ყველა ვარიანტის ჯამი ყოველთვის 100%-ს შეადგენს, რადგანაც ალტერნატიულ კითხვებზე პასუხები ურთიერთგამომრიცხავი უნდა იყოს.

მისგან განსხვავდება არაალტერნატიული („მენიუს“) ტიპის კითხვა, რომელიც რესპონდენტს საშუალებას აძლევს აირჩიოს პასუხის რამდენიმე ვარიანტი. ამ დროს მათი ჯამი შესაძლოა აღემატებოდეს 100%-ს.

დახურულისაგან განსხვავებით, ღია კითხვაში პასუხის ვარიანტები არ არის მოცემული. ასეთი კითხვები რესპონდენტს აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას აძლევს. ამ კითხვებით მიღებული ინფორმაცია მრავალფეროვანია. ამიტომაც მათი გამოყენება ხშირად არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიცაა.

კითხვის ფორმას განაპირობებს, ერთი მხრივ, მისი შემეცნებითი ამოცანა (ანუ დამოკიდებულია ინფორმაციის შინაარსზე, რომლის მიღებაც სურს მკვლევარს), მეორე მხრივ, მკვლევრის მიერ პასუხის ყველა შესაძლებელი ვარიანტის გათვალისწინება. ღია კითხვის დროს რესპონდენტი მხოლოდ საკუთარ წარმოდგენებს ეყრდნობა. აქედან გამომდინარე, ასეთი პასუხი ინდივიდუალიზებულია და უფრო დაწვრილებით და მრავალმხრივ ინფორმაციას იძლევა. რესპონდენტები ღია კითხვებს პასუხობენ იმ შემთხვევაში, როცა თავს კომპეტენტურად გრძნობენ შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით. თუ გამოკითხვის

საგანი მათთვის ნაკლებად არის ცნობილი, უჩვეულო ან რთულია, რესპონდენტი თავს არიდებს ან გაურკვეველ პასუხს იძლევა.

ღია კითხვების დამუშავებისთვის საჭიროა ინფორმაციის კლასიფიცირება და კოდირება. ეს პროცედურა გულისხმობს ცალკეული კატეგორიების გამოყოფას, რომლებსაც მიაკუთვნებენ პასუხებს, რაც იმავე პრინციპით ხდება, როგორც დახურული კითხვების შემთხვევაში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დახურული კითხვების კატეგორიებად დაყოფა ხდება გამოკითხვისას, ღია კითხვებისა კი – გამოკითხვის შემდეგ. დახურულ კითხვაში პასუხის ვარიანტს თვით რესპონდენტი ირჩევს, ღია კითხვის კოდირებას კი სპეციალისტი ახდენს.

ნახევრად დახურულია კითხვა, როცა ჩამოთვლილის გარდა არსებობს განსხვავებული პოზიცია და რესპონდენტს შეუძლია ჩაწეროს თავისი აზრი.

პირდაპირი კითხვა საშუალებას იძლევა უშუალოდ რესპონდენტისგან მივიღოთ პასუხი.

ზოგჯერ, ანკეტის კითხვები კრიტიკულ დამოკიდებულებას ითხოვს. ასეთი პირდაპირი კითხვები ხშირად უპასუხოდ რჩება ან არაზუსტ ინფორმაციას შეიცავს. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ირიბი კითხვების სერია.

ირიბი ისეთი კითხვებია, რომელთა საშუალებითაც აუცილებელ ინფორმაციას ვღებულობთ არა პირდაპირ, არამედ კითხვათა სერიის მეშვეობით.

კითხვარში გამოიყენება, აგრეთვე, ძირითადი და არაძირითადი კითხვები. ძირითადი კითხვებით მოიპოვება მონაცემები საკვლევი მოვლენის შინაარსზე, არაძირითადი კი გამოავლენს ძირითადი კითხვის (კითხვა-ფილტრი) ადრესატს, ამოწმებს პასუხების გულწრფელობას (საკონტროლო კითხვები).

კითხვა-ფილტრის აუცილებლობა მაშინ ჩნდება, როცა მკვლევარი

არ არის დარწმუნებული რესპონდენტის კომპეტენტურობაში. ამით განსაზღვრავს, არიან თუ არა რესპონდენტები ის პირები, რომლებიც მას ესაჭიროება.

საკონტროლო კითხვებს მაშინ მიმართავენ, როდესაც სურთ რესპონდენტთა პასუხების გულწრფელობის და სამართლიანობის შემოწმება. ასეთი კითხვები განსაზღვრავენ მიღებული ინფორმაციის ვარჯისიანობას. საკონტროლო კითხვები დაისმის ძირითადი კითხვის წინ ან შემდეგ.

აზრობრივი და საკონტროლო კითხვები ერთიმეორეს არ უნდა მოსდევდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რესპონდენტი ჩათელის, რომ მას ამოწმებენ, რაც მონაცემების ხარისხზე აისახება. კითხვები ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ რესპონდენტს თავს არ მოახვიო საკუთარი აზრი.

ანკეტაში აზრობრივი კითხვები განმარტებული უნდა იყოს. მნიშვნელობა აქვს შრიფტსაც. სასურველია კითხვა არ გაიხლიჩოს - არ გადავიდეს გვერდიდან გვერდზე. ეს ართულებს მთლიანობაში მის აღქმას.

ანკეტის შემუშავების შემდეგ, მისი აპრობაციის მიზნით აუცილებელია პილოტაჟური კვლევის ჩატარება.

ანკეტირების სრულყოფილად ჩატარებისთვის გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება ანკეტიორსაც. მის უნარზე, დაამყაროს კონტაქტი რესპონდენტთან, შექმნას გამოკითხვისას სასურველი ატმოსფერო, დამოკიდებულია ანკეტირების მონაცემების ხარისხი.

ინტერვიუ

ინტერვიუს მეთოდი სოციოლოგიურ გამოკვლევებში ერთ-ერთი პოპულარულია და კვლევის სხვა მეთოდებს შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება. მისი გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა. სოციოლოგიის გარდა მას მიმართავენ ფსიქოლოგიაში,

ჟურნალისტიკაში, მედიცინაში, ეთნოგრაფიაში, პედაგოგიკასა და ა.შ.

სოციალურ მეცნიერებებში ინტერვიუს გამოყენების ისტორიული მასალა XVII საუკუნის არქივებშია დაცული. ამ პერიოდს განეკუთვნება პირველი კითხვარების შედგენაც. თუმცა, ინტერვიუ მეთოდურად გაუმართავი და სპორადული ხასიათის იყო XX საუკუნის 20-იან წლებამდე, ვიდრე რეგულარულად არ შემუშავდა და გამოქვეყნდა სამეცნიერო პუბლიკაციების სახით.

აშშ-ში მასობრივი გამოკითხვა პირველად საზოგადოებრივი აზრისა და ბაზრის კონიუნქტურის შესასწავლად გამოიყენეს 1911 წელს. იმ დროს ჩატარებულ კვლევებში შემუშავდა ინტერვიუების დღემდე გამოყენებული ტექნიკა.

ინტერვიუს განვითარებაში გამოიყოფა სამი ძირითადი ეტაპი:

პირველი ეტაპისთვის დამახასიათებელია უშუალოდ სუბიექტისაგან საძიებელი ინფორმაციის მოპოვება, რესპონდენტთა სტიქიური და დაუსაბუთებელი შერჩევა, მაქსიმალური რაოდენობის რესპონდენტთა გამოკითხვა. ეს მიდგომა განპირობებული იყო მოსაზრებით, რომლის თანახმადაც, გამოკითხულთა დიდი რაოდენობა მიღებული შედეგების სიზუსტის განმსაზღვრელი ფაქტორია.

მეორე ეტაპი 30-იანი წლების დასაწყისს ეკუთვნის და უკავშირდება მკვლევართა ძალისხმევის რესპონდენტთა შერჩევის რაოდენობრივი პრობლემებიდან თვისებრივზე გადატანას. ამ პერიოდში გამოიყენებოდა სტატისტიკური მეთოდები, რამაც მნიშვნელოვანი წინსვლა გამოიწვია.

მესამე ეტაპი 30-იანი წლების ბოლოდან იწყება. ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია მკვლევართა დაინტერესება ინტერვიუს ტექნიკის ფსიქოლოგიური ასპექტებით (კითხვის გავლენა პასუხზე, ინტერვიუერის გავლენა და ა.შ.) და გამოკითხვის მეთოდოლოგიური პრობლემებით.

ემპირიული სოციოლოგიური კვლევების განვითარებასთან ერთად ინტერვიუ თანდათან ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთ ძირითად მეთოდად იქცა. მას საფუძვლად უდევს საუბარი, ურთიერთობა. მის ხასიათზე, კონტაქტის სიმჭიდროვესა და მხარეთა ურთიერთობის ნიუანსებზე დამოკიდებული ინფორმაციის ხარისხი.

ინტერვიუ პირისპირ საუბარს ნიშნავს და განისაზღვრება როგორც სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების მეთოდი, რომელიც ეფუძნება ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის ვერბალურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ურთიერთობას მკვლევრისთვის საინტერესო ემპირიული მასალის მოპოვების მიზნით.

ინტერვიუს აქვს ორი ფუნქცია:

- 1) ინფორმაციის მოპოვება ფაქტებზე, პროცესებზე, მოვლენებზე. აქ იგულისხმება ერთეული ხასიათის ინფორმაციის მიღება (ჟურნალისტიკაში), ინფორმაციის შეკრება ერთობებზე (ეთნოგრაფიაში) ან სოციალურ პროცესთა თავისებურებაზე (სოციოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში);
- 2) ინდივიდზე ზემოქმედება მოტივაციისა და ორიენტაციის სტრუქტურის შეცვლის მიზნით (ფსიქოტერაპიული ინტერვიუ, მასწავლებლისა და მოსწავლის საუბარი).

ინტერვიუ არის გარკვეული გეგმით წარმართული საუბარი, რაც გულისხმობს ინტერვიუერის პირდაპირ კონტაქტს რესპონდენტთან იმგვარად, რომ საუბრის ჩაწერა ხდება ინტერვიუერის მიერ ან მექანიკურად (ფირზე). იგი სხვადასხვაგვარია. საუბრის შინაარსის მიხედვით განასხვავებენ ე.წ. დოკუმენტურ ინტერვიუს (წარსულის მოვლენების შესწავლა, ფაქტების დაზუსტება) და შეხედულებათა ინტერვიუს, რომლის მიზანსაც შეადგენს შეფასებების, შეხედულებების, მსჯელობების გამოვლენა.

ინტერვიუს კლასიფიკაციის კრიტერიუმს მისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ელემენტები წარმოადგენს. კლასიფიკაციის საფუძველი სხვადასხვაა და ინტერვიუს განსხვავებული სახეების

გამოყენებაც გარკვეული საფუძვლის მიხედვით ხდება. ინტერვიუს ჩატარების ტექნიკის მიხედვით განასხვავებენ თავისუფალ (არასტანდარტიზებულ), ფორმალიზებულ (სტანდარტიზებულ) და ნახევრად სტანდარტიზებულ სახეებს.

თავისუფალი ინტერვიუ არის ხანგრძლივი საუბარი კითხვების მკაცრი დეტალიზაციის გარეშე, მაგრამ ერთიანი გეგმის მიხედვით. კითხვების ფორმულირება, დაზუსტება, თემის განვითარება, საუბრის ხანგრძლივობა, კითხვების მიმდინარეობა და ლოგიკური სტრუქტურა დამოკიდებულია ინტერვიუერზე. ინტერვიუერის ქცევის სტანდარტიზაცია მინიმალურია. საუბრის წარმართვაში განმსაზღვრელია ინტერვიუერი ინდივიდუალური თავისებურებით, იმით, თუ რა წარმოდგენა აქვს მას მსჯელობის საგანზე და კონკრეტულ სიტუაციაზე.

ამგვარად მიღებული ინფორმაციის უნიფიკაცია სტატისტიკური დამუშავებისათვის არ ხდება. იგი ღირებული და საინტერესოა შესასწავლი პრობლემების სპეციფიკის გამო კონკრეტულ პირობებში. თავისუფალი ინტერვიუს მონაცემები მათემატიკურად ძნელი დასამუშავებელია, ამიტომ არ გამოიყენება მასობრივ გამოკითხვებში. გამოსაკითხი ჯგუფები არ უნდა იყოს დიდი (10-20 კაცი). პასუხები მაქსიმალური სიზუსტით იწერება (სასურველია სტენოგრაფიული ჩანაწერი ან დიქტოფონი, მაგნიტოფონი).

თავისუფალი ინტერვიუ საშუალებას იძლევა კვლევის მოსამზადებელ საფეხურზე დაზუსტდეს პრობლემის შინაარსი, კვლევის საგანი და მისი კონკრეტული კავშირები შესასწავლ რეალობასთან. მას ხშირად მიმართავენ ექსპერტული გამოკითხვისას, დაზვერვითი კვლევისას ძირითადი გამოკითხვის დაწყებამდე. ამ დროს მისი მიზანია ობიექტის გაცნობა, მეთოდების დაზუსტება, ანუ, ის არის რესპონდენტთა ჯგუფთან ურთიერთობის შესაფერისი საშუალება ძირითად კვლევაში მიზნის და ამოცანების დაკონკრეტებისა და დაზუსტებისათვის. ინტერვიუერის ფუნქციები ამ შემთხვევაში მკვლევრის ფუნქციებს უახლოვდება.

სტანდარტიზებული ინტერვიუ ყველაზე მეტად არის გავრცელებული.

ინტერვიუერის და რესპონდენტის ურთიერთობა მკაცრად და რეგლამენტირებული დეტალურად შემუშავებული კითხვართა და ინსტრუქციით, ანუ ასეთი ინტერვიუ გულისხმობს მთელი პროცედურის დეტალურ შემუშავებას საერთო გეგმის ჩათვლით, კითხვების მიმდევრობასა და კონსტრუქციას, შესაძლო პასუხთა ვარიანტებსაც კი. ასეთი სახის ინტერვიუს კითხვარში ჭარბობს დახურული კითხვები. ინტერვიუს პროცედურის ფორმალიზაცია მრავლისმომცველია; სრულად სტანდარტიზებულად ისეთი ინტერვიუ ჩაითვლება, რომელშიც საუბრის მთელი მსვლელობაა სტანდარტიზებული სოციალური და ფიზიკური გარემოს ჩათვლით.

ნახევრად სტანდარტიზებული ინტერვიუ თავისუფალი და სტანდარტიზებული სახეების ერთიანობაა. მასში მოცემულია როგორც დახურული, ისე ღია კითხვები.

როდესაც ინფორმაცია ღია კითხვების საშუალებით მოიპოვება, რესპონდენტის და ინტერვიუერის ქცევა ნაკლებადაა სტანდარტიზებული, შემუშავებულია ინტერვიუს გეგმა, რაც ითვალისწინებს კითხვების და მათი ღია ფორმით ფორმულირების მიმდევრობას. ინტერვიუერის ამოცანაა სრულად და ზუსტად მოახდინოს მათი რეგისტრაცია. პასუხების ფიქსაციაც განსაზღვრული ფორმით ხდება - შესაძლებელია საუბრის სიტყვა-სიტყვით ჩაწერა ლექსიკის დაცვით, ასევე სტენოგრაფიული ან მაგნიტოფონზე ჩანაწერი. ასეთი ინტერვიუ რესპონდენტის და ინტერვიუერის დროის ღიდ დანახარჯს მოითხოვს.

ინტერვიუს ორგანიზების მიხედვით განასხვავებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ სახეებს. ჯგუფური ინტერვიუ შედარებით იშვიათია და გეგმაზომიერი საუბრის ხასიათს ატარებს. მის დროს მკვლევარი ცდილობს ჯგუფში დისკუსიის გამოწვევას.

პროცედურის მიხედვით, ინტერვიუ იყოფა კლინიკურ (ღრმა ან ჩალრმავებულ), ფოკუსირებულ (მიმართულ), არამიმართულ და პანელურ ფორმებად.

კლინიკური ინტერვიუ გამოიყენება გამოკვლევის საწყის ეტაპზე

კვლევის პრობლემის და პროგრამის დაზუსტებისას, ხოლო ბოლო ეტაპზე მას მიმართავენ როგორც საკონტროლო მეთოდს. მისი მიზანია მონაცემების, ცნობების მიღება შინაგან მოტივებსა და მიდრეკილებებზე.

ფოკუსირებული ინტერვიუს საშუალებით ვლბულობთ ინფორმაციას სუბიექტის რეაქციებზე. მისი მიზანია მოცემული კონკრეტული სიტუაციის შესწავლა. რესპონდენტის ყურადღება მიმართულია („ფოკუსირებულია“) სოციოლოგის მიერ წინასწარ შერჩეულ სინამდვილის ფრაგმენტზე: მოვლენაზე, სიტუაციაზე, მხატვრულ ნაწარმოებზე, ფილმზე და ა.შ. რესპონდენტი წინასწარ ეცნობა ობიექტს, განხილვის საგანს. ასეთ ინტერვიუს შეიძლება ჰქონდეს ჯგუფური ან ინდივიდუალური სახე.

არამიმართული ინტერვიუს მიმდინარეობისას ინიციატივა თვით რესპონდენტს ეკუთვნის.

პანელური ინტერვიუ არის ერთი და იმავე რესპონდენტთა მრავალჯერადი გამოკითხვა ერთი და იმავე შეკითხვებით დროის გარკვეული შუალედის დაცვით. მისი მიზანია გამოსაკვლევ პირთა შეხედულებების ცვლილების შემოწმება.

ინტერვიუ გამოიყენება ექსპერტთა ზონდაჟურ კვლევებში მოსამზადებელ ეტაპზე სამუშაო ჰიპოთეზების შემუშავებისას. ეს არის ე.წ. საცდელი კვლევები, როცა მოწმდება მონაცემთა შეკრების მეთოდები. შესაძლებელია შერეული სტრატეგიის გამოყენებაც ერთ გამოკვლევაში: მაგალითად, ექსპერტთა გამოკითხვა ჩატარდეს ინტერვიუს მეთოდით, დიდი ერთობლიობების გამოკითხვა კი - ანკეტირებით.

სატელეფონო ინტერვიუ გამოიყენება შეხედულებათა სწრაფი ზონდაჟისთვის, იგი გაშუალებული გამოკითხვის ერთ-ერთი ფორმაა. მისი ღირსებაა ოპერატიულობა და ნაკლები ხარჯები. მასში არ ერევა მესამე პირი, ნაკლებია ინტერვიუერის გავლენაც. ოპტიმალური დროის ხანგრძლივობაა 10-15 წუთი.

ინტერვიუს მეთოდის გამოყენებისას, ყოველი ცალკეული კითხვის ჩამოყალიბებისას სოციოლოგის წინაშე დგება სხვადასხვა სახის პრობლემა, კერძოდ:

1. კითხვის მიზანშეწონილობა;
2. სოციოლოგი ვალდებულია აღწეროს ყველა მოვლენა და ყველაზე აბსტრაქტული ცნებებიც კი კონკრეტულ, ყველასათვის ცხად, ნაცნობ ტერმინებში;
3. კითხვის სემანტიკა: ყოველი რესპონდენტისა და ინტერვიუერისთვის კითხვის აზრი ცალსახა უნდა იყოს;
4. კითხვის სტილისტიკა: მიზნის, სიტუაციის შესაბამისი არჩევანი, ენობრივი გამოხატვის საშუალებები;
5. კითხვის ტიპი - რის შესახებაა იგი: ა) ფაქტზე, განზრახვებზე, მოტივებზე; ბ) რა ფორმისაა - ღია, დახურული, პირდაპირი, ირიბი, პირადული; გ) როგორია ფუნქციის მიხედვით - ძირითადი, მფილტრავი, საკონტროლო.

კითხვები უნდა ჩამოყალიბდეს ლოგიკურად და მისი თანმიმდევრობა უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ინტერვიუს მსვლელობის განვითარებასთან ერთად უნდა იზრდებოდეს რესპონდენტის დაინტერესება. პირველივე კითხვა შეძლებისდაგვარად უნდა იქცეოდეს ყურადღებას, მაგრამ არ უნდა იყოს სადისკუსიო ხასიათის.
2. უფრო რთული კითხვები შედარებით მარტივს უნდა მოსდევდეს. ნაადრევად არ უნდა დაისვას ისეთი საკითხები, რომლებიც დაფიქრებას მოითხოვს, მაგრამ ასევე არასასურველია დაგვიანებაც.
3. არ შეიძლება მოულოდნელად და აჩქარებით მიმართო რესპონდენტს ინტიმური ხასიათის კითხვებით; უტაქტო და წინდაუხედავი კითხვის გამო შეიძლება შეწყდეს ინტერვიუ, ამდენად გასათვალისწინებელია კითხვის დელიკატურობის პრობლემაც.
4. კითხვას არ უნდა სჭირდებოდეს დამატებითი განმარტებები, უნდა იყოს ცხადი, ნათლად და მკაფიოდ ფორმულირებული;
5. აზრობრივი თვალსაზრისით, გადასვლა ერთი კითხვიდან მეორეზე, ისევე როგორც თემიდან თემაზე, თანმიმდევრულად უნდა ხორციელდებოდეს.

კითხვარის აგებისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადასხვა სოციოკულტურული სტატუსის ადამიანებს სხვადასხვაგვარად ესმით ამ თუ იმ შეკითხვის და ტერმინის აზრი.

ინტერვიუერის სამუშაო მოითხოვს პროფესიული ჩვევებისა და შემოქმედებითი მიდგომის შერწყმას, არასტანდარტულ სიტუაციებში სწრაფი ორიენტირების უნარს. ინტერვიუერი ზეგავლენას ახდენს ინფორმაციის მიღების პროცესზე, და ეს ზეგავლენა, რომელიც „ინტერვიუერის ეფექტი“-ს სახელწოდებით არის ცნობილი, შესაძლოა იყოს დადებითი ან უარყოფითი. „ინტერვიუერის ეფექტი“ ნიშნავს ინტერვიუერის გავლენას შედეგების ხარისხზე. ამას ხშირად ინტერვიუერი ვერ აცნობიერებს და ის ვლინდება არა მხოლოდ სასაუბრო, ვერბალურ ურთიერთობაში, არამედ ირიბ და არაცხად ფორმებშიც: საუბრის საერთო ემოციურ ტონში, მიმიკაში, მონაწილეთა ქცევებში, ანუ სხვაგვარად, ინტერვიუს იმ ფსიქოლოგიურ და ქცევით კონტექსტში, რომელსაც უწოდებენ არავერბალურ ურთიერთობას. რაც მეტადაა სტანდარტიზებული ინტერვიუ, ინტერვიუერის გავლენაც მით უფრო ნაკლებია.

ინტერვიუერთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები არსებით გავლენას ახდენენ ინფორმაციის მიღების პროცესზე. დიდ როლს ასრულებს პირველი შეხვედრის მომენტი და ზოგჯერ იგი ინტერვიუს მთელ მსვლელობას განსაზღვრავს. ამიტომ, ყურადღება ეთმობა ინტერვიუერის გარეგნობას, ჩაცმულობას, ლაპარაკის მანერას, მოსმენის უნარს. იგი უნდა ფლობდეს გარკვეულ ცოდნას, კულტურას, რაც აუცილებელია სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის, ასაკის, განათლების ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ინტერვიუერი უნდა იყოს ობიექტური, ერუდირებული, რამდენადაც მას საუბარი უხდება არა მარტო საკვლევი პრობლემის ირგვლივ, არამედ გარეშე თემებზეც. იგი კონტაქტური უნდა იყოს, მაგრამ არა ფამილარული.

„ინტერვიუერის ეფექტი“ შესაძლოა გამოვლინდეს გამოკითხვის პროცესში ან წინა გამოცდილების საფუძველზე, როდესაც მკვლევარს უყალიბდება ადამიანთა გარკვეული ჯგუფის

სტერეოტიპული სახე. მას ჰგონია, რომ ბოლომდე ჩაწვდა ამა თუ იმ კატეგორიის ადამიანების თავისებურებებს და ამ სტერეოტიპზე დაყრდნობით ანკეტის თუ კითხვარის ცალკეულ კითხვებზე მათი პასუხის განჭვრეტასაც შესაძლებლად თვლის. ასეთი მიდგომა, ცხადია, არაკორექტულია.

ინტერვიუს სიტუაციის განმსაზღვრელია ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის ურთიერთდამოკიდებულება. ამ ურთიერთობის ხასიათი, კონტაქტის სიმჭიდროვე, ფსიქოლოგიური ატმოსფერო და სხვა ქმნის ინტერვიუს სიტუაციის შინაგან ფაქტორთა ერთობლიობას. გარეგან ფაქტორებს კი მიეკუთვნება ადგილი, დრო და საზოგადოდ, სოციალური ვითარება.

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სოციოლოგი ირჩევს ინტერვიუს სიტუაციის შესაფერის კონკრეტულ ფაქტორს - სამსახურს, წარმოებას, უმაღლეს სასწავლებელს, სახლს. ამ სიტუაციისთვისაა დამახასიათებელი, აგრეთვე ინტერვიუერის შესაძლო გავლენა ინფორმანტის შეხედულებებსა და ქცევაზე. უშუალო ურთიერთობისას, ინტერვიუს სახის მიუხედავად, ინტერვიუერის მიზნობრივმა განწყობამ, მისმა შეხედულებებმა და თვალსაზრისებმა შეიძლება გავლენა იქონიოს რესპონდენტზე.

სოციოლოგის ამოცანაა უზრუნველყოს ინტერვიუს სიტუაციის რელევანტურობა გამოსაკითხთა მთელი ერთობლიობისათვის. ეს ნიშნავს, რომ რესპონდენტთა სხვადასხვა ჯგუფისათვის გარეგანი და შინაგანი ფაქტორები არ უნდა აღმოჩნდეს განსხვავებული, ანუ განსხვავებამ არსებითი გავლენა არ უნდა მოახდინოს კვლევის შედეგებზე. იდეალურ შემთხვევაში ეს სიტუაცია ყველასათვის ერთნაირი უნდა იყოს ერთი გამოკვლევის ფარგლებში.

დაკვირვება

პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების მეთოდებს შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებიც არ არის სპეციფიკურად სოციოლოგიური. ასეთია დაკვირვება, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან იღებს სათავეს, დღეს კი საზოგადოებრივ

(სოციალურ) მეცნიერებებშიც გამოიყენება.

ფართო აზრით, დაკვირვება სამყაროს შემეცნების ხერხია. ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალ დაკვირვებას აწარმოებენ: ქუჩაში, სახლში, აუდიტორიაში, სამსახურში; აკვირდებიან სოციალური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, ინდივიდთა ქცევას, რითაც გარე სამყაროს შესახებ ინფორმაციას იღებენ. მაგრამ, ყოველი დაკვირვება არ გამოიყენება მეცნიერული მიზნების მისაღწევად. ეს უკანასკნელი გულისხმობს სპეციალური ინფორმაციის წინასწარგანზრახულ მიღებას. მეცნიერული დაკვირვება თეორიულ და პრაქტიკულ მიზნებს ისახავს, რაც წინასწარი გეგმისა და პროგრამის მიხედვით ხორციელდება; ეს კი ნიშნავს კვლევის შედეგების გარკვეული წესით რეგისტრაციასა და კონტროლს.

დაკვირვება სოციოლოგიურ გამოკვლევაში არის პირველადი ემპირიული მონაცემების მიღების მეთოდი უშუალო აღქმის და ყველა იმ ფაქტორის პირდაპირი რეგისტრაციის გზით, რაც შესასწავლ ობიექტს და კვლევის მიზნებს ეხება. მისი უპირატესობა ის არის, რომ იგი ადამიანური ქცევის ელემენტების, სოციალური ფაქტების ფიქსაციის საშუალებას იძლევა.

დაკვირვების მეთოდს გააჩნია სპეციფიკური თავისებურებები. პირველი ისაა, რომ უწყვეტი კავშირი არსებობს დამკვირვებელსა და დაკვირვების ობიექტს შორის. სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით, სოციოლოგიაში მკვლევარი შეისწავლის ერთობლიობებს, რომლებსაც თვითონ მიეკუთვნება. იგი აკვირდება საზოგადოებას, სოციალურ პროცესებს და სიტუაციებს, ამავე დროს, მკვლევარი თავადვეა ამ საზოგადოების ნაწილი, მასთან განუყოფლად დაკავშირებული და იმ ზემოქმედებებსა და ცვლილებებს განიცდის, რასაც მთელი საზოგადოება. დამკვირვებელსა და დაკვირვების ობიექტს შორის კავშირი გავლენას ახდენს დამკვირვებლის მიერ სოციალური სინამდვილის აღქმაზე, სოციალური პროცესების, ცალკეული ინდივიდების ქცევების აღქმასა და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, დასაკვირვებელი მოვლენების ინტერპრეტაციაზე.

გამოკვლევის ობიექტურობა არ ნიშნავს, რომ გამოირიცხოს პიროვნული დამოკიდებულებები, უბრალოდ, მეცნიერული კვლევის კრიტერიუმები არ უნდა შეიცვალოს ემოციური, ზნეობრივი თუ ღირებულებითი კრიტერიუმებით.

მეორე თავისებურება გამომდინარეობს პირველიდან. დამკვირვებლის მიერ სოციალურ მოვლენათა აღქმა და ინტერპრეტაცია ემოციურად ყოველთვის შეფერადებულია; თანაც მით ძლიერად, რაც უფრო მჭიდროა კავშირი დამკვირვებელსა და დასაკვირვებელ ობიექტს შორის. ეს ფაქტი მონაცემთა დამახინჯების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს.

მესამე თავისებურებაა განმეორებითი დაკვირვების ჩატარების სირთულე (და ზოგჯერ შეუძლებლობაც), რამდენადაც განმეორებითი დაკვირვება თვით ყოველდღიურ სოციალურ ფაქტებზეც კი მეტად რთულია. სოციალური პროცესები მრავალი განსხვავებული ფაქტორის ზეგავლენას განიცდიან და ძალზე იშვიათად არიან იდენტური. ამას გარდა, რაიმე სოციალური მოვლენის მხოლოდ მრავალჯერადი დაკვირვება იძლევა იმის საფუძველს, რომ მის შესახებ ინფორმაცია სარწმუნოდ ჩაითვალოს და შემდეგ მოხდეს მონაცემთა ინტერპრეტაცია.

დაკვირვების მეთოდს გარკვეული სირთულეები ახლავს, რაც გამომდინარეობს ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებებიდან. დაკვირვების მეთოდი იყოფა სუბიექტურ (უკავშირდება დამკვირვებლის პიროვნებას) და ობიექტურ (დამკვირვებელზე არ არის დამოკიდებული) სირთულეებად.

სუბიექტურში იგულისხმება სხვათა ქცევის გაგების და გადმოცემის შესაძლებლობები, რაც დამკვირვებელმა შესაძლოა თავისი ღირებულებათა ორიენტაციების სისტემით ახსნას ან ემოციურად შეაღამაზოს. ეს ნიშნავს, რომ კვლევის პროცესში დამკვირვებელმა დასაკვირვებელი მოვლენა თუ პროცესი შეიძლება გადმოსცეს საკუთარი შეხედულებებისამებრ, შეიძლება “შეასწოროს” ის, რაც არ მოსწონს ან მისი აზრით “არასწორია”, რასაც არასწორ და არასარწმუნო ინფორმაციამდე მიყვავართ.

ობიექტურია ის, რომ ყველა სოციალურ ფაქტს უშუალოდ ვერ დააკვირდები. ზოგიერთი არ ექვემდებარება დაკვირვებას. ამას გარდა, დასაკვირვებელი ფაქტი დროში შეზღუდულია.

დაკვირვების შედეგების დამახინჯება შეიძლება გამოიწვიოს თვით დაკვირვების ფაქტმა, ან დამკვირვებლის დასწრებამ, რაც სოციოლოგიაში, როგორც წესი, საგრძნობია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მცირე სოციალური ჯგუფების შესწავლისას.

როგორც დამოუკიდებელ მეთოდს, დაკვირვებას ხშირად მიმართავენ მონოგრაფიულ სოციოლოგიურ გამოკვლევებში, შედარებით ნაკლებად – სტატისტიკურში (სტატისტიკური მეთოდი მონაცემთა რეპრეზენტატულობას მოითხოვს). მას იშვიათად აქვს მასობრივი ხასიათი, რადგან დიდი რაოდენობის კვალიფიციური დამკვირვებლის შერჩევა რთულია.

ხშირ შემთხვევაში, დაკვირვება არ გამოდგება ინფორმაციის მოპოვების ძირითად მეთოდად; ის, ჩვეულებრივ, სხვა მეთოდებთან ერთობლიობაში გამოიყენება და სპეციფიკურ მიზნებს ემსახურება.

დაკვირვების მეთოდის გამოყენებისას საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი ეტაპები:

1. ობიექტისადმი წინასწარი ორიენტირება, ჰიპოთეზების წამოყენება და შემოწმება, შედეგების დაზუსტება და შემოწმება;
2. ობიექტის, საგნის და სიტუაციის განსაზღვრა. ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ცალკეული პირები, ასევე დიდი და მცირე ჯგუფები, ერთობები. სიტუაცია შეიძლება იყოს ბუნებრივი და ექსპერიმენტული, მართვადი და უმართავი დამკვირვებლის მიერ, სპონტანური და ორგანიზებული, ნორმალური და ექსტრემალური. საგანი შეიძლება იყოს გარკვეულ სოციალურ გარემოსა და სიტუაციაში ცალკეული ადამიანის, ასევე ჯგუფის ან ჯგუფების ვერბალური და არავერბალური ქცევითი აქტები. შეიძლება დააკვირდე სამეტყველო აქტებს, მის შინაარსს, თანმიმდევრობას, ინტენსივობას, ექსპრესიულობას, ემოციას და ა.შ.
3. დაკვირვების სახის შერჩევა, რაც ყველაზე სრულად

უზრუნველყოფს აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებას (ჩართული - არაჩართული, სტანდარტიზებული - არასტანდარტიზებული, საველე - ლაბორატორული, სისტემატური - შემთხვევითი).

4. ობიექტის რეგისტრაციის ხერხების შერჩევა. ამ პროცედურას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები, დაკვირვების ობიექტი, საგანი; შედეგების რეგისტრაცია ხდება სარეგისტრაციო ბარათებში, დაკვირვების დღიურებში, ინტენსიურად გამოიყენება ტექნიკური საშუალებანი, რომელთაც გარკვეული უპირატესობები გააჩნიათ. მაგრამ, ამის მიუხედავად, მათი გამოყენება გარკვეულწილად შეზღუდულია, რამდენადაც მოსმენა და გადაღება ნაწილობრივ პიროვნების უფლებებს ლახავს, თანაც მათი გამოყენება ყველგან არ შეიძლება.

5. მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ინტერპრეტაცია, ანგარიშის შედგენა. ანგარიში შედეგობრივი დოკუმენტია, რომელშიც აისახება მონაცემები დაკვირვების დროის, ადგილისა და სიტუაციის შესახებ, აღიწერება ხერხები, მოცემულია დაკვირვების ობიექტების დახასიათება, დამკვირვებლის ადგილი ჯგუფში. სასურველია, რომ ანგარიშში დამკვირვებელმა თავისი მოსაზრებები გამოთქვას კვლევის ჩატარების მეთოდისთან დაკავშირებით.

იმისათვის, რომ აუცილებელი სიზუსტით შევისწავლოთ ზოგადი სიტუაცია და სწორად დავალაგოთ დასაკვირვებელი ფაქტები, უნდა განისაზღვროს, თუ როგორ ტერმინებს გამოვიყენებთ კვლევაში - სოციოლოგიურს, სოციალურ-ფსიქოლოგიურს, ფსიქოლოგიურს. ამას გარდა, საჭიროა განისაზღვროს, თუ რა გვარად ტარდება კვლევა - ჯგუფის, მისი ნაწილის თუ მისი შემადგენელი ცალკეული ინდივიდების დონეზე.

შესასწავლი ობიექტის შესახებ მონაცემები გარკვეულ კრიტერიუმებს რომ შეესაბამებოდეს, მკვლევარმა დაკვირვების ისეთი ხერხი უნდა ამოირჩიოს, რომელიც საუკეთესოა აუცილებელი ინფორმაციის შესაკრებად. საქმე ეხება დაკვირვების სახესხვაობებს, რომლებიც კლასიფიცირდება სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით. იმის შესაბამისად, არსებობს თუ არა დაკვირვების ჩატარების კონტროლის ელემენტები, დაკვირვება იყოფა: კონტროლირებად და არაკონტროლირებად; დაკვირვების

ობიექტისადმი დამკვირვებლის მდგომარეობის მიხედვით - ჩართულად და არაჩართულად; ფორმალიზების ხარისხის მიხედვით არსებობს არასტრუქტურალიზებული და სტრუქტურალიზებული სახეები; ორგანიზაციის ადგილის მიხედვით - საველე და ლაბორატორული; რეგულარობის მიხედვით კი - შემთხვევითი და სისტემატური. შესაძლებელია კლასიფიკაციის სხვა საფუძვლებიც, მაგალითად, ერთმომენტიანი და პანელური, თვითდაკვირვება და სხვა.

კონტროლირებადი დაკვირვება გულისხმობს განმეორებითი დაკვირვებების სერიას ერთი ან რამდენიმე დამკვირვებლის მიერ. მისი ამოცანაა უფრო ზუსტი ინფორმაციის მიღება. კონტროლი ჩვეულებრივ ხორციელდება დამკვირვებელთა რიცხვის გაზრდით და შედეგების შემდგომი შედარებით, ასევე ინტენსიფიკაციით, ანუ ერთსა და იმავე ობიექტზე დაკვირვებათა სერიის ჩატარებით. შედარება შესაძლებელია დაკვირვების სტანდარტიზებული გეგმებით და მისი შედეგების ფორმალიზებული მეთოდებით აღწერის საფუძველზე. კონტროლირებადი დაკვირვება ფართოდ გამოიყენება ანალიტიკური და ექსპერიმენტული ხასიათის კვლევებში.

არაკონტროლირებადი დაკვირვების დროს ვიკვლევთ რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებს. მისი ძირითადი ამოცანაა გარკვეული პროცესისა თუ მოვლენის ზოგადი აღწერა, ასევე, იმ სოციალური ატმოსფეროს აღწერა, სადაც მიმდინარეობს დასაკვირვებელი მოვლენა. ასეთი დაკვირვების შედეგები ბევრადაა დამოკიდებული დამკვირვებლის კვალიფიკაციაზე. ის არ ტარდება მკაცრად გეგმით - წინასწარ განისაზღვრება მხოლოდ ობიექტი; იყენებენ მონოგრაფიულ და დაზვერვითი ხასიათის კვლევებში.

შემთხვევით დაკვირვებას მიეკუთვნება წინასწარი დაუგეგმავი მოვლენების, პროცესების, სიტუაციის ფიქსაცია; ის არ არის კვლევის დამოუკიდებელი პროცედურა.

სისტემატური დაკვირვება, უპირველეს ყოვლისა, რეგულარულად აფიქსირებს შედეგებს დროის გარკვეულ პერიოდში. იგი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს პროცესების დინამიკა; დაკვირვება შეიძლება აწარმოო ყოველდღიურად, ყოველ კვირაში, თვეში,

დეკადაში თუ კვარტალში ერთხელ. დაკვირვების ობიექტი შეიძლება იყოს: ა) გარკვეული სოციალური ჯგუფები შესასწავლი პროცესის სხვადასხვა მომენტში; ბ) გარკვეული პროცესი განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში; გ) გარკვეული პროცესი გარკვეულ ჯგუფში. მას ყველა სახის კვლევაში იყენებენ.

საველე დაკვირვება ტარდება ბუნებრივ პირობებში, რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში; ჩვეულებრივ მას იყენებენ დაზვერვითი და ანალიტიკური ხასიათის კვლევებში.

ლაბორატორული (კლინიკური) დაკვირვების დროს პირობები, რომელშიც დაკვირვების პროცესი, მოვლენა თუ სიტუაციაა მოცემული, მკვლევრის მიერ არის განსაზღვრული. მას ძირითადად იყენებენ ექსპერიმენტული ხასიათის კვლევებში. ამ მეთოდის საშუალებით ხდება იმ ცვლილებების ფიქსაცია, რომლებიც ექსპერიმენტული ფაქტორის მოქმედების შედეგად მიმდინარეობს. ამ დროს გამოიყენება რეზულტატების აღნუსხვის ტექნიკური საშუალებები.

არაჩართული დაკვირვებისას მკვლევარი დასაკვირვებელი სიტუაციიდან თითქოსდა განზე დგას და არ მონაწილეობს ჯგუფის მოღვაწეობაში. ასეთი დაკვირვების ძირითადი ამოცანაა იმ სოციალური ატმოსფეროს აღწერა, რომელშიც მიმდინარეობს დასაკვირვებელი მოვლენა. მას მონოგრაფიულ კვლევებში გამოიყენებენ, ასევე იყენებენ ლაბორატორიულ კვლევებში სოციომეტრული პროცედურების ჩატარებისას. ასეთ შემთხვევაში დაკვირვება, როგორც წესი, მიმდინარეობს ფარული კამერით.

ჩართული დაკვირვების დროს სოციოლოგი ასე თუ ისე თვითონაა ჩართული შესასწავლ ობიექტში, პირდაპირ კავშირშია დასაკვირვებლებთან და თანამონაწილეობს მათ მოღვაწეობასაქმიანობაში. ასეთი ჩართვა სხვადასხვაგვარია. „სრულად ჩართული“ სოციოლოგი ჯგუფში მუშაობს როგორც რიგითი წევრი და სხვებმა არ იციან მისი, როგორც მკვლევრის, არსებობის შესახებ. ასეთი გამოკვლევებით ინფორმაცია მიიღება მცირე ჯგუფების კვლევისას. თუმცა, გასათვალისწინებელია მორალური შხარე -

შეიძლება დააკვირდე იმას, რაც ზნეობრივი ნორმებითაა დასაშვები. ჩართული დაკვირვების სხვა ფორმაა, როდესაც მკვლევარი არ მალავს თავის როლს, აკვირდება ჯგუფს სხვადასხვა სიტუაციაში.

სტრუქტურალიზებული დაკვირვება ტარდება წინასწარი გეგმის მიხედვით, როცა სოციოლოგმა ზუსტად იცის, რას და როგორ დააკვირდება, ანუ, როცა სოციოლოგი კარგად იცნობს კვლევის საგანს. სოციოლოგიურ პრაქტიკაში ასეთი დაკვირვება გამოიყენება როგორც სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების ძირითადი მეთოდი, როდესაც სხვა მეთოდებით ინფორმაციის მიღება ვერ ხდება. ეს მეთოდი გამოიყენება სხვა მეთოდებით მიღებული შედეგების შესამოწმებლადაც.

არასტრუქტურალიზებული დაკვირვება ისეთი სახეა, რომლის დროსაც მხოლოდ ობიექტია განსაზღვრული. იგი გამოიყენება საწყის სტადიაზე პრობლემური სიტუაციის განსაზღვრის და კვლევის ობიექტზე უფრო კონკრეტული ცოდნის მიღების მიზნით.

საზოგადოდ, დაკვირვება პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მიღების საინტერესო და ხშირად შეუცვლელი მეთოდია კვლევის საწყის ეტაპზე. ის მკვლევარს ეხმარება პრობლემის დაზუსტებაში, ობიექტისა და საგნის ზუსტ განსაზღვრაში, ჰიპოთეზების ფორმულირებაში.

თუმცა ამ მეთოდს უარყოფითი მხარეებიც გააჩნია - შესაძლებელია მკვლევარის ჩარევა ბუნებრივი პროცესის მსვლელობაში (ეჭვგარეშეა, დამკვირვებლის ყოფნა უარყოფითად მოქმედებს კვლევის ობიექტზე). ამას გარდა, ადამიანური აღქმის შესაძლებლობები შეზღუდულია და შეიძლება მკვლევარს რაიმე მნიშვნელოვანი გამოჩნეს. დაკვირვება შრომატევადი პროცესია, რომელიც მოითხოვს დროის, ადამიანური და ფინანსური რესურსების სერიოზულ დანახარჯებს.

დოკუმენტების ანალიზი

დოკუმენტაცია სხვადასხვა სისრულით ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს. ის გადმოცემს ამა თუ იმ მოვლენის

ამსახველ ფაქტოლოგიურ მხარეს, ენის სტრუქტურას. დოკუმენტებში მოცემულია ცნობები ცალკეული ინდივიდების, მცირე და დიდი ჯგუფების, მთლიანად საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. აქედან გამომდინარე, დოკუმენტური ინფორმაცია სოციოლოგთა დიდი ინტერესის საგანია. ამ მიზნით შეისწავლება სხვადასხვა სახის დოკუმენტები - სახელმწიფო და სამთავრობო აქტები, სტატისტიკური კრებულები და აღწერის მასალები, მხატვრული ნაწარმოებები და სამეცნიერო პუბლიკაციები, პრესა, გამოსვლების მასალები, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა წერილები.

სოციოლოგიაში დოკუმენტებს უწოდებენ ადამიანის მიერ საგანგებოდ შექმნილ საგანს, რომლის დანიშნულება ინფორმაციის შენახვა ან გადაცემაა. დოკუმენტური ეწოდება ნებისმიერ ინფორმაციას, დაფიქსირებულს ბეჭდურ ან ხელნაწერ ტექსტში, მაგნიტიფონსა ან ფოტო და კინოფირზე. დოკუმენტური წყაროები ძირითადად ემსახურება კვლევისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიღებას. ბუნებრივია, რომ მრავალი სოციოლოგიური გამოკვლევა დოკუმენტების ანალიზით იწყება. დოკუმენტების კორექტულად გამოყენების მიზნით აუცილებელია მათი დაჯგუფება, კლასიფიცირება.

დოკუმენტების კლასიფიკაცია. ზოგადი მნიშვნელობის, სტატუსის მიხედვით არსებობს დოკუმენტები:

1. ოფიციალური;
 2. არაოფიციალური;
- გადმოცემის ფორმის მიხედვით:

1. სტატისტიკური;
 2. ვერბალური (წერილობითი);
- ინფორმაციის ფიქსაციის მიხედვით:

1. წერილობითი დოკუმენტები (ხელნაწერი, ბეჭდური), რომელშიც ინფორმაცია გადმოცემულია ასოითი ტექსტის ფორმით;
2. იკონოგრაფიული დოკუმენტები (სურათები, კინო და ფოტოდოკუმენტები);
3. სტატისტიკური მონაცემები;
4. ფონეტიკური დოკუმენტები (მაგნიტოჩანაწერები, ფირფიტები).

მკვლევრისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს ოფიციალურ დოკუმენტებს. ისინი შეადგინა და დაამტკიცა სამთავრობო ორგანოებმა, დაწესებულებებმა. მაგალითად, სამთავრობო მასალები, დადგენილებები, ბრძანებულებები, სახელმწიფო და საუწყებო სტატისტიკური მონაცემები, არქივები და სხვადასხვა დაწესებულებების მიმდინარე დოკუმენტები, საქმიანი კორესპონდენცია, სასამართლო ორგანოების ოქმები და სხვა.

მნიშვნელოვანია არაოფიციალური დოკუმენტების შესწავლაც, კერძოდ - პირადის. ისინი ღირებულია, რამდენადაც მათში დაფიქსირებულია ადამიანთა შეუზღუდავი გამონათქვამი თავისუფლად არჩეული თემის შესახებ. ამდენად, ეს დოკუმენტები ზოგიერთ მოვლენასა და პროცესს უფრო დაწვრილებით აღწერს, ვიდრე ოფიციალური და შეხედულებებისა და განწყობების შესწავლის საშუალებას იძლევა ინდივიდუალურ დონეზე. მათი მეშვეობით შესაძლებელია ჩაწვდვით ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბების სიღრმისეულ სოციალურ მექანიზმებს, გაიგო ქცევის მოტივები, პიროვნების სოციალურ ტიპთა გამოყოფის საფუძველი. ასეთი დოკუმენტებია: დღიურები, მემუარები, მიმოწერა, პროფესიული და არაპროფესიული შემოქმედების შედეგები (ლიტერატურა, კინო, თეატრი).

სტატისტიკური დოკუმენტები შეიცავს რიცხობრივ მონაცემებს, რომლებიც სისტემატიზებული და გადმოცემულია ცხრილების, გრაფიკების, სქემების სახით. ისინი სახელმწიფო, ეკონომიკური და სხვა ორგანოთა მოთხოვნების გათვალისწინებით იქმნება და გარკვეულ მიზანს ემსახურება. სტატისტიკური ინფორმაცია მოიცავს: მოსახლეობის მოძრაობის ბუნებრივ სტატისტიკას (შობადობის, სიკვდილიანობის, ქორწინების, მიგრაციის რეგისტრაციას); წარმოებისა და დაწესებულებების საუწყებო სტატისტიკას (ანგარიშებს, მოსამსახურეთა პირად ბარათებსა და ა.შ.); დარგობრივ სტატისტიკებს (ჯანდაცვა, კულტურა, განათლება და ა.შ.).

ვერბალური დოკუმენტები აღწერს სოციალურ მოვლენებს, პროცესებს ტექსტობრივი ფორმით. სტატისტიკურისაგან განსხვავებით, ვერბალურს ახასიათებს აბსტრაქციის დაბალი ხარისხი.

ჩვეულებრივ, ისინი შეიცავენ დაწერილებითი ხასიათის მასალას და დამატებით ცნობებს, რაც სხვა წყაროებში არ მოიპოვება. წერილობითი დოკუმენტებია: სახელმწიფო და ცენტრალური არქივის მასალები; ორგანიზაციებისა და დაწესებულებების არქივის მასალები; პრესა, პირადი დოკუმენტები, ირიბი დოკუმენტაცია.

იკონოგრაფიულს მიეკუთვნება კინო, ვიდეო და ფოტოდოკუმენტები, სურათები, გრაფიურები, სკულპტურები და ა.შ. ზემოჩამოთვლილ წყაროთაგან შეიძლება ინფორმაციის მიღება ძველი დროის ცხოვრების ამსახველი მასალების, ავტორის პიროვნების შესახებ და ა.შ.

ფონეტიკური დოკუმენტები მდიდარ ინფორმაციულ მასალას იძლევიან ენის სტრუქტურის, დიალექტების შედარების, გამოსვლების შესახებ.

დოკუმენტების კლასიფიკაცია სხვა საფუძვლის მიხედვითაც ხდება: პერსონიფიკაციის თვალსაზრისით ისინი იყოფა პირადად და არაპირადად. პირადია ინდივიდუალური აღრიცხვის ბარათები, დახასიათებები, წერილები, დღიურები, განცხადებები. არაპირადია სტატისტიკური და სხვადასხვა მოვლენისა და პროცესის ამსახველი არქივები, პრესის მონაცემები, ოქმები.

განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მრავალრიცხოვანი დოკუმენტები: გაზეთები, ჟურნალები, რადიო-ტელევიზია, კინო.

ინფორმაციის წყაროს მიხედვით განასხვავებენ პირველად და მეორად დოკუმენტებს. პირველადი შედგება დაკვირვების ან გამოკითხვის საფუძველზე, მოვლენათა უშუალო რეგისტრაციის ბაზაზე. მეორადი კი წარმოადგენს დამუშავებას, განზოგადებასა და აღწერას, რაც ძირითადად პირველადი მონაცემების საფუძველზე ხდება.

დოკუმენტების ტიპოლოგიის ერთ-ერთი საფუძველი მათი მიზნობრივი დანიშნულებაა. განასხვავებენ: 1. მკვლევრისაგან დამოუკიდებლად შექმნილ დოკუმენტებს და 2. მიზნობრივს, რომელიც მომზადებულია კვლევის პროგრამის და ამოცანის შესაბამისად.

პირველი შეიცავს ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც არ არიან განპირობებული სოციოლოგიური კვლევის ჩატარების ტექნიკით, კერძოდ, ოფიციალურ დოკუმენტაციას, სტატისტიკურ ცნობებს, პრესის მასალებს, კორესპონდენციას და ა.შ. მეორე ჯგუფში შედის ღია და დახურული პასუხები ანკეტის კითხვებზე და ინტერვიუს ტექსტები, დაკვირვების ჩანაწერები, რომლებიც რესპონდენტთა შეხედულებებსა და ქცევებს გადმოსცემს; ოფიციალური და არაოფიციალური ორგანიზაციების ცნობები, რომლებიც მკვლევის დაკვეთითა და ინიციატივით სრულდება; სტატისტიკური ინფორმაცია, რაც სოციოლოგიური კვლევის ორიენტაციით არის მოპოვებული და განზოგადებული.

დოკუმენტების შერჩევა ეფუძნება გამოკვლევის პროგრამას. იმის გამო, რომ დოკუმენტების სწორად შერჩევა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიღებული ინფორმაციის ხარისხს, მხედველობაშია მისაღები შერჩევის აგების პროცედურის რაოდენობრივი და თვისებრივი ასპექტები. ამოცანის გადაჭრის ზოგადი პრინციპი ერთია - დოკუმენტების ანალიზის მიზნების დაკონკრეტება და დაზუსტება. არც ერთი დოკუმენტი არ იძლევა ინფორმაციის სანდოობის გარანტიას, ვინაიდან ტექსტის მიღმა ადამიანები და მათი კერძო ინტერესები დგას. სანდოობა დამოკიდებულია დოკუმენტის წყაროზე. განსხვავებული წყაროები არათანაბრად სანდოა. ამიტომ კვლევის დაწყების წინ უნდა განისაზღვროს: 1) წყარო ნამდვილია თუ არა და რა კავშირი აქვს მას კვლევის საგანთან და 2) რამდენად სამართლიანად აშუქებს ის ფაქტებს, რამდენად ზუსტად გადმოსცემს ავტორი აღწერილ მოვლენებს.

ნებისმიერ შემთხვევაში, პირველადი მონაცემები უფრო სანდოა, ვიდრე მეორადი. მეორადის შემთხვევაში აუცილებელია პირველწყაროს დადგენა. სანდოობას ამცირებს შემთხვევითი შეცდომები, მაგალითად, დროისა და თარიღების არასწორი მითითება, დეტალების გამოტოვების შემთხვევები და სხვა. სანდოობის ხარისხის შესამოწმებლად სხვადასხვა ხერხია შემუშავებული. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა დოკუმენტების „გარეგანი“ და „შინაგანი“ გამოკვლევა.

„გარეგანი“ ანალიზი არის დოკუმენტის წარმოშობის, მისი შექმნის გარემოებების, ასევე - ისტორიული და სოციალური კონტექსტის შესწავლა. „შინაგანი“ კი დოკუმენტის შინაარსის საკუთრივ შესწავლაა; შეისწავლება ყველაფერი, რაც დოკუმენტის ტექსტშია გადმოცემული.

დოკუმენტებზე მუშაობისას აუცილებელია განვასხვავოთ მოვლენების აღწერა და მათი შეფასება. შეხედულებები და შეფასებები ნაკლებ საიმედო და სანდოა ფაქტობრივ ინფორმაციასთან შედარებით. დოკუმენტში ხშირად არ არის იმ სიტუაციის დეტალური დახასიათება, რომელშიც გამოითქვა ისინი, კონკრეტული სიტუაცია კი გამოააშკარავებს ამ აზრებსა და შეხედულებებს.

განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა პირად დოკუმენტებზე მუშაობა, კერძოდ, ავტობიოგრაფიებზე, დღიურებსა და წერილებზე.

დოკუმენტების ანალიზის სახეები. სოციოლოგიურ მეცნიერებაში იმ კვლევით ხერხებს შორის, რომლებიც დოკუმენტების ანალიზისას გამოიყენება, გამოიყოფა ორი ძირითადი სახე: 1. თვისებრივი ანუ ტრადიციული, კლასიკური ანალიზი და 2. რაოდენობრივი ანუ ფორმალიზებული - კონტენტ-ანალიზი. ისინი პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ერთმანეთს ავსებენ, რითაც მკვლევარს უზრუნველყოფენ აუცილებელი და სანდო ინფორმაციით.

თვისებრივი ანუ ტრადიციული ანალიზი დოკუმენტების შემდგომი ფორმალიზებული შესწავლის საფუძველს წარმოადგენს. თავის მხრივ, ის ეფუძნება ტექსტის გაგების მექანიზმს. როგორც დამოუკიდებელი მეთოდი, თვისებრივი ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უნიკალური დოკუმენტების შესწავლისას, რომელთა რიცხვი დიდი არ არის და, აქედან გამომდინარე, არც მათი რაოდენობრივი დამუშავების აუცილებლობაა. ამდენად, ტრადიციული მიდგომის არსი მდგომარეობს დოკუმენტების შინაარსის ჩაღრმავებულ ლოგიკურ კვლევაში, მათ ავტორთა პოზიციების გარკვევაში, ავტორისეული ენის და გადმოცემის სტილის თავისებურებაში. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა განისაზღვროს დოკუმენტის ღრმა შინაარსი. თუმცა, მის ძირითად ნაკლად ითვლება მასალის სუბიექტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.

ტრადიციული ანალიზი არის მეთოდი, რომელიც გულისხმობს პიპოთეზების წამოყენებას, გასაანალიზებელი მასალის არსის დაწვრილებით შესწავლას, ტექსტის ლოგიკას, მოტანილი ცნობების დასაბუთებას. თვისებრივი ანალიზის ჩატარებისას სოციოლოგმა უნდა იცოდეს:

- რას წარმოადგენს დოკუმენტი (მისი სახე, ფორმა);
- ვინ არის მისი ავტორი;
- როგორია კონტექსტი;
- რა არის მისი შექმნის მიზანი;
- რამდენად სანდოა დოკუმენტი;
- რამდენად საიმედო და სარწმუნოა მისი მონაცემები;
- როგორია მისი საზოგადოებრივი რეზონანსი;
- რა არის მისი ფაქტობრივი შინაარსი;
- როგორია მისი შეფასებითი შინაარსი;
- რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ავტორის შესახებ.

დიდი მოცულობის სოციოლოგიური ინფორმაციის განზოგადების ტექსტობრივი მასალის დამუშავების თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებზე ორიენტაციის მოთხოვნამ გამოიწვია დოკუმენტების შესწავლის ფორმალიზებული, თვისებრივ-რაოდენობრივი მეთოდის ჩამოყალიბება.

პირველად სპეციალური ტექნიკის გამოყენება ტექსტის შინაარსის ანალიზისთვის XVII საუკუნის შუა ხანები (1640 წ.) თარიღდება. რაოდენობრივი ვარიანტით სარგებლობდნენ XIX საუკუნის ბოლოს გახეთების შინაარსობრივი ანალიზის ჩასატარებლად. კონტენტ-ანალიზის პროცედურის დაწვრილებითი აღწერა პირველად 1949 წელს მოხდა. დღეს ეს მეთოდი სოციოლოგიის გარდა გამოიყენება ფსიქოლოგიაში, ფსიქიატრიაში, ეთნოგრაფიაში, ლინგვისტიკაში, ლიტერატურათმცოდნეობაში და ა.შ. კონტენტ-ანალიზის დროს ტექსტის შინაარსი განისაზღვრება როგორც მასში წარმოდგენილ მონაცემთა, შეფასებათა ერთობლიობა. ისინი გაერთიანებული არიან საერთო კონცეფციითა და ჩანაფიქრით. ფორმალიზებულ ანალიზს საქმე აქვს ტექსტთან, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებულია

იმ რეალობის შესწავლაზე, რაც ტექსტის მიღმა (ტექსტის მიღმა შეიძლება იყოს ფაქტები, მოვლენები, ადამიანური ურთიერთობები და, ამას გარდა, მასალის ამორჩევის პრინციპები ტექსტის მომზადებისას).

კონტენტ-ანალიზი არის ტექსტობრივი ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავების შედეგად რაოდენობრივ მაჩვენებლებში გადაყვანა.

ფორმალიზებული ანალიზის პროცედურა იწყება ანალიზის ორი ერთეულის - აზრობრივისა (თვისებრივის) და თვლის ერთეულის გამოყოფით. ამ დროს, მთავარი აზრობრივი ერთეული უნდა იყოს სოციალური იდეა, სოციალურად მნიშვნელოვანი თემა, რაც ოპერაციონალურ ცნებებშია გადმოცემული იგი ტექსტში სხვადასხვაგვარადაა გადმოცემული - სიტყვით, სიტყვათშეთანხმებით, აღწერით. კვლევის მიზანია იმ ინდიკატორების მონახვა, რომლებიც დოკუმენტში ანალიზისთვის მნიშვნელოვანი თემის არსებობაზე მიუთითებს.

თვლის ერთეულს შესაძლოა წარმოადგენდეს ცალკეული სიტყვები (ტერმინები, გეოგრაფიული სახელწოდებები, პოლიტიკურ მოღვაწეთა სახელები და სხვ.), მსჯელობები, გადმოცემული ფრაზებით, აბზაცებით, ტექსტის ფრაგმენტებით; შეფასებები, არგუმენტები, სხვადასხვა სახის პუბლიკაციები. თვლის ერთეულის განსაზღვრას განაპირობებს კვლევის მიზანი. შესაძლებელია აზრობრივი ერთეული დაემთხვეს თვლის ერთეულს.

ტექსტის ანალიზისას საინტერესოა პრობლემური მიდგომა. ამ დროს, მთელი ტექსტი ან მისი ნაწილი განიხილება როგორც კონკრეტული პრობლემური სიტუაციის აღწერა, რომელშიც გამოიყოფა მოქმედება და მისი სუბიექტები, ქცევებისა და მოქმედებების მიზნები და ამოცანები, გარემოებები, მიზეზები, რომლებიც იწვევენ ამა თუ იმ ქმედების მოთხოვნას (ქმედების სახეა უმოქმედობაც), ობიექტი.

ფორმალიზებული ანალიზის აუცილებელი ინსტრუმენტია კოდირების ბლანკი, რომელიც უნდა შედგეს ოპერაციონალური ცნებების

შესატყვისად. იგი შეიცავს ანალიზის ერთეულებს და პრობლემური სიტუაციის აღწერის ელემენტებს, ამყარებს ცალსახა შესაბამისობას ტექსტის ლექსიკასა და კოდებს შორის, რომელზეც, თავის მხრივ, ხორციელდება გამოთვლითი ოპერაციები. რაოდენობრივი ოპერაცია, რომელიც თვლის ერთეულის გამოყოფით იწყება, უნდა პასუხობდეს კვლევის მიზნებსა და სანდოობის მოთხოვნებს. მაგალითად, პრესის ანალიზისას თვლის ერთეულად იღებენ კვადრატული სანტიმეტრის ფართობის რიცხვს, რომელსაც ტექსტი იკავებს, ბეჭდვითი ნიშნების რაოდენობას, აბზაცების რაოდენობას. მათ ის უპირატესობა აქვთ, რომ კოდირება სწრაფად ხდება.

კოდირებისთვის შემუშავდება სპეციალური ბარათი. მეთოდური ინსტრუმენტის სანდოობის შესამოწმებლად კონტროლის პროცედურა ტარდება, რაც შემდეგში მდგომარეობს - ერთი და იმავე დოკუმენტის (ტექსტი, ფილმი, ფოტო) კოდირებას ახდენს სხვადასხვა ჯგუფი კოდირების ბარათის გამოყენებით. სანდოობას დაამოწმებს სხვადასხვა შემსრულებლის შედეგების დამთხვევის მაღალი პროცენტი. კოდირების პროცედურის სტანდარტიზაცია მისი მაღალი სანდოობის დროს დოკუმენტური წყაროების შინაარსის ინტერპრეტაციისას სუბიექტურობის აცილების გარანტიას იძლევა, რაც ხშირია ტრადიციული ანალიზის შემთხვევაში.

ლიტერატურა:

1. ა.ზდრავომისლოვი, სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია და პროცედურა, თბ., 1975.
2. Методы сбора информации в социологических исследованиях, кн.1,2. М., 1990.
3. Как провести социологическое исследование, М., 1990.
4. Ядов В.А., Социологическое исследование: методология, программа, методы. М., 1987.
5. Процесс социального исследования, М., 1975.
6. Р. Пенто и М.Гравитц, Методы социальных наук, М., 1972.
7. Рабочая книга социолога, М., 1983.
8. Н.Смелзер, Социология, М., 1994.
9. Социология, словарь-справочник, т.4, М., 1991.
10. Survey Research Methods, 1990.

11. H. Weisberg, B. Bowen, *An Introduction to Survey Research and Data Analysis*, San Francisco, 1977.
12. W. Good, P. Hatt, *Methods in Social Research*, N.Y.,1952.
13. *Surveys in Social Research*, D.A. de Vaus, 1990.
14. *Interviewer's Manual*, 1976.

ემპირიული მონაცემების ვერიფიკაცია და მომზადება ანალიზისათვის

სოციოლოგიურ კვლევაში მონაცემთა ღირებულება დამოკიდებულია ინფორმაციის სისწორეზე ანუ ემპირიულ ფაქტებზე. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ფაქტების მხოლოდ მცირე ნაწილი არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, მათ საფუძველზე მიღებული დასკვნები არაჭეშმარიტია. ამიტომ, ნებისმიერ სოციოლოგიურ კვლევაში ფაქტების, როგორც გამოკვლევის ძირითადი ელემენტის, სანდოობა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა.

მიზეზები, რის გამოც რესპონდენტთაგან არასწორი ინფორმაცია მიიღება, შემდეგია:

1. რესპონდენტს აქვს წინასწარი რწმენა, რომ მიმდინარე კვლევა საზოგადოებრივი თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანია, ისევე როგორც მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები;
2. რესპონდენტი შიშობს იმის გამო, რომ მის მიერ გამოთქმული თვალსაზრისები მის საწინააღმდეგოდვე შეიძლება გამოიყენონ;
3. რესპონდენტს მოკრძალების ან სირცხვილის გრძნობა აქვს, რაც აბრკოლებს მისი აზრის გულწრფელ გამოთქმას;
4. რესპონდენტი შესასწავლ პრობლემას არასაკმარისად იცნობს;
5. რესპონდენტი არაკომპეტენტურად თვლის თავს საკვლევ სფეროში;
6. დროის უკმარისობა გამოკითხვაში მონაწილეობისთვის;
7. სურვილის არქონა უპასუხოს ან შეავსოს კითხვარი;
8. უარყოფითი რეაქცია იმის გამო, რომ მოაყვამინებს სამუშაოს, დაურღვიეს სიმყუდროვე და ა.შ.

სოციოლოგიურ კვლევებში არასწორ და არაგულწრფელ პასუხთა პროცენტული მაჩვენებელი ზოგჯერ საკმარისად დიდია. ასეთი პასუხების რაოდენობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის, ძირითადია კვლევის საგნის ხასიათი. სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობის კულტურული დონე, აგრეთვე, მათი ინფორმირებულობა სოციოლოგიური კვლევების შესახებ.

სრულყოფილი პასუხების რიცხვი დამოკიდებულია ასევე კითხვების ფორმულირების ხასიათზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ სანდოობის შემოწმების, ემპირიული ფაქტების ვერიფიკაციის პრობლემა მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ სოციოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებისას (მაგალითად, გამოკითხვა, დაკვირვება) იოლად შეიძლება მოხდეს ემპირიული მონაცემების დამახინჯება.

ემპირიული ფაქტების ვერიფიკაციას მკვლევარი კვლევითი მეთოდების, კვლევის ტექნიკის მომზადების სტადიაზე იწყებს. მან უნდა დაადგინოს, შეესაბამება თუ არა მეთოდოლოგიურ პრინციპებს კითხვებისა და პასუხების მიმდევრობა, კითხვების ფორმულირების და აგების ხერხები, რამდენად გამართულია კითხვები ლოგიკურად და გრამატიკულად, ცალსახა და გასაგებია თუ არა ისინი რესპონდენტისთვის, ამ მიზნით ხდება კვლევის ინსტრუმენტის შემოწმება ადამიანთა მცირე ჯგუფთან და ღვინდება მისი ვალიდურობა. ამ ოპერაციას ეწოდება პილოტაჟური გამოკვლევა.

ემპირიული ფაქტების ვერიფიკაცია ორგვარი შეიძლება იყოს – უშუალო, რომელიც სინქრონულად ფაქტების მიღების პროცესში ხორციელდება და გაშუალებული, რომლის დროსაც სხვა შესამოწმებელი მეთოდები გამოიყენება.

უშუალო ვერიფიკაცია რამდენიმე ხერხით არის შესაძლებელი:

1. ინტერვიუს მსვლელობისას, დამატებითი და საკონტროლო კითხვების ან რესპონდენტის ამა თუ იმ ქმედებასა თუ რეაქციაზე დაკვირვებით;
2. ანკეტირების მეთოდით გამოკვლევისას მიღებული ფაქტები მოწმდება საკონტროლო, ირიბი კითხვებით ან შედარებითი შეკითხვების გამოყენების გზით;
3. მიღებული ფაქტები მოწმდება რესპონდენტის გამონათქვამების ობიექტური და ლოგიკური ანალიზის მეშვეობით ან იმ რესპონდენტების პასუხების შედარებით, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე ან სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს.

გაშუალებული ვერიფიკაციისას ემპირიული ფაქტების სანდოობა ასეთნაირად მოწმდება:

1. სხვა კვლევითი მეთოდების გამოყენების გზით. მაგალითად, გამოკითხვის მეთოდით მიღებული ფაქტები მოწმდება ჩარმავებული საუბრით შესაბამისი რაოდენობის ადამიანებთან და მიღებული შედეგების შედარებით;
2. თუ შესაძლებელია, რესპონდენტთაგან მიღებული მონაცემების ვერიფიკაცია ხდება შემდგომში თვით რესპონდენტზე უშუალოდ დაკვირვებით;
3. რამდენიმე პირის გამოკითხვით ერთი და იმავე ფაქტის შესახებ;
4. ფაქტების შემოწმება შეიძლება ერთი და იმავე კვლევის საგნის შესახებ სხვადასხვა მკვლევრის მიერ გამოთქმული თვალსაზრისების შედარების გზით;
5. ცალკეულ შემთხვევაში ემპირიული ფაქტების ვერიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ანალოგიური კვლევის შედეგებთან შედარების საშუალებით;
6. განმეორებითი დაკვირვებით ან ექსპერიმენტით, თუ ისინი მსგავს პირობებში ტარდება.

ამით ვერიფიკაციის პროცესი არ მთავრდება. კვლევის დასკვნით ფაზაზე საჭიროა მონაცემთა კონტროლი. დასკვნით ფაზაზე შემოწმებისას ასევე გამოიყენებენ მათემატიკურ-სტატისტიკურ მეთოდებს, რაც ძირითადად პირსონის და სპირმენის კორელაციის კოეფიციენტების გამოყენებით ხდება (ეს კოეფიციენტები მხოლოდ გარკვეული კატეგორიის ცვლადებისთვისაა გამოყენებადი). ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ერთი სოციალური ჯგუფიდან მიღებული შედეგები ერთნაირი პირობების დროს გარკვეულწილად უნდა ემთხვეოდეს მსგავსი სოციალური ჯგუფიდან მიღებულ მონაცემებს.

კვლევის საბოლოო სტადიაზე ფაქტების ვერიფიკაცია რთულია და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საჭიროა ვერიფიკაციის სპეციფიკური პროცედურის არჩევა კვლევის მიზნის შესაბამისად.

სოციოლოგიური გამოკვლევის დასკვნითი/ეტაპი გულისხმობს მიღებული მონაცემების ანალიზს, ინტერპრეტაციას და განზოგადებას. მონაცემები, რომლებიც საველე სამუშაოების ჩატარებისას მიიღება,

ჩვეულებრივ, მანქანურად უნდა დამუშავდეს. ამდენად საჭიროა მონაცემების რედაქტირება, კოდირება, კონტროლი და შეცდომების გასწორება.

რედაქტირების მიზანი არის კვლევის ინსტრუმენტში (კითხვარი, ანკეტა) თავმოყრილი ინფორმაციის მომზადება მანქანური (კომპიუტერული) დამუშავებისათვის. ის შეიძლება შეიცავდეს შეცდომებს, უზუსტობებს. საჭირო ხდება მათი შეძლებისდაგვარად გასწორება. თითოეული კითხვარის კონტროლი და რედაქტირება უშუალოდ კვლევის პროცესში ან მისი დასრულების შემდგომ, ზოგჯერ კი მონაცემების კომპიუტერში შეტანის შემდეგაც ხორციელდება. ტიპური შეცდომები, რომლებიც უნდა გასწორდეს, ამგვარია: დარღვეულია სავსელე პროცედურები, არ არის გამოკითხული შერჩევის სქემით გათვალისწინებული რესპონდენტი, გამოტოვებულია შიფრი, რომელიც კითხვარის იდენტიფიკაციას ახდენს; კითხვარი არასრულადაა შევსებული; პასუხები წინააღმდეგობრივი ხასიათისაა; დაფიქსირებულია ისეთი კოდები, რომლებიც კვლევაში არ არის გამოყენებული; რესპონდენტის მიერ კითხვა არასწორად არის ინტერპრეტირებული და ა.შ.

შეცდომები შეიძლება გასწორდეს ინტერვიუერთან საუბრის შედეგად ან რესპონდენტთან ახალი ინტერვიუს ჩატარების გზით. თუკი შეცდომების გასწორება შეუძლებელია, ანკეტა უქმდება.

აღსანიშნავია, რომ კითხვებზე პასუხების გამოტოვება სტატისტიკური ანალიზისათვის უხერხულობას ქმნის. მისი თავიდან აცილების მიზნით მონაცემების დაზუსტებისთვის ესა თუ ის არაპირდაპირი მეთოდი გამოიყენება. მაგალითად, მოცემული ცვლადის განაწილების აღდგენა ხდება სხვა ცვლადებთან კავშირის საშუალებით.

მონაცემების რედაქტირება საკმაოდ შრომატევადი პროცესია. მისი განხორციელებისათვის საჭიროა ე.წ. რედაქტირების ინსტრუქცია, რომელშიც ცხადად იქნება ფორმულირებული, თუ რა ტიპის შეცდომები უნდა გასწორდეს და როგორ.

კოდირების პროცედურა არის კითხვებზე პასუხების ფორმალიზაციის

პროცესი. მისი მიზანია მოპოვებული ინფორმაციის გარდაქმნა რიცხვითი ფორმით შემდგომი მანქანური დამუშავებისათვის. კოდირება გულისხმობს პასუხის თითოეული ვარიანტისთვის რაიმე პირობითი რიცხვის, ანუ კოდის მინიჭებას, რის შედეგადაც კითხვარში (ანკეტაში) მოცემული მთელი ინფორმაცია რიცხვთა დალაგებულ სისტემად გადაიქცევა. პასუხების კოდირება ძირითადად ორგვარად ხორციელდება: ყველა პოზიციის უწყვეტი ნუმერაციით (ე.წ. კოდირების რიგითი სისტემა) ან თითოეულ კითხვაში პასუხების ავტონომიური ნუმერაციით (ე.წ. კოდირების პოზიციური სისტემა).

უმრავლეს შემთხვევაში, ანკეტები კოდირებულია მათი შემუშავების ეტაპზე და რესპონდენტი აღნიშნავს იმ კოდს, რომელიც მის მიერ ამორჩეულ პასუხს შეესაბამება (იხილეთ „ღია და დახურული კითხვები“). ზოგჯერ კითხვარი შეიცავს ღია კითხვებსაც, რომლებიც მონაცემების მოპოვების შემდეგ სპეციალურ კოდირებას მოითხოვენ.

ღია კითხვების კოდირება სამი ეტაპისაგან შედგება. პირველ ეტაპზე პასუხის ყველანაირი შესაძლო ვარიანტი ამოიწერება. თითოეულ ვარიანტს მიეწერება რიცხვი, რომელიც მისი განმეორების სიხშირეს გამოხატავს. მეორე ეტაპზე პასუხები კლასიფიცირდება მათში გამოხატული თვალსაზრისების მსგავსების შესაბამისად. კვლევის მიზნისა და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოყოფილი ჯგუფები გაერთიანდება და თითოეულ ჯგუფს მიენიჭება განსხვავებული კოდი. ამის შედეგად მიიღება პასუხების ფორმალიზებული სია, ე.წ. კოდირებული. მესამე ეტაპზე ღია კითხვების ყველა პასუხის კოდირება ხდება უკვე შედგენილი კოდირებით. საბოლოოდ, რესპონდენტთა რამდენიმე ასეული მსჯელობა შეიძლება დაიყვანონ რამდენიმე ათეულ აზრობრივ ჯგუფზე.

მონაცემების კონტროლი და შეცდომების გასწორება აუცილებელი ეტაპია მიღებული სოციოლოგიური ინფორმაციის ანალიზისთვის. შეცდომები ნებისმიერ წინა ეტაპზე (საველე სამუშაოების ჩატარებიდან დაწყებული კომპიუტერში მასალის შეტანით დამთავრებული) შეიძლება დაუშვან. ყველა შეცდომის გასწორება პრაქტიკულად შეუძლებელია და ამდენად, მკვლევარმა უნდა გადაწყვიტოს,

მოცემული გამოკვლევისთვის რა სახის შეცდომები და, შესაბამისად, შესწორებები ყველაზე მნიშვნელოვანი. მონაცემების შესწორება გულისხმობს შეცდომების გამოვლენას, მონაცემებისათვის კოდების მოძიებას და გასწორებას. მონაცემთა კორექტირების შემდეგ ყველა ცვლადის სიხშირული განაწილებები დაითვლება, რაც დაუფიქსირებელი შეცდომების კვლავ გამოვლენის საშუალებას იძლევა. ამასთან, მოწმდება რამდენად სწორად არის შერჩევა განხორციელებული.

სოციოლოგიური მონაცემების ანალიზის შედეგების გადმოცემა შესაძლებელია ანგარიშის ან პუბლიკაციის სახით. დასკვნითი დოკუმენტი იმგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდეს, დამოუკიდებლად გამოიყენოს ემპირიული მონაცემები და შეაფასოს შედეგებისა და დასკვნების დასაბუთებულობა და სარწმუნოება. აქედან გამომდინარე, საჭიროა მონაცემების თანმიმდევრულობისა და მათი ცხადად გადმოცემის უზრუნველყოფა. ზემოთქმული მიიღწევა, თუ დაცულია შემდეგი ძირითადი მოთხოვნები: კვლევის მიზნებისა და ამოცანების, პრობლემის მოკლე ფორმულირება; კვლევის პროგრამის ძირითადი იდეებისა. და კონცეპტუალური სქემის, ამოსავალი ცნებების აღწერა; პირველადი მონაცემების მოპოვების ძირითადი პროცედურების აღწერა (კვლევის მეთოდოლოგია, შერჩევა); მიღებული მონაცემების გადმოცემა და ანალიზი ჰიპოთეზების შესაბამისად; კვლევის შედეგად მიღებული თეორიული და პრაქტიკული დასკვნების ჩამოყალიბება; ანგარიშს უნდა ახლდეს დანართი - კვლევის ინსტრუმენტი, ცხრილები, სტატისტიკური მაჩვენებლები და სხვა.

ლიტერატურა:

1. Э. Ноэль, Массовые опросы, М., 1978.
2. Ядов В.А., Социологическое исследование: методология, программа, методы. М., 1987.
3. Процесс социального исследования, М., 1975.
4. Рабочая книга социолога, М., 1983.
5. Как провести социологическое исследование, М., 1990.
6. W. Good, P. Hatt, Methods in Social Research, N.Y., 1952.
7. Floyd J. Fowler, Jr., Survey Research Methods, 1990.

ინტერვიუების ზოგადი ტრენინგის მეთოდოლოგია

ნებისმიერი კვლევა მოპოვებული მონაცემების ხარისხსა და გაცემული პასუხების სიზშირეზე დამოკიდებულია. ორივე ამ საკითხზე უშუალოდ პასუხისმგებლები ინტერვიუერები არიან. ტრენინგის პროგრამის მიზანია ინტერვიუერების საგულდაგულოდ მომზადება და მათთვის სპეციფიკური ტექნიკის შესწავლა, რაც კვლევის ხარისხიანად ჩატარების საშუალებას მისცემს.

მთითებები ტრენინგის ხელმძღვანელისათვის:

1. გაეცანით მასალას და დაგეგმეთ, თუ როგორ წარმოადგინოთ იგი თქვენი საკუთარი სიტყვებით.

2. არ გაფანტოთ ყურადღება და კონცენტრირებული იყავით თქვენს ხელთ არსებულ მასალაზე. თითო ჯერზე მხოლოდ ერთ საკითხს შეეხეთ. არ გადაუხვიოთ გზიდან შეკითხვებზე პასუხების გაცემით, მათ მოგვიანებით განიხილავთ.

3. ყურადღება მიაქციეთ, რომ თქვენი საუბარი უფრო მეტად დისკუსია იყოს. იგი საშუალებას აძლევს ყველას, ისწავლონ სხვების შეცდომებზე და გააუმჯობესონ ინტერვიუს ჩატარების შესაძლებლობები.

4. ინტერვიუს ჩატარების ტექნიკის შესასწავლად საუკეთესო გზა ინტერვიუს გათამაშებაა. ეს საშუალებას მოგცემთ შეასწავლოთ ინტერვიუერს:

- როგორ მივიდეს რესპონდენტის საცხოვრებლამდე;
- როგორ წარუდგინოს თავი;
- როგორ ჩაატაროს ინტერვიუ;

5. წახალისეთ ტრენინგის მონაწილეები ინტერაქტიური ფორმით. ხშირად შეაჯამეთ შედეგები.

6. სწორ პასუხებს დადებითი შეფასება მიეცით, თუმცა, ძალიან ხშირად ვერ იტყვიან "სწორია", "მშვენიერია" და ა.შ. .

7. დააკვირდით, ხომ არ არიან მსმენელები უყურადღებოდ ან დაბნეული. ტრენინგის ხელმძღვანელი მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს მსმენელების რეაქციას და ცვლილებები შექპონდეს ტრენინგის პროცესში. საჭიროა მსმენელების მიერ მასალის აღქმის და მისი სწორად გამოყენების შეფასება.

8. ტრენინგის ატმოსფერო საქმიანი, მაგრამ მეგობრული უნდა იყოს. იუმორს შეუძლია სწავლების პროცესი სრულყოფილი გახადოს.

9. ტრენინგის ხელმძღვანელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მსმენელები მხედველობით უკეთ აღიქვამენ და ითვისებენ ინფორმაციას, ვიდრე სმენით. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ისინი საერთო ინფორმაციიდან აღიქვამენ:

- 20% რაც ესმით
- 30% რასაც ხედავენ
- 50% რასაც ხედავენ და რაც ესმით
- 70% რასაც ამბობენ
- 90% რასაც ამბობენ კეთების დროს

ძალიან მნიშვნელოვანია გამეორება. ინსტრუქტორმა ფაქტები სხვადასხვაგვარად რამდენჯერმე უნდა გამოთქვას. თუმცა, ერთი და იგივეს ძალიან ხშირად გამეორება მოწყენილობასა და ინტერესის დაკარგვას იწვევს. ვიზუალური მასალის ჩვენება ძალიან ეფექტურია მიწოდებული ინფორმაციის ასათვისებლად.

სასურველია, ტრენინგის ხელმძღვანელებისათვის შემუშავდეს ტრენინგების ჩასატარებელი ძირითადი სახელმძღვანელო, რომელსაც ისინი ტრენინგების დროს გამოიყენებენ და სავლელ სამუშაოების დროსაც მიმართავენ ხოლმე. სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს კვლევის შესახებ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებს, დეტალურ ინსტრუქციას ინტერვიუებისათვის, კვლევის ორგანიზაციის ადმინისტრაციულ საკითხებს.

სთხოვეთ მსმენელებს, წარუდგინონ საკუთარი თავი ჯგუფს. გამოიყენეთ „მოთელვის შეკითხვები“, რათა ჯგუფში მოხსნათ დაძაბულობა და ხელი შეუწყოთ აქტიური თანამშრომლობის დაწყებას. განიხილეთ ინტერვიუერის თვისებები და სთხოვეთ მონაწილეებს დაასახელონ მათგან მნიშვნელოვანი. ჩამოწერეთ ისინი დაფაზე. დარწმუნდით, რომ გამორჩენილი არ არის შემდეგი თვისებები:

თვითდაჯერებულობა – ინტერვიუერებმა იმგვარი კონტაქტი უნდა დაამყარონ გამოსაკითხ ოჯახთან, რომ შეეძლოთ განსაკუთრებით ფაქიზი შეკითხვების დასმა.

სხვადასხვაგვაროვან მოსახლეობასთან ურთიერთობის უნარი – ინტერვიუ ტარდება ყველანაირი წარმომავლობის, განათლების, ასაკისა და ცხოვრების სტილის ადამიანებთან სხვადასხვა ტიპის დასახლებებში.

ურთიერთობის უნარი – ინტერვიუერებმა კარგი ურთიერთობა უნდა დაამყარონ რესპონდენტებთან. აუცილებელია, ისინი რესპონდენტებში ნდობას იწვევდნენ და დაეხმარონ მათ ინტერვიუს დროს თავი მოხერხებულად იგრძნონ.

ინსტრუქციის დაცვის უნარი – მკაცრად უნდა იყოს დაცული კითხვარების განაწილებისა და გამოკითხვის ჩატარების პროტოკოლი.

სანდობა – ინტერვიუერებმა სამუშაოს დიდი ნაწილი სავლელ პერიოდის პირველ ნაწილში უნდა დაასრულონ და ბოლო დღეები დაიტოვონ განმეორებითი ვიზიტებისა და უარის შემთხვევებში რესპონდენტის ინტერვიუს მისაცემად დათანხმებისათვის.

ვალდებულების გრძობა – ინტერვიუერებმა ბეჯითად უნდა იშრომონ კვლევის წარმატებით ჩატარებისათვის.

კვლევის მიმოხილვა. აუხსენით მსმენელებს, რომ კვლევის ჩატარება გულისხმობს მოსახლეობის გარკვეული ტიპიდან შერჩევითი

ერთობლიობის დადგენას. შერჩევაში მოხვედრილი ყოველი წევრი წარმოადგენს იმავე მოსახლეობის, მსგავსი თვისებების მქონე დიდი რაოდენობის ადამიანთა ჯგუფს. შერჩევაში მოხვედრილ ადამიანებთან, გარკვეულ საკითხებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, ტარდება ინტერვიუ. მონაცემების მცდარობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ ინტერვიუ მაღალ დონეზე ჩატარდეს და ყველას დაესვას ზუსტად ერთი და იგივე შეკითხვები ერთი და იმავე გზით.

განუმარტეთ ინტერვიუერებს მათი როლი – მოიპოვონ მონაცემები, რათა მკვლევარებს შეეძლოთ მათი გაანალიზება და მეცნიერთათვის, პოლიტიკოსების, აღმასრულებელი ორგანოების, მთავრობის წარმომადგენლებისა და სხვა პირებისთვის სტატისტიკური მასალის მიწოდება. ინტერვიუერები არიან პროფესიონალები, რომელთა წვლილი მონაცემთა შეგროვების პროცესის განუყოფელი და სასიცოცხლო ნაწილია. ინტერვიუერის სამუშაო რთულია. ის საკმაო გამომგონებლობას, ორიგინალობასა და სიმტკიცეს მოითხოვს.

ბოლოს, აუცილებელია, რომ ინტერვიუერებმა არ შეიტანონ ცდომილება კვლევისას – პასუხები უნდა ასახავდეს რესპონდენტების პირად მოსაზრებას ინტერვიუერის მიერ ცდომილების დაშვების გარეშე.

ტრენინგის ხელმძღვანელმა განსახილველად დაფაზე უნდა ჩამოწეროს ინტერვიუერის ამოცანები:

- ტრენინგამდე საჭიროა მასალის წინასწარი შესწავლა;
- შეასრულონ პროექტის ამოცანები და ჩაეტიონ დადგენილ დროში;
- მთავარი ამოცანაა დაინტერესონ რესპონდენტები;
- მიაღწიონ რესპონდენტების მხრიდან თანამშრომლობას, დაითანხმონ ისინი, ვინც თავს იკავებს ინტერვიუს მიცემაზე;
- განსხვავებულ გარემოში მუშაობა;
- სურვილი და უნარი დანიშნონ ინტერვიუ რესპონდენტებისათვის ხელსაყრელ დროს და ადგილას;
- დადგენილი წესის მიხედვით ანგარიში ჩააბარონ სუპერვაიზერს

პროექტის მსვლელობის შესახებ, განიხილონ პრობლემატური საკითხების გადაწყვეტის სტრატეგია და შეასრულონ სუპერვაიზერის მიერ მიცემული ინსტრუქციები;

- აწარმოონ ვიზიტების დეტალური აღრიცხვა და ყურადღებით შეავსონ ყველა ბლანკი.

კვლევის ეთიკა. მსმენელებს ხაზგასმით უნდა განემარტოთ კონფიდენციალურობის საკითხები. კვლევას თან ახლავს გარკვეული ეთიკური ნორმების შესრულების ვალდებულება. ყოველ ჯერზე, როდესაც ინტერვიუერი სთხოვს ადამიანს, მონაწილეობა მიიღოს კვლევაში, მისი მოვალეობაა პატივი სცეს რესპონდენტის პირადულობას და დაარწმუნოს იგი, რომ მისი პასუხები სრულიად კონფიდენციალური იქნება. კითხვარში (შესავალში) აუცილებლად უნდა იყოს წინადადება იმის თაობაზე, რომ ყველა პასუხი კონფიდენციალურია. უფრო მეტიც, ინტერვიუერმა არ უნდა განაცხადოს ინტერვიუს დროს მიღებული მისთვის საეჭვო შედეგების შესახებ.

ინტერვიუერებს უნდა განემარტოთ, რათა მათ დაიცვან კვლევის შედეგად მიღებული ყველა მონაცემისა და რესპონდენტების ანონიმურობა. ორგანიზაციებს, რომლებიც ატარებენ კვლევებს, გააჩნიათ სპეციალური დოკუმენტი კონფიდენციალურობის შესახებ და სპეციალური შეთანხმება პროფესიული ეთიკის შესახებ. მსმენელებს ეს დოკუმენტები ხმამაღლა უნდა წაეკითხოთ ტრენინგის დროს, რათა თითოეულმა კარგად გაიგოს კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმების მნიშვნელობა, რაზეც ხელი უნდა მოაწეროს.

ტრენინგი და რესპონდენტების მონაწილეობა

რესპონდენტებს თითქმის არ გააჩნიათ წარმოდგენა, თუ რას მოელიან მათგან ინტერვიუს დროს. ინტერვიუერის მიზანია გაავებინოს რესპონდენტს, თუ როგორ უნდა შეასრულოს მან თავისი როლი. ინტერვიუერს მოკრძალებულად, მაგრამ მაინც უნდა ეჭიროს ინტერვიუს ჩატარების სადავეები. მას რესპონდენტის ყურადღება მუდმივად ინტერვიუსკენ უნდა აქონდეთ მიმართული.

ინტერვიუსთვის საჭირო განცალკევებული ადგილი. საუკეთესო შემთხვევაა, თუ ინტერვიუ ტარდება წყნარ, განცალკევებულ ადგილას, სადაც არის კარგი განათება და მაგიდა სამუშაოდ. სხვა პირების დასწრებამ შეიძლება პასუხების დამახინჯება გამოიწვიოს. რესპონდენტს უნდა განემარტოს, რომ მისი კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ინტერვიუს ჩატარება განცალკევებულ ადგილას. ამგვარი მოთხოვნების შესრულება ხშირად არ არის შესაძლებელი, ამიტომ ინტერვიუერმა უნდა მიმართოს იმპროვიზირებას და ეცადოს, მაქსიმალურად დაუახლოვოს ინტერვიუს პირობები სასურველ იდეალურ მოთხოვნებს.

ტემპი. კითხვარის ძალიან სწრაფად კითხვა რესპონდენტს პასუხების სწრაფად გაცემისაკენ უბიძგებს. იმისათვის, რომ მიიღოთ დაფიქრებული, ზუსტი და სრული პასუხი, ყოველი შეკითხვა ნორმალურ სასაუბრო ტემპზე ოდნავ ნელა უნდა წაუკითხოთ. აქცენტი მხოლოდ კითხვარში ხაზგასმულ სიტყვებზე უნდა გაკეთდეს.

ურთიერთობის პროფესიული დონე. ინტერვიუერები კეთილგანწყობილნი უნდა იყვნენ, რომ რესპონდენტებს თანამშრომლობის სურვილი აღუძრან. თუმცა, ინტერვიუს დამახინჯების თავიდან ასაცილებლად საჭიროა პროფესიული დისტანციის შენარჩუნება. თავი აარიდეთ გადაჭარბებულ საუბარს გარეშე საკითხებზე.

შეფასება. ინტერვიუერმა არ უნდა გამოხატოს საკუთარი ემოცია ან რეაქცია რესპონდენტის პასუხზე, ასევე არ უნდა უბიძგოს რესპონდენტს შესაძლო პასუხისაკენ. იმისდა მიუხედავად, ეთანხმება თუ არა ინტერვიუერი რესპონდენტის პასუხს, მან არასდროს არ უნდა გაუკეთოს კომენტარი ნათქვამს. ეს წესი იმ შემთხვევაშიც უნდა იქნეს დაცული, როდესაც თავად რესპონდენტი ეკითხება ინტერვიუერს მისი საკუთარი მოსაზრების შესახებ.

კონტროლი. ზოგიერთ რესპონდენტს უყვარს საკუთარი მოსაზრების გამოხატვა, სხვადასხვა ამბის მოყოლა, რამაც საბოლოოდ შეიძლება მას მისცეს ხელში ინტერვიუს სადავეები. ინტერვიუერმა თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ უნდა დაიბრუნოს კონტროლი ინტერვიუზე.

როლების გათამაშება ზეპირად. მსმენელები გაავარჯიშეთ, თუ როგორ მოახდინონ რესპონდენტების მოტივირება. შექმენით ოთხი ან მეტი სიტუაცია, რომლის მსგავსსაც შეიძლება წააწყდეს ინტერვიუერი რესპონდენტთან კონტაქტის ან ინტერვიუს ჩატარების დროს.

მაგალითი №1: რესპონდენტს სურს მოჰყვეს გრძელი ანექლოტები
მაგალითი №2: ოჯახში მისვლის შემდეგ რესპონდენტი ინტერვიუერს საუბრეზე და მისი შვილების სურათების დასათვალიერებლად პატიჟებს.

გამოიყენეთ ინტერაქტიური მეთოდი. ხმამაღლა წაიკითხეთ სცენარები. ჰკითხეთ მსმენელებს, როგორ მოიქცეოდნენ, ამგვარ სიტუაციაში რომ აღმოჩენილიყვნენ. ინტერვიუერებმა უნდა გაიგონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ რესპონდენტის ყურადღება შეკითხვებზე იყოს კონცენტრირებული.

ცდომილება. განიხილეთ არაშერჩევითი შეცდომები, რაც ცდომილებით შეიძლება იყოს გამოწვეული, აგრეთვე ისიც, თუ როგორი გავლენა შეიძლება იქონიონ ამგვარმა შეცდომებმა კვლევის საბოლოო შედეგებზე. ცდომილება არის მიღებულ მნიშვნელობასა და რეალურ მნიშვნელობას შორის არსებული განსხვავება. ქცევის ცდომილება არის განსხვავება რესპონდენტის მიერ გამოხატულ ქცევასა და მის რეალურ ქცევას შორის. ინტერვიუერის ქცევის ფაქტორები, რამაც შეიძლება ცდომილება გამოიწვიოს, შემდეგია:

- შეცდომები შეკითხვის დასმის დროს;
- შეცდომები იმ დროს, როდესაც დამატებითი ინფორმაცია არის საჭირო;
- შეცდომები რესპონდენტის მოტივირებისას;
- შეცდომები პასუხების ჩაწერისას.

ინტერვიუერებს საგულდაგულო ტრენინგი უნდა ჩაუტარდეთ, რათა თავიდან აიცილონ პასუხებისას შეცდომა. მოპოვებულმა მონაცემებმა ყოველთვის უნდა ასახოს რესპონდენტის მიდგომა, მოსაზრება და ქცევა და ინტერვიუერმა მასზე არანაირი გავლენა არ უნდა იქონიოს. ჩამოუთვალეთ მსმენელებს ცდომილების სამი ტიპი.

სტილის ცდომილება. ეს არის პირველი შთაბეჭდილების ცდომილება. ხმა, გარეგნობა, მოქმედება და მიდგომები გავლენას იქონიებს რესპონდენტზე. იმან, თუ როგორ წარუდგენს ინტერვიუერი თავს ოჯახში მისი ყოფნის პირველი 30 წამის განმავლობაში, შეიძლება რესპონდენტთან თანამშრომლობის მიღწევაზე სხვადასხვაგვარი გავლენა იქონიოს.

1. თავის წარდგენა უნდა იყოს ლაკონური და ზუსტი; უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კვლევის მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ.

2. ინტერვიუერი გამოსაკითხი გარემოს შესაბამისად უნდა იყოს ჩაცმული. დაბალშემოსავლიანთა უბანში მისვლის დროს ზედმეტად გადაპრანჭულმა ჩაცმულობამ შეიძლება რესპონდენტის გაღიზიანება გააოიწვიოს. ხოლო ექიმებთან ან სხვა პროფესიონალებთან მისვლისას ინტერვიუერი საქმიანად უნდა იყოს ჩაცმული, როგორც ეს ამგვარ გარემოს შეეფერება.

3. რესპონდენტებს დადებითი და თავდაჯერებული მანერებით უნდა დაეკონტაქტოთ.

არასიტყვიერი ცდომილება. ამ ტიპის ცდომილება პალიან ფაქიზია, მაგრამ კვლევის შედეგებზე შეიძლება განსაკუთრებული გავლენა მოახდინოს. იმ ადამიანის ქცევას, რომელიც შეკითხვებს სვამს, მონაცემთა ხარისხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

არასიტყვიერი ცდომილება გამომეტყველებაში მჟღავნდება. აწეულ წარბს ან თუნდაც ცნობისმოყვარე ღიმილს შეუძლია გავლენა იქონიოს რესპონდენტის პასუხებზე. ინტერვიუერმა კითხვაზე პასუხი დროზე ადრე არ უნდა იგულისხმოს.

სიტყვიერი ცდომილება. სიტყვიერი ცდომილების თავიდან აცილება უფრო ადვილია. ყველაფერ იმას, თუ როგორ არის წაკითხული შეკითხვები, წაეკითხება თუ არა რესპონდენტს გარდამავალი მოსაზრებები, ან აკეთებს თუ არა ინტერვიუერი თავის კომენტარებს,

გავლენა აქვს რესპონდენტის პასუხებზე. ინტერვიუერმა არასოდეს არ უნდა შესთავაზოს თავისი პასუხი, აგრეთვე, დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს რესპონდენტის პასუხს.

შეკითხვების დასმის სხვადასხვა ტექნიკა

ინტერვიუერმა უნდა გაიაროს მომზადება, რომ შეკითხვები ზუსტად ისე წაიკითხოს, როგორც კითხვარში წერია. უფრო მეტიც, შეკითხვების დასმის თანმიმდევრობამ შეიძლება გავლენა იქონიოს რესპონდენტზე. ყოველი შეკითხვა საგულდაგულოდ იწერება და შემდეგ ხდება მისი გამოცდა, რათა ყველამ შეძლოს მისი გაგება. კითხვაში მცირე ცვლილებებსაც კი შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს რესპონდენტის პასუხი. შეკითხვების დასმის დროს მკაცრად უნდა იყოს დაცული შემდეგი მნიშვნელოვანი წესები:

- თითოეულ რესპონდენტს უნდა დაესვას ყველა შეკითხვა;
- დაუსვით ყველა შეკითხვა ზუსტად ისე, როგორც წერია. შეკითხვის ინტერპრეტაცია პასუხის ცდომილებით გაცემას გამოიწვევს. შეკითხვების დასმისას არაფერი დაუმატოთ, მოაკლოთ ან შეცვალოთ;

- არასოდეს ივარაუდოთ პასუხი. რესპონდენტს ყველა შეკითხვა უნდა დაესვას, თუნდაც ზოგ მათგანზე უკვე გქონდეთ მიღებული პასუხი წინა შეკითხვის კონტექსტიდან ან საერთოდ მთელი საუბრიდან;

- ყველა შეკითხვა დასვით კითხვარში მოცემული თანმიმდევრობით. რესპონდენტისგან პასუხის მიღებამდე შეკითხვა ბოლომდე წაიკითხეთ;

- არ აუხსნათ შეკითხვაში მოცემული სიტყვები ან ტერმინები, თუ ამგვარი მითითება არ გაქვთ ინსტრუქციით. ინტერვიუერმა არასდროს არ უნდა შესთავაზოს თავისი განმარტება. უთხარით რესპონდენტს „რასაც ეს თქვენთვის ნიშნავს“.

- გამოყოფილი შრიფტით ნაბეჭდი არის მითითება ინტერვიუერისთვის. ეს მითითებები რესპონდენტს არ უნდა წაუკითხოთ.

1. მაგალითად: (გადავით ბარათი 1) კითხვარში დაბეჭდილი ეს სიტყვები რესპონდენტს არ უნდა წაუკითხოთ.

2. ასევე, ფრჩხილებში მოცემული სიტყვა, მაგალითად, (ქალაქი) არის მითითება ინტერვიუერისთვის, რომ მან ამ ადგილას ახსენოს

იმ ქალაქის სახელი, რომელშიც ცხოვრობს რესპონდენტი.

- ფრჩხილებში ჩასმული ყველა სხვა სიტყვა, რომელიც არ არის მითითება ინტერვიუერისათვის, რესპონდენტს უნდა წაუკითხოთ ვითარების შესაბამისად.

1. ეს სიტყვა შესაბამისობაში მოიყვანს შეკითხვას. მაგალითად, ინტერვიუერმა სათანადო სიტყვა უნდა აირჩიოს რესპონდენტისათვის (ქმარი/ცოლი).

2. ფრაზა შეიძლება იყოს ერთ-ერთი ვარიანტი მეტი ინფორმაციის მისაღებად ან იმისათვის, რომ ბუნდოვანი პასუხის მიღებისას რესპონდენტის პასუხი შეკითხვის შესაბამისი პუნქტისკენ მიემართოს.

- რესპონდენტთან არასდროს დაიწყეთ გამოთვლების გაკეთება, ანუ მონაცემების დაჯამება.

შეკითხვების ტიპები. არსებობს შეკითხვების სამი ძირითადი ჯგუფი: დახურული ანუ წინასწარ კოდირებული, ღია და საველე სამუშაოების მსვლელობისას კოდირებული (field coded). ტრენინგის ხელმძღვანელმა უნდა მოახდინოს შეკითხვების ამ განსხვავებული ტიპების ილუსტრირება.

დახურული ანუ წინასწარ კოდირებული შეკითხვა. შეკითხვის ტექსტში არის პასუხების არჩევანი.

მაგალითად: თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა საზოგადოდ არის ძალიან კარგი, კარგი, საშუალო თუ ცუდი?

ძალიან კარგი	1
კარგი	2
საშუალო	3
ცუდი	4

შემოხაზეთ რიცხვი, რომელიც შეესაბამება რესპონდენტის პასუხს.

ღია შეკითხვა. რესპონდენტმა თავისი საკუთარი სიტყვებით უნდა განმარტოს მიზეზი ან მოსაზრება. შეკითხვაში არ არის მოცემული

პასუხების არჩევანი.

მაგალითად: რატომ მოგწონთ ამ ქალაქში ცხოვრება?

რესპონდენტის პასუხი უნდა ჩაიწეროს სიტყვასიტყვით ანუ ზუსტად ისე, როგორც რესპონდენტი ამბობს, პერიფრაზირების, შეჯამების ან რაიმეს გამოტოვების გარეშე. რესპონდენტმა პასუხი ნათლად და საკითხის შესაბამისად უნდა გასცეს.

ველზე კოდირებული შეკითხვა. პასუხების არჩევანი არ არის შეკითხვის ნაწილი, მაგრამ შემოსახაზად მოცემულია კოდების კატეგორიები. მკვლევრებმა კარგად იციან, რა არის შესაძლო პასუხების სპექტრი და ამიტომ ჩამოთვლიან ამ კატეგორიებს. მაგალითად: რა კრიტიკული შენიშვნები გაქვთ იმ სკოლის მიმართ, რომელშიც თქვენი შვილი დადის?

ჩაიწერეთ რესპონდენტის პასუხი სიტყვიერად, შემდეგ შემოხაზეთ შესაბამისი კოდი

სკოლის დირექტორი	1
მასწავლებლები	2
წიგნები, მომარაგება	3
სხვა	4
არ მაქვს კრიტიკული შენიშვნები	5

ძირითადი მითითებები. ყოველი მსმენელისათვის მოამზადეთ ვიზუალური მასალა, რათა განიხილოთ ამ ნაწილში მოცემული საკითხები კითხვარის შევსებისა და გადასვლების შესახებ.

1. რესპონდენტს უნდა წაუკითხოთ ტექსტის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც სტანდარტული შრიფტით არის დაბეჭდილი. მითითებები ინტერვიუერისათვის დაბეჭდილია განსხვავებული შრიფტით. მაგალითად: ჰკითხეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტი დაოჯახებულია - მუშაობდა თუ არა თქვენი მეუღლე გასულ კვირას?

2. ფრჩხილებში მოცემულია სიტყვების არჩევანი. თუ ეს სიტყვები დიდი ასოებითაა დაბეჭდილი, ინტერვიუერმა ის სათანადო სიტყვით

უნდა შეცვალოს, თუ ეს სიტყვები პატარა ასოებითაა დაბეჭდილი, ინტერვიუერმა ჩამოთვლილი სიტყვებიდან ერთი უნდა ამოარჩიოს. მაგალითად: რამდენი წლის იყო (პიროვნება), როდესაც (ბიჭი/გოგონა) შეეძინა?

3. თუ პასუხების კატეგორიები შეკითხვის ნაწილია, ინტერვიუერმა რესპონდენტს ყველა კატეგორია უნდა წაუკითხოს. მიაქციეთ ყურადღება, რომ ეს კატეგორიები პატარა ასოებითაა დაბეჭდილი. მაგალითად: ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თქვენი ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა, გაუარესდა თუ იგივე დარჩა?

- | | |
|-------------|---|
| გაუმჯობესდა | 1 |
| გაუარესდა | 2 |
| იგივე დარჩა | 3 |

4. თუ პასუხების კატეგორიები დიდი ასოებითაა დაბეჭდილი, ეს კატეგორიები არასდროს არ უნდა წაუკითხოთ.

მაგალითად: გასულ კვირას ყველაზე ხშირად რას აკეთებდით?

- | | |
|------------------|---|
| მუშაობდა | 1 |
| არ მუშაობდა | 2 |
| ეძებდა სამსახურს | 3 |
| დადიოდა სკოლაში | 4 |

5. თუ პასუხების კატეგორიები პატარა ასოებითაა დაბეჭდილი, მაგრამ ისინი თავად კითხვაში არ არიან ჩართული, ინტერვიუერი, როგორც წესი, ამ კატეგორიებს არ კითხულობს. თუმცა ისინი შეიძლება წაუკითხოთ კარნახის სახით, თუ ამას სიტუაცია მოითხოვს.

მაგალითი: ძირითადად რამდენად ხშირად კითხულობთ გაზეთს?

- | | |
|-----------------|---|
| ყოველ დღე | 1 |
| კვირაში 3-4 დღე | 2 |
| კვირაში ერთხელ | 3 |
| არ კითხულობ | 4 |

6. შეკითხვის დასმის დროს ხაზგასმულ სიტყვებზე მახვილი გააკეთეთ.

7. გარდამავალი მოსაზრებები ზუსტად იმ თანმიმდევრობით წაუკითხეთ, როგორც კითხვარშია მოცემული.

ზოგჯერ რესპონდენტმა შეიძლება სიტყვის განმარტება გთხოვოთ. ინტერვიუერმა არასოდეს არ უნდა სცადოს სიტყვის მნიშვნელობის ინტერპრეტაცია საკუთარი სიტყვებით. მან უბრალოდ ხელახლა უნდა წაუკითხოს შეკითხვა. ზოგიერთ კვლევაში შეიძლება თავად პროექტით იყოს განსაზღვრული ზოგი რთული სიტყვის ახსნა. ამგვარ შემთხვევებში გამოყენებული უნდა იყოს სიტყვის შეთანხმებული განსაზღვრება.

ზოგჯერ პასუხების შესაძლო ვარიანტები ბარათებზეა დაბეჭდილი, რომლებიც რესპონდენტს გადაეცემა, მისთვის პასუხის ამორჩევის გასაადვილებლად.

მაგალითად: ინტერვიუერის ინსტრუქციაში წერია (აჩვენეთ რესპონდენტს ბარათი 2).

თუ საჭიროა პასუხების სიიდან ერთი პასუხის მიღება, ინსტრუქციაში ეწერება: *მხოლოდ ერთი პასუხი.*

როდესაც შესაძლებელია ან საჭიროა რამდენიმე პასუხის მიღება, ინსტრუქციაში ეწერება: *შემოხაზეთ ყველა შესაბამისი.*

რესპონდენტი წააქეზეთ ხოლმე გამოთქმებით „გმადლობთ“, „გასაგებია“ და ა.შ. ამგვარი დადებითი გამოთქმები არწმუნებს რესპონდენტს, რომ ის კარგ საქმეს აკეთებს და მეტად ახალისებს მას.

შეკითხვების სერიები. ზოგიერთი კითხვარი იმგვარადაა შედგენილი, რომ რამდენიმე ადამიანის შესახებ შეკითხვების სერიის დასმაა საჭირო. ამგვარ შემთხვევაში სერიის ყველა შეკითხვა ჯერ უნდა დაუსვათ პირველი პიროვნების შესახებ. შემდეგ დაბრუნდით სერიის დასაწყისში და ყველა შეკითხვა ხელახლა დასვით ახლა

უკვე მეორე, შემდეგ მესამე და ა.შ. პიროვნების შესახებ.

შეკითხვების სწორად დასმა. ინტერვიუს სწორად ჩატარების საკვანძო საკითხებს ტრენინგის ხელმძღვანელთან ერთად გადახედეთ. გამოიყენეთ ინტერაქტიური მეთოდი. ინტერვიუერებისათვის მოამზადეთ სავარჯიშო მასალა და სთხოვეთ, შეავსონ ის. გთავაზობთ შემდეგ შეკითხვებს:

1. რას ნიშნავს, როდესაც ინტერვიუერი ხელახლა დიდ ინსტრუქციას ან პასუხის კატეგორიებს, რომლებიც დიდი ასოებითაა დაბეჭდილი?
2. რა ფუნქცია აქვს გადასვლების ინსტრუქციებს?
3. რას მოიმოქმედებდით, თუ შენიშნავდით, რომ თქვენ გადასვლის ინსტრუქცია გამოტოვებულა და არასათანადო შეკითხვას უსვამთ რესპონდენტს?
4. რატომ არის მნიშვნელოვანი შეკითხვების დასმის სწორი ტემპი და ხმა?
5. რა განსხვავებაა წინასწარ კოდირებულ და ნაწილობრივ კოდირებულ შეკითხვას შორის?

პასუხების ჩაწერა

მსმენელებს პასუხების ჩაწერის ინსტრუქციები გააცანით შემდეგი საკითხების გაშუქებით:

- სიზუსტეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს;
- პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენეთ ფანქარი ან კალამი;
- ჩაიწერეთ სუფთად და გარკვევით.

ციფრების ჩაწერა. შეკითხვები, რომლებზეც ციფრებით უნდა გაეცეს პასუხი, უნდა ჩაიწეროს ამისათვის დადგენილ ერთეულებში. მაგალითად, თუ ეკითხებით წუთების შესახებ, არ ჩაიწეროთ წამებში ან საათებში.

სიტყვიერად ჩაწერა. ინტერვიუერმა რესპონდენტის პასუხი ზუსტად, სიტყვასიტყვით უნდა ჩაიწეროს. არ შეიძლება პასუხის პერიფრაზირება

ან რეზიუმეს სახით ჩაწერა. ადამიანები უფრო სწრაფად ლაპარაკობენ, ვიდრე ინტერვიუერები წერენ, ამიტომ ინტერვიუერმა სხვადასხვა ხერხს უნდა მიმართოს, პასუხების ჩაწერა რომ მოახერხოს.

- ჩაწერა რესპონდენტის პასუხის დაწყებისთანავე დაიწყეთ;
- უთხარით რესპონდენტს, რას აკეთებთ. უთხარით „მე ეს ყველაფერი უნდა ჩავიწერო“;
- ჩაწერის დროს პასუხი გაიმეორეთ;
- თუ რესპონდენტს სისწრაფეში ვეღარ ეწევით, შეაჩერეთ. ხმამაღლა წაუკითხეთ ის ადგილი, სადაც შეწყვეტეთ ჩაწერა;

კითხვარის შემოწმება. საჭიროა კითხვარების შემოწმება და სუპერვაიზორისათვის მათი ჩაბარება. კითხვარების შემოწმების მიზანია, აღმოაჩინოთ შევსების დროს დაშვებული შეცდომები, რათა ამგვარი შეცდომები შემდეგი კითხვარების შევსებისას აღარ გაიმეოროთ. ეს კი მოპოვებული მონაცემების სისტემატურ გადახედვას მოითხოვს. შემოწმების დროს აღმოჩენილი შეცდომები შესაბამისად უნდა გასწორდეს და აიხსნას.

შესწორების პროცედურა:

1. შეამოწმეთ, თუ როგორ იკითხება თქვენი ნამუშევარი;
2. ინტერვიუერის კომენტარები რესპონდენტის პასუხებისგან უნდა გამოიყოს;
3. თუ შეკითხვა შემთხვევით გამოტოვეთ, მას უნდა წააწეროთ: „გამოტოვებულია შეცდომით“. ინტერვიუერი არ უნდა ეცადოს, მეხსიერებაში აღიდგინოს პასუხი კითხვაზე. ხელახლა არ დაუკავშირდეთ რესპონდენტს, თუ ამის უფლებას სუპერვაიზერი არ მოგცემთ;
4. ყურადღებით უნდა შეამოწმოთ კითხვარში ყველა გადასვლა;
5. გაშალეთ მიღებული სტანდარტული შემოკლებები;
6. შეამოწმეთ, რომ წინასწარ კოდირებული პასუხები სწორად იყოს შემოხაზული;
7. სიზუსტისათვის შეამოწმეთ ყველა გამოთვლა და დაჯამება.

მითითების მიცემა

ინტერვიუს ჩატარების დროს, რესპონდენტის პასუხებმა შეიძლება ტიპური პრობლემები წარმოშვას. ეს პრობლემები სრული და დამაკმაყოფილებელი პასუხის მიღებამდე უნდა გადაიჭრას. მათ გადაჭრის ტექნიკას „მითითება“ ეწოდება. მითითება არის ინტერვიუერის შეკითხვა ან კომენტარი, რომელიც რესპონდენტს უბიძგებს უფრო მკაფიო ან სრული პასუხისაკენ მასზე გავლენისა და ცდომილების გამოწვევის გარეშე. ინტერვიუერებმა მომზადება უნდა გაიარონ, რომ მიხვდნენ, როდის არის საჭირო მითითება. კერძოდ:

- შესაბამისობისათვის – შეკითხვის არსისკენ დაბრუნების მიზნით;
- სისრულისათვის – მეტი ინფორმაციის მიღების მიზნით;
- ბუნდოვანი პასუხის ნათლად წარმოსადგენად;
- „არ ვიცი“ პასუხიდან მეტი ინფორმაციის მისაღებად.

მითითება, ალბათ, ინტერვიუს ყველაზე საფრთხილო ნაწილია. მას განსაკუთრებული სისათუთე და ჩვევები სჭირდება.

კარგი მითითება ყოველთვის კონტროლდება (ეხმარება რესპონდენტს შეკითხვაზე მოახდინოს კონცენტრაცია) და იგი ყოველთვის ნეიტრალურია (არ ახდენს გავლენას რესპონდენტზე და არ იწვევს შეცდომას). მსმენელებს გააცანით მითითების მიცემის სხვადასხვა ტიპი.

მითითების ექვსი ძირითადი ტიპი:

1. პაუზა – უბრალოდ შეწყვიტეთ წერა და მომლოდინედ შეხედეთ რესპონდენტს;
2. შეკითხვის წაკითხვა – ყურადღება გაამახვილეთ შეკითხვის სპეციფიკურ მოთხოვნებზე და ხაზი გაუსვით საკვანძო სიტყვებს;
3. სთხოვეთ, მოგცენ მეტი ინფორმაცია – უთხარი: „თუ შეიძლება, მეტი მითხარით ამის შესახებ“;
4. მახვილი განზოგადებაზე – „საზოგადოდ თვლით ...“ – შემდეგ გაიმეორეთ შეკითხვა;
5. მახვილი სუბიექტურობაზე – „თქვენის აზრით“, „რას ფიქრობთ“?

6. მიზნის შემცირება – ანუ, როდესაც პასუხი ციფრებისგან შედგება, ინტერვიუერმა უნდა შეამციროს მათი რაოდენობა და ერთ პასუხამდე დაიყვანოს. ზოგჯერ ადამიანებს უჭირთ წარსული მოვლენების აღდგენა მეხსიერებაში. ამ დროს, პირადი ცხოვრების მომენტების აღდგენისას დახმარება შეიძლება კალენდარმა გაგიწიოს. “წელიწადის რა დრო იყო?”

ეფექტური მითითება (დაწერეთ დაფაზე. წაიკითხეთ და განიხილეთ ყოველი მითითება)

- „ნება მომეცით, გაგიმეოროთ შეკითხვა ხელახლა წაიკითხეთ შეკითხვა უფრო ნელა“
- „საზოგადოდ, თვლით თუ არა . . . გაიმეოროთ შეკითხვა?“
- „ერთი წუთით დაფიქრდით ამის შესახებ . . . გაიმეორეთ შეკითხვა?“
- „ძირითადად . . . გაიმეორეთ შეკითხვა?“
- „რა აზრის ბრძანდებით?“
- „კიდევ რა?“
- „მითხარით მეტი ამის შესახებ“
- „რას გულისხმობთ ამით?“
- „მე მჭირდება ჩამოთვლილი კატეგორიებიდან ერთ-ერთი“
- „რომელი იქნება უფრო ახლოს?“
- „გთხოვთ, აირჩიოთ ერთი პასუხი“
- ჩუმი მითითება

მითითება პასუხებზე „არ ვიცი“. „არ ვიცი“ პასუხის მიღებამდე ერთხელ მაინც უნდა გაუკეთდეს მითითება, თუ ეს სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე. არსებობს სამი ძირითადი მიზეზი, რის გამოც აძლევენ პასუხს „არ ვიცი“:

1. რესპონდენტი ფიქრობს თავის პასუხზე და სიჩუმის შესავსებად ამბობს „არ ვიცი“. საუკეთესო მითითებაა გააკეთოთ პაუზა და მოთმინებით დაელოდოთ, სანამ რესპონდენტი არ გაგცემთ იმგვარ პასუხს, რომლის ჩაწერაც შეიძლება;

2. რესპონდენტს ეშინია, გაგცეთ არასწორი პასუხი. დაარწმუნეთ რესპონდენტი, რომ არ არსებობს სწორი ან არასწორი პასუხები,

რომ საინტერესოა მხოლოდ მისი პირადი მოსაზრება; სთხოვეთ, გამოხატოს ეს მოსაზრება;

3. რესპონდენტმა მართლა არ იცის, როგორ გიპასუხოთ და არ შეუძლია პასუხის გაცემა. თუ ამგვარი მდგომარეობაა, მითითების გაკეთების შემდეგ ჩაწერეთ პასუხი „არ ვიცი“.

მითითების ტექნიკის ასათვისებლად შეიძუშავეთ სავარჯიშო მასალა. სავარჯიშოს ჩატარების დროს უნდა წარმოაჩინოთ ეფექტური მითითებების სია. მსმენელებს დააწერინეთ, როგორ მითითებას მიმართავდნენ ისინი სხვადასხვა სიტუაციაში და შემდეგ პასუხები ხმამაღლა განიხილეთ. სავარჯიშოში მოცემული უნდა იყოს 10-12 სხვადასხვა სცენარი, რომლის დროსაც საჭიროა მითითება.

სავარჯიშო ა. შეკითხვა 1.

გჯერათ თუ არა სიკვდილის შემდეგ ცხოვრების?

პასუხი: ზოგჯერ მჯერა, ზოგჯერ კი არა.

სავარჯიშო ბ. შეკითხვა 2.

რამდენს იწონით?

პასუხი: “ო, არ ვიცი.”

ზოგი კვლევითი ორგანიზაცია მოითხოვს, რომ ინტერვიუერმა მითითების შემთხვევაში კითხვარში გამოიყენოს სიმბოლო “X”. ეს სიმბოლო იმ ადვილას იწერება, სადაც მითითებას მიმართეს. რესპონდენტის პასუხს კი X სიმბოლოს შემდეგ წერენ.

მსმენელებმა უნდა იცოდნენ, რა უთხრან პოტენციურ რესპონდენტებს იმისათვის, რომ მათთან თანამშრომლობას ღიად წიონ. თავის წარდგენა მოკლე და მკაფიო უნდა იყოს და ყველასათვის ადვილად გასაგები ენით უნდა ხდებოდეს. კითხვარების დარიგებამდე ტრენინგის ხელმძღვანელმა სხვადასხვა მსმენელს უნდა ჩაატარებინოს საჩვენებელი თავის წარდგენა, როდესაც ისინი ივარჯიშებენ როგორ აუხსნან რესპონდენტს, თუ ვინ არიან, ვისთვის და რა სამუშაოს ატარებენ და, საერთოდ, რა საჭიროა ამგვარი კვლევების ჩატარება.

საქციელი კითხვარი იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ მსმენელებმა შეძლონ გაიმტკიცონ სხვადასხვა სახის ტექნიკის შესახებ მიღებული ინფორმაცია. საცდელ კითხვარს უნდა ჰქონდეს შესავალი ნაწილი, რომელიც ინტერვიუერმა რესპონდენტს უნდა წაუკითხოს. კითხვარი იმგვარად შეადგინეთ, რომ ბარათების ჩვენებაც ჩართოთ. ტრენინგის ხელმძღვანელი ამჯერად რესპონდენტის როლს ასრულებს. მსმენელები რიგრიგობით უნდა ასრულებდნენ ინტერვიუერის როლს. მოსახერხებელია, როდესაც ინტერვიუერის როლში მყოფი მსმენელი ეუბნება ჯგუფს, თუ რა პასუხს იწერს კითხვარში და ინტერვიუერის ინსტრუქციას ხმამაღლა კითხულობს.

მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები:

- ინტერვიუს ჩატარების ტექნიკაში გავარჯიშება;
- შეკითხვების დასმა;
- მითითებები;
- პასუხების შემოხაზვა;
- სიტყვიერად ჩაწერა.

მითითება დასაძმება/მუშაობის ბლოკში

თითქმის ყველა კვლევის დროს არის შეკითხვები რესპონდენტისა და ასევე ოჯახის სხვა წევრების დასაქმების შესახებ. ის, თუ რითი ცხოვრობს რესპონდენტი, ასახავს მისი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს. სამსახური ინტეგრალურ როლს ასრულებს ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრების სტილის, მსოფლმხედველობის, ჯანმრთელობის და ეკონომიკური მდგომარეობის ჩამოყალიბებაში, აგრეთვე, იმის განსაზღვრაში, თუ სად ცხოვრობენ ისინი და როგორ გეგმავენ თავიანთ მომავალს.

ინტერვიუერებს კარგად უნდა ესმოდეთ, რაოდენ მნიშვნელოვანია დასაქმების შესახებ სწორი ინფორმაციის მოგროვება. აუხსენით მისი მნიშვნელობა და განუმარტეთ, როგორ უნდა მიენიჭოს დასაქმების სფეროს შესაფერისი სწორი კოდი. დასაქმების სისტემა, რომელიც კითხვარებშია მოცემული, ასახავს იმ მოდელს, რომელიც მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში გამოიყენება. ზოგჯერ საკმარისია უბრალოდ სამუშაო ადგილის დასახელება, რომ დასაქმების კოდი ადვილად

მიუვსადაგოთ რესპონდენტის პასუხს. ზოგჯერ კი სამუშაოს აღწერა სრულიად არაადეკვატური იყოს და პიროვნებას, რომელიც კოდირებას აკეთებს, დიდი დრო დასჭირდეს, სანამ შესაფერის კოდს მიუსადაგებს. რაც ყველაზე ცუდია, შეიძლება არასწორი კოდით კი მიანიჭოს. მაგალითად, „ოფისის სამუშაო“ გულისხმობს როგორც კომპიუტერულ პროგრამირებას, ასევე შევსებას, ყიდვა-გაყიდვას, მონაცემთა შეტანას და სხვ.

როდესაც რესპონდენტის მიერ ნახსენები სამუშაოს სახელი არ არის კონკრეტული, აუცილებელია საქმიანობის აღწერა და მითითება, რათა გავიგოთ რესპონდენტის დასაქმების სფერო. მოამზადეთ სავარჯიშოები დასაქმების შეკითხვების სწორად შევსებაში გასავარჯიშებლად. მსმენელებს შესთავაზეთ სხვადასხვა სამუშაოს დასახელება და ავარჯიშეთ მათ სწორად ჩაწერასა და კოდირებაში.

რესპონდენტთან კონტაქტი /თანამშრომლობის მიღწევა/

ამ ნაწილის მიზანია, თვითდაჯერება შევმატოთ ინტერვიუერებს რესპონდენტთან კავშირში შესვლისა და ინტერვიუს მიცემაზე მათი დაყოლიების დროს. აუხსენით, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი, რათა ინტერვიუერი მაქსიმალურად შეეცადოს უარის თავიდან აცილებას.

ჰკითხეთ მსმენელებს, თუ რას ეტყოდნენ პრობლემატურ რესპონდენტს:

- ადამიანი ძალიან დაკავებულია ან ძალიან დაღლილია. „ვინმე სხვას ჰკითხეთ“.
- ჩაკეტილი პიროვნება. „არ ვიძლევი პირად ინფორმაციას“.
- ეჭვიანი ადამიანი. „რისთვის გამოიყენება ეს?“
- უხასიათო, არასასიამოვნო ადამიანი. „არა! არ მაინტერესებს“ (გიჯახუნებთ კარებს).

კვლევის მონაცემების რეპრეზენტატულობისათვის საჭიროა, რომ შერჩეულ რესპონდენტთა შორის ინტერვიუზე დათანხმებულია

რაოდენობა მაღალი იყოს. შერჩევის ზომა და გზა (მარშრუტი) გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ასახავს კვლევის მონაცემები მთელი მოსახლეობის აზრს. კვლევის შეფასებები მხოლოდ იმ რესპონდენტებს ეყრდნობა, რომლებსაც შეკითხვებზე პასუხის გაცემის სურვილი აქვთ. შერჩევის ზომა გაცემული პასუხების რაოდენობაზეა დამოკიდებული. როცა რესპონდენტთა დიდი პროცენტი არ გასცემს პასუხს კითხვებზე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ისინი წარმოადგენენ ადამიანთა გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც ამ რესპონდენტებივით ფიქრობენ და მოქმედებენ, ხოლო შედეგი კი ის არის, რომ მათი ხმა არასდროს ისმის (არ იქნება გათვალისწინებული კვლევის შედეგებით). ამ ადამიანების წარმოდგენა საჭიროა და ინტერვიუერის მოვალეობაა დაარწმუნოს ისინი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი მოსაზრებები. ტრენინგის ხელმძღვანელმა მსმენელებს უნდა აუხსნას რესპონდენტთა შერჩევის დროს გამოყენებული ხერხები, განიხილოს შერჩევის ძირითადი მეთოდები და ის მიზეზები, თუ რატომ უნდა გამოიკითხოს მაინცდამაინც შერჩეული რესპონდენტი.

როგორ მივადწიოთ თანამშრომლობას. კარგი ინტერვიუერი ორგანიზებული, სათანადოდ მომზადებულია და თან აქვს:

- პირადობის მოწმობა;
- წერილის ასლი, რომელშიც კვლევის მიზნებია ახსნილი;
- კვლევის მასალები (კითხვარი, რესპონდენტის ბლანკი და ა.შ.).

კონტაქტში შესვლამდე ინტერვიუერი მომზადებული უნდა იყოს პასუხების გასაცემად, რომლებიც შეიძლება დაუსვას რესპონდენტმა:

- ვინ ხართ თქვენ? ვინ ატარებს კვლევას?
- ვინ აფინანსებს კვლევას?
- რა არის კვლევის ამოცანა?
- რისთვის გამოიყენებთ შედეგებს და როგორ დამეხმარება მე ეს კვლევა?
- არის თუ არა ის კონფიდენციალური?

პასუხის გაცემაზე უარის სიხშირე სხვა საკითხებთან ერთად დამოკიდებულია რესპონდენტის ბუნებაზე, კვლევის პირობებზე, იმ გარემოებაზე, რომელიც კონტაქტის დამყარების დროს არის, საკვლევი საკითხის თემასა და ინტერვიუერზე. ინტერვიუერის მიდგომაში,

მისმა მანერებმაც კი შეიძლება გავლენა იქონიოს რესპონდენტის კვლევაში მონაწილეობის სურვილზე. ყურადღებით მოსმენა აუცილებელი პირობაა დადებითი შედეგების მისაღწევად. ინტერვიუერმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რას ფიქრობს და გრძნობს რესპონდენტი კვლევის შესახებ მანამ, სანამ კვლევაში მონაწილეობაზე მის დაყოლიებას შეეცდება.

როლების გათამაშება – სცენარები. ტრენინგის ხელმძღვანელმა უნდა შეადგინოს სიტუაციების 3 სხვადასხვა სცენარი, როდესაც რესპონდენტი კვლევაში მონაწილეობაზე უარს აცხადებს. სცენარები მსმენელებს დაურიგეთ. ყოველ მსმენელს სთხოვეთ, დაწეროს მოკლე შესავალი და ის, თუ როგორ გაუმკლავდება სიტუაციას. შედეგები ხმამაღლა განიხილეთ.

მაგალითად:

სცენარი №1: “მე 65 წლის ვარ და დღეს ძალიან დავიღალე. არ მესმის, რატომ გსურთ ჩემთან საუბარი. ახალგაზრდებს ყველაფერში გადამწყვეტი სიტყვა აქვთ. ჩემს აზრებს მნიშვნელობა არა აქვს. ნამდვილად არ მსურს მონაწილეობის მიღება.”

სცენარი №2. ”მე ძალიან დაკავებული პიროვნება ვარ. დღეში მინიმუმ 12 საათს ვმუშაობ. არავითარი საშუალება არ მაქვს, რომ ინტერვიუს ჩასატარებლად დროს გამოვძებნი. სხვა ვინმე მოძებნეთ.”

ადმინისტრაციული დეტალები

მსმენელებს აუხსენით საველე სამუშაოების სტრუქტურა, განუმარტეთ მათი შრომის ანაზღაურებისა და მისი პროცედურის შესახებ საკითხები, გააცანით რესპონდენტის ბლანკი. განიხილეთ, როგორ ჩატარდება სამუშაოს ხარისხისა და საველე სამუშაოების კონტროლი, აგრეთვე, ესაუბრეთ სხვა ადმინისტრაციულ პროცედურებზე.

ნებისმიერი კითხვის წამოჭრის დროს ინტერვიუერები უნდა დაუკავშირდნენ თავიანთ სუპერვაიზერს. სუპერვაიზერმა უნდა შეამოწმოს საველე სამუშაოების პირველ დღეებში ჩატარებული ინტერვიუები.

ჩანაწერი ვიზიტების შესახებ. იგი უნდა შეივსოს თითოეულ რესპონდენტთან ჩატარებული ყოველი ვიზიტის შესახებ. მასში უნდა შევიდეს ყველა მონაცემი და ინფორმაცია რესპონდენტთან კონტაქტის, ინტერვიუს ჩატარებლობის მიზეზის, შემდგომი შეხვედრის დროისა და ადგილის შესახებ.

ამ ბლანკს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი:

- გეაძლევს ინფორმაციას და ინტერვიუერს აღარ სჭირდება მისი მუხსიერებაში აღდგენა;

- ეხმარება ინტერვიუერს, დაინახოს რა გაკეთდა და რა ზომების მიღება არის საჭირო მომავალში;

- თუ საქმე სხვა ინტერვიუერს გადაეცემა დასამთავრებლად, მას აქვს სრული ინფორმაცია;

- სუპერვაიზერებს ესაჭიროებათ ეს ინფორმაცია, რათა ანგარიშში შეიტანონ მონაცემები იმ რესპონდენტების შესახებ, ვინც არ იყო სახლში, ვისი ადგილსამყოფელის დადგენაც ვერ მოხერხდა ან ვინც საბოლოოდ უარი განაცხადა ინტერვიუზე;

- ხშირად ეს ჩანაწერები გამოიყენება კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავებისას, რომ დადგინდეს, დღის რა დროს არის ოპტიმალური რესპონდენტებთან მისვლა, რამდენი მცდელობაა საჭირო რესპონდენტთან ინტერვიუს ჩასატარებლად და სხვ.

გაავარჯიშეთ მსმენელები ამ ბლანკის შევსებაში. ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ გრაფები უნდა შეივსოს ყოველი ვიზიტის შემდეგ. ყველა სვეტი ბლანკში შევსებული უნდა იყოს. არ უნდა გამოგრჩეთ დრო, დღის მონაკვეთი, იმ პირის სახელი, ვისაც დაეკონტაქტეთ და შენიშვნები.

მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც უნდა გახსოვდეთ

გრაფები გარკვევით უნდა იყოს შევსებული და ყოველთვის საკითხს შეეხებოდეს; შენიშვნები ფაქტებზე უნდა იყოს დამყარებული; ბლანკი ყოველთვის შესაბამის კითხვართან ერთად შეინახეთ.

ინტერვიუერებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ მიერ ჩატარებული ანკეტების გარკვეული რაოდენობა ადგილზე შემოწმდება. ამგვარი

შემოწმების მიზანია დადგინდეს, ნამდვილად ჩატარდა თუ არა ინტერვიუ და რამდენად სწორად და პროფესიულად შეიქსო ანკეტა. ამგვარი კონტროლის დროს რესპონდენტებს ან ტელეფონით უკავშირდებიან. ან პირადად მიდიან მათთან. რესპონდენტს თხოვენ, განმარტოს. რა მეთოდით მოხდა მასთან დაკონტაქტება, მოწმდება, აგრეთვე, ხომ არ არის გამორჩენილი რომელიმე საკვანძო შეკითხვა და რომ კვლევის პროცედურა ინსტრუქციის შესაბამისად წარიმართა. საველე სამუშაოების კონტროლის დროს უნდა შემოწმდეს ჩატარებული ინტერვიუების დაახლოებით 10-20%.

საბოლოო საცდელმა ინტერვიუმ თავი უნდა მოუყაროს ყველა ნაწილს, რესპონდენტთან მისვლით დაწყებული, ვიზიტების ბლანკის შევსების, ინტერვიუს ჩატარებისა და კითხვარის გასწორების ჩათვლით. მსმენელები რესპონდენტების როლს ასრულებენ. სათითაოდ ყოველი მსმენელი გამოდის ინტერვიუერის როლში. ინტერვიუს დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მინიშნებების ტექნიკის გამოყენებასა და დასაქმების შესახებ შეკითხვების ბლოკს.

მსმენელებს მიეცით რჩევა-დარიგებები, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ პრობლემურ შემთხვევებს. როდესაც ისინი ვერ მოახერხებენ ინტერვიუს ჩატარებას შერჩეულ სახლში (ოჯახში). პასუხის გაუცემლობის შემთხვევები მკაფიოდ უნდა იყოს დაფიქსირებული.

რესპონდენტი სახლში არ არის. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია რამდენჯერმე განმეორებით მისვლა. ვიზიტები დღის განსხვავებულ მონაკვეთებში და განსხვავებულ დღეებში უნდა მოხდეს.

დროებითი უარი. რესპონდენტთან, რომელიც უარს გეუბნებათ ინტერვიუს ჩატარებაზე, რამდენჯერმე უნდა მიბრუნდეთ და სხვადასხვა გზით ეცადოთ მის დარწმუნებას. პირველი ვიზიტის დროს შეიძლება იმგვარი ფაქტორები გაჩნდეს, რომელიც შემდგომ აღარ შეიცვლება. ეცადეთ რესპონდენტს სხვადასხვაგვარად მიუდგეთ და დაარწმუნოთ კვლევისა და მასში მონაწილეობის მნიშვნელობაში.

რესპონდენტის დასარწმუნებელი რამდენიმე მეთოდი:

- კარგად აუხსენით მდგომარეობა;
- შესთავაზეთ ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურება;
- კვლევის ორგანიზატორებმა შეიძლება დასარწმუნებელი წერილი გააგზავნონ;
- გამოიყენეთ შერეული მეთოდი – თუ თავდაპირველი კონტაქტი ტელეფონით მოხდა, შემდგომ პირადად მიდით რესპონდენტთან და, პირიქით;
- ხშირად შეიძლება ამგვარ რესპონდენტთან სხვა ინტერვიუერი გაუშვათ, რომელიც წარმატებით ახერხებს რესპონდენტებისათვის აზრის შეცვლას.

შერჩევა¹

შერჩევა არის სოციალური კვლევის პროცედურა, რაც გულისხმობს გარკვეული ჯგუფიდან კვლევის უშუალო ობიექტის ერთეულების გამოყოფას. შერჩევის დიზაინი/შემუშავება მოიცავს როგორც თვით შერჩევის პროცესს, იმ წესებს და ოპერაციებს, რომლებითაც პოპულაციის ზოგიერთი წევრი გამოეყოფა საერთო ერთობლიობას და ხდება შერჩევის ერთეული, ასევე შეფასების პროცესს, როდესაც ხორციელდება შერჩევის სტატისტიკის და შედეგების ანალიზი და კომპიუტერული დამუშავება. ამასთან, თვით კვლევის დიზაინი მოიცავს სხვა ელემენტებსაც, ისეთებს, როგორიცაა კვლევის ერთეულების/ცვლადების დადგენა, დაკვირვების მეთოდები (გაზომვა), ანალიზის მეთოდები, კვლევის შედეგების გამოყენება (პრაქტიკული შედეგი).

შერჩევა დამოკიდებულია კვლევის ამოცანაზე, საგანზე და პიპოთეზაზე. მისი დიზაინი უშუალოდ გამომდინარეობს კვლევის საერთო მიზნებიდან. ამავე დროს, თვით შერჩევის პრობლემები, ხშირად, გავლენას ახდენენ კვლევის ამოცანების ჩამოყალიბებაზე. ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ კვლევის საბოლოო დიზაინის ჩამოყალიბებამდე, შედგეს კვლევის ამოცანებისა და შერჩევის შესაძლებლობების ურთიერთშეთანადება.

გენერალური ერთობლიობა, ანუ კვლევის პოპულაცია ეწოდება ყველა იმ ჯგუფის წევრებს, რომლებსაც კვლევის ობიექტი მოიცავს.

შერჩევითი ერთობლიობა არის ამ დიდი ჯგუფის ნაწილი, რომელიც უშუალოდ გამოკვლევის მონაწილე გახდა.

შერჩევითი ერთობლიობის ძირითადი თვისება/მახასიათებელი არის რეპრეზენტატულობა – შერჩევის უნარი, ასახოს გენერალური ერთობლიობის სტრუქტურა და თვისებები, მისი პროპორციული შემადგენლობა – პროპორციულად წარმოდგენილი ამა თუ იმ

¹ Быборка, Sampling

მახასიათებლის ან თვისების განაწილება. რეპრეზენტატულობის ხარისხი დამოკიდებულია შერჩევითი ერთობლიობის ზომაზე, შერჩევის პრინციპსა და რეალიზაციაზე.

კვლევების ყველა ტიპი შეიძლება პირობითად ორ დიდ ჯგუფად დაიყოს:

ა) კვლევები, რომელთა პოპულაცია ემთხვევა უშუალო კვლევის ჯგუფს - სრული დაფარვის კვლევები. მათი მაგალითია მოსახლეობის აღწერა, რეფერენდუმი და ა.შ.

ბ) შერჩევა, როდესაც მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდების საშუალებით კვლევის უშუალო საგანი ხდება არა მთელი გენერალური ერთობლიობა, არამედ გარკვეული ჯგუფი, რომელსაც გააჩნია გენერალური ერთობლიობისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა და მახასიათებლები.

კვლევის პოპულაციის/გენერალური ერთობლიობის მაგალითი: საქართველოს ყველა მოქალაქე, თბილისის ყველა გარკვეული ასაკის გოგონა, ბორჯომის წყლის ყველა მოყვარული, თეატრის ყველა თაყვანისმცემელი, სკოლის ყველა მოსწავლე. შერჩევითი ერთობლიობის მაგალითი: სკოლის ყველა კლასიდან რამდენიმე წარმომადგენლის ერთობლიობა.

თვით გენერალური ერთობლიობა/კვლევის პოპულაცია განისაზღვრება მასში შემავალი ელემენტების ერთობლიობით. ის უნდა განისაზღვროდეს შემდეგი ძირითადი ფაქტორებით: ა) შემადგენლობა, ბ) ერთეულები, გ) საზღვრები/ზომა და დ) დრო. მაგალითად, რომელიმე კვლევისთვის ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს, განვსაზღვროთ: ა) ყველა პიროვნება, ბ) ოჯახებში, გ) საქართველოს ტერიტორიაზე, დ) კვლევისათვის საინტერესო პერიოდში. ხშირად საჭიროა, პოპულაცია განისაზღვროს დამატებით. მაგალითად: ა) გარკვეული ასაკის ყველა პირი, ბ) მრავალშვილიან ოჯახებში გ) საქართველოს დასავლეთ რეგიონში.

პოპულაციის ელემენტები წარმოადგენენ როგორც ინფორმაციის

მატარებელ ერთეულებს, ასევე ანალიზის ერთეულებს. პოპულაციის ელემენტების მახასიათებლები კვლევის საზომი ოპერაციების მეშვეობით გარდაიქმნება ცვლადებად.

კვლევის რეალური პოპულაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კვლევით განსაზღვრული პოპულაციისაგან. ეს შეიძლება სხვადასხვა მიზეზის გამო მოხდეს. ძირითადად, ამის მიზეზია კითხვაზე პასუხის არ მიღება და ის, რომ პოპულაციის ზოგიერთი ელემენტი არ ხვდება კვლევაში. ამიტომ, ნებისმიერ კვლევას, რომელიც მოიცავს პოპულაციის 100 პროცენტს, შეიძლება ეწოდოს შერჩევა შემდეგი მოსაზრებებიდან გამომდინარე: კვლევის შეცდომების გამო, კვლევის შედეგები არის მხოლოდ ვარიაცია იმისა, რაც შეიძლება მიიღონ იმავე კვლევითი ოპერაციებით. მეორე, კონკრეტული პოპულაცია კაცობრიობის ნაწილია და შეიძლება განისაზღვროს დროის, ადგილმდებარეობის და სხვა განზომილებებით.

კვლევის უზუსტო ან არამართებული შედეგები გამოწვეულია კვლევის პროცესში დაშვებული ორი ძირითადი სახის შეცდომით: თვით შერჩევის ცდომილებებზე, რომელიც დამოკიდებულია შერჩევითი ერთობლიობის ზომასა და სტრუქტურაზე და არაშერჩევით ცდომილებებზე, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია გაზომვის შეცდომები. გაზომვის ერთეულების და გაზომვის შეცდომების ანალიზის თემა საკმაოდ ფართოა.

შერჩევის ერთეულები მოიცავს ელემენტებს და ისინი გამოიყენება შერჩევაში ელემენტების განსასაზღვრავად. ერთსაფეხურიან შერჩევებში თითოეული ერთეული შეესაბამება/შეიცავს მხოლოდ ერთ ელემენტს. კლასტერული შერჩევის დროს, შერჩევის ერთეული, რომელსაც უწოდებენ კლასტერს, შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე ელემენტს. მრავალსაფეხურიანი შერჩევის დროს გამოიყენება შერჩევის ერთეულების ან კლასტერების იერარქია, როდესაც ყოველ ეტაპზე თითოეული ელემენტი მიეკუთვნება ერთ განსაზღვრულ შერჩევის ერთეულს. მაგალითად, ქვეყნის მოქალაქეების შერჩევა შეიძლება თანმიმდევრულად: რეგიონების, ქალაქების, რაიონების, კორპუსების, ოჯახების და, საბოლოოდ, ინდივიდების მიხედვით. პოპულაცია არის შერჩევის ელემენტების ერთობლიობა. ხშირად, შერჩევის

გასაადვილებლად, პოპულაციას ყოფენ დიდ სოციალურ ჯგუფებად – სტრატებად.

რეგისტრაციული ერთეულები იხმარება სიიდან შერჩევის ერთეულების განსაზღვრისთვის და გამოყოფისთვის. მაგალითად, მისამართების ან ტელეფონების სიები.

დაკვირვების ერთეულები არის ერთეულები, რომლებიც დამკვირვებლისთვის ინფორმაციის უშუალო მიმწოდებლებია. ინტერვიუზე აგებულ კვლევებში მათ რესპონდენტები ეწოდება. ამ შემთხვევაში ელემენტები და ერთეულები შეიძლება ემთხვეოდნენ ან არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს (მაგალითად, კვლევის დროს სკოლის მოსწავლე პასუხობს კითხვაზე საკუთარი ან სხვა მოსწავლეების სახელით).

შერჩევის მოდელების სახეები:

1. შემთხვევითი შერჩევები, სხვადასხვა სფეროში მრავალი კვლევის საფუძველია. შერჩევის ელემენტები ქაოტურად ამოირჩევა დიდი მასივიდან და ამ დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს დაუგეგმავ, წინასწარ სელექციას – ზოგიერთმა რესპონდენტმა შეიძლება სურვილი გამოთქვას კვლევაში მონაწილეობაზე.
2. ექსპერტთა შერჩევა და ექსპერტთა რჩევით ჩატარებული შერჩევა წარმოადგენს მიზნობრივი შერჩევის ფორმას. ხშირად, რეალურად არსებული პოპულაციის ნაცვლად მეცნიერები ქმნიან წარმოსახვით პოპულაციას.
3. შერჩევა კვოტებით – მიზნობრივი შერჩევის ფორმა, გამოიყენება შეფასებების, საბაზრო ან მსგავს კვლევებში. ამ დროს შერჩევის ზომას ხშირად წინასწარ განსაზღვრავს დამკვეთი.
4. მობილური პოპულაციის შერჩევა. ამ ტიპის შერჩევის სიძნელეების გადასალახად, რომელიც დაკავშირებულია პოპულაციის მუდმივი ადგილმდებარეობის დადგენის სიძნელესთან, ხშირად ათელის წერტილად იღებენ გარკვეულ, წინასწარ დადგენილ პირობას და შემდეგ ახდენენ მასთან შედარებას.

მიუხედავად იმისა, რომ მოტანილი ტიპები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ისინი დიდად არიან დამოკიდებული იმ საერთო

თეორიულ მოსაზრებაზე, თუ როგორ არის გავრცელებული ესა თუ ის მახასიათებელი მოცემულ პოპულაციაში.

შერჩევის სახეები: არსებობს შერჩევის ალბათური და არაალბათური სახეები.

ალბათური შერჩევისას პოპულაციის ყველა ელემენტს აქვს თანაბარი შანსი მოხედეს შერჩევაში. ასეთი შერჩევის დროს, პოპულაციის თითოეულ ელემენტს შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის გარკვეული შესაძლებლობა აქვს. ამ შესაძლებლობის უზრუნველყოფა მექანიკური ოპერაციების მეშვეობით ხდება.

არაალბათური შერჩევისას პოპულაციის ელემენტებს შერჩევაში მოხვედრის სხვადასხვა შესაძლებლობა აქვთ.

მაქსიმალური შემთხვევითობის მისაღწევად გამოიყენება შემთხვევითი შერჩევის მეთოდი. იგი გულისხმობს მთელი პოპულაციის სიის შედგენას (მას ეწოდება შერჩევის ჩარჩო) და შემდეგ ამ სიიდან პოპულაციის ელემენტების ამორჩევას. თუმცა, განსხვავება გენერალურ ერთობლიობას, ანუ პოპულაციასა და შერჩევით ერთობლიობას შორის მაინც იქნება თვით შერჩევის პროცედურის გამო, რომელსაც ხშირად შერჩევის შეცდომას, ანუ სტანდარტულ შეცდომას უწოდებენ.

ალბათური შერჩევის ტიპები:

არსებობს ალბათური შერჩევის ოთხი ძირითადი ტიპი. მათი რეალიზაცია დამოკიდებულია კვლევის პრობლემაზე, შერჩევის ჩარჩოს ხელმისაწვდომობაზე, კვლევისთვის გამოყოფილ ფულად სახსრებზე, სიზუსტის სასურველ ხარისხსა და მონაცემთა შეგროვების მეთოდებზე.

მარტივი შემთხვევითი შერჩევა (5 ეტაპი): 1. სრული შერჩევის ჩარჩოს მიღება; 2. თითოეული ელემენტისთვის ნომრის მინიჭება; 3. შერჩევის სიდიდეზე გადაწყვეტილების მიღება; 4. შემთხვევითი რიცხვთა ცხრილში შესაბამისი რაოდენობის რიცხვების ამორჩევა; 5. შემთხვევით ამორჩეული რიცხვების შესაბამისი ელემენტების

ამორჩევა;

სისტემატური შერჩევა უფრო მარტივია, ვიდრე წინა ტიპი. პოპულაციის ზომა იყოფა შერჩევითი ერთობლიობის ზომაზე, შემდეგ შერჩევის ჩარჩოდან შეირჩევა ელემენტები მოცემული/ მიღებული პერიოდულობით. მხოლოდ საწყისი ელემენტი ამორჩევა შემთხვევითი გზით. ეს მეთოდი უფრო მარტივია, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ პერიოდულობის მაჩვენებელი შეიძლება ემთხვეოდეს შერჩევის ჩარჩოს ორგანიზაციას და მიღებული შერჩევითი ერთობლიობა არაპროპორციულად წარმოადგენდეს გენერალურ ერთობლიობას/პოპულაციას.

სტრატეგიციკრებული შერჩევა – პირველი ორი ტიპის უფრო რთული მოდიფიკაცია, თუმცა უფრო კარგი შედეგით – ის ამცირებს შერჩევის ცდომილებას. სტრატეგიციკრებული შერჩევის ძირითადი ამოცანა არის სტრატეგიციკრებადი ცვლადის (ან ცვლადების) დადგენა. ეს არის ის მახასიათებელი, რომელიც უზრუნველყოფს რეპრეზენტატულობას. დადგენილი ცვლადის საფუძველზე შერჩევის ჩარჩო იყოფა სტრატებად და შემდეგ გამოიყენება სისტემატური შერჩევა ამ სტრატებში ინდივიდების პროპორციული წარმოდგენისათვის. სტრატეგიკაცია შეიძლება საკმაოდ რთული და ზოგჯერ რამდენიმე ეტაპიანი იყოს.

მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის მეთოდი მოიცავს რამდენიმე შერჩევის ჩატარებას შერჩევის საბოლოო მოდელის დადგენის მიზნით. საწყისი ეტაპი არის რეგიონებად დაყოფა (უფრო დიდი რეგიონიდან შეირჩევა შედარებით მცირე, შემდეგ კიდევ უფრო მცირე).

შერჩევითი ერთობლიობის ზომა დამოკიდებულია ორ ძირითად ფაქტორზე: რა ხარისხის სიზუსტე გეჭირდება და რა ვარიაციით არის წარმოდგენილი ჩვენთვის საინტერესო მახასიათებელი მოცემულ პოპულაციაში. მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც წინასწარ უნდა განისაზღვროს, არის უზუსტობის ხარისხი (შეცდომის ზომა).

ხრილი 1. შერჩევის ცლომილებისა და შერჩევის ზომის დამოკიდებულება

შერჩევის ცლომილება % ^{ა-ში}	შერჩევის ზომა	შერჩევის ცლომილება % ^{ა-ში}	შერჩევის ზომა
1	10000	5.5	330
1	4500	6	277
2	2500	6.5	237
2.5	1600	7	204
3	1100	7.5	178
3.5	816	8	156
4	625	8.5	138
4.5	494	9	123
5	400	9.5	110
		10	100

95% სიზუსტით

ნიშვნელოვანია განისაზღვროს შერჩევის პროპორციული ზომ. ენერალურ ერთობლიობასთან, მისი პომოგენურობა, ხარჯები და პროცენტული უზუსტობის შეფარდება (მრავალ კვლევის ორგანიზაციას მიაჩნია ოპტიმალურად 2 000 კაცის გამოკითხვა) ხრილი 2. შერჩევის ცლომილების დამოკიდებულება პოპულაციის ომასთან. კონკრეტული მახასიათებელი სავარაუდო ანაწილებასთან მიმართებაში გარკვეული პასუხის მიღების % შეფარდება

მისაღები ცლომილება	5/95	10/90	20/80	30/70	40/60	50/50
1%	1900	3600	6400	8400	9600	10000
2%	479	900	1600	2100	2400	2500
3%	211	400	711	933	1066	1100
4%	76	225	400	525	600	625
5%	.	144	256	336	370	400
6%	.	100	178	233	267	277
7%	.	73	131	171	192	204
8%	.	.	100	131	150	156
9%	.	.	79	104	117	123
10%	.	.	.	84	96	100

95% სიზუსტით

მიღებული შედეგების უზუსტობა და არალერექტულობა დამოკიდებულია ასევე სხვა პრობლემებთან: პასუხის არ გაცემა, მიუწვდომლობა, რესპონდენტებთან კონტაქტის პრობლემები – მიზეზი იმისა, რომ რეალური შერჩევითი ერთობლიობა ხშირად არ მოიცავს ყველა განსაზღვრულ ელემენტს. ჩვენ შეგვიძლია გავზარდოთ შერჩევითი ერთობლიობის სიდიდე, ვთქვათ, 20%, მაგრამ ეს ყოველთვის არ იქნება საკმარისი, თუ გვექნება შემთხვევა, რომ გარკვეული ჯგუფის წარმომადგენლები არ პასუხობენ, ან გარკვეულ კითხვებზე არ პასუხობენ.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის შემდეგ, საჭიროა ჩატარდეს თვით შერჩევის მეორადი ანალიზი. ამ დროს მახასიათებლების განაწილება შერჩევით ერთობლიობაში სხვა კვლევების შედეგად ან სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას შეიძლება შედარდეს; შეიძლება ასევე ჩატარდეს იმავე ოპერაციული მეთოდებით და იმავე საფუძველზე შექმნილი სხვა შერჩევითი ერთობლიობის გამოკვლევა ან ინფორმაციის შეგროვება ჩაატაროს სხვა პირებმა და შედეგები ერთმანეთს შევუდაროთ. ამიტომ ნებისმიერი გამოკითხვა ან კვლევა, რომელიც დაკავშირებულია შერჩევითი ერთობლიობის შექმნასთან, ჩვეულებრივ, გულისხმობს საცდელი კვლევის, ანუ პილოტაჟური კვლევის ჩატარებას.

არაალბათური შერჩევა:

არაალბათური შერჩევა გამოიყენება ძირითადად იმ შემთხვევებში, როდესაც შერჩევის ჩარჩოს მიღება შეუძლებელია ან კვლევის პოპულაცია განლაგებულია ისეთ დიდი სივრცეზე, რომ კლასტერული გამოკვლევის ჩატარება არაპრაქტიკული ხდება. არაალბათური შერჩევა გამოიყენება კვლევის ტექნიკის მოსინჯვისას, კვლევის პირველად, საცდელ ფაზაში. ასევე შესაძლებელია ამ ტექნიკის გამოყენება ისეთ კვლევებში, სადაც რეპრეზენტატულობას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება.

არსებობს არაალბათური შერჩევის რამდენიმე ძირითადი სახე, მაგალითად, მიზნობრივი და ქვოტური შერჩევა.

მიზნობრივი შერჩევისას არჩეული ერთეულები თავიდანვე მიჩნეულია, როგორც ტიპური ნიშან-თვისებების მატარებლები. ასეთი შერჩევები ხშირად გამოიყენება პოლიტიკური პარტიების ან მათი ცალკეული ჯგუფების შესწავლისას.

ქვოტებით შერჩევისას ინტერვიუებმა უნდა გამოკითხონ განსაზღვრული რაოდენობის გარკვეული მახასიათებლებით გამორჩეული რესპონდენტები. ქვოტების დადგენის მექანიზმი ეყრდნობა საბოლოო შერჩევის რეპრეზენტატიულობას.

არაალბათური ტიპის შერჩევები გაცილებით უფრო იაფი და ადვილად ჩასატარებელია ალბათური ტიპის შერჩევასთან შედარებით.

შერჩევა მთელი კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებისთვის.

ლიტერატურა:

1. Рабочая книга социолога, М., 1983.
2. Методы сбора информации в социальных исследованиях, М., 1990.
3. Г. А. Погосян, Метод интервью и достоверность социологической информации, Ереван, 1985
4. D.A. de Vaus, Surveys in Social Research, 1990.
5. Leslie Kish, Survey Sampling, John Wiley & Sons, Inc., New-York - London - Sydney, 1990.

სოციომეტრია როგორც თეორია და
როგორც კვლევის მეთოდი
(სოციომეტრული გამოკითხვა)

სოციომეტრია, უპირველეს ყოვლისა, არის მცირე სოციალურ ჯგუფებში არსებული ურთიერთდამოკიდებულების სტრუქტურის რაოდენობრივი გაზომვისა და ანალიზის მეთოდი. ამავე დროს იგი თეორიაცაა, რომელიც განაზოგადებს სოციომეტრული გამოკვლევების შედეგად მიღებულ მონაცემებს და სოციალური რეალობის გარკვეულ გაგებას გვაძლევს. სოციომეტრიის ფუძემდებელია ავსტრიული წარმოშობის ამერიკელი სოციალური ფსიქოლოგი და ფსიქიატრი ჯ. ლ. მორენო. სოციომეტრიას – მორენოს აზრით – აქვს სამი ამოსავალი პუნქტი: socius (კომპანიონი ანუ ამხანაგი), metrum (გაზომვა) და drama (მოქმედება). ამის შესაბამისად ჩამოყალიბდა კვლევის სამი სფერო: ჯგუფური, მეტრული და მოქმედებითი გამოკვლევები. მორენო ხაზს უსვამს ინდივიდთა ჯგუფურ და მოქმედებით გამოკვლევებს შორის კავშირს და აღიარებს გაზომვის ორ ტიპს: რაოდენობრივს და „ლოკომეტრიულს“.

სოციომეტრია, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, ნიშნავს – ყველა სოციალურ ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა ყოველგვარ გაზომვას. ამიტომ მას საქმე აქვს სოციალურ ჯგუფთა შინაგან სტრუქტურასთან, უპირველეს ყოვლისა, იგი შეისწავლის გარკვეული ჯგუფის შიგნით სხვადასხვა ინდივიდს შორის სიმპათია-ანტიპათიის შედეგად წარმოქმნილ რთულ ფორმებს. სოციომეტრიის მიმდევართა აზრით შეუძლებელია სოციალური მთელის ზუსტი სურათის მოცემა ისე, თუ არ გამოვიყენებთ სოციომეტრიის მეთოდებს. აქ წინა პლანზე წამოიწევა მათემატიკური მეთოდები. „მოსახლეობის ფსიქოლოგიური თვისებების მათემატიკური შესწავლა ექსპერიმენტალური ტექნიკა, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებით მიღებული შედეგები – მორენოს აზრით – იწოდება კიდევ სოციომეტრიად (3,39).

სოციომეტრიის ამოსავალი ცნებებია: „ტელე“, „სოციალური ატომი“, „ემოციური ექსპანსიურობა“ და „ფსიქოსოციალური ქსელი“. დავახასიათოთ თითოეული მათგანი. მორენოს აზრით, „ტელე“ ეს

არის გრძნობა, რომელიც ერთი ინდივიდიდან მიმართულია მეორეზე, იგი არის გრძნობის უმარტივესი ნაწილაკი, რომლის პროექტირებაც ხდება სივრცეში. ისევე როგორც ჩვენ დღეს ვიყენებთ ტერმინებს: „ტელერეცეპტორი“, „ტელეპათია“, „ტელეფონი“, „ტელევიზია“ და ა. შ., რათა აღვნიშნოთ მოქმედება მანძილზე, ისე იყენებს მორენო და მისი მიმდევრები ტერმინს „ტელეს“ ერთი ინდივიდიდან მეორეზე გადაცემული გრძნობის უმცირესი ნაწილაკის აღსანიშნავად. „ტელე“ ორი: პროექტირებული (გამომავალი) და რეტროექტირებული (უკუმომავალი) ნაწილაკისაგან შედგება. „ტელეს“ კონცეფცია სოციომეტრისტთა ღრმა რწმენით არ არის მხოლოდ თეორიული კონსტრუქცია. იგი თვით სოციომეტრული გამოკვლევების მიერაა ნაკარნახევი, რამეთუ ინდივიდებს შორის სიმპათია-ანტიპათიის, მისწრაფება-ზიზღის სტატისტიკურ განაწილებაზე გავლენას ახდენს რაღაც ეზოთერული ფაქტორი. სწორედ ესაა „ტელე“, რომელიც აიძულებს ინდივიდებს შექმნან დადებითი ან უარყოფითი ურთიერთობების, წყვილების, სამკუთხედების, ოთხკუთხედების, მრავალკუთხედების და ა. შ. დიდი რაოდენობა. „სოციალური ჯგუფის ერთიანობა და დარაზმულობა დამოკიდებულია სწორედ „ტელეზე“ (3,41).

სოციალური ატომი — ესაა ყველაზე მცირე ცოცხალი სოციალური ერთეული, რომლის შემდგომი დანაწევრება — დანაწილება შეუძლებელია. სხვაგვარად, „სოციალური მატერიის უმცირესი ცოცხალი ერთეული ესაა — სოციალური ატომი“ (იქვე). არა ინდივიდი, არამედ სოციალური ატომი არის ყველაზე უმცირესი სოციალური ერთეული. იგი მოიცავს საკუთრივ ინდივიდსა და იმ ადამიანებს — ახლობელსა თუ შორებელს — რომლებთანაც იგი მოცემულ მომენტში ემოციურ კავშირშია. ესაა კონფიგურაცია, რომელიც მოქმედებს როგორც ერთი ერთეული. სოციალურ ატომში შედიან არა ის ადამიანები, რომლებთანაც ინდივიდი ოფიციალურად დაკავშირებულია, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებთანაც იგი დაკავშირებულია ემოციური ურთიერთობებით. სოციალური ატომი არის ინდივიდისაგან გამომავალი ან მისკენ მიმავალი სიმპათიებისა და ანტიპათიების შარავანდელის მსგავსი რამ. სოციალური ატომი დროდადრო იცვლის თავის შემადგენლობას, მაგრამ, მორენოს აზრით, მისი სტრუქტურა ისევე მეტ-ნაკლებად მყარია, როგორც მყარია ადამიანის ჩონჩხის სტრუქტურა. ინ-

დივიდი დაბადების მომენტიდანვე ფლობს უკვე მის ირგვლივ წარმოქმნილ დამოკიდებულებათა სტრუქტურას: დედა, მამა, ბები და ა. შ. ინდივიდის ზრდის კვალობაზე სოციალური ატომის მოცულობა თანდათანობით ფართოვდება. სწორედ რომ სოციალურ ატომში მიმდინარეობს ადამიანთა ცხოვრება ყველაზე კონკრეტულად. სოციალური ატომის ემოციური ეკონომიკა – მორენოს აზრით – მოქმედებს არაცნობიერი პოსტულატიის თანახმად – შეინარჩუნოს სოციალურ ატომთა წონასწორობა. ესაა მოვლენა, რომელსაც იგი „სოციოსტაზისს“ უწოდებს. ამგვარად, მუდამ არსებობს კონტაქტთა განსაზღვრული დონე, რომელიც საკმაოდ მყარი და მუდმივი რჩება. სხვაგვარად ემოციურ გაცვლათა სიხშირე ისწრაფვის წონასწორობისაკენ. აი, რატომაა შესაძლებელი გავზომოთ ინდივიდებში ის, რასაც მორენომ „ემოციური ექსპანსიურობა“ უწოდა.

ემოციური ექსპანსიურობაც ტელემოვლენაა. ჩვენ ადვილად შევიძლია დავაკვირდეთ „ერთ ინდივიდს (მაგ. აღმზრდელს) ძალუძს მიიპყროს უფრო მეტ ინდივიდთა (აღსაზრდელთა) ყურადღება, ვიდრე მეორეს (აღმზრდელს); ხოლო ზოგიერთი ინდივიდი (აღმზრდელი) უფრო ადრე იღლება, ვიდრე სხვები. რამდენიმე ტესტირების შემდეგ ჩვენ უკვე ძალგვიძს გავანაწილოთ ინდივიდები (მაგ. აღმზრდელები) მათი ემოციური ექსპანსიურობის მიხედვით“ (3,42).

ფსიქო-სოციალური ქსელი. ეს არის „მეტ-ნაკლებად მუდმივი სტრუქტურები, რომლებიც ინდივიდებსა და სოციალურ ატომებს აკავშირებენ ფართო ქსელებად“ (იქვე). მორენოს აზრით, ინდივიდები ჯგუფებიდან და ქმნიან მრავალ სხვადასხვა კონფიგურაციის ფსიქო-სოციალურ ქსელებს, კოლექტივები კი, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ, იკვრებიან სპეციფიკურ ემოციურ ნაკადთა მეშვეობით. ამ ნაკადთა რუკა ისეთივე სიზუსტით შეიძლება აიგოს, როგორც მოცემული რაიონის ფიზიკური გეოგრაფია. ისეთი ეთნოლოგიური ცნებების, როგორებიცაა კლასი, რასა საპირისპიროდ, სოციალურ ატომთა სისტემა, ფსიქო-სოციალური ქსელები და მრავალი მისი მსგავსი სტრუქტურები ნამდვილად არსებობენ ადამიანური საზოგადოების დინამიკურ ნაწილთა სახით. ინდივიდები შეიძლება მიეკუთვნებოდნენ ორ ან მეტ ფსიქო-

სოციალურ ქსელს. მართალია, ჯგუფის ან კოლექტივის შემადგენელი ინდივიდები შეიძლება პირადად არც კი იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ დაკავშირებულნი იყვნენ „ტელე“ – კავშირთა ფარული ჯაჭვით. ფსიქო-სოციალური ქსელის არსებობის ყველაზე კარგი დადასტურებაა ხმების გავრცელების მექანიზმი. მორენომ შეამჩნია, რომ „ხმები“ (ჭორები) არარეგულარულად ვრცელდებიან, უფრო ადრე აღწევენ კოლექტივის ერთ ნაწილს, ვიდრე მეორეს. მან ასევე შეამჩნია, რომ ინდივიდები, რომლებიც არ იცნობდნენ ერთმანეთს ან მიეკუთვნებოდნენ კოლექტივის სხვადასხვა დაჯგუფებას, ან სულ სხვა კოლექტივებსაც კი, მოქმედებდნენ ისე ერთგვაროდ და იმდენად ერთდროულად, რომ იფიქრებდით თითქოსდა აქ მოქმედებს რაღაც საიდუმლო კავშირი. აღმოჩნდა, რომ ინდივიდები როგორი დაშორებულნიც არ უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად თუ სოციალურად, მიუხედავად ამ დაშორებისა, ისინი დაკავშირებულნი არიან საერთო „ტელეს“ – ურთიერთმიზიდულობისა და განზიდულობის – რგოლებითა და კონტრრგოლებით. აღმოჩნდა, რომ სწორედ „ტელეს“ მეშვეობით ქმნიან ინდივიდებით მოხერხებულ არხებს ახალი ამბების, ხმების, ჭორების და ა. შ. გადასაცემად. ნებისმიერი ჯგუფი თუ კოლექტივი იყოფა რამდენიმე ურთიერთგადამკვეთ ფსიქო-სოციალურ ქსელად. ესაა სტრუქტურა, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს ინდივიდებსა და სოციალურ ატომებს ერთმანეთთან.

სოციომეტრიის არსის გასაგებად ასევე მნიშვნელოვანია „სოციალური სიკვდილის“ კატეგორია. ადამიანის დაბერებასთან ერთად სულ უფრო ძნელდება მისი სოციალური ატომის შემადგენელ წევრთა შეცვლა, რომლებიც სერიოზულ როლს ასრულებდნენ მის ცხოვრებაში. ესაა „სოციალური სიკვდილი“ არა სხეულის თვალსაზრისით, არა ინდივიდუალური ფსიქიკის აზრით, სიკვდილი არა შიგნიდან, არამედ გარედან. სამოცი წლის ასაკში ადამიანი შეიძლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული თორმეტი ან თხუთმეტი ინდივიდთან – სხვადასხვა ასაკის მამაკაცებთან და ქალებთან, რომლებიც წარმოადგენენ განსხვავებულ ინტერესებს, როლებსა და კონტრრგოლებს. სოციალური სიკვდილი გაცილებით ადრე იჩენს თავს, ვიდრე ინდივიდის ფიზიკური თუ სოციალური კვლევა დაიწყებოდა, ვინაიდან ამა თუ იმ ინდივიდის სოცი-

ალური ატომის დაშლა შეიძლება მრავალმა მიზეზმა გამოიწვიოს: ა) სიყვარულის დაკარგვამ; ბ) ერთი ინდივიდის მეორე ნაკლებ შესაფერისი ინდივიდით შეცვლამ, გ) სიკვდილმა. ინდივიდუალური წევრის სიკვდილი მუდმივი დანაკარგია, ხოლო მის მიერ გამოწვეული შოკი იშვიათად აღიქმება მთელი მნიშვნელობით.

ჩვენი სოციალური ატომის შემადგენელ ინდივიდთა კვლომასთან და დაკარგვასთან ერთად ჩვენც ნელ-ნელა ვკვდებით. დაკარგულ ინდივიდთა შემცვლელი პირები ვერასდროს სრულად ვერ გვინაზღაურებენ დანაკარგს, თვით შეცვლის ფაქტი გარკვეული დანაკარგია უკვე. ამიტომ – მორენოს სწორი შენიშვნით – ბავშვობიდანვე ჩვენი სოციალური ატომის ქსელის მეშვეობით ვგრძნობ სიკვდილის მნიშვნელობას დიდი ხნით ადრე, ვიდრე ფიზიკური და გონებრივი დაცემისა თუ დაბერების ნიშნები გამოგვაჩნდება. ნორმალური არსებობის მიზნით, ადამიანი უნდა ცდილობდეს თავი დაიზღვიოს ნაადრევი სიბერისა თუ სიკვდილისაგან, რომელსაც ხელს უწყობს „სოციალური სიკვდილი“. მოხუცებმა უნდა იპოვონ ახალი მეგობრები ან ვინმე, ვინც მათ შეყვარებას შეძლებს. პირველ რიგში ისინი უნდა შეეცადონ საკუთარი სოციალური ატომის გაახალგაზრდავებას. სოციალური ატომის დარღვევის სიმპტომთაგან განკურნება ყველაზე კარგად სოციომეტრულ მეთოდებს, განსაკუთრებით ფსიქოდრამას და სოციოდრამას ძალუძს. იდეა, რომ სიყვარული და სპონტანურობა მხოლოდ ახალგაზრდობას ახასიათებს – მორენოს აზრით – მოძველებულია. სიკვდილი სიცოცხლის ფუნქციაა და იგი სოციალურ რეალობას წარმოადგენს. ერთი ადამიანის სიკვდილი დაკავშირებულია მრავალი სხვა ადამიანის სიკვდილთან. ადამიანები, რომელთა სიკვდილსაც თქვენ განიცდით და რომელი ადამიანებიც თქვენს საკუთარ სიკვდილს განიცდიან, ქმნიან იმ უკანასკნელ სოციალურ ატომს, რომელიც თქვენ გრჩებათ. ჩვენ მუდმივად გარშემორტყმული ვართ ადამიანებთან, რომლებთან ერთად ჩვენც ვკვდებით. ფიზიკური სიკვდილი კი – მორენოს აზრით – ესაა რაღაც ნეგატიური რამ, რომელსაც განვიცდით არა ჩვენ, არამედ ის, ვინც არის ჩვენი სოციალური ატომის შემადგენელი წევრი თუ ნაწილი. სოციალური სიკვდილი კი პოზიტიური ძალაა. სიკვდილი, დაბადების მსგავსად, ინდივიდში

იმყოფება. სოციალური სიკვდილი იწყება სოციალურ ატომში არსებული ჩანასახებიდან. ესაა ის პირველი ადამიანები, რომელთა სიკვდილსაც ჩვენ ვაკვირდებით და განვიცდით, ასევე ის პატარა თუ დიდი სტრესები, რომლებშიც ყოველივე ამის შედეგად აღმოვჩნდებით ხოლმე. ამგვარად, რაც უფრო მეტი რამ გვეცოდინება ინდივიდის სოციალურ ატომში მიმდინარე პროცესებზე, მით უფრო შეგვეძლება ამ დარღვევების აღმოფხვრის საშუალებების გამოგონება.

საზოგადოების სამი ბანს(ომი)ღეა:

ბარებანი საზოგადოება, ს(ო)ცი(ო)მიტრული მატრიცა და ს(ო)ციალური რეალობა

სოციალური სამყაროს სამ ტენდენციად ან განზომილებად - გარეგან საზოგადოებად, სოციომეტრულ მატრიცად და სოციალურ რეალობად - დაყოფას, მორენოს აზრით, დიდი ევრისტიკული მნიშვნელობა აქვს.

გარეგანია საზოგადოება, რომელიც მოიცავს ყველა იმ გრძობად, ხილულ, დიდსა თუ მცირე, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დაჯგუფებას, რომლებისგანაც საზოგადოება შედგება.

სოციომეტრულ მატრიცაში იგულისხმება მიკროსკოპიული თვალთდაუნახავი, ყველა სოციომეტრული სტრუქტურა, რომლებიც თვალსაჩინო და აშკარა ხდებიან მხოლოდ სოციომეტრული ანალიზის შედეგად.

სოციალური რეალობა კი ეს არის პირველი ორის დინამიკური სინთეზი და ინტერპრეტაცია.

სოციომეტრიის აქსიომად ითვლება დებულება იმის თაობაზე, რომ ოფიციალური (გარეგანი) საზოგადოება და სოციომეტრული (შინაგანი) მატრიცა იგივეობრივნი არ არიან. პირველი გრძობადია და გრძობების მეშვეობით ხილვადი, იგი მაკროსკოპიულია, მეორე კი უხილავია და ამდენად მიკროსკოპიული. ამ დაყოფის სულისკვეთებით ყველა სოციალური დაჯგუფება, რომელიც ფორმალისებული და კოლექტივიზებულია არმიისა და

ეკლესიის მსგავსად, ისე ყველა შემთხვევითი და გარდამავალი ქუჩაში ადამიანთა თავყრილობის მსგავსად, მიეკუთვნება უკიდურეს შემთხვევაში, სანამ მათი აღქმა შეუიარაღებელი თვალთშესადილებელია, გარეგან საზოგადოებას. ამიტომ გარეგანი საზოგადოების სტრუქტურის აღწერას მორენო შედარებით იოლ რაიმედ თვლის. იგი შედგება დაკვირვებადი, თვალთშესამჩნევი ჯგუფებისაგან, აგრეთვე, კანონით აღიარებული თუ აკრძალული ჯგუფებისაგან, ასევე ყველა ნეიტრალური ჯგუფისაგან, რომლებიც ნებადართულნი კი არიან, მაგრამ არაკლასიფიცირებულნი და არაორგანიზებულნი. კანონიერ ჯგუფთა სურათის მიღების უმოკლესი გზა სახელმძღვანელოდ მოცემული საზოგადოების ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) და საერთოდ მმართველ კანონთა მთელი სისტემის გამოყენება. ხოლო არაკანონიერ ჯგუფთა სურათის მისაღებად ეფექტური საშუალებაა შავი სამყაროს გამოხლოების ანალიზი.

კანონიერი ჯგუფების მაგალითებია: ოჯახი, კოოპერატიული გაერთიანებანი, სკოლა, არმია, ეკლესია. არაოფიციალური და არაკანონიერი ჯგუფების მაგალითებია: ორი ადამიანის შემთხვევითი შეხვედრა, ბრბო, მასა, დანაშაულებრივი ორგანიზაციები. მორენოს ყველაზე ძნელად სოციომეტრული მატრიცის სტრუქტურის დანახვა მიაჩნია, ვინაიდან მისი აღმოჩენისათვის აუცილებელია სპეციალური ხერხები და წესები, რომელთაც მხოლოდ სოციომეტრია იმუშავებს. რამდენადაც მატრიცა ასახავს მუდმივ დინამიურ ცვლილებებს, ამდენად კვლევის წესები და მეთოდები უნდა გამოვიყენოთ რეგულარული ინტერვალების დაცვით, რათა შეგვეძლოს კვლავ ახლად წარმოშობილი სოციალური თანავარსკვლავედის განსაზღვრა. სოციომეტრული მატრიცა შედგება სხვადასხვა თანავარსკვლავედისაგან, ტელესაგან, ატომებისაგან, ზეატომების ანუ მოლეკულებისაგან (ერთად გაერთიანებული რამდენიმე ატომი), „სოციოიდისაგან“, რომელიც შეიძლება განესაზღვროთ როგორც ატომთა კონა, რომლის ატომებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან პიროვნებათაშორისი ჯაჭვით ანუ ქსელით. სოციოიდი, მორენოს აზრით, ესაა სოციალური ჯგუფის გარეგანი სტრუქტურის სოციომეტრული შესატყვისობა. იგი იშვიათად არის იმის იგივეობრივი, რაც გარედან ჩანს სოციალურ ჯგუფში, რამეთუ მისი სოციალურ ატომთა და

ჯაჭვთა ნაწილი შეიძლება სხვა სოციოიდებზეც ვრცელდებოდეს.

სხვა თანაერსკვლავედები, რომლებიც შეიძლება დაკვირვებულ იქნეს სოციომეტრულ მატრიცაში, არის ფსიქო-სოციალური ქსელები. გარდა ამისა, მორენო მიუთითებს დიდ სოციოლინამიკურ კატეგორიებზეც, რომელთა მობილიზებაც ხდება პოლიტიკური და რევოლუციური საქმიანობის დროს. მორენოს აზრით, ისინი შეიძლება განისაზღვროს როგორც სოციალურ კლასთა სოციომეტრული სტრუქტურა ანუ „კლასოიდები“. თავად სოციალური რეალობა კი - ესაა სოციომეტრული მატრიცის გარეგან საზოგადოებასთან დინამიკური გადახლართვა და ურთიერთქმედება. სოციომეტრული მატრიცა ისევე არ არსებობს თავისთავად, როგორც გარეგანი საზოგადოება. ეს უკანასკნელი, აღნიშნავს მორენო, მუდმივად განიცდის მის საფუძველში მდებარე სტრუქტურის გავლენას. ამგვარად, საზოგადოების გარეგანი რეალობა და სოციომეტრული მატრიცის შინაგანი რეალობა შეადგენენ სოციალურ რეალობას როგორც ისტორიულად მზარდ დინამიკურ სოციალურ დაჯგუფებებს, რომლებიც წარმოადგენენ კიდევ რეალურ სოციალურ სამყაროს. თუ ვიცით ოფიციალური საზოგადოების და სოციომეტრული მატრიცის სტრუქტურა, მაშინ ადვილად აღმოვაჩენთ იმ ფრაგმენტებსა და ნაწილაკებს, რომლებიც ამ ორი განზომილებიდან შედიან სოციალური რეალობის კომპრომისულ ფორმებში. რაც უფრო დიდია კონტრასტი ოფიციალურ საზოგადოებასა და სოციომეტრულ მატრიცას შორის, მით უფრო ინტენსიურია მათ შორის სოციალური კონფლიქტი და დაძაბულობა. ამგვარად, დაასკვნის მორენო, სოციალური კონფლიქტი და დაძაბულობა იზრდება ოფიციალურ საზოგადოებასა და სოციომეტრულ მატრიცას შორის სოციოლინამიკური განსხვავებების პირდაპირპროპორციულად. სოციალური კონფლიქტების და დაძაბულობათა განმუხტვის უპირველესი საშუალებაა ოფიციალურ საზოგადოებასა და სოციომეტრულ მატრიცას შორის არსებული განსხვავებების დაძლევა და შესაბამისობაში მოყვანა. ეს კი, მორენოს აზრით, მხოლოდ სოციომეტრული გამოკვლევების საფუძველზეა შესაძლებელი. ამის შესაბამისად, მორენო სოციომეტრისტიის მუშაობაში გამოყოფს რამდენიმე მიდგომას:

1. კვლევითი პროცედურა, რომელიც შეისწავლის ჯგუფის ორგა-

ნიზაციას.

2. დიაგნოსტიკური პროცედურა, რომელიც კლასიფიკაციას უკეთებს ინდივიდთა ადგილებს ჯგუფში და ჯგუფის მიერ დაკავებულ ადგილს კოლექტივში.

3. თერაპიული და პოლიტიკური პროცედურა, რომლის მიზანია დაეხმაროს ინდივიდებს ან ჯგუფებს უკეთესად შეეწყონ კოლექტივის, და ბოლოს,

4. სრული სოციომეტრული პროცედურა, რომელიც ამ სტადიათა სინთეზია, გაერთიანებული ერთ ოპერაციად, რომელშიც ერთი პროცედურა დამოკიდებულია მეორეზე.

სოციომეტრული გამოკვლევებისათვის აუცილებელი და ყველაზე დამახასიათებელია ინდივიდთა და ჯგუფთა ურთიერთობების შესწავლა *in situ*, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, იგი იკვლევს ინდივიდებს იმ ადგილზე და იმ სიტუაციაში, სადაც ისინი ფაქტობრივად ცხოვრობენ, მოქმედებენ და მუშაობენ. თავიანთი არსებობის ბუნებრივ ატმოსფეროში, ე. ი. იმ ადგილზე, სადაც ინდივიდი ფიქრობს, გრძნობს და მოქმედებს ბუნებრივად, სპონტანურად და გარკვეული დოზით შემოქმედებითად. სოციომეტრია გვასწავლის, რომ ადამიანური საზოგადოება – ჩვენი ცნობიერების წარმოდგენა კი არ არის, არამედ სოციალური რეალობაა, რომელიც კანონებს ექვემდებარება და ისეთი წესრიგი აქვს, რომელიც განსხვავდება სამყაროს დანარჩენ ნაწილთა სხვა კანონებისა და წესრიგისაგან. შესაბამისად იგი „იყენებს მის მიერვე შემუშავებულ სოციომეტრულ მეთოდებს, რომელთა დახმარებითაც შეიძლება ადეკვატურად განვსაზღვროთ და გამოვიკვლიოთ ეს სფერო“ (3,72).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციომეტრული გამოკვლევების მიზანია ჯგუფის შინაგანი სტრუქტურის დადგენა, რომელიც ძალიან იშვიათად თუ შეიძლება შევამჩნიოთ სოციალური ურთიერთქმედების ზედაპირზე, და როდესაც ასეთი რამ მოხდება, მაინც არავის ძალუძს დარწმუნდეს იმაში, რომ ზედაპირზე ამოტივტივებული სტრუქტურა არის სიღრმისეული სტრუქტურის ზუსტი ანარეკლი. ისეთი პირობების შექმნისათვის კი, როდესაც „ხილვადი გახდება სიღრმისეული სტრუქტურები მოქმედებაში, აუცილებელია ჯგუფის „ორგანიზმები“ ჯგუფის აქტიო-

რებად იქცნენ. რამდენადაც სოციალური ურთიერთობების თვით ყველაზე გულმოდგინედ დამუშავებული სქემები შეიძლება აქტიორებისათვის არასრულყოფილი (ნაკლოვანი), უსაზრისო და გამოუსადეგარიც კი აღმოჩნდნენ, სოციომეტრიის მეთოდებით აღჭურვილ მკვლევარს არ უნდა გაუჭირდეს აქტიორები ამოქმედონ ისე, თითქოს ეს მათი რეალური ცხოვრება იყოს. ნამდვილ სოციომეტრისტს უნდა შეეძლოს ჩაერთოს სოციალური ცხოვრების მოძრაობაში და მოქმედების ადგილზე იქცეს ისეთივე აქტიორად, როგორც სხვებია და თავისი მოქმედებით გაზარდოს სხვათა მოქნილობა და პროდუქტიულობა, ასევე ხელი შეუწყოს აქტიორთა მიერ რეალობის აღქმის მოცულობის გაზარდას. სოციომეტრული მეთოდების გამოყენებით სავსებით შესაძლებელია ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ჯგუფის წევრებმა ბუნებრივად ითანამშრომლონ და შექმნან რაიმე ერთობლივად თვით ექსპერიმენტის პირობებშიც კი. სოციომეტრიის მიერ შემუშავებული ასეთი მეთოდებიდან უმთავრესი და უძირითადესია: სოციალური ექსპერიმენტი *in situ* და სოციოდრამა *in situ*. ორივე არის სოციალური მოქმედების დინამიკური ფორმა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ობიექტურად აღვწეროთ და განვსაზღვროთ სოციალური პროცესები იმ მოქმედების ტერმინებით, რომელ მოქმედებასაც მიმართავენ აქტიორები საერთო მიზნების მისაღებად.

ამგვარად, სოციომეტრული მეთოდები ესაა კვლევის სუბიექტურ და ობიექტურ მეთოდთა სინთეზი. სოციომეტრულ ექსპერიმენტს *in situ* ძალუძს მიაღწიოს:

- ა) ინდივიდუალურ მონაწილეთა ავტონომიურობას,
- ბ) მათ მიერ ერთმანეთის დაკვირვებებისა და შეფასებების ავტონომიურობას,
- გ) მათი ქცევის სუბიექტურ და ობიექტურ მხარეთა გაზომვას.
- დ) ჯგუფთა შორის ურთიერთქმედების ავტონომიურობას.

იგივე შეიძლება ვთქვათ სოციოდრამაზეც – ესაა კვლევის სუბიექტურ და ობიექტურ მეთოდთა სინთეზი:

- ა) მისი მონაწილეები არა თუ გამოხატავენ თავიანთ საკუთარ გამოცდილებებს ვერბალურად და მოქმედებით, არამედ
- ბ) ხდება მათი გამოთქმებისა თუ მოქმედებების დაკვირვება და

შეფასება სხვების მიერ,

გ) აგრეთვე, წარმოებს დადგმის სუბიექტურ და ობიექტურ ფაზათა ჩაწერა.

სოციომეტრული ექსპერიმენტის ძირითადი მიზანია ძველი სოციალური წესრიგი ახალი სოციალური წესრიგით შეცვალოს. ფაქტობრივად იგი იძლევა სოციალური ჯგუფის გარდაქმნის პროექტს. თუ ეს გარდაქმნა აუცილებელია, მაშინ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ოფიციალური ანუ გარეგანი სტრუქტურა რაც შეიძლება მეტად შეესაბამებოდეს ჯგუფის შინაგან ანუ სიღრმისეულ სტრუქტურას. ამიტომ სოციომეტრული ტესტი მის დინამიკურ ფორმაში – სოციომეტრული გამოკითხვისას – კვლევის რეკოლუციური ფორმაა. იგი ჯგუფს შიგნიდან ანგრევს და ასევე ანგრევს მის დამოკიდებულებებს სხვა ჯგუფებისადმი, რათა ისეთ ურთიერთობებს მიაღწიოს ჯგუფის შიგნით და ჯგუფთა შორის, რომ ინდივიდებმა ადამიანურად, სტაბილურად, ჰარმონიულად, ურთიერთსიყვარულით და ურთიერთსიმპათიით იცხოვრონ. გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სოციომეტრია მთელი თავისი კვლევითი არსენალით იწვევს სოციალურ რეკოლუციებს მიკროსკოპიული მასშტაბით, თანაც ისე, რომ მას არ მოჰყვება ნგრევა და კატასტროფები, პირიქით, მორენოს ღრმა რწმენით, მას ადამიანთა გაბედნიერება ძალუძს.

ახლა, როდესაც ჩვენ უკვე ზოგადად ვიცით სოციომეტრიის არსი და მიზან-მიმართულება, შეგვიძლია სოციომეტრული კვლევის მეთოდთა და პროცედურათა უშუალო დახასიათებაზე გადავიდეთ. ჩვენი აზრით, მეთოდი, რომელიც ყველაზე რელიეფურად გამოთქვამს სოციომეტრიის არსს და ყველაზე ობიექტურად იკვლევს ჯგუფის სიღრმისეულ სოციალურ სტრუქტურებს, არის სოციომეტრული გამოკითხვის მეთოდი.

სოციომეტრული გამოკითხვა

სანამ უშუალოდ სოციომეტრული გამოკითხვის პროცედურის დახასიათებას დავიწყებთ, უპრიანია მოკლედ დავახასიათოთ თვით ჯ. მორენოს მიერ შემუშავებული ის სპეციალური მოთხოვნები, რომლებიც წაყენება სოციომეტრულ ტესტირებას. მორენომ შემოგვთავაზა ექვსი წესი, რომლის დაცვაც აუცილებელია მკვლე-

ერის მიერ ტესტირების პროცესში:

1. ჯგუფის საზღვრები, რომლებშიც ტარდება ტესტირება, ნათლად უნდა იყოს აღნიშნული;
2. ჯგუფის წევრებმა უნდა გააკეთონ შეუზღუდავი არჩევანი, ე. ი. არჩევანთა რაოდენობა არ უნდა იყოს შეზღუდული;
3. ჯგუფის წევრთა გამოკითხვა მათი არჩევნების გამოვლენის მიზნით უნდა მოხდეს განსაზღვრული კრიტერიუმის ტერმინებში;
4. სოციომეტრული ტესტის შედეგები საბოლოოდ უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რათა შევძლოთ ჯგუფის რეკონსტრუირება;
5. ჯგუფის წევრთა მიერ გაკეთებული ყველა არჩევანი დამოუკიდებელი უნდა იყოს;
6. კითხვები იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ ერთნაირად გასაგები იყოს ჯგუფის ყველა წევრისათვის.

როგორც აღნიშნავენ პრაქტიკოსი სოციომეტრისტები, დღეს რეალურად ექვსივე წესის დაცვა მისი ტრადიციული ფორმით შეუძლებელია. განსაკუთრებით ეს ეხება მეორე და მეოთხე წესებს. (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილე 2,147). დღეს შეუძლებელია გამოკითხვის მონაწილეებმა შეუზღუდავი არჩევნები გააკეთონ. ასევე ძნელია, ჯგუფის რეკონსტრუირებაც, ვინაიდან ამის საშუალებას არ იძლევა ჯგუფის რეალური ფორმალური სტრუქტურის სიმკაცრე და, გარდა ამისა, ძნელია ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმების მოპოვება, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ჯგუფის ნამდვილი სტრუქტურის მიღება. რაც შეეხება ჯგუფის სიდიდეს, სოციომეტრული გამოკითხვები კარგ შედეგებს იძლევა მცირე ჯგუფების (12-15 ადამიანი) ტესტირებისას. თუმცა დღევანდელი გამოთვლითი ტექნიკისა და გაუმჯობესებული კვლევის მეთოდების საშუალებით ასევე წარმატებით შეიძლება გამოვიკვლიოთ უფრო დიდი ჯგუფები და თვით ამ ჯგუფებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობები.

სოციომეტრული ტესტის საიმედოობას ხელს უწყობს მორენოსა და მისი მიმდევრების მიერ შემუშავებული ისეთი წესების დაცვა, როგორებიცაა:

- ა) კრიტერიუმები ჯგუფისათვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ე. ი.

მათთვის რეალური ღირებულება და საზრისი უნდა ჰქონდეთ.
ბ) ჯგუფს ასევე უნდა გააჩნდეს ერთობლივი მოქმედება – საქმიანობის რაღაც გამოცდილება. ამ წესების ცოდნასა და მათ დაცვას შეუძლია უზრუნველყოს სოციომეტრული გამოკითხვის ობიექტურობა და წარმატება. ახლა გადავიდეთ

პიროვნებათაშორის დამოკიდებულებების
ბაზომვის პროცედურის დახასიათების შესახებ

სოციომეტრულ გაზომვათა პროცედურა ჩვეულებრივ მოიცავს ოთხ ეტაპს:

1. არჩევანთა ვარიანტის განსაზღვრა (სოციომეტრული შეზღუდვის სიდიდეები).
2. ჯგუფის წევრთა გამოკითხვის ყველაზე ეფექტურ კრიტერიუმთა შერჩევა.
3. სოციომეტრული გამოკითხვის ორგანიზაცია და ჩატარება.
4. მიღებულ მონაცემთა ინტერპრეტაცია გრაფიკულ და რაოდენობრივ მეთოდთა დახმარებით. გავაანალიზოთ თითოეული მათგანი.

1. შეუზღუდავ და შეზღუდულ არჩევანთა პრობლემა. პირველი პრობლემა, რომელიც დგება მკვლევრის წინაშე, არის არჩევანთა (შეზღუდული თუ შეუზღუდავი) იმ ვარიანტის განსაზღვრა, რომლის შეთავაზებაც მას სურს რესპონდენტებისათვის. ჯგუფში, პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებების კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, შეიძლება შევიმუშაოთ სოციომეტრული ტესტის რამდენიმე სახესხვაობა; თითოეული მათგანი განსაზღვრული იქნება არჩევანთა იმ ვარიანტით, რომელსაც მკვლევარი იღებს ტესტის საფუძვლად. გამოყოფენ არჩევანთა სამ ვარიანტს:

1. შეუზღუდავი არჩევანი, რომლის დროსაც მკვლევარს შეუძლია მოითხოვოს ჯგუფის შემადგენელი თითოეული წევრისაგან - გააკეთოს სხვა ინდივიდთა იმდენი არჩევანი, რამდენიც მას მოესურვება ისე, რომ არ დააკონკრეტოს მოთხოვნილ არჩევანთა რაოდენობა. ესაა ვარიანტი, როდესაც მკვლევარი სრულ თავისუფლებას აძლევს რესპონდენტს, გამოხატოს თავისი დამოკი-

დებულება ჯგუფის სხვა წევრებთან.

2. სრული შეზღუდული არჩევანი, რომლის დროსაც მკვლევარი თითოეული რესპონდენტისაგან მოითხოვს, განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება ჯგუფის თითოეულ წევრთან.

3. მკაცრად შეზღუდული არჩევანი, რომლის დროსაც მკვლევარი თითოეული რესპონდენტისაგან მოითხოვს - გააკეთოს არჩევანთა სავსებით გარკვეული რაოდენობა.

შეუზღუდავი არჩევანის დროს რესპონდენტი სპონტანურად გამოხატავს თავის დამოკიდებულებებს ჯგუფის სხვა წევრებთან, რაც საშუალებას იძლევა ზუსტად და სრულად გაეზომოთ ჯგუფის თითოეული წევრის ემოციური ექსპანსიურობა. ეს ვარიანტი ყველაზე უპრიანია გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც მიზნად გვაქვს დასახული გამოვავლინოთ ჯგუფში იზოლირებულთა რაოდენობა და ამით გაეზომოთ მისი ინტეგრაციის ხარისხი. არჩევანთა რაოდენობა, რომელსაც აკეთებს ესა თუ ის ინდივიდი - რესპონდენტი, პირდაპირ მიმართებაშია თვით ინდივიდის ფსიქოლოგიური ექსპანსიურობის ხარისხთან, ე. ი. უშუალოდ მასზეა დამოკიდებული. ამიტომ, ბუნებრივია, სხვადასხვა ინდივიდს არჩევანთა რაოდენობაც განსხვავებული ჰქონდეთ.

შეზღუდული არჩევანისას მკვლევარი თვითონ უთითებს არჩევანთა იმ რაოდენობას, რომელიც უნდა გააკეთოს თითოეულმა ინდივიდმა. მკვლევრის მიერ დადგენილ სოციომეტრულ არჩევანთა სიდიდეს უწოდებენ სოციომეტრულ შეზღუდვას ანუ სოციომეტრულ არჩევანის ლიმიტს. მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ „სოციომეტრული შეზღუდვის“ შემოტანა მნიშვნელოვნად ამაღლებს სოციომეტრულ მონაცემთა საიმედოობას და აადვილებს მასალის დამუშავებას სოციომეტრულ გამოკვლევათა პრაქტიკაში. ყველაზე უფრო მიღებულია მკაცრად შეზღუდული არჩევანის ვარიანტი, რომელშიც სოციომეტრული შეზღუდვის სიდიდეა 4 ან 5. მაგ., 25 წევრისაგან შემდგარ ჯგუფში თითოეულ წევრს სთავაზობენ აირჩიონ მხოლოდ 4 ან 5 ადამიანი. სოციომეტრული შეზღუდვა აიძულებს რესპონდენტებს უფრო ყურადღებით მოეპყრონ თავიანთ პასუხებს, აირჩიონ მხოლოდ ის

წევრები, რომლებიც ნამდვილად შეესატყვისებიან პარტნიორის, ლიდერის ან ამხანაგის შემოთავაზებულ როლებს. „არჩევანთა ლიმიტი“ მნიშვნელოვნად ამცირებს შემთხვევით არჩევანთა ალბათობას.

შეზღუდულ არჩევანთა ვარიანტის მთავარ ნაკლად ითვლება ის, რომ იგი გარკვეულ შემთხვევებში ხელს უშლის ზოგიერთ რესპონდენტს - გამოხატოს მისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ემოციები. არჩევანთა ლიმიტის დროს ძალიან ხშირად ხდება ის, რომ ჯგუფის ზოგიერთ წევრთა აქტიური ემოციურობა იზღუდება და გასაქანს ვერ პოულობს, რამეთუ ინდივიდი, რომელსაც ნათლად გამოხატული ფსიქოლოგიური ექსპანსიურობა ახასიათებს, იძულებულია ხელოვნურად შეზღუდოს თავისი არჩევნები იმ ლიმიტით, რომელსაც მკვლევარი ადგენს. მაგრამ მხოლოდ ამ ლიმიტს შეუძლია განსხვავებული რაოდენობის ჯგუფებში არჩევანთა გარეგანი პირობების სტანდარტიზირება. ამისათვის კი აუცილებელია სოციომეტრული შეზღუდვის სიდიდის განსაზღვრა ყველა ჯგუფისათვის ერთნაირი შემთხვევით არჩევანთა ალბათობის მიხედვით. ასეთი ალბათობის გამოთვლის ფორმულა თავის დროზე შემოგვთავაზეს ჯ. მორენომ და ე. ჯენინგსმა:

$$p(A) = \frac{d}{N-1}$$

სადაც $p(A)$ - არის შემთხვევითი არჩევანის ალბათობა;

N - არის ჯგუფის წევრთა რაოდენობა;

$N-1$ - არის არჩევანთა შესაძლებელი რაოდენობა, რომლის გაკეთებაც ძალუძს ინდივიდს.

d - არის სოციომეტრული შეზღუდვა.

თუ შეზღუდული არჩევანის ვარიანტი გამოიყენება სოციომეტრულ გამოკვლევებში, რომლის ობიექტი რამდენიმე ჯგუფია, მაშინ სხვადასხვა ჯგუფში გაზომვათა პირობების სტანდარტიზაცია მიიღწევა არჩევანთა ინვარიანტული ზომის შემოტანით, რომლის ალბათობაც 0,20-0,30-ის ტოლია. სოციომეტრისტთა აზრით, ეს სიდიდე მიუთითებს გაზომვათა წმინდად შემთხვევითი შედეგის ალბათობაზე. ამ ფორმულით შეგვიძლია გამოვითვალოთ სოციომეტრული შეზღუდვის საჭირო სიდიდე სხვადასხვა რაოდენობრივი შემადგენლობის ჯგუფებისათვის:

$$d = p(A) \cdot (N-1).$$

თუ წინასწარ მოცემულია $p(A)$ სიდიდე 0,14-0,25 ფარგლებში, მაშინ სხვადასხვა რაოდენობრივი შედეგნილობის ჯგუფებისათვის არჩევანთა რიცხვის განსაზღვრა შეგვიძლია საგანგებო ცხრილის გამოყენებით:

N ჯგუფის წევრთა რაოდენობა	სოციომეტრული შეზღუდვა d	შემთხვევითი არჩევანის ალბათობა P(A)
5-7	1	0,20-0,14
8-11	2	0,25-0,18
12-16	3	0,25-0,19
17-21	4	0,23-0,19
22-26	5	0,22-0,19
27-31	6	0,22-0,19
32-36	7	0,21-0,19

როდესაც ვიხილავთ არჩევანის ვარიანტების პრობლემას, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა ტესტირებისას: სასურველია დავიცვათ არჩევნებში უპირატესობათა რიგი. მაგალითად, ინდივიდს მოეთხოვება გააკეთოს სამი არჩევანი. თუ იგი ამ მოთხოვნას შეასრულებს, მაშინ იგი ჯგუფის მის მიერ არჩეულ წევრებს განალაგებს გარკვეული რიგით შესაბამის ადგილებზე – 1,2,3, რომელთაგან თითოეული იქნება მისი უპირატესობების ხასიათის გამომთქმელი. ამ მოთხოვნის დაცვა გვაძლევს კარგ საშუალებას დავაფიქსიროთ არა მარტო რომელიმე განსაზღვრულ არჩევანთა უბრალოდ არსებობის ფაქტი, არამედ მათი ინტენსიურობის ხარისხიც, რაც, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათი იერარქიაც. უპირატესობათა წესრიგის დაცვა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ როგორც ჯგუფის შიგნით ურთიერთდამოკიდებულებათა ტიპების, ისე ინდივიდთა სოციომეტრულ სტატუსთა უფრო ღრმა და ფაქიზი ანალიზი.

2. *სოციომეტრულ არჩევანთა კრიტერიუმები.* ამ კრიტერიუმებით მიღებულია აღნიშნონ ის სახე სოციალური საქმიანობისა, რომლის შესრულებისთვის ინდივიდმა უნდა აირჩიოს ან უარყოს ჯგუფის ერთი ან რამდენიმე წევრი. კრიტერიუმი ფორმულირდ-

ბა სოციომეტრული ანკეტის განსაზღვრული კითხვის სახით, რომელიც თითქოსდა აპროექტებს ინდივიდთა ურთიერთდამოკიდებულებების სიტუაციას. შინაარსის მიხედვით განასხვავებენ ფორმალურ (ოფიციალურ) და არაფორმალურ (არაოფიციალურ) კრიტერიუმებს. ფორმალურ კრიტერიუმს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ინდივიდი ირჩევს პარტნიორს ჯგუფური საქმიანობის რომელიმე ფორმალური ამოცანის გადასაწყვეტად. მაგ., ეს შეიძლება იყოს პარტნიორის არჩევა ამა თუ იმ სამსახურებრივი ოპერაციის შესასრულებლად. ასეთ შემთხვევაში ამა თუ იმ ინდივიდის არჩევა განისაზღვრება იმ ფუნქციური ღირებულებით, რომელიც მას გააჩნია ჯგუფის წევრთა ფორმალურ, საქმიან კავშირთა სისტემაში. არაფორმალური კრიტერიუმით ინდივიდი ირჩევს პარტნიორს ჯგუფის არაფორმალური ამოცანების გადასაწყვეტად; მაგალითად, ამხანაგის არჩევა თამაშისა თუ სამოგზაუროდ, ე. ი. თავისუფალი დროის გასატარებლად. ასეთ შემთხვევაში ამა თუ იმ ინდივიდის არჩევა განპირობებულია მისი წმინდად პიროვნული მახასიათებლებით.

ფორმის მიხედვით კი გაარჩევენ: ა) კომუნიკაციურ და ბ) გნოსტიკურ კრიტერიუმებს. კომუნიკაციური კრიტერიუმები ავლენენ ჯგუფში არსებულ რეალურ ურთიერთდამოკიდებულებებს, მაგ. „ვისთან ერთად გსურთ (ან არ გსურთ) იმუშაოთ მოცემული ოპერაციის შესრულებისას თქვენს ბრიგადაში?“ გნოსტიკური კრიტერიუმები ავლენენ თითოეული ინდივიდის მიერ ჯგუფის შიგნით ურთიერთდამოკიდებულებათა გაცნობიერების დონესა და ხარისხს. მაგ., „გამოიცანით ისინი, რომლებიც თქვენ აგირჩევდათ (ან არ აგირჩევდათ) პარტნიორად მოცემული ოპერაციის შესასრულებლად?“

ორიენტაციის მიხედვით განასხვავებენ: ცალმხრივ პოზიტიურ კრიტერიუმს („ვისთან ისურვებდით ახალი წლის ღამის გატარებას?“), ცალმხრივ ნეგატიურ კრიტერიუმს (ვისთან არ ისურვებდით ახალი წლის ღამის გატარებას?“); ორმხრივ კრიტერიუმს (ვისთან ისურვებდით ან არ ისურვებდით ახალი წლის ღამის გატარებას). ინდივიდისათვის მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით კრიტერიუმები იყოფიან სუსტ და ძლიერ კრიტერიუმებად. შრომითი საქმიანობის პროცესში ინდივიდთა შორის ურთიერთდამო-

კიდებულების დასადგენად უფრო ძლიერი ფორმალური კრიტერიუმია, ხოლო არაფორმალური სუსტია, რადგან შრომითი კოლექტივის წევრებისათვის მათი მნიშვნელობის ხარისხი, ამ კრიტერიუმებში მათი კოლექტიური საქმიანობის მთავარი აზრის ასახვის თვალსაზრისით, განსხვავებულია.

კარგი, საკმარისად ეფექტური კრიტერიუმების შერჩევის ზოგადი პრობლემა დაიყვანება სამ ურთიერთდაკავშირებულ ამოცანის გადაწყვეტაზე: ა) ყველაზე ადეკვატურ და მნიშვნელოვან კრიტერიუმთა შერჩევა; ბ) საჭირო კრიტერიუმების რაოდენობის განსაზღვრა; გ) გამოყენებულ კრიტერიუმთა ტიპობრივი ფორმების განსაზღვრა. სოციომეტრული გამოკითხვის კრიტერიუმთა შერჩევის პრობლემები მთელი პროცედურის არსებითი ნაწილია და დიდი მნიშვნელობა აქვს სოციომეტრული გაზომვების წარმატებული ჩატარებისათვის.

3. სოციომეტრული გამოკითხვის ორგანიზაცია და ჩატარება. ამ ორგანიზების უმთავრეს ამოცანას შეადგენს სოციომეტრული კითხვარის შედგენა. სანიმუშოდ შევადგინოთ და გავაანალიზოთ ასეთი სოციომეტრული კითხვარის ერთ-ერთი ვარიანტი. დაუშვათ ჩვენ გვინტერესებს ურთიერთდამოკიდებულებათა დონე და ხასიათი რომელიმე კოლექტივში. სოციომეტრული ტესტის საფუძველში შეიძლება შევიტანოთ შემდეგი კითხვარი:

1. თქვენი კოლექტივის (ჯგუფის) რომელ წევრთან ერთად ისურვებდით სამშენებლო რაზმში მუშაობას?

(დაასახელებთ მათი გვარები. მიუთითეთ ისეთი რაოდენობა, როგორც თქვენ გსურთ. განალაგეთ ისინი ისეთი თანმიმდევრობით, რომ ნომერი პირველი იყოს ის, ვისთანაც თქვენ ყველაზე მეტად გსურთ მუშაობა და ასე თანმიმდევრობით).

2. თქვენი კოლექტივის (ჯგუფის) რომელ წევრთან ერთად არ ისურვებდით სამშენებლო რაზმში მუშაობას?

(დაასახელებთ მათი გვარები. მიუთითეთ ისეთი რაოდენობა, როგორც თქვენ გსურთ. განალაგეთ ისინი ისეთი თანმიმდევრობით, რომ ნომერი პირველი იყოს ის, ვისთანაც თქვენ ყველაზე მეტად

არ გსურთ მუშაობა და ასე თანმიმდევრობით).

3. შეეცადეთ გამოიცნოთ თქვენი კოლექტივის ის წევრები, რომლებიც მოისურვებდნენ თქვენთან ერთად სამშენებლო რაზმში მუშაობას?(პასუხები შეიძლება გასცეთ შემდეგი ფორმით:

- ა) დაასახელეთ გვარები,
- ბ) „მე არავინ არ ამირჩევს“,
- გ) „არ ვიცი“).

4. შეეცადეთ გამოიცნოთ თქვენი კოლექტივის ის წევრები, რომლებიც არ მოისურვებდნენ თქვენთან ერთად სამშენებლო რაზმში მუშაობას? პასუხები შეიძლება გასცეთ შემდეგი ფორმით:

- ა) დაასახელეთ გვარები,
- ბ) „ასეთები არ არსებობენ“, „არ ვიცი“.

ეს სოციომეტრული ანკეტა შეიძლება სოციომეტრული ბარათების სახით გამოვსახოთ. მასში კოლექტივის თითოეულმა წევრმა უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება კოლექტივის სხვა, დანარჩენი წევრების მიმართ გარკვეული კრიტერიუმის შესაბამისად (მაგ. ერთობლივი მუშაობის, თავისუფალი დროის გატარების და ა. შ. თვალსაზრისით). კრიტერიუმების გამოყენებას განსაზღვრავს მიღებული კვლევის პროგრამა.

თუ არჩევანი შეუზღუდავია, მაშინ სოციომეტრულ ბარათში თითოეული კრიტერიუმის შემდეგ უნდა იყოს გამოყოფილი იმდენი გრაფა, რამდენიც საშუალებას მისცემს რესპონდენტს გასცეს სრული პასუხები. თუ არჩევანი შეზღუდულია, მაშინ თითოეული კრიტერიუმის მარჯვნივ ბარათში იხაზება იმდენი ვერტიკალური გრაფა, რამდენი არჩევანის უფლებასაც ჩვენ ვაძლევთ რესპონდენტს. გრაფიკულად ამგვარი ბარათი ასე შეიძლება გამოვსახოთ:

	ტიპი	კრიტერიუმები	არჩევნები							
			1	2	3	4	5	6	7	8
1	სა- მუ- შაო	ა) ვინ გასურთ აირჩიოთ თქვე- ნი კოლექტივის ხელმძღვანე- ლად? ბ) ვის არ ისურვებდით თქვენი კოლექტივის ხელმძღვანელად?								
2	თა- ვი- სუ- ფა- ლი დრო	ა) ვის მოიწვევდით ახალი წლის ღამის გასატარებლად და შესახვედრად? ბ) ვის არ მოიწვევდით ახალი წლის ღამის გასატარებლად და შესახვედრად?								

ამ სოციომეტრულ ბარათში ნათლად ჩანს მისი ლოგიკური სტრუქ-
ტურის ყველა აუცილებელი ელემენტი:

- 1) განისაზღვრება ტესტირებადი კოლექტივის (ჯგუფის) საზღვრები;
- 2) ვთავაზობთ სპონტანურ შეუზღუდავ არჩევანს;
- 3) მითითებულია არჩევნებისას უპირატესობათა რიგის დაცვაზე;
- 4) ვთავაზობთ არაფორმალური ტიპის ერთ კრიტერიუმს, რომე-
ლიც დანაწევრებულია ორ ცალმხრივ, დადებითად და უარყოფი-
თად ორიენტირებულ საკითხად, რომელიც ფორმულირებულია
როგორც კომუნიკაციური, ისე გნოსტიკური ფორმით.

სოციომეტრული კითხვარის (ბარათის) შემდეგ, მკვლევარს შე-
უძლია შეუდგეს ორგანიზაციული ამოცანების გადაწყვეტას,
უშუალო გამოკითხვის ჩატარებას ობიექტზე.

სოციომეტრული ტესტის მესამე პროცედურული ეტაპი მოი-
ცავს, თავის მხრივ, ორ საფეხურს:

- 1) ტესტირებადი კოლექტივის (ჯგუფის) ინსტრუქტაჟს;
- 2) საკუთრივ სოციომეტრულ გამოკითხვას.

სანამ შევუდგებოდეთ უშუალო გამოკითხვას, მკვლევარი ვალდებულია:

ა) კოლექტივის წევრებს აუხსნას – გააგებინოს, თუ რა მიზნით და რისთვის ტარდება სოციომეტრული გამოკითხვა;

ბ) ზაზი გაუსვას პასუხების გაცემისას დამოუკიდებლობის და საიდუმლოების დაცვის მნიშვნელობას;

გ) მისცეს პასუხთა საიდუმლოების დაცვის გარანტია;

დ) ზუსტად და ნათლად აჩვენოს პასუხთა ჩაწერის ტექნიკა.

4. *სოციომეტრული ტესტის მონაცემების ინტერპრეტაციის მეთოდები.* გამოკითხვის დასრულების შემდეგ მკვლევარი იწყებს სოციომეტრული ტესტირების მონაცემების დამუშავებას. დღეს არსებობს მონაცემთა დამუშავების მრავალი მეთოდი, რომლებიც შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: 1. გრაფიკული მეთოდები (სოციოგრამები) და 2. რაოდენობრივი მეთოდები (ინდექსები, სტატისტიკური ანალიზი, ფაქტორული ანალიზი). სანიმუშოდ განვიხილოთ სოციოგრამების და რაოდენობრივი ინდექსების ანალიზი.

1. *სოციოგრამა.* იგი არის კოლექტივში პიროვნებათა შორის ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების სტრუქტურის გრაფიკული გამოხატულება. იგი სქემატურად გამოხატავს რესპონდენტთა რეაქციებს ერთმანეთზე სოციომეტრულ კრიტერიუმებზე პასუხის გაცემის დროს. იგი კოლექტივის (ჯგუფის) თავისებური რუკაა, რომელზეც განსაზღვრული გრაფიკული სიმბოლოების მეშვეობით შეიტანება ამ კოლექტივის წევრთა მიერ ერთმანეთის მიმართ გაკეთებულ დადებით ან უარყოფით არჩევანთა აღნიშვნები. ჩვეულებრივ სოციოგრამის აგებისას იყენებენ შემდეგ გრაფიკულ სიმბოლოებს:

1. კოლექტივის (ჯგუფის) წევრებს შორის დამოკიდებულებათა ტიპების აღმნიშვნელი ნიშნები:

$A \longleftrightarrow B$ - ორმხრივი დადებითი არჩევანი

$A \longrightarrow B$ - ცალმხრივი პოზიტიური არჩევანი

$A \dashleftarrow B$ - ორმხრივი უარყოფითი არჩევანი

$A \dashrightarrow B$ - ცალმხრივი უარყოფითი არჩევანი

$A \dashleftrightarrow B$ - შეუთავსებელი არჩევანი (B უარყოფს A-ს, A ირჩევს B)

A

B - ორმხრივი გულგრილობა.

2. ტესტირების პროცესში სახეზე მყოფ, არ მყოფ წევრთა და მათი სქესის აღმნიშვნელი ნიშნები:


მამაკაცი - □

ქალი - ○

არ მყოფი - ∅


სოციომეტრული ტექნიკა შესაძლებლობას გვაძლევს ღრმად შევისწავლოთ და მაღალ დონეზე აღვწეროთ და თვალნათლივ წარმოვადგინოთ კოლექტივში (ჯგუფში) მიმდინარე პროცესები. სოციოგრამის ანალიზი იწყება ჯგუფის ცენტრალური, ყველაზე ავტორიტეტული და გავლენიანი წევრის გამოვლენით, შემდეგ ვავლენთ წყვილებსა და დაჯგუფებებს თვით ჯგუფის შიგნით. დაჯგუფებები შედგება ურთიერთდაკავშირებული პირებისაგან, რომლებიც ესწრაფვიან ერთმანეთის არჩევას. სოციომეტრულ გამოკვლევებში ყველაზე ხშირად გვხვდება დაჯგუფებები, რომლებიც შედგებიან 2 ან 3 წევრისაგან, უფრო იშვიათად გვხვდება 4 ან მეტი წევრი. ამ ტიპის სოციოგრამას ექნება შემდეგი გრაფიკული სახე:

ნახ. 1.



მოცემული გრაფიკული სქემა საკმაოდ რთულია, ამიტომ სიადვილის მიზნით განვიხილოთ უფრო მარტივი სოციოგრამა, რომელსაც ექნება დაახლოებით ასეთი სახე:

ნახ. 2.



ამ ტიპის სოციოგრამის ინტერპრეტაცია გვეუბნება, რომ:

1. წყვილ-წყვილად აღებულ სამ ინდივიდს ა ბ გ შორის არსებობს ორმხრივი პოზიტიური არჩევანი. ეს „სამკუთხედი“ თუ შეიძლება ასე ითქვას, არის თავისებური სახის ბირთვი ანუ ქვეჯგუფი ჯგუფში.
2. ა ირჩევს ე, გულგრილია დ, ვ, ზ მიმართ.
3. ბ გულგრილია დ, ე, ვ, ზ მიმართ
4. გ გულგრილია დ, ე, ვ, ზ მიმართ.
5. დ ირჩევს ბ, გულგრილია ა, გ, ე, ვ, ზ მიმართ.
6. ე უარყოფს ა, ირჩევს ვ, გულგრილია ბ, გ, დ, ზ მიმართ.
7. ვ გულგრილია ა, ბ, გ, დ, ე, ზ მიმართ.
8. ზ გულგრილია ა, ბ, გ, დ, ე, ვ (ესაა იზოლირებული წევრი).

ამგვარად, სოციოგრამა საშუალებას გვაძლევს გამოვაკლინოთ კოლექტივის (ჯგუფის) შიგნით პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ისეთი სტრუქტურული ელემენტები, როგორებიცაა: ლი-

დერი, კოლექტივის (ჯგუფის) ფსიქოლოგიური ბირთვი ანუ ქვეჯგუფი, რომელიც შეიძლება ორზე მეტიც კი იყოს, ამ ქვეჯგუფებს შორის კომუნიკაციური კავშირების ტიპი, დადებით და უარყოფით არჩევათა რაოდენობა, და, ბოლოს, იზოლირებული ინდივიდები. გავაანალიზოთ თითოეული მათგანი:

ლიდერი – ესაა ინდივიდი, რომელმაც მიიღო ყველაზე მეტი დადებითი არჩევანი სხვადასხვა სოციომეტრული კრიტერიუმით გამოკითხვისას. განარჩევენ ლიდერის ორ: “ავტორიტარულ” და “დემოკრატიულ” ტიპს, მკაცრად ფსიქოლოგიური აზრით.

უარყოფილი – ესაა ინდივიდი, რომელმაც მიიღო უარყოფითი არჩევანის მაქსიმალური რაოდენობა.

იზოლირებული – ესაა ინდივიდი, რომელმაც ვერ მიიღო ვერც ერთი დადებითი არჩევანი, ვერც ერთი უარყოფითი და ამავე დროს გულგრილი დარჩა ჯგუფის დანარჩენი წევრების მიმართ. ამგვარად, სოციოგრამის ძირითადი ღირსება ისაა, რომ იგი ტესტირებათა შედეგების ანალიზისას ცხად წარმოდგენას გვაძლევს კოლექტივის (ჯგუფის) შიგნით ინდივიდთა ურთიერთდამოკიდებულების სტრუქტურის შესახებ.

2. სოციომეტრული ინდექსები. სოციომეტრული ანუ რაოდენობრივი ინდექსების დახასიათებამდე, რომელი ინდექსების მეშვეობითაც აღწერენ კოლექტივში პიროვნებათაშორის დამოკიდებულებების ხასიათს, აუცილებელია ზოგადად მაინც დავახასიათოთ სოციომეტრული მატრიცის შედგენის პროცედურა; სწორედ სოციომეტრული მატრიცის საფუძველზე შეიძლება გამოვიანგარიშოთ სხვადასხვა ინდექსი.

სოციომეტრული ტესტის შედეგები შეაქვთ სპეციალურ ცხრილში, რომელსაც სოციომეტრული მატრიცა ეწოდება. სოციომეტრული ტესტის მონაცემების შესატანად აგებენ ცხრილს მხარეებით $N \times N$, სადაც N – არის იმ ინდივიდთა რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტესტირება. ამგვარად, თითოეულ ინდივიდს შეესატყვისება ერთი პორიზონტალური და ერთიც ვერტიკალური გრაფა. პორიზონტალურ გრაფაში შეაქვთ ჯგუფის დანარჩენი წევრების მიმართ განსაზღვრული ინდივიდის მიერ გამოთქმუ-

ლი დადებითი, უარყოფითი არჩევნებისა და გულგრილობის აღმნიშვნელი ნიშნები, ხოლო ვერტიკალურ გრაფაში, პირიქით, შეაქვთ ამ განსაზღვრული ინდივიდის მიმართ კოლექტივის (ჯგუფის) დანარჩენ წევრთა მიერ გამოთქმული დადებითი, უარყოფითი არჩევნების და გულგრილობის აღმნიშვნელი ნიშნები. ვინაიდან აქ ადგილი არა აქვს ინდივიდთა საკუთარი თავის არჩევნებს, ამდენად შესაბამის გრაფებს გადახაზავენ ხოლმე. თუ ზემონათქვამს გავითვალისწინებთ, მაშინ სოციომეტრული მატრიცა მიიღებს შემდეგ სახეს.

		ვის ირჩევენ						გაკეთებულ არჩევანთა რაოდენობა		
		ა	ბ	გ	დ	ე	ვ	T ₊	T ₋	Σ
ვის ირჩევენ	ა	⊕	⊕					2	0	2
	ბ	⊕	⊖		+	+		3	0	3
	გ	⊕	+	⊖				2	0	2
	დ	+		+	⊖			2	1	3
	ე	+				⊖		1	1	2
	ვ						⊖	0	0	0
	ზ	-				⊖		0	2	2
მთვებულ არჩევანთა რაოდენობა	T ₊	4	2	2	1	1	0	0		
	T ₋	1	0	0	0	1	0	2		
	Σ	5	2	2	1	2	0	2		

აღნიშვნები:

- ⊕ დადებითი არჩევანი
- ⊖ უარყოფითი არჩევანი
- + ორმხრივი დადებითი არჩევანი
- ორმხრივი უარყოფითი არჩევანი.

ჯგუფის წევრთა ერთმანეთის მიმართ გამოხატული გულგრილობა არ აღინიშნება და გრაფა ცარიელი რჩება.

სოციომეტრული გამოკვლევების პრაქტიკაში დღეს ცნობილია მრავალი ინდექსი, რომელთა მეშვეობითაც აანალიზებენ სოციომეტრული ტესტის მონაცემებს. ინდექსებს, რომლებიც გამიზნულია იმისათვის, რათა აღწეროს ინდივიდის სოციომეტრული სტატუსი ჯგუფში და მისი დამოკიდებულება ჯგუფის სხვა წევრებთან, უწოდებენ ინდივიდუალურს, ხოლო იმ ინდექსებს, რომლებიც ახასიათებენ კოლექტივს (ჯგუფს), როგორც მთლიან წარმონაქმნს – ჯგუფურს.

ინდივიდუალური ინდექსები. ჯგუფის შიგნით წევრის პოზიციის დახასიათება ხდება ა) სოციომეტრული სტატუსის ინდექსისა და ბ) ფსიქოლოგიური ექსპანსიურობის ინდექსის მეშვეობით. მივიღოთ შემდეგი აღნიშვნები:

$\sum_{i=1}^N r(+)$ – ესაა ინდივიდის მიერ გაკეთებული დადებითი არჩევნების რაოდენობა

$\sum_{i=1}^N r'(-)$ – ესაა ინდივიდის მიერ გაკეთებული უარყოფითი არჩევნების რაოდენობა

$\sum_{i=1}^N r'(-)$ – ინდივიდის მიერ მიღებული დადებითი არჩევნების რაოდენობა

$\sum_{i=1}^N r'(+)$ – ინდივიდის მიერ მიღებული უარყოფითი არჩევნების რაოდენობა

ა) სოციომეტრული სტატუსის ინდექსი გამოხატავს ჯგუფის

დამოკიდებულებას მისი ერთ-ერთი წევრის მიმართ და წარმოადგენს ინდივიდის მიერ ნამდვილად მიღებული არჩევნების რაოდენობის განაყოფს არჩევნების იმ რაოდენობაზე, რომელიც ინდივიდს შეეძლო მიეღო ჯგუფში. არჩევნების მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შეუძლია მიიღოს ინდივიდმა ჯგუფში, საკუთარი თავის გამოკლებით ტოლია $N-1$ -ის, სადაც N ჯგუფის წევრთა რაოდენობის რიცხობრივი გამოხატულებაა. სოციომეტრული სტატუსის ინდექსი (S_i) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$S_i^N = \frac{\sum_{j=1}^N r'_j(+)+\sum_{j=1}^N r'_j(-)}{N-1}$$

ზოგჯერ შიდაჯგუფური დამოკიდებულებების შესწავლისას აუცილებელია როგორც პოზიციური, ისე ნეგატიური სოციომეტრული სტატუსის გამოთვლა. ასეთ შემთხვევაში იყენებენ ფორმულებს:

$$S_i^+ = \frac{\sum_{j=1}^N r'_j(+)}{N-1} \qquad S_i^- = \frac{\sum_{j=1}^N r'_j(-)}{N-1}$$

კოლექტივის (ჯგუფის) ამა თუ იმ წევრის სოციომეტრული სტატუსის შეფასებისას მუდამ უნდა გვახსოვდეს ის, რომ ამ სტატუსის სიდიდე მთლიანად განისაზღვრება ურთიერთქმედების იმ სიტუაციით, რომელიც იქმნება განსაზღვრული კრიტერიუმის შემოტანით. ამიტომ ინდივიდის სოციომეტრული სტატუსის სიდიდე დამოკიდებულია იმ კრიტერიუმებზე, რომლებიც ქმნიან სოციომეტრული ტესტის საფუძველს.

ბ) ფსიქოლოგიური ექსპანსიურობის ინდექსი გამოხატავს კოლექტივის თითოეული წევრის დანარჩენ წევრებთან თანამშრომლობის სურვილს. იგი არის ინდივიდის მიერ გაკეთებული არჩევნების რაოდენობის იმ რაოდენობაზე განაყოფი, რომელიც ინდივიდს შეუძლია გააკეთოს. ფსიქოლოგიური ექსპანსიურობის ინდექსი (E_i) გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$E_i^N = \frac{\sum_{i=1}^N r(+) + \sum_{i=1}^N r(-)}{N-1}$$

გამოკვლევების მიზნების შესატყვისად ფსიქოლოგიური ექსპან-
სიურობის ინდექსიც შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ პლიუსი და
მინუსი ნიშნებითაც. ეს ინდექსი ახასიათებს, ერთი მხრივ, ინდი-
ვიდის სხვა ინდივიდებთან ურთიერთქმედების აქტიურობის დონე-
ს, მეორეს მხრივ – ამ ურთიერთქმედების ტიპსა და ინტენსიურობას.
ჯგუფობრივი ინდექსები. ჯგუფის ან კოლექტივის, როგორც
პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებების, მთლიანი სისტემის და-
ხასიათება გამოითქმება მთელი რიგი ინდექსებით: ჯგუფური და-
რაზმულობის, ჯგუფური ინტეგრაციის, ჯგუფური სიმტკიცის,
ჯგუფური ექსპანსიურობის ინდექსით. შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები.

$\sum_{i=1}^N r(+)$ – ჯგუფში (კოლექტივში) გაკეთებულ ორმხრივ დადე-
ბით არჩევანთა რაოდენობა;

$\sum |r|$ – იზოლირებულთა რაოდენობა ჯგუფში;

$\sum r(+)$ – ჯგუფში გაკეთებულ დადებით არჩევანთა რაოდენობა;

$\sum r(-)$ – ჯგუფში გაკეთებულ უარყოფით არჩევანთა რაოდენობა.

ა) *ჯგუფური დარაზმულობის ინდექსი.* $C_{\text{ჯგ}}$ გამოხატავს ინდი-
ვიდთა ურთიერთდაკავშირებულობის დონეს, მათ ემოციურ კავ-
შირთა სიმჭიდროვეს. იგი არის ჯგუფში გაკეთებული ორმხრივ
დადებით არჩევანთა საერთო რიცხვის განაყოფი შესაძლებელ
ორმხრივ არჩევანთა რიცხვზე:

$$C_{\text{ჯგ}} = \frac{\sum_{i=1}^N r(+)}{\frac{1}{2} N(N-1)}$$

ჯგუფური დარაზმულობის ინდექსი მით უფრო მეტია, ინდივიდ-
თა რაც უფრო მეტ მჭიდრო ურთიერთქმედებას მოითხოვს ერ-

თობლივი საქმიანობის ხასიათი. ინდივიდთა ურთიერთობის სიმჭიდროვის, დარაზმულობის დონე გამოიხატება ორმხრივი დადებითი არჩევნების მაქსიმალური რაოდენობით. რაოდენობრივად ჯგუფის დარაზმულობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო უახლოვდება ინდექსი 1-ს.

ბ) ჯგუფური ინტეგრაციის ინდექსი. ($I_{\kappa\beta}$) ახასიათებს ჯგუფის უნარს, გააერთიანოს ჯგუფის წევრები ერთ მთლიან ორგანიზმად. ეს ინდექსი გამოიხატება 1-ის შეფარდებით იმ ინდივიდთა რაოდენობასთან, რომლებმაც ვერ მიიღეს ვერც ერთი არჩევანი.

$$I_{\kappa\beta} = \frac{1}{\sum |r|}$$

გ) ჯგუფური სიმტკიცის ინდექსი. ($S_{\kappa\beta}$) ახასიათებს კოლექტივის (ჯგუფის) წევრთა შორის არსებულ ემოციურ კავშირთა სტაბილურობისა და სიმყარის დონეს, ჯგუფის უნარს, შეინარჩუნოს ინდივიდთა შორის ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების სტრუქტურა ხანგრძლივი დროით. ეს ინდექსი აღწერს ჯგუფის მდგომარეობას (ადგილს) დროსა და სივრცეში და გამოითქმება 1-ის შეფარდებით ჯგუფში გაკეთებულ ნეგატიურ არჩევანთა საერთო რაოდენობაზე.

$$S_{\kappa\beta} = \frac{1}{\sum r(-)}$$

დ) ჯგუფური ექსპანსიურობის ინდექსი. ($E_{\kappa\beta}$) ახასიათებს ჯგუფის საერთო ფსიქოლოგიურ აქტივობას. იგი გამოიხატება ჯგუფში გაკეთებულ არჩევანთა საერთო რაოდენობის, ჯგუფში წევრთა რაოდენობასთან შეფარდებით:

$$E_{\kappa\beta} = \frac{\sum r(+) + \sum r(-)}{N}$$

ზემოჩამოთვლილი ინდექსებიდან მკვლევრები ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჯგუფური დარაზმულობის (სიმჭიდროვის) ინდექსს, რომელიც ახასიათებს ჯგუფის შინაგან სოციალ-ფსი-

ქოლოგიურ ატმოსფეროს, ე. ი. მის პოტენციურ შესაძლებლობებსა და უნარს. მრავალი გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება მაღალ ჯგუფურ დარაზმულობასა და მოცემული ჯგუფის ინდივიდთა ერთობლივი საქმიანობის რეზულტატთა ეფექტურობას შორის. ჯგუფის შემოქმედებითი პოტენციალი პირდაპირ კავშირშია შიდაჯგუფურ პიროვნებათაშორის დამოკიდებულებათა ხასიათთან და შინაარსთან.

დასასრულ უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება. ცნობილია, რომ ჯგუფური ექსპანსიურობის ინდექსი ჯგუფური სიმტკიცის (გამძლეობის) ინდექსის დამატებაა. თუ ამ უკანასკნელის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, მაშინ ჯგუფური ექსპანსიურობის ინდექსის მაღალი სიდიდე მოწმობს იმას, რომ არსებობს შიდა-ჯგუფურ დამოკიდებულებებში დამბულობა, ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს ინდივიდუალურ ურთიერთდამოკიდებულებათა თავისებურებების უკვე არა რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ ანალიზს.

რაოდენობრივი ინდექსების გამოყენებისას მუდამ უნდა გვახსოვდეს იმ მოტივთა თვისებრივი ანალიზის აუცილებლობა, რომლებიც ძვეს ინდივიდთა ამა თუ იმ პიროვნებათაშორისი რეაქციების საფუძველში. და თუმცა „ჯგუფური პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებების დინამიკა არ შეიძლება დავიყვანოთ ინდივიდთა ცალკეული მოქმედებებისა და რეაქციების უბრალო ჯამზე, მიუხედავად ამისა, ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპერიმენტული კრიტერიუმების მოხერხებული შერჩევისას სოციომეტრული ინდექსები შეიძლება გამოგვადგინენ ჯგუფის სოციალ-ფსიქოლოგიური დინამიკის კარგ მაჩვენებლებად“ (2,170).

განხილული პროცედურის საიმედოობა დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, სოციომეტრიის კრიტერიუმთა სწორ შერჩევაზე, რასაც, თავის მხრივ, გვკარნახობს კვლევის პროგრამა და ჯგუფის სპეციფიკის წინასწარი გაცნობა. სოციომეტრული ტესტის გამოყენება საშუალებას გვაძლევს გავზომოთ ფორმალურ და არაფორმალურ ლიდერთა ავტორიტეტი ჯგუფში ინდივიდთა

გადაჯგუფების მიზნით ისე, რომ შევამციროთ დაძაბულობა კოლექტივში, რომელიც წარმოიშვა ჯგუფის ზოგიერთ წევრში ორმხრივი შეუთავსებლობისა და ანტიპათიის გამო.

სოციომეტრული მეთოდის ძალიან გამოსადეგია გამოყენებით გამოკვლევებში განსაკუთრებით იმ შრომებში, რომლებსაც მიზნად დასახული აქვთ დამოკიდებულებათა სრულყოფა კოლექტივში. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი არ არის იმ შიდა ჯგუფური პრობლემების გადაჭრის რადიკალური ხერხი და წესი, რომელთა მიზეზები უნდა ვეძიოთ არა ჯგუფის წევრთა სიმპათიებსა და ანტიპათიებში, არამედ უფრო ღრმა წყაროებსა და ფენებში.

ლიტერატურა:

1. Волков И. П. Методы социометрических измерений в социально-психологических исследованиях. Л., 1977.
2. Добреньков В. И. Социометрический опрос. В книге: "Лекции по методике конкретных социальных исследований, под редакцией проф. Г. М. Андреевой. Изд-во Московского университета. М., 1972.
3. Морено Дж. Социометрия. М., 1958.
4. Энциклопедия психологических тестов. Общение, лидерство, межличностные отношения. М., Издательство АСТ. 1997. Ред. А. Карелин.

საზოგადოებრივი აზრის რაობა და როლი საზოგადოებაში

საზოგადოებრივ აზრს განსაზღვრავენ როგორც მასობრივი ცნობიერების გარკვეულ მდგომარეობას, რომელიც გამოთქვამს განსხვავებული სოციალური ჯგუფების ლატენტურ (ფარულ) თუ აშკარა დამოკიდებულებას სოციალური სინამდვილის ფაქტებისა და ხდომილობებისადმი. მასში აკუმულირებულია სოციალური პრობლემებისადმი შეფასებითი დამოკიდებულებანი. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა აქტიურ ხასიათს XIX-ის მეორე ნახევრიდან იძენს. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი გ.ტარდის გამოკვლევებმა შეასრულა. მან პირველმა გააცნობიერა საზოგადოებრივ აზრსა და პუბლიკას (საზოგადოებრიობას) შორის კავშირი და ურთიერთგანპირობებულობა. საზოგადოებრივი აზრი პუბლიკისათვის იგივეა, რაც სული სხეულისათვის. საზოგადოებრივი აზრი ორ რაიმეს მოიცავს: ერთი მხრივ, საქმე გვაქვს აზრთან, შეხედულებასთან, ე.ი. მსჯელობათა ერთობლიობასთან და მეორე მხრივ, საერთო ნებელობასთან ანუ სურვილთა ერთობლიობასთან. “საზოგადოებრივი აზრი, - წერს იგი, - ლოგიკურ მსჯელობათა ჯგუფია, რომელნიც უპასუხებენ ამჟამად დასმულ კითხვებზე და რომელნიც რეპროდუცირებულნი არიან მრავალრიცხოვნად ერთი და იმავე ქვეყნის, ერთ და იმავე დროს და ერთ და იმავე საზოგადოების პიროვნებებს შორის” (ციტ. 1, გვ. 245).

საზოგადოებრივი აზრის რაობისა და მისი შესწავლის მეთოდების შესახებ თეორიული წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ა.ლოუელის შრომამ “საზოგადოებრივი აზრი და სახალხო მთავრობა.” ამ შრომაში ნაკვლევია ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორებიცაა: გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოებრივი აზრის კომპეტენტურობის საზღვრები, უმრავლესობისა და უმცირესობის აზრთა და შეხედულებათა თანაფარდობა, საზოგადოებრივი აზრის ფორმები და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრივი აზრის სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციას, მან დაასკვნა, რომ სახელმწიფოებრივი მართვის პროცესში საზოგადოებრივი აზრის გავლენის სფერო შეზღუდულია და

რომ სოციალურ სინამდვილეში არსებობს პრობლემები, რომელთა გადაჭრა შეუძლებელია უშუალო ხმის მიცემითა თუ საზოგადოებრივ აზრზე აპელაციით.

ეს იდეა უფრო განავითარა უ.ლიპმანმა. მან გააკრიტიკა “ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე მოქალაქის” მითი. მისი აზრით, საზოგადოებრივი აზრის შეზღუდულობის საფუძველია “საშუალო” ადამიანის საკუთარი ინტერესების გაცნობიერების უუნარობა, როდესაც იგი ფართოდ იყენებს პრესის არასრულ და დამახინჯებულ ინფორმაციებს. უ. ლიპმანმა საზოგადოებრივი აზრის გამოთქმის მარტივი ფორმების და წარმოდგენების აღსანიშნავად შემოიტანა სტერეოტიპის ცნება. მისი აზრით, სტერეოტიპი ადამიანურ ურთიერთობათა შინაგანი მახასიათებელია და ამდენად “მოარულ აზრთა” განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

საზოგადოებრივი აზრის პრობლემების კვლევაში დიდი წვლილი შეიტანეს ჯ. მორენომ, პ.ლაზარსფელდმა, რ. მერტონმა, გ. ბლუმერმა და სხვებმა. ისინი ხაზს უსვამენ საზოგადოებრივი აზრის ექსპრესიულ, მაკონტროლებელ, საკონსულტაციო და დირექტიულ ფუნქციებს. საზოგადოებრივ აზრს ძალუძს გარკვეული პოზიციის დაჭერა, რჩევების მოცემა და ამა თუ იმ საზოგადოებრივი პრობლემების თაობაზე გადწყვეტილებათა მიღებაც კი. შინაარსობრივად საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ატარებდეს შეფასებითი, ანალიტიკური და კონსტრუქციული მსჯელობების ხასიათს, ხოლო გამოთქმის მიხედვით იყოს პოზიტიური და ნეგატიური მსჯელობის ფორმის.

საზოგადოებრივი აზრის ბუნება, მისი ჩამოყალიბების წესები და მეთოდები რელიეფურადაა წარმოდგენილი ამერიკელი სოციოლოგის გ. ბლუმერის შრომებში. ჩვენთვის იგი იმითაცაა საინტერესო, რომ საზოგადოებრივი აზრის ბუნება განიხილება კოლექტიური მოქმედების ფორმასთან მიმართებაში, ხოლო, რაც შეეხება საზოგადოებრივი აზრის ფორმირების წესებს და მეთოდებს — ამ მხრივ საყურადღებოა აგიტაციისა და პროპაგანდის ბლუმერისეული ანალიზი. საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით იძენს ნებისმიერი საზოგადოებრიობა ერთიანობას და კოლექტიური მოქმედების შესაძლებლობას. მართალია, საზოგადოებრივი აზრი

საჭიროა განვიხილოთ როგორც კოლექტიური პროდუქტი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი “არის ერთსულოვანი აზრი, რომელსაც ეთანხმება საზოგადოებრიობაში შემავალი ყველა ინდივიდი და ასევე არაა აუცილებელი იყოს უმრავლესობის აზრი”(2, გვ. 189). როგორც კოლექტიური აზრი, იგი საკვებით შესაძლებელია განსხვავდებოდეს საზოგადოებაში შემავალი ზოგიერთი ჯგუფის აზრებისაგან. ამიტომ დასაშვებია, რომ იგი განვიხილოთ როგორც ისეთი აზრი, რომელიც შემდგარია საზოგადოებაში არსებული რამდენიმე აზრისაგან. უფრო უმჯობესი იქნება, წერს გ.ბლუმერი, თუ საზოგადოებრივ აზრს განვსაზღვრავთ “როგორც ამ ცალკეულ აზრებს შორის ბრძოლის შედეგად დადგენილ ცენტრალურ ტენდენციას” (იქვე). ამ პროცესში რომელიმე უმცირესობის აზრს შეიძლება უფრო დიდი გავლენა ჰქონდეს კოლექტიური აზრის ფორმირებაზე, ვიდრე უმრავლესობის აზრს.

როგორც კოლექტიური პროდუქტი, საზოგადოებრივი აზრი მიაჩნდება საზოგადოებაში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის მზაობას და როგორც ასეთი, შესაძლებლად აქცევს შეთანხმებულ მოქმედებას, რომელიც სავალდებულო არაა დაფუძნებული იყოს კონსენსუსზე, კონტაქტებსა და ინდივიდუალურ არჩევანთა შემთხვევით დამთხვევაზე. გ.ბლუმერის მართებული შენიშვნით “საზოგადოებრივი აზრი მუდამ მოძრაობს რაღაც გადაწყვეტილების მიმართულებით, თვით მაშინაც კი, როდესაც იგი არ არის ერთსულოვანი” (იქვე, გვ. 190). საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მრავალი გზა არსებობს, მაგრამ მისი ფორმირების ყველაზე ჰუმანური და მისაღები გზაა დისკუსიები, რამეთუ არგუმენტები და კონტრარგუმენტები გვევლინებიან იმ საშუალებებად, რომელთა მეშვეობითაც იგი ყალიბდება და იძენს გარკვეულ ფორმას. მაგრამ დისკუსიების პროცესი ვერ განვითარდება, თუ მასში მონაწილე მხარეებს არ ექნებათ ბჭობის უნივერსალურობა - საერთო ენა ანუ შეთანხმებული არ იქნებიან რომელიღაც ძირითადი ტერმინების მნიშვნელობათა შესახებ. გ.ბლუმერი მართალია, - თუ ადამიანებს არ აქვთ ერთმანეთის გაგების უნარი, მაშინ ყოველი დისკუსია და არგუმენტაცია არა მხოლოდ უნაყოფოა, არამედ შეუძლებელიც.

დღეს ეროვნული თუ მთელი ქვეყნის მასშტაბის მქონე პრობლემის თაობაზე საზოგადოებრივი დისკუსიების გამართვას ხელს უშლის სწორედ ბჭობის, გნებათ დისკურსის უნივერსალურობის არარსებობა. გარდა ამისა, თუ საზოგადოებაში შემავალი სოციალური ჯგუფები და პარტიები იკავებენ დოგმატურ და სექტანტურ პოზიციებს, მაშინაც დისკუსია შეუძლებელია; რამეთუ ამგვარი სექტანტური განწყობანი ზომ იმასაც ნიშნავს, რომ უარი ეთქვით ერთმანეთის პოზიციების გაზიარებაზე და თვალსაზრისთა მიღებაზე. ამგვარი რამ კი ნიშნავს იმას, რომ არ შევიცვალეთ პოზიცია მაშინაც კი, როდესაც მის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტები სწორია, ხოლო კრიტიკა - სამართლიანი. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, - წერს ბლუმერი, - გულისხმობს ადამიანთა მიერ თავიანთ მოყვასთა და თანამემამულეთა განცდების გაზიარებას, დათმობებზე და კომპრომისებზე წასვლისათვის მზად ყოფნას” (იქვე). მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი, რომ მრავალი სოციალური ჯგუფის თუ დაჯგუფებებისაგან შემდგარმა საზოგადოებრიობამ განახორციელოს ერთიანი და კოლექტიური მოქმედება. მაგრამ საზოგადოებაში შემავალი ყველა ჯგუფი თუ დაჯგუფება ერთნაირ ინტერესს არ იჩენს ამ პრობლემებისადმი. ნებისმიერი საზოგადოებრიობა შედგება, ერთი მხრივ, აქტიური, მეტ ნაკლებად დაინტერესებული ჯგუფებისაგან და, მეორე მხრივ, მაყურებელთა მსგავსი რაღაც დაუინტერესებულ ინდივიდთა მთელი კორპუსისაგან. საზოგადოებრიობისათვის საინტერესო და მნიშვნელობის მქონე პრობლემებს, როგორც წესი, წამოაყენებენ სწორედ ერთმანეთთან მოპაექრე დაინტერესებული ჯგუფები. რამდენადაც ისინი დაინტერესებულნი არიან გადაჭრან ეს პრობლემები მათთვის მისაღები წესებითა და მეთოდებით, ამდენად ისინი ცდილობენ დაუინტერესებელი ჯგუფებისაგან მოიპოვონ ლოიალობა და მხარდაჭერა. ამგვარი რამ კი დაუინტერესებულ ჯგუფებს მსაჯულისა თუ არბიტრის პოზიციაში აყენებენ. სწორედ მათი განწყობა და დამოკიდებულება განსაზღვრავს კიდევ, ბლუმერის აზრით, მოპაექრე პროექტებისა და გეგმებისაგან რომელი იქნება სრულად და ფართოდ გათვალისწინებული შედეგის მომტან მოქმედებებისას. ეს სტრატეგიული და გადამწყვეტი ადგილი, რომელიც უჭირავს იმათ, რომლებიც უშუალოდ არ შედიან დაინტერესებულ ჯგუფებში, ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებრივი

დისკუსია მიმდინარეობს სწორედ ამ გარეგან და დაუინტერესებელ ჯგუფებში შემავალ ინდივიდთა შორის. დაინტერესებული ჯგუფები კი ცდილობენ და ესწრაფვიან სწორედ ამ შედარებით დაუინტერესებელ ადამიანთა აზრის დადგენას და გაფორმებას.

თუ ზემოაღნიშნულის საფუძველზე გავიაზრებთ საზოგადოებრივი აზრის რაობას, მაშინ გასაგები გახდება მისი ცვალებადობა და მასზე ზემოქმედების ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორცაა, მაგალითად, პროპაგანდა. რომელიც არღვევს რაციონალურ საზოგადოებრივ დისკუსიას. ამიტომ “საზოგადოებრივი აზრი - ბლუმერის მიხედვით - შეიძლება განთავსდეს უმაღლესი ხარისხით ემოციურ და მიკერძოებულ თვალსაზრისსა და ასევე უმაღლესი ხარისხით რაციონალურ და მოფიქრებულ აზრს შორის” (იქვე, გვ. 191). სხვა სიტყვებით, საჭირო დისკუსია შეიძლება მიმდინარეობდეს სხვადასხვა დონეზე, დასაბუთებულობის და შეზღუდულობის განსხვავებული ხარისხებით. საზოგადოებრივი აზრის გაფორმებაზე მიმართული დაინტერესებულ ჯგუფთა ძალისხმევა შეიძლება, პირველ რიგში, იყოს რომელიმე ემოციური განწყობის გამოწვევა თუ დადგენა ან დეზინფორმაციებით შეიარაღება. სწორედ ამ ვითარების გაცნობიერება აიძულებს მრავალ მკვლევარს არა მხოლოდ უარყონ საზოგადოებრივი აზრის რაციონალური ხასიათი და ხაზი გაუსვან მის ემოციურ და ირაციონალურ ბუნებას არამედ უარყონ ამ ფორმით მისი არსებობა საზოგადოდ. ასეთი აზრისაა, მაგალითად, ფრანგი სოციოლოგი პიერ ბურდიე, რომელსაც არგუმენტების მთელი რიგი მოჰყავს იმ აზრის ნათელსაყოფად, რომ ამ გაგებით საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს. უფრო დაწვრილებით ამ არგუმენტებზე ქვემოთ ვისაუბრებთ. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ უკვე თვით პოლემიკური დისკუსიის პროცესი ბჭობას და პრობლემების განხილვას თავს ახვევს რაციონალურობის განსაზღვრულ დონესა და წილს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბოლოო ანგარიშით კოლექტიურ აზრს მაინც ახასიათებს გარკვეული რაციონალურობა. ის ფაქტი, წერს ბლუმერი, რომ კამათის საგანთა დაცვა და გამართლება, ხოლო დაპირისპირებული პოზიციების კრიტიკა აუცილებელია, თუნდაც მათი უსუსურობის დასაბუთების მიზნით, უკვე გულისხმობს იმგვარ ოპერაციებს, როგორებიცაა: შეფასება, შედარება და

მსჯელობა. ამიტომ სავსებით სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ საზოგადოებრივი აზრი რაციონალური ბჭობის შედეგი კი არის, მაგრამ იმის არავითარი საჭიროება არ არსებობს, რომ იგი მანცლამანც გონიერული რამ იყოს.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საზოგადოებრივი აზრის დონე და ხარისხი დამოკიდებულია საზოგადოებრივი დისკუსიის ეფექტურობაზე. ეს ეფექტურობა კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია მასობრივი კომუნიკაციის ისეთი მექანიზმების მოქნილობასა და მისადგომობაზე, როგორებიცაა პრესა, რადიო, ტელევიზია, საზოგადოებრივი თავყრილობები. ხოლო მათი ეფექტური გამოყენების საფუძველია თავისუფალი დისკუსიის შესაძლებლობა. თუ დაპირისპირებული თვალსაზრისებიდან რომელიმე აკრძალვაშია და საშუალება არ აქვს წარუდგეს დაუინტერესებელ საზოგადოებას ან დისკრიმინაციას განიცდიან თავისუფალი განხილვისა და დასაბუთებულობის თვალსაზრისით, მაშინ ადგილი აქვს უხემ ჩარევას, რომლიც ხელს უშლის ეფექტურ საზოგადოებრივ დისკუსიას.

საზოგადოებრივი აზრი მოქმედებს პრაქტიკულად სოციალური სინამდვილის თითქოს ყველა სფეროში. იგი დაუბრკოლებლად მოქმედებს დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირების პირობებში. საზოგადოებრივი აზრი არეგულირებს ინდივიდთა, სოციალურ ჯგუფთა და ინსტიტუტთა ქცევებს, გამოიმუშავებს ან ითვისებს (სესხულობს მეცნიერების, იდეოლოგიის და რელიგიის სფეროებიდან) და ამკვიდრებს სოციალური ურთიერთობების განსაზღვრულ ნორმებს. ამავე დროს, როგორც უკვე ვნახეთ, მისი საზღვრები საკმაოდ განსაზღვრულია, რამეთუ მის ობიექტად შეიძლება იქცეს სოციალური სინამდვილის მხოლოდ ის ფაქტები და ხდომილებები, რომლებიც იწვევენ საზოგადოებრივ ინტერესს, გამოირჩევიან სერიოზული მნიშვნელობითა და აქტუალობით.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და ფუნქციონირება, როგორც დავინახეთ, არ არის მხოლოდ რაციონალური პროცესი, იგი სტიქიურადაც შეიძლება ხდებოდეს. მაგრამ დღეს, როდესაც ასე განვითარებულია მასმედიის საშუალებები, მისი ფორმირება მრავალი

სოციალური თუ პოლიტიკური დაწესებულების, ორგანიზაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიზანდასახული საქმიანობის შედეგია. რამდენადაც საზოგადოებრივი აზრი არ არის საზოგადოების შემადგენელ ინდივიდთა შეხედულებების საშუალო არითმეტიკული ჯამი და მის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს დაინტერესებული ჯგუფები თუ ლობი, ამდენად იგი არა მხოლოდ სხვადასხვა ხარისხით შეიძლება იყოს რაციონალური, თუ ირაციონალური, არამედ ასევე სხვადასხვა ხარისხით იყოს რეალურ სოციალურ ხდომილებათა ადეკვატური ან ილუზორული გამოთქმა და სავსებით შესაძლებელია შეიცავდეს სოციალური სინამდვილის შესახებ ჭეშმარიტ ან მცდარ წარმოდგენებს. აქ გასათვალისწინებელია დაინტერესებულ ჯგუფთა მისწრაფება, მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება. ეს განსაკუთრებით სწორია დღეს, როდესაც საზოგადოებრივი პრობლემები ასე მრავალრიცხოვანია, ხოლო საფუძვლიანი დისკუსიები შეზღუდული. ამ გარემოებამ ისე გაზარდა პროპაგანდის მასშტაბების გამოყენება, რომ დასავლეთელ მკვლევართა უმრავლესობა საზოგადოებრივი აზრის კვლევისას ძირითად ამოცანად პროპაგანდის შესწავლას მიიჩნევენ.

დღეს, არა მხოლოდ დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში, არამედ ჩვენთანაც კი დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებრივი აზრის კავშირი მოქალაქეთა ქცევასთან, განსაკუთრებით არჩევნების პროცესში. ძალაუფლებისთვის ბრძოლის გართულება და გამწვავება პოლიტიკურ პარტიებს შორის ბადებს იმის ცოდნის აუცილებლობას, თუ რა მექანიზმები ძვეს არჩევნების დროს კანდიდატთა და მათი საარჩევნო პროგრამების შეფასებათა საფუძველში. დიდ ყურადღებას უთმობენ არჩევნების პროცესში კანდიდატთა მიმართ ელექტორატის შეხედულებების განმსაზღვრელ ფაქტორებს. დაწვრილებით შეისწავლიან იმ მიზეზთა იერარქიას, რომელიც გავლენას ახდენს საარჩევნო კამპანიების ჩატარებისას მოქალაქეთა ქცევებზე: ქვეყნის საშინაო პრობლემებისადმი დამოკიდებულება, სოციალურ ჯგუფთა მხრივ ზეწოლა, ამომრჩევლის პირადი თვისებები პოლიტიკური და კულტურული ტრადიციები და სხვა. დაახლოებით ასეთი ვითარებაა დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც კარგად აცნობიერებენ არა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის როლსა და მნიშვნელობას

საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში, არამედ მის მანიპულირებასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც. რაც შეეხება პოსტსაბჭოურ სივრცეს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი სოციალური მნიშვნელობა და ჟღერადობა საზოგადოებრივმა აზრმა მხოლოდ ამ ბოლო ათწლეულში შეიძინა. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ იგი მანამდე საერთოდ არ არსებობდა. შეუძლებელია საზოგადოება, სადაც ეს ფენომენი არ ფუნქციონბს. მაგრამ მისი როლი და მნიშვნელობა ერთნაირი არ არის სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ სისტემებში. მაგალითად, კომუნისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი აზრი გაორებული იყო ოფიციალურ და არაოფიციალურ საზოგადოებრივ აზრებად; სწორედ ამ გაორებულობის გამო, აღნიშნავენ მკვლევარნი, ისინი ვერ ამართლებდნენ თავიანთ სოციალურ დანიშნულებას. “ოფიციალური ვერ ასრულებდა თავისი დამოუკიდებლობის ძალით, არაოფიციალური კი “არალეგალურობისა” ანუ არავის მიერ და არანაირი წესით აღიარებული არსებობისა გამო” (4 გვ. 75).

როგორც ცნობილია, პოლიტიკური ურთიერთობების სისტემაში საზოგადოებრივი აზრის როლს განსაზღვრავს ძალაუფლების ხასიათი. თუ ტოტალიტალური რეჟიმი ცდილობს საზოგადოებრივი აზრის დათრგუნვას ან, უკეთეს შემთხვევაში კონტროლს, მაშინ დემოკრატიული რეჟიმი მასში ძირითადად მხარდაჭერას ეძებს, ვინაიდან საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ფლობდეს ისეთ შესაძლებლობებს, რომელთა შედეგების გაუთვალისწინებლობა საკმაოდ ძვირი დაუჯდეს თვით დემოკრატიულ რეჟიმსაც კი. საბაზრო ეკონომიკა, ეკონომიურ თავისუფლებათა არსებობა, ინფორმაციის მოპოვებისა და პუბლიკაციის თავისუფლება განაპირობებს მასობრივი ცნობიერების კოგნიტიურ პოტენციალს, ანუ იმას, თუ რამდენად არის ინფორმირებული სოციალური ჯგუფები და თვით მთელი საზოგადოება საკუთარი თავის შესახებ, რამდენად თავისუფალ და დიდ ინფორმაციას ფლობენ ისინი საკუთარ თავზე.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენთან არ არსებობს დაბრკოლება (ეკონომიკური სიდუხჭირის გარდა) იდეებისა და შეხედულებების პლურალიზმისათვის, არც აკრძალული თემებია, მაინც საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობაზე ჯერ კიდევ არასასურველ

გავლენას ახდენს ძველი ტრადიციები და სტერეოტიპები, რომლებიც ჩვენს მოქალაქეებს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი; განსაკუთრებით ეს ეხება ნების თავისუფალი გამოთქმის ტრადიციის არარსებობას; გარდა ამისა, ერთსულოვნებისა და, გნებავთ ერთაზრიანობის თავს მოხვეულმა სტერეოტიპებმა ღრმა კვალი დატოვა ჩვენს მოქალაქეებზე. ტოტალიტარულ-მონისტური სისტემიდან პლურალისტურ სისტემაზე გადასვლა დიდ დროს, ენერგიას და სულისკვეთებას მოითხოვს. ჯერ კიდევ საგრძნობია შესაძლებელ სანქციათა და რეპრესიათა წინაშე შიში, რაც, თავის მხრივ, დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობაზე. ამიტომ ხშირად ინტერვიუერს თანამშრომლობაზე უარს ეუბნებიან, გარდა ამისა, მოქალაქეთა საგრძნობ ნაწილს არ სჯერა, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა რაიმე შედეგს მოუტანს საზოგადოებას. ასევე დიდ როლს ასრულებს სოციალური დაღლილობა, დამაბულობა და სოციალურ სტრუქტურათა მოშლილობა, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობენ მასობრივი ცნობიერების კრიტიკულ განწყობას. იგი ხშირად ოფიციალური პოზიციის საპირისპირო პოზიციას იკავებს, მაშინაც კი, როდესაც ოფიციალური პოზიცია მიმართულია მრავალი ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების ხალხთა მასების საკეთილდღეოდ გადაჭრაზე. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი მოქალაქეები, რომლებსაც წართმეული ჰქონდათ სიტყვისა და თავისუფალი მოქმედების უფლება, იკავებდნენ იმის საპირისპირო პოზიციას, რომელიც მათ ოფიციალური ჰქონიათ.

საზოგადოებრივი აზრის ობიექტური არამდგრადობისა და მობილურობის სიტუაციაში მკვლევარი, რომელიც კარგად არ არის დაუფლებული საზოგადოებრივი აზრის გამოთქმის ფორმათა შესწავლის წესებსა და მეთოდებს, ადვილად შეიძლება შეცდეს და სასურველი სინამდვილედ გააცხადოს, ხოლო პირადი შეხედულებები თვით საზოგადოებრივი მდგომარეობის რეალურ გამოთქმად მიიჩნიოს. ჩვენ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ გარდამავალ პერიოდში ვსაქმიანობთ, როდესაც ბევრი პარტია თუ მოძრაობა უბრალოდ ბუტაფორიაა და მისგან სოციოლოგმა სოციალური ფაქტები არ უნდა ააგოს. კვლევის ინსტრუმენტების ნაკლოვანება და თვით მკვლევართა იდეოლოგიური პოზიციები და სიმპათიები

ჩვენს პირობებში განსაკუთრებით ძლიერ იჩენენ თავს. რამდენადაც თითქმის ყველა არსებული პოლიტიკური ძალა აპელირებას საზოგადოებრივ აზრზე ახდენს, ამდენად არ უნდა იყოს გასაკვირი “გამოკითხვათა” ასეთი რაოდენობრივი ზრდა და მისი წყაროები.

ჩვენი საზოგადოებაც თანდათანობით ითვისებს საზოგადოებრივი აზრის გამოსატვის ახალ ფორმებს: არჩვენებს, რეფერენდუმებს, მოსახლეობის გამოკითხვას მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემებზე, მიტინგებს, დემონსტრაციებს, დისკუსიებს, გაფიცვებს, პროტესტის აქტებს და სხვა. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის ფიქსაციის განუვითარებელი მექანიზმი, უნდობლობა მასობრივი გამოკითხვის შედეგებისადმი (რაც ხშირ შემთხვევაში სავსებით სამართლიანია), ძალაუფლების წარმომადგენლებს საშუალებას აძლევთ ამ შედეგებს თავისუფალი ინტერპრეტაცია მისცენ. მაგრამ არც საზოგადოებრივი აზრის ფეტიშიზაციაა კარგი და სასურველი რამ. პოლიტიკოსებმა უნდა იმოქმედონ არა საზოგადოებრივი აზრის შესაბამისად, არამედ მისი გათვალისწინებით. შეიძლება მათ საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგო მიმართულებით მოუხდეთ მოქმედება და საკუთარ ამომრჩევლებს საკუთარი გადაწყვეტილებანი მოახვიონ თავს, საბოლოოდ კი მართალნი აღმოჩნდნენ; ეს კი შესაძლებელია არა საზოგადოებრივი აზრისადმი ბრმა მიდევნებით, არამედ მისი გათვალისწინებით. ამგვარად, ნებისმიერმა პოლიტიკოსმა თუ ხელისუფლების წარმომადგენელმა უნდა გაიაროს საზოგადოებრივი აზრის თავისუფალი ინტერპრეტაციის სცილასა და ფეტიშიზაციის ქარიბდას შორის.

საზოგადოებრივი აზრის რაობისა და მისი გამოკითხვის პროცედურის ტრადიციული გაგების შეზღუდულობის ობიექტური მეცნიერული კრიტიკა მოცემული აქვს ფრანგ სოციოლოგს პიერ ბურდიეს. ზემოთ გაკვრით ვახსენეთ, რომ იგი უარყოფს საზოგადოებრივი აზრის არსებობას. ოღონდ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ობიექტურად არ არსებობს საზოგადოებრივი აზრი, ბურდიე ცდილობს აჩვენოს, რომ სწორედ ტრადიციულად გაგებული საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს, როგორც რაღაც კერძო აზრთა და შეხედულებათა საშუალო არითმეტიკული ჯამის მსგავსად. მისი თვალსაზრისი ახლოს დგას გ. ბლუმერის

შეხედულებებთან, მაგრამ რითაც იგი ჩვენს ყურადღებას იქცევს არის ის, რომ მისეულ ანალიზში მთავარი ყურადღება იმ შეცდომებისაგან თავის დაზღვევას ეთმობა, რომელიც გარდაუვალია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ტრადიციული მეთოდები: ჩატარებისას.

ბურღიე ანალიზებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პროცედურისათვის დამახასიათებელ დაშვებებს (პოსტულატებს) და იმ შეცდომებს, რომლებიც გამოწვეულია როგორც ტექნიკური შეზღუდულობის, ისე თვით საზოგადოებრივი აზრის რაობის არასწორი გაგებით. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, ბურღიეს აზრით, გულისხმობს მინიმუმ სამი პოსტულატის მიღებას:

1. საზოგადოებრივი აზრის ნებისმიერი გამოკითხვა უკვე თავისთავად გულისხმობს, რომ ყოველ ადამიანს აქვს აზრი თუ შეხედულება, ანუ ყოველს ძალუძს აზრთა და შეხედულებათა წარმოება. სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარადაა, რასაც ადასტურებს გამოკითხვების შედეგებისათვის უბრალოდ თვალის გადავლებაც კი.

2. მეორე პოსტულატი გულისხმობს იმას, თითქოს ნებისმიერი აზრი თუ შეხედულება ერთნაირად რელევანტურია ანუ მნიშვნელოვანი. ბურღიე უარყოფს ამ პოსტულატს და მიიჩნევს, რომ არ შეიძლება ნებისმიერ აზრსა თუ შეხედულებას ერთნაირი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდეთ; ამიტომ ასეთ განსხვავებულ შეხედულებათა შეჯამების ფაქტს შეუძლია საზრისის მოკლებული არტეფაქტების (ხელოვნური ფაქტების) წარმოებასთან მიგვიყვანოს.

3. მესამე პოსტულატი უფრო ფარულად ვლინდება: ის, მარტივი ფაქტი, რომ ყველა რესპონდენტს ერთი და იგივე კითხვა ეძლევა, წინასწარ გულისხმობს იმ ჰიპოთეზის მიღებას, თითქოს პრობლემატიკის თაობაზე კონსენსუსი არსებობს, ე.ი. თითქოს ყველა თანახმაა, რომ მოცემული კითხვები იმსახურებენ დასმას.

ამ სამი პოსტულატის უკრიტიკოდ მიღება, ბურღიეს აზრით, უკვე წინასწარ განსაზღვრავს იმ დეფორმაციათა მთელ სერიას, რომელიც მაშინაც კი შეიძლება აღმოვაჩინოთ, როდესაც

მონაცემების მოკრებისა და ანალიზის პროცესში მკაცრად სრულდება ყველა მეთოდოლოგიური მოთხოვნა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებს ხშირად უყენებენ ტექნიკური რიგის საყვედურებს.

მაგალითად, ეჭვქვეშ აყენებენ შერჩევათა რეპრეზენტატულობას, მაგრამ დღეს არსებული საშუალებების ფონზე ამგვარი საყვედური გაუმართლებელია. ხშირად გაიგონებთ ამგვარ საყვედურსაც, რომ კითხვარში საკმაოდ “ემშაკურად” სვამენ კითხვებს ან მათი ფორმულირების დროს გარკვეულ ფანდებს მიმართავენ. ასეთ საყვედურს ბურდიე დასაშვებად თვლის, რამეთუ ხშირად კითხვები ისეა დასმული, რომ პასუხი თავისთავად გამომდინარეობს საკითხის დასმის სწორედ ამგვარი ფორმიდან. მაგალითად, არღვევენ კითხვების შედგენის ელემენტარულ წესებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ ერთნაირად შესაძლებელი და ალბათური იყოს პასუხის ყველა შესაძლო ვარიანტი, ხშირად კითხვებიდან ან შესაძლო პასუხებიდან გამორიცხავენ ერთ-ერთ პოზიციას, ანდა ერთსა და იმავე პოზიციას გთავაზობენ მრავალჯერ, ოღონდ განსაზღვრული ფორმებით.

ამგვარი ფანდები თუ ხერხები მრავალნაირია, მათი გამოყენების ალბათობა კი უმეტესწილად დაკავშირებულია იმ სოციალურ პირობებზე, რომლებშიც იმყოფებიან კითხვარის შემდგენელი. მაგრამ ამგვარი მანიპულირების წესებისა და საშუალებების გამოყენებას, ბურდიეს აზრით, ხელს უწყობს ის გარემოება, რომ პრობლემატიკა, რომელსაც ამუშავენ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტიტუტები, ემორჩილება განსაკუთრებული ტიპის პოლიტიკურ მოთხოვნილებებს. ამიტომ “საზოგადოებრივი აზრის ზონდაჟი დღევანდელი სახით - პოლიტიკური მოქმედების ინსტრუმენტი. შეიძლება ითქვას, რომ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია იმ ილუზიის შთაგონებაა, რომ საზოგადოებრივი აზრი არსებობს როგორც იმპერატივი, რომელიც მიღებულია ინდივიდუალურ შეხედულებათა შეკრების გზით; და იმ იდეის შთანერგვაა, რომ არსებობს აზრთა და შეხედულებათა რაღაც საშუალო არითმეტიკული ანუ საშუალო აზრი” (3,163).

თუ საზოგადოებრივი აზრის რაობას ასე გავიგებთ, მაშინ სავსებით

მართალია ფრანგი სოციოლოგი, როდესაც ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს. ხშირად გაზეთების პირველ გვერდზე დემონსტრირებული ან სახელმწიფო ელექტრონული საშუალებებით გაცხადებული “საზოგადოებრივი აზრი”, რომ “მოსახლეობის 60%-ი იწონებს...”, არის მართლაც არტეფაქტი. ამ შემთხვევაში მისი დანიშნულებაა დაფაროს ის, რომ მოცემულ მომენტში საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობა გარკვეულ ძალთა და ძალისხმევათა მთელი სისტემაა, ამიტომ მისი გამოხატვის ყველაზე არაადეკვატური სწორედ რომ პროცენტული ფორმაა.

ძალის ნებისმიერ გამოყენებას აუცილებლად მოსდევს ამ ძალის ლეგიტიმაციაზე მიმართული დისკურსი. ყოველი პოლიტიკოსი ცდილობს თავისი მოქმედების გამართლებას საზოგადოებრივ აზრზე აპელაციით. მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტიკოსი ისაა, ვინც ამბობს, რომ “ჩვენთან არსს ღმერთი”. დღეს კი, სამართლიანად შენიშნავს ბურდიე, ამ გამოთქმის ეკვივალენტად იქცა “ჩვენთან არსს საზოგადოებრივი აზრი”. ამგვარად, დაასკენის იგი, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ფუნდამენტური ეფექტი ასეთია: “დაამტკიცოს ერთსულოვანი საზოგადოებრივი აზრის არსებობა, ე.ი. გაამართლოს განსაზღვრული პოლიტიკა და გაამაგროს ძალთა კავშირი, რომელსაც იგი (პოლიტიკა) ემყარება ან რომელიც მას შესაძლებლად აქცევს” (3,164).

ასეთი ზოგადი შესავლის შემდეგ, რომელიც უფრო დასკვნად გამოდგებოდა, ბურდიე იწყებს იმ ხერხებისა და საშუალებების ანალიზს, რომელთა მეშვეობითაც აღწევენ კონსენსუსის ეფექტს. ავიღოთ პირველი პოსტულატი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს აზრი (შეხედულება). ამ პოსტულატთან დაკავშირებით კონსენსუსის ეფექტს აღწევენ ძალიან მარტივი ხერხით, რომელიც “პასუხზე უარის” პოზიციის იგნორირებაში გამოიხატება. მაგალითად, თქვენს კითხვაზე: “იწონებთ თუ არა მთავრობის საქმიანობას?” შედეგად იღებთ: 20% - დიახ, 50% - არა, 30% - “პასუხი არ არის”. შეიძლება ითქვას, წერს ბურდიე, რომ “იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც არ იწონებენ მთავრობის საქმიანობას, აღემატება იმათ, ვინც მას იწონებს, მაშინ როდესაც 30%-ს პასუხი საერთოდ არც კი გაუცია. მაგრამ შეიძლება გადავიანგარიშოთ “მომწონებელთა” და

“დამწუნებელთა” პროცენტები ისე, რომ გამოვრიცხოთ “პასუხის არგამცემნი”. ეს მარტივი არჩევანი, შენიშნავს ბურღიე - იქცევა ფანტასტიკური მნიშვნელობის თეორიულ ხერხად და გეთავაზობს მისი მნიშვნელობის დაწვრილებით გაანალიზებას.

როდესაც ამგვარი ხერხით ვახდენთ “პასუხის არ გამცემთა” გამოვრიცხვას, მაშინ ფაქტობრივად ვიმეორებთ იმას, რაც კეთდება არჩევნების პროცესში ხმების დათვლისას, როდესაც გვხვდება შეუესებელი ბიულეტენები. ეს კი “ნიშნავს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პროცედურაზე არჩევნების ფარული ფილოსოფიის თავზე მოხვევას” (იქვე). თუ უფრო ყურადღებით დავაკვირდებით, აღმოვაჩნთ, რომ “პასუხის არ გამცემთა” რაოდენობა მეტია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში, განსხვავება ამ მხრივ უფრო არსებითი ხდება, რაც უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებენ დასმული კითხვები. გარდა ამისა, რაც უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ანკეტაში დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ცოდნისა და შემეცნების პრობლემასთან, მით უფრო დიდია “პასუხის არ გამცემთა” რაოდენობა ნაკლებ განათლებულთა შორის; და, პირიქით, როდესაც კითხვები ეთიკურ პრობლემებს ეხება, მაგალითად, “საჭიროა თუ არა მკაცრად ვიქცეოდეთ ბავშვებთან დამოკიდებულებაში?” იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც პასუხს თავს არიდებენ ძალიან სუსტად არიან დაკავშირებული რესპონდენტთა განათლების დონესთან და მის შესაბამისად არ განიცდიან ვარიაციებს. ბურღიე გეთავაზობს კიდევ ერთ საინტერესო დაკვირვებას, რაც უფრო ძლიერ ეხება კითხვა კონფლიქტებად პრობლემებს, დაპირისპირებულობათა გორგალს, რაც უფრო დიდ დამაბულობას ბადებს კითხვა რომელიმე სოციალური ჯგუფის თუ კატეგორიის ადამიანებისათვის, მით უფრო ხშირად გვხვდება მათ შორის ისინი, ვინც თავს არიდებენ კითხვებზე პასუხის გაცემას. ამგვარად, “პასუხზე თავის ამრიდებელთა” შესახებ სტატისტიკური მონაცემების მარტივი ანალიზი გვაძლევს გარკვეულ ინფორმაციებს ამ კითხვის მნიშვნელობისა და აგრეთვე რესპონდენტთა განსახილველი კატეგორიის შესახებ. სწორედ ამ გზით მიღებული ინფორმაცია ითვლება “პასუხზე თავის ამრიდებელთა” კატეგორიასთან მიმართებაში აზრის ფლობის, წარმოების ნავარაუდევ შესაძლებლობად და აგრეთვე როგორც სასურველი ან არასასურველი აზრის არსებობის პირობითი

შესაძლებლობა. ამ მეთოდებით აღჭურვილი სოციოლოგისათვის არ არსებობს კითხვა, თუნდაც პასუხგაუცემელი, რომლის გადააზრება, ხელახალი ინტერპრეტაცია თუ განმარტება შეუძლებელი იქნებოდა იმათ ინტერესებთან მიმართებაში, რომლებსაც ამ კითხვებს უსვამენ. ამიტომ ნაცვლად იმისა, რომ დააფიქსიროს, რომ ყოველ რესპონდენტს არ ძალუძს განსაზღვრულ კითხვაზე პასუხის გაცემა ანუ აზრის წარმოება, იგი მაინც მიაწერს მათ გარკვეული აზრის ფლობის შესაძლებლობას. აი რატომაა მკვლევრისათვის პირველი გადაუდებელი ამოცანა - გამოარკვიოს, რესპონდენტებმა, რომელ კითხვებს გასცენ თავიანთი აზრით პასუხი.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ერთ-ერთი ზიანის მომტანი ეფექტი ისაა, რომ ადამიანებისაგან მოითხოვენ პასუხი გასცენ კითხვებს, რომლებიც თვითონ მათ საკუთარი თავისთვის არ დაუსვამთ. თუ ავიღებთ შემდეგი სახის კითხვებს, - რომელთა ყურადღების ცენტრში მორალური პრობლემები დგას: მშობელთა სიმკაცრის, მასწავლებლების და მოსწავლეების ურთიერთდამოკიდებულების, ღირეპტიული და არაღირეპტიული პედაგოგიკის და ა.შ. საქმე ისაა, რომ ამ კითხვებს, როგორც ეთიკურ პრობლემებს, აღიქვამენ სოციალური იერარქიის დაბალ დონეზე მყოფი რესპონდენტები, მაღალ საფეხურზე მყოფნი კი ამ კითხვებს უფრო ხშირად როგორც პოლიტიკურს ისე აღიქვამენ. ამგვარად, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ერთ-ერთი ეფექტი: ეთიკური პასუხების პოლიტიკურ პასუხად ტრანსფორმირება - ძალიან მარტივად - პრობლემატიკის თავზე მოხვევის გზით მიიღწევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რესპონდენტებს ვაიძულებთ პრობლემატიკის თავზე მოხვევის გზით პასუხი გასცენ კითხვებს, რომლებსაც მათთვის სრულებით სხვა მნიშვნელობა და საზრისი აქვთ, გამოკითხვის შედეგებში კი ეს პასუხები, როგორც პოლიტიკურნი, ისე ფიგურირებენ.

ასევე არსებობს მრავალი წესი, რომელთა დახმარებითაც შეიძლება წინასწარ განვსაზღვროთ თუ გამოვიწვიოთ მოსალოდნელი პასუხი. უპირველეს ყოვლისა, ესაა პოლიტიკური კომპეტენცია, მართალია მას არ აქვს გავრცელების ფართო დიაპაზონი, მაგრამ ვარიაციებს განიცდის განათლების დონის შესაბამისად. შეიმჩნევა, წერს

ბურდიე, ფანტასტიკური განთესვა: იქ, სადაც ერთ-ერთი მემარცხენე მოძრაობის მომხრე სტუდენტი არჩევს და განასხვავებს თხუთმეტამდე პოლიტიკურ მიმართულებას, მაშინ საშუალო რგოლის მუშაკისათვის არაფერია, რამეთუ ვერ განასხვავებს ამ მიმართულებებს ერთმანეთისაგან საზოგადოდ. პოლიტიკური მიმართულებების მთელი შკალისაგან [უკიდურესი მემარცხენეები, მემარჯვენეები და ა.შ.], რომელსაც “პოლიტიკური მეცნიერება” იყენებს როგორც თავისთავად გასაგებ რაიმეს, ბურდიეს მოსწრებული შენიშვნით, ზოგიერთი სოციალური ჯგუფი მის მხოლოდ მცირე სექტორს აცნობიერებს, ზოგი კი მთელ შკალას იყენებს. საბოლოო ჯამში არჩევნები - ესაა სავესებით განსხვავებულ სივრცეთა შეერთება ანუ მეტრობით მზომელ ადამიანთა კილომეტრობით მზომელ ადამიანებთან მექანიკური შეკრება. ასევე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შემთხვევაში, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ პოსტულატი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი აზრი ერთნაირად მნიშვნელოვანია, არაა სწორი და მხოლოდ არტეფაქტების წარმოებას უწყობს ხელს.

პოლიტიკურ კითხვაზე ადეკვატური პასუხის გაცემის პირველი პირობაა მისი სწორედ როგორც პოლიტიკურის წარმოდგენის უნარი; მეორე პირობა კი ის არის, რომ, როდესაც კითხვას გავიაზრებთ როგორც პოლიტიკურს, საჭიროა გექონდეს მის მიმართ წმინდად პოლიტიკური კატეგორიების გამოყენების უნარი; ამგვარი უნარი კი იცვლება რესპონდენტთა განათლების დონისა და სოციოლოგიურ იერარქიაში დაკავებული ადგილის შესაბამისად. ასეთია “აზრებისა და შეხედულებების წარმოების სპეციფიკური პირობები, მაშინ როდესაც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა უშვებს, რომ ეს პირობები ყველგან და ერთგვაროვნად სრულდება, ამოდიან რა პირველი პოსტულატისაგან, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ ადამიანს ძალუძს აზრის წარმოება” (3,168). ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ეს პოსტულატი მცდარია, რამეთუ არ ითვალისწინებს აზრის წარმოების სწორედ რეალურ და სპეციფიკურ პირობებს.

პირველ პოსტულატთან არის, აგრეთვე, დაკავშირებული პრინციპი, რომლის თანახმადაც ადამიანებს ძალუძთ აზრების წარმოება, არის “კლასობრივი ეთოსი”. [ბურდიე გვაფრთხილებს, რომ იგი

არ აგვერიოს “კლასობრივ ეთიკაში”, ე.ი. ლატენტურ ფასეულობათა სისტემა, რომლებიც ადამიანებს შეთვისებული - ინტერიორიზებული აქვთ ბავშვობიდან და რომლის საფუძველზეც მათ ძალუძთ თვით ყველაზე განსხვავებულ კითხვებზეც კი პასუხის გაცემა. პოლიტიკური პასუხების მთელი მასა ნამდვილად იწარმოება კლასობრივი ეთოსის შესატყვისად, და სწორედ ამის გამო ამ პასუხებმა შეიძლება სავსებით სხვა მნიშვნელობა შეიძინოს, როდესაც ისინი პოლიტიკური ინტერპრეტაციის საგნად იქცევიან. ამასთან დაკავშირებით ბურდიე ანალიზებს ამერიკულ პოლიტიკურ სოციოლოგთა შორის გავრცელებულ ერთ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც მშრომელ კლასებს ახასიათებთ კონსერვატიზმი და ავტორიტარიზმი. ამგვარი მტკიცება ემყარება მრავალ ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგთა შედარებით ანალიზს. ანალიზი ავლენს ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვა, რომელიც ამ კლასთა დამოკიდებულებას ავლენს ისეთ ფასეულობათა მიმართ, როგორებიცაა ძალაუფლება, პიროვნული თავისუფლება, პრესის თავისუფლება და სხვა - ყველგან ეს დამოკიდებულებანი უფრო “ავტორიტარული” აღმოჩნდებიან, ვიდრე დანარჩენ კლასთა თუ ფენათა დამოკიდებულებანი და პასუხები. აქედან ზოგადად ასკვნიან, რომ არსებობს კონფლიქტი დემოკრატიულ ღირებულებებს და მშრომელ კლასთა მიერ ათვისებულ ღირებულებებს შორის, რომლებიც ავტორიტარული და რეპრესიული ხასიათისაა. რამდენადაც ავტორიტარიზმის, დათრგუნვისა თუ დაჩაგვრისაკენ მისწრაფებას უკავშირებენ დაბალ შემოსავლებს და განათლების დაბალ დონეს, ამდენად თურმე საჭიროა ცხოვრებისა თუ განათლების დონის ამაღლება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს აღეზარდოთ ამერიკული დემოკრატიის ღირსეული მოქალაქეები.

ბურდიე არ იზიარებს ამ მოსაზრებას და ცდილობს აჩვენოს, რომ მშრომელი კლასებისადმი ამგვარი ბრალდება არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, რომ მას ფესვები გადგმული აქვს პოლიტიკურ და ეთიკურ საკითხთა შორის განსხვავებების იგნორირებაში. თუ ავიღებთ ორი ტიპის კითხვას: 1. “იწონებთ თუ არა სქესთა შორის თავისუფლებას?” და 2. “უნდა დაუჭირონ თუ არა მხარი მასწავლებლებმა სახელმწიფოს მოხელეებს სოციალური კონფლიქტების დროს?”, მაშინ დავინახავთ, რომ მათზე პასუხები

დიაპეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან რესპონდენტთა სოციალური პოზიციების შესატყვისად. პირველ კითხვაზე, რომელიც ეხება სოციალურ იერარქიაში ურთიერთობებში ზოგიერთ ინოვაციას, მით უფრო მეტია დადებითი პასუხები, რაც უფრო მაღალი ადგილი უჭირავს რესპონდენტს სოციალურ იერარქიაში და რაც უფრო მაღალი აქვს განათლების დონე. და, პირიქით, მეორე კითხვაზე, რომელიც ეხება კლასებს შორის ძალთა ურთიერთობის ნამდვილ ცვლილებებს, მით უფრო მეტია უარყოფითი პასუხები, რაც უფრო მაღალი საფეხური უჭირავს რესპონდენტს სოციალურ იერარქიაში. ამიტომ ბურდიე დაასკვნის, რომ მტკიცება: “მშრომელ კლასებს მიდრეკილება აქვთ რეპრესიებისადმი” არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. იგი ჭეშმარიტია იმდენად, რამდენადაც მშრომელი კლასები ცდილობენ იყვნენ უფრო რიგორისტები, ვიდრე სხვა კლასები, იმ პრობლემებთან მიმართებაში, რომლებიც ეხებიან საოჯახო მორალს, თაობებსა თუ სქესთა შორის ურთიერთობებს. რაც შეეხება პოლიტიკურ სტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც სოციალური წესრიგის შეცვლას ან შენარჩუნებას ეხებიან, მაშინ მშრომელი კლასები გაცილებით მეტად იწონებენ ინოვაციას, ე.ი. ცვლილებებს სოციალურ სტრუქტურაში. ამგვარად, კითხვათა ორი ჯგუფის დაპირისპირებას სინამდვილეში მივყავართ აზრის წარმოების ორი ჯგუფის დაპირისპირებასთან. ამდენად, იმის თქმა, რომ მშრომელი კლასები კონსერვატულნი არიან, არც ყალბია და არც ჭაშმარიტი, და ბრალდება მათი კონსერვატულობის თაობაზე აზრის წარმოების ეთიკურ და პოლიტიკურ პრინციპთა შორის განსხვავების იგნორირების შედეგია. ასეთია პრობლემატიკის თავზე მოხვევის ეფექტი, რომელიც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას კი არ უწყობს ხელს, არამედ ქმნის სინამდვილისაგან მოწყვეტილ ხელოვნურ ფაქტებს. ამ დროს მადომინირებული პრობლემატიკის თანაბრად ათვისება სხვადასხვა სოციალურ ძალთა მიერ ფაქტობრივად შეუძლებელია, ეს კი არღვევს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვათა პროცედურის ობიექტურობას.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვათა ობიექტურობის დაცვა, ყველა შესაძლებელ პასუხთათვის თანაბარი შანსის მიცემა დასმული კითხვების ნეიტრალურ ტერმინებში ფორმულირებითაა შესაძლებელი. ამგვარი მიდგომა, წერს ბურდიე, შეცდომაა. მისი

აზრით, გამოკითხვა უფრო ახლოს იქნებოდა რეალობაში მიმდინარე პროცესებთან, ე.ი. უფრო ობიექტური იქნებოდა, თუკი “ობიექტურობის” ყველა წესის სრული დარღვევა რესპონდენტებს საშუალებას მისცემდა ჩაეყენებინათ თავი ისეთ პირობებში, რა პირობებშიც ისინი იმყოფებიან რეალურად, ე.ი. მიემართათ უკვე ჩამოყალიბებული და ფორმულირებული აზრისადმი. ასეთ შემთხვევაში, ბურდიეს აზრით, უნდა დაესვათ არა შემდეგი ტიპის კითხვა: “არსებობენ ადამიანები, რომლებიც იწონებენ შობადობის რეგულირებას, არსებობენ სხვებიც, რომლებიც არ იწონებენ. თქვენ კი...?”, არამედ რესპონდენტებს საჭიროა შევთავაზოთ აზრთა ფორმირების და გავრცელების ნდობით აღჭურვილ ჯგუფთა ნათლად გამოკვეთილი პოზიციების მთელი სერია, აი ამგვარ პირობებში შეძლებდნენ ადამიანები გაერკვიათ თავიანთი დამოკიდებულება უკვე ფორმირებული პასუხებისადმი.

ჩვეულებრივ ლაპარაკობენ “პოზიციის არჩევაზე” ანუ წინასწარ მოცემული და გათვალისწინებული პოზიციების არჩევაზე. მაგრამ რაც მთავარია, მსგავსი არჩევანი შემთხვევით არ კეთდება. ადამიანები ირჩევენ იმ პოზიციებს, რომელთა მიმართ ისინი უკვე განწყობილნი არიან სწორედ იმ რეალური პოზიციის შესატყვისად, რომელიც მათ ნამდვილად უკავიათ რომელიმე სოციალურ ველში. ამიტომ, ბურდიეს მართებული შენიშვნით, “მკაცრი და ობიექტური ანალიზი მიმართული უნდა იყოს სწორედ გამომუშავებულ პოზიციათა სტრუქტურასა და ობიექტურად დაკავებული პოზიციის ველის სტრუქტურას შორის კავშირთა ახსნაზე” (3,173).

თუ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები ცუდად აფიქსირებენ აზრთა პოტენციურ მდგომარეობებს ანუ მათ მოძრაობას, ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ის ხელოვნური ვითარება შეიძლება იყოს, რომელშიც ადამიანთა აზრები გამოკითხვის შედეგად რეგისტრირდება. საქმის რეალური ვითარება კი შემდეგია, როდესაც კრიზისის ვითარებაში ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი, ადამიანები აღმოჩნდებიან ცალკეულ ჯგუფთა მიერ გაზიარებული აზრებისა და შეხედულებების წინაშე და ამიტომ აზრებს შორის არჩევანი უკვე ნიშნავს ჯგუფთა შორის არჩევანის გაკეთებას. ასეთია, დაასკვნის ბურდიე, კრიზისით გამოწვეული პოლიტიზაციის ეფექტის

პრინციპი: არჩევანი უნდა გავაკეთოთ პოლიტიკურად გამორკვეულ და განსაზღვრულ ჯგუფებს შორის, და ეს არჩევანი სულ უფრო უნდა ეყრდნობოდეს ექსპლიციტურ პოლიტიკურ პრინციპებს. საზოგადოებრივი აზრის ტრადიციული გამოკითხვა კი ამ აზრს განმარტავს როგორც ინდივიდუალურ შეხედულებათა უბრალო ჯამს, რომელთა მოკრებაც თითქოს ფარული კენჭისყრის პროცედურის მსგავსად ხდება, როდესაც ინდივიდი მოწმეთა გარეშე გამოთქვამს თავის კერძო აზრს. რეალურ სიტუაციაში კი აზრები ძალეხად, ხოლო აზრთა თანაფარდობა - ჯგუფებს შორის ძალისმიერ კონფლიქტებად იქცევიან ხოლმე.

საზოგადოებრივი აზრის ტრადიციული გამოკითხვის ანალიზისას, ბურდიე კიდევ ერთ კანონზომიერებას ავლენს: აზრები პრობლემების მიხედვით მით უფრო მეტია, რაც უფრო მეტად არიან ადამიანები მისით დაინტერესებული. მაგალითად, იგი შენიშნავს, განათლების სისტემის შესახებ კითხვებზე პასუხთა ნაწილი ძლიერ კავშირშია სისტემისადმი რესპონდენტთა სიახლოვის ხარისხზე, ხოლო აზრის გამოთქმის ალბათობა მერყეობს იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვს რესპონდენტს იმის მართვისა თუ განკარგვის უფლება, რის შესახებაც აზრს გამოთქვამენ. “აზრი, როგორც ასეთი, გამოთქმული სპონტანურად - ესაა იმ ადამიანთა მსჯელობა, რომელთა აზრებს და შეხედულებებს, როგორც ამბობენ, წონა აქვთ” (3,174). სახალხო განათლების მინისტრს რომ მოენდომებინა საზოგადოებრივი აზრის ტრადიციული გამოკითხვის საფუძველზე მოქმედება, მაშინ იგი ვერ შეძლებდა ისე მოქმედებას, - შენიშნავს ბურდიე, - როგორც იგი მოქმედებს სინამდვილეში; მოქმედებს რა როგორც პოლიტიკოსი, იგი ითვალისწინებს სწორედ იმ ადამიანთა აზრს, რომელთა აზრებსაც წონა აქვთ, მაგალითად, რომელიმე პროფკავშირული ფუნქციონერის თუ რომელიმე დეკანის შეხედულებებს. სინამდვილეში იგი მოქმედებს საზოგადოებრივი აზრის ძალთა რეალურად ფორმირებული განლაგების მიხედვით; და ეს აზრები მის გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებენ მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც ისინი წონასა და ძალას ფლობენ, ეს ზემოქმედება მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მობილიზებულ ძალებს ფლობენ ისინი.

ამიტომ, თუ გვსურს რომელიმე მოვლენის წინასწარმეტყველება,

უფრო უპრიანი იქნება მობილიზებულ საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობა. “პასუხზე უარის მთქმელთა” ფაქტი, ფაქტი იმისა, რომ რესპონდენტთა ზოგიერთი კატეგორიის განწყობანი ვერ აღწევენ საზოგადოებრივი აზრის სტატუსს, ანუ ფორმულირებულ გამოთქმებს, რომელთაც პრეტენზია აქვთ გამოთქმათა დალაგებულობაზე, საზოგადოებრივ რეზონანსზე, აღიარებაზე და ა.შ. არ უნდა გვაძლევდეს, ბურდიეს აზრით, იმის დასკვნის საფუძველს, რომ ადამიანებს, რომელთაც საზოგადოდ არავითარი აზრი არ აქვთ, კრიზისის პირობებში შემთხვევით არჩევანს გააკეთებენ. თუ ამ ტიპის რესპონდენტებისათვის პრობლემა კონსტატირებული იქნება პოლიტიკურად, მაგალითად, ხელფასის, შრომის რიტმის პრობლემა მუშებისათვის, მაშინ ისინი სრულიად მარტივად გააკეთებენ არჩევანს პოლიტიკური კომპეტენციის ტერმინებში. თუ საქმე შეეხებოდა მათთვის არაპოლიტიკურად კონსტრუირებულ პრობლემებს (მაგალითად, შიდაწარმოებით ურთიერთობათა რეპრესიულობა), მაშინ ისინი კრიზისის პირობებში არჩევანს გააკეთებენ არა შემთხვევით, არამედ ღრმა ქვეცნობიერ, წინასწარ განწყობათა სისტემის მეშვეობით. გარდა ზემოაღნიშნულისა, “საზოგადოებრივი აზრის ტრადიციული გამოკითხვა უგულვებელყოფს როგორც ზეწოლის ჯგუფებს, ისე შესაძლებელ წინასწარგანწყობებს, რომლებიც სავსებით შესაძლებელია არ იქნენ გამოთქმული ექსპლიციტური გამოთქმების სახით. აი, რატომაა, რომ მას არ ძალუძს მოგვეცეს იმის რამდენადმე დასაბუთებული წინასწარმეტყველება - პროგნოზი, თუ რა მოხდება კრიზისის ვითარებაში” (3,175).

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბურდიე უარყოფს საზოგადოებრივი აზრის არსებობას იმ სახით, რა სახითაც აღიარებდა მას ტრადიციულად მიღებული გაგება, როგორც ცალკეულ აზრთა რაღაც საშუალო არითმეტიკულის მსგავს რაიმეს. საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს სწორედ ამ სახით, რა სახითაც მისი არსებობით დაინტერესებული არიან ძლიერნი ამა სოფლისანი. ბურდიე სამართლიანად მიუთითებს, რომ, ერთი მხრივ, არსებობს მობილიზებული, ფორმირებული ზეწოლის ჯგუფები, ხოლო მეორე მხრივ, წინასწარი განწყობანი, რომლებიც განსაზღვრების თანახმად არ არის აზრი, შეხედულება, რამდენადაც არ არის გამორკვეული მისი პრეტენზია გამართულობა

- დალაგებულობაზე. აზრის მოცემულ განსაზღვრას ბურდიე არც კი მიიჩნევს საკუთრივ განსაზღვრებად. ესაა მხოლოდ იმ განსაზღვრების ახსნა, რომელ განსაზღვრებებსაც იყენებენ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში, როდესაც ადამიანებს თხოვენ ფორმულირებულ აზრებს შორის არჩევანის გაკეთებას ანუ პოზიციის დაჭერას, და როდესაც ამგვარი წესით წარმოებული აზრების მარტივი სტატისტიკური აგრეგირების გზით ქმნიან ისეთ არტეფაქტს, როგორსაც წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრი. დაბოლოს, ბურდიე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უარყოფს “საზოგადოებრივ აზრს იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობასაც მას ფარულად მიაწერენ ისინი, ვინც გამოკითხვებს აწარმოებს ან ისინი, ვინც მათ შედეგებს იყენებს, მხოლოდ ეს, ვაზუსტებ, საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს”(3,177).

ბურდიეს მიერ საზოგადოებრივი აზრის რაობისა და გამოკითხვის პროცედურის ჩატარებული ანალიზი მრავალმხრივ იმსახურებს ჩვენს ყურადღებას, კვლევის შედეგების გულდასმით შესწავლას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საქართველოში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პროცედურასთან დაკავშირებული პრობლემების მეცნიერულად და პრაგმატულად გადაჭრის საქმეში.

ლიტერატურა:

1. ელუარდ კოდუა. სოციოლოგიის ისტორია, II ნაკვეთი, თბილისი, 1996.
2. Блумер Г. Коллективное поведение. В кн.: Американская социологическая мысль. Под редакцией В.И.Добренкова. М., 1994.
3. Бурдые П. Социология политики, М., Socio-Logos, 1993.
4. Демидов А.М. Общественное мнение на пути институциона-лизации. Социологические исследования, 1992, #2.
5. Д.Райли-Младший и М.Райли. Массовая коммуникация и социальная система. В кн.: Социология сегодня, М., 1965.
6. Рокар М. Трудиться с душой. М., Международные отношения, 1990.
7. Современная западная социология, словарь. М., 1990.

მათემატიკური მეთოდები სოციოლოგიურ ბაზოკვლევებში

მათემატიკური მეთოდების სოციოლოგიურ გამოკვლევებში გამოყენება სპეციფიკით ხასიათდება, რაც მათემატიკის ცნებითი აპარატისა და თვით კვლევის ობიექტის თავისებურებებით არის განპირობებული. მათემატიკის საშუალებით სოციალური ობიექტების რაოდენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლები აისახება კვლევის შედეგებში. ეს კი ემპირიული სოციოლოგიური მონაცემების დამუშავების გზით არის შესაძლებელი. ამდენად, აუცილებელია ამა თუ იმ მათემატიკური მეთოდის შესახებ გარკვეული წარმოდგენა და განსაზღვრული ტიპის მონაცემები სტატისტიკური მეთოდების გამოყენებისას. ემპირიული გამოკვლევის მიზანი არის კონკრეტული, თვისებრივ-რაოდენობრივი მახასიათებლებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სისტემის დადგენა შესასწავლი სოციალური მოვლენის შესახებ. აქედან გამომდინარე, გამოყენებული მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს იმ მაჩვენებლების მიღებას, რომლებიც ცვლადებს შორის ზუსტ რაოდენობრივ და თვისებრივ მიმართებებს დააფიქსირებენ.

ფართო გაგებით, ტერმინი „სტატისტიკა“ აღნიშნავს ისეთ მოღვაწეობას, რომელიც მიმართულია საზოგადოების რაოდენობრივი კანონზომიერებების მახასიათებელი ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზისთვის, აგრეთვე, იმ ტექნიკური ხერხების ერთობლიობას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება რაოდენობრივი ხასიათის ინფორმაციის მოპოვება, დაჯამება და ინტერპრეტაცია. ვიწრო აზრით, სტატისტიკა განიხილება როგორც რაიმე მოვლენის ან პროცესის შესახებ მონაცემების ერთობლიობა.

ემპირიული გამოკვლევებისას მოპოვებული პირველადი სოციოლოგიური ინფორმაცია არ არის სტრუქტურირებული და ნაკლებად გამოსადეგია ანალიზისათვის. აუცილებელია ამ ინფორმაციის დალაგება, აღწერა, მათი რაოდენობრივი გამოსახვა, რაც მათემატიკურ-

სტატისტიკური მეთოდების საშუალებით შეიძლება განხორციელდეს კვლევის სხვადასხვა ეტაპზე.

სტატისტიკური მეთოდების საშუალებით შეიძლება განხორციელდეს კვლევის სხვადასხვა ეტაპზე.

სტატისტიკური ერთობლიობა შედგება ცალკეული ობიექტებისაგან (ერთეულებისაგან). ემპირიულ გამოკვლევაში სტატისტიკურ ერთობლიობას შეადგენენ ინდივიდები ანუ გამოსაკვლევი პირები. სტატისტიკური ერთობლიობების შემადგენელი ელემენტები აღიწერება ცვლადების (ნიშანი, მახასიათებელი) საშუალებით, რომლებმაც შეიძლება მიიღოს სხვადასხვა მნიშვნელობა (მაგალითად, ცვლადებია სქესი, ასაკი, შემოსავალი, საქმიანობის სფერო, განათლება, რესპონდენტის დამოკიდებულება რაიმესადმი და ა.შ.). ერთმანეთისაგან განასხვავებენ ცვლადს (ნიშანს) და კითხვას სოციოლოგიური კვლევის ინსტრუმენტში. ზოგ შემთხვევაში კითხვა ერთდროულად ცვლადიცაა. ნიშნის შესაბამის პასუხის ვარიანტებს ეწოდება მისი ალტერნატივები.

ამრიგად, ცვლადი (ნიშანი) არის შესასწავლი ობიექტის (დაკვირვების ერთეულების) საერთო თვისება, რომლის კონკრეტული გამოვლინებებიც (ცვლადის მნიშვნელობები) იცვლება ობიექტის შესაბამისად. სოციოლოგიურ გამოკვლევაში ცვლადი ხშირად გაიგივებულია ინდიკატორთან.

არსებობს პირველადი ან მეორადი ცვლადები. პირველადი ცვლადის მნიშვნელობები უშუალოდ მონაცემების მოპოვებისას მიიღება, მეორადისა – მონაცემების დამუშავების შედეგად. ცვლადები შეიძლება დაიყოს თვისებრივ და რაოდენობრივ ცვლადებად (ამის შესაბამისად, სოციოლოგიური კვლევის ინსტრუმენტში კითხვებს ყოფენ თვისებრივი და რაოდენობრივი ხასიათის კითხვებად). თვისებრივი ცვლადის მნიშვნელობები მიიღება ნომინალური სკალის საშუალებით, ხოლო რაოდენობრივისა – რიგის ან ინტერვალურით.

თვისებრივ ცვლადებს ეწოდება, აგრეთვე, ატრიბუტული. ასეთი ცვლადის მნიშვნელობათა სიმრავლე აღწერს შესასწავლ ერთობლიობას, თუკი ამ ერთობლიობის ნებისმიერი ერთეული ეკუთვნის (ან არ ეკუთვნის) კატეგორიათა (ატრიბუტთა) სიმრავლიდან ერთ-ერთს, რომლებიც ცვლადის მნიშვნელობებს წარმოადგენს.

თვისებრივი ცვლადის კრძო შემთხვევა ე.წ. დიქტომოური ცვლადი, რომელიც შესასწავლი ობიექტისთვის მოცემული თვისების არსებობას ან არარსებობას აფიქსირებს. თვისებრივი ცვლადებია რასა, სქესი, ეთნიკური კუთვნილება, სარწმუნოება, დაბადების ადგილი.

რაოდენობრივი ცვლადები დისკრეტული ან უწყვეტია. პირველის მაგალითია ოჯახის წევრთა რაოდენობა, მეორისა – ასაკი, შემოსავალი და სხვ.

არსებობს ცვლადების განსხვავებული ტიპები – რიგის (ორდინარული) და ინტერვალური. რიგის ტიპის ცვლადებია სოციალური ფენა, ასაკობრივი ჯგუფი, განათლების დონე, ზარისხი, რომლის მიხედვითაც რესპონდენტები ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან ამა თუ იმ დებულებას. ამ შემთხვევაში კატეგორიების შედარება შესაძლებელია რანგულ ტერმინებში. ნომინალური ცვლადისაგან განსხვავებით, რიგის ცვლადი კატეგორიებს შორის უფრო ზუსტ განსხვავებებს აფიქსირებს. ინტერვალური ცვლადის საშუალებით კი შესაძლებელია ნებისმიერი იმ განსხვავების ფიქსაცია, რომელსაც ნომინალური და რიგის ცვლადი უშვებს, ამასთან, იგი დამატებითი თვისებით ხასიათდება – ეს არის კატეგორიებს შორის რაოდენობრივი მანძილის სიდიდეების შედარება.

ცვლადების კლასიფიკაცია სხვაგვარადაც შეიძლება. სოციოლოგიური გამოკვლევების დანიშნულებათა გამოავლინოს და გაზომოს ცვლადები, რომლებიც დამახასიათებელია რაიმე მოვლენისათვის, შეზღვევ კი ისინი სხვა ცვლადის ზემოქმედებით ახსნას. პირველს ეწოდება დამოკიდებული ცვლადი, მეორეს, რომელიც პირველს ხსნის (ან მის მიზეზს წარმოადგენს) – დამოუკიდებელი.

სოციალური სტატისტიკური ობიექტების (ინდივიდთა ერთობლიობების) შესწავლისას ცენტრალური ცნებებია ზღომილობები და შემთხვევითი სიდიდეები. სოციოლოგიურ კვლევებში ზღომილობები თვისებრივი ნიშნების მიხედვით ინდივიდთა კლასიფიკაციას ახდენს,

შემთხვევითი სიდიდეები კი ობიექტების რაოდენობრივ მახასიათებლებს გამოხატავს.

ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ძირითადი ცნებები

სოციოლოგიური გამოკვლევები მნიშვნელოვანწილად ეფუძნება ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკას. მისი აპარატი გამოიყენება შერჩევის მოდელის შემუშავების, სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების, მონაცემების დამუშავებისა და ანალიზისთვის.

ცდის ან დაკვირვების შესაძლო შედეგი არის ხდომილობა. ხდომილობებს ეწოდება ტოლშესაძლებელი (თანაბარშესაძლებელი), თუ ცდის ჩატარების შედეგად რომელიმე მათგანის მოხდენას უპირატესობა არ ეძლევა. ხდომილობებს აღნიშნავენ ლათინური დიდი ასოებით. ხდომილობას ეწოდება აუცილებელი, თუ მოცემული ცდის პირობებში იგი აუცილებლად მოხდება. მას აღნიშნავენ U -თი. ხდომილობას ეწოდება შეუძლებელი, თუ მას არ ექნება ადგილი გარკვეულ პირობათა კომპლექსის შესრულებისას. ასეთი ხდომილობა აღინიშნება V -თი. ხდომილობას ეწოდება შემთხვევითი, თუ ცდის ან დაკვირვების ჩატარების შედეგად მას შეიძლება ჰქონდეს ადგილი ან არა.

ორ ხდომილობას ეწოდება არათავსებადი, თუ ერთ-ერთი მათგანის მოხდენა გამორიცხავს მეორის მოხდენას. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ თავსებადი ხდომილობები ეწოდება. ორზე მეტი ხდომილობების არათავსებადობა ნიშნავს მათ წყვილ-წყვილად არათავსებადობას. A ხდომილობის საწინააღმდეგო ხდომილობა A არის A -ს არმოხდენა.

სასრული რაოდენობა A_1, A_2, \dots, A_n ხდომილობების ჯამი არის ხდომილობა, რომელიც ნიშნავს ერთ-ერთის მაინც მოხდენას. აღინიშნება: $A_1 + A_2 + \dots + A_n$. სასრული რაოდენობა ხდომილობების ნამრაველი არის ხდომილობა, რომელიც ნიშნავს თითოეულის ერთდროულად მოხდენას. აღინიშნება: $A_1 A_2 \dots A_n$.

A ხდომილობა იწვევს B -ს, თუ ყოველთვის, როცა ადგილი აქვს

A -ს, ადგილი აქვს B -საც. აღინიშნება ამგვარად: $A \subset B$.

A და B ხლომილობებს ეწოდება ეკვივალენტური (ტოლძალოვანი), თუ $A \subset B$ და ამავე დროს $B \subset A$. აღინიშნება $A = B$.

ხლომილობების A_1, A_2, \dots, A_n ერთობლიობას ეწოდება ერთადერთშესაძლებელი, თუ ერთ-ერთ მათგანს მაინც ექნება ადგილი, როგორც ცდის შედეგს, ე.ი. $A_1 + A_2 + \dots + A_n = U$. ხლომილობები A_1, A_2, \dots, A_n ქნის სრულ სისტემას, თუ ისინი ერთადერთშესაძლებელი და არათავსებადი შედეგებია რაიმე ცდისა.

წყვილ-წყვილად არათავსებად ხლომილობებს ეწოდება შემთხვევები, თუ ისინი ტოლშესაძლებელი და ერთადერთშესაძლებელი ხლომილობებია.

რიცხვი, რომელიც გამოხატავს ხლომილობის მოხდენის ობიექტური შესაძლებლობის ზომას, არის ხლომილობის ალბათობა. უფრო ზუსტად, A ხლომილობის ალბათობა $p(A)$ ტოლია წილადისა, რომლის მნიშვნელი არის ყველა შესაძლებელ შემთხვევათა რიცხვი, მრიცხველი კი – ამ ხლომილობისთვის ხელშემწყობ შემთხვევათა რიცხვი:

$$p(A) = \frac{m}{n}.$$

ცხადია, $p(U) = 1$, $p(V) = 0$. საზოგადოდ $0 \leq p(A) \leq 1$.

ხლომილობის ფარდობითი სიხშირე ω ტოლია წილადისა, რომლის მრიცხველია იმ ცდათა რაოდენობა, რომლებშიც დაფიქსირდა ხლომილობა, მნიშვნელი კი – ფაქტობრივად ჩატარებული ცდების რაოდენობა:

$$\omega = \frac{k}{r}.$$

ხლომილობის ფარდობითი სიხშირე ერთსა და იმავე პირობებში ცდების მრავალჯერადი განმეორებისას დაუახლოვდება ამ ხლომილობის ალბათობის რიცხვით მნიშვნელობას.

სასრული რაოდენობის წყვილ-წყვილად არათავსებად ხლომილობათა ჯამის ალბათობა ამ ხლომილობათა ალბათობების ჯამის ტოლია:

$$p(A_1 + A_2 + \dots + A_n) = p(A_1) + p(A_2) + \dots + p(A_n).$$

ალბათობათა შეკრების ეს ფაქტი სამართლიანია მხოლოდ არათავსებადი ხდომილობებისათვის. თუ A და B ხდომილობები თავსებადია, მაშინ:

$$p(A+B)=p(A)+p(B)-p(AB).$$

A ხდომილობის ალბათობა, რომელიც გამოთვლილია იმის გათვალისწინებით, რომ B ხდომილობას ჰქონდა ადგილი, არის A ხდომილობის პირობითი ალბათობა (B ხდომილობის მიმართ) და აღინიშნება ასეთნაირად:

$$p_{\text{B}}(A) \text{ ან } p(A|B).$$

A და B ხდომილობების ნამრავლის ალბათობა ტოლია ერთ-ერთი ხდომილობის ალბათობის ნამრავლისა მეორე ხდომილობის პირობით ალბათობაზე:

$$p(AB) = p(A)p_{\text{A}}(B) = p(B)p_{\text{B}}(A).$$

A და B ხდომილობებს ეწოდება დამოუკიდებელი, თუ ერთ-ერთის ალბათობა არ იცვლება მეორის მოხდენისას, ანუ:

$$p_{\text{B}}(A) = p(A) \text{ და } p_{\text{A}}(B) = p(B).$$

წინააღმდეგ შემთხვევაში A და B -ს ეწოდება დამოკიდებული ხდომილობები.

თუ A და B დამოუკიდებელი ხდომილობებია, მაშინ:

$$p(AB)=p(A)p(B).$$

არსებობს სიდიდეები, რომელთაც შეუძლიათ მიიღონ რაიმე მნიშვნელობები, თუმცა არ შეიძლება უცილობლად ვივარაუდოთ, თუ რომელ მნიშვნელობას მიიღებენ ისინი ცდაში ან დაკვირვებისას. ისინი ახასიათებენ ცდის ყველა შესაძლო შედეგს რაოდენობრივად. მათ ეწოდებათ შემთხვევითი სიდიდეები. უფრო ზუსტად, შემთხვევითი სიდიდე ეწოდება ისეთ ცვლადს, რომელსაც შეუძლია მიიღოს ესა თუ ის რიცხვითი მნიშვნელობა სხვადასხვა ვითარების შესაბამისად. ასეთი სიდიდეები აღინიშნება X, Y, Z და ა.შ. ასოებით, ხოლო მათი მნიშვნელობები შესაბამისი პატარა ასოებით: x, y, z და ა.შ.

შემთხვევითი სიდიდეები დისკრეტულ და უწყვეტ სიდიდეებად იყოფა. შემთხვევით სიდიდეს ეწოდება დისკრეტული, თუ მისი მნიშვნელობების სიმრავლე სასრული ან თვლადია. შემთხვევითი სიდიდე უწყვეტია, თუ მას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი მნიშვნელობა რიცხვითი წრფის გარკვეული (α, β) ინტერვალიდან.

ვთქვათ, დისკრეტული ტიპის X შემთხვევითი სიდიდე ღებულობს k ცალ მნიშვნელობას x_1, x_2, \dots, x_k . ვთვლით, რომ ისინი განსხვავებულია და დალაგებულია ზრდის მიხედვით.

დისკრეტული ტიპის X შემთხვევითი სიდიდის დასახასიათებლად განსაზღვრული უნდა იყოს არა მხოლოდ მისი მნიშვნელობები x_i ,

$i = \overline{1, k}$, არამედ, აგრეთვე, ის ალბათობები p_i , რა ალბათობებითაც X

შემთხვევითი სიდიდე მიიღებს თითოეულ მნიშვნელობას: $p_i = p(X=x_i)$. $p(x)$ ფუნქცია, რომელიც აკავშირებს დისკრეტული ტიპის X შემთხვევითი სიდიდის მნიშვნელობებს მათ შესაბამის ალბათობებთან, არის ამ შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონი.

ცხრილი №1

X	x_1	x_2	x_k
P	p_1	p_2	p_k

$$\sum_{i=1}^k p_i = 1.$$

თანადობას X შემთხვევითი სიდიდის x_i მნიშვნელობებსა და $p_i(X=x_i)$ ალბათობებს შორის ეწოდება შემთხვევითი სიდიდის ალბათობების განაწილების დიფერენციალური ფუნქცია (განაწილების კანონი, სიმკვრივე). აღნიშნავენ $p(x)$ -ით. ამას გარდა, თუ განვიხილავთ თანადობას შემთხვევითი სიდიდის შესაძლო x_i მნიშვნელობებსა და P_i ალბათობებს შორის (ალბათობა იმისა, რომ შემთხვევითი სიდიდე X მიიღებს მნიშვნელობას ნაკლებს x_{i+1} -ზე, $P_i(X < x_{i+1})$), მას ეწოდება შემთხვევითი სიდიდის ალბათობების განაწილების ინტეგრალური ფუნქცია (ან დაგროვილი ალბათობების ფუნქცია). აღნიშნავენ $P(x)$ -ით.

ცხრილი №2

X	x_1	x_2	x_k
P	P_1	P_2	$P_k=1$
	p_1	p_1+p_2	$p_1+\dots+p_k$

ემპირიულ გამოკვლევებში დიფერენციალურ და ინტეგრალურ ფუნქციებს შეესაბამება აბსოლუტური (ან ფარდობითი) სიხშირებისა და დაგროვილი აბსოლუტური (ან ფარდობითი) სიხშირების განაწილების მწკრივები.

შემთხვევითი სიდიდის სიხშირების სტატისტიკური განაწილება არის თანალობა X შემთხვევითი სიდიდის შესაძლო x_i მნიშვნელობებსა და მათ აბსოლუტურ n_i (ან ფარდობით ω_i ($X=x_i$)) სიხშირებს შორის:

ცხრილი №3

X	x_1	x_2	x_k
n_i	n_1	n_2	n_k
ω_i	ω_1	ω_2	ω_k

$$\sum_{i=1}^k n_i = n, \quad \omega_i = \frac{n_i}{n}, \quad \sum_{i=1}^k \omega_i = 1.$$

შემთხვევითი სიდიდის დაგროვილი სიხშირების განაწილების ემპირიული ფუნქცია ეწოდება დამოკიდებულებას შემთხვევითი სიდიდის x_i მნიშვნელობებსა და დაგროვილ N_i სიხშირებს (ან x_i -სა და დაგროვილ ფარდობით W_i სიხშირებს შორის (W_i არის სიხშირე, რომ X შემთხვევითი სიდიდე მიიღებს მნიშვნელობას, ნაკლებს x_{i+1} -ზე: $W_i(X < x_{i+1})$).

X	x_1	x_2	x_k
N_i	N_1	N_2	N_k
	n_1	n_1+n_2	$n_1+\dots+n_k$
W_i	W_1	W_2	W_k
	ω_1	$\omega_1+\omega_2$	$\omega_1+\dots+\omega_k$

დისკრეტული ტიპის X და Y შემთხვევით სიდიდეებს ეწოდება დამოუკიდებელი, თუ ნებისმიერი i და j-თვის "X=x_i", (i = 1, k) და "Y=y_j", (j = 1, m) ხლომილობები დამოუკიდებელია.

შემთხვევით სიდიდეს ეწოდება ორგანზომილებიანი, თუ მის ყველა მნიშვნელობას აქვს სახე: (x_i, y_j), i = 1, k, j = 1, m.

ეთქვას, ორგანზომილებიანი (X;Y) შემთხვევითი სიდიდე ღებულობს (x_i, y_j) მნიშვნელობებს, x_i X შემთხვევითი სიდიდის მნიშვნელობებია, y_j - Y-სა, ამასთან, P(X=x_i)=p_i, P(Y=y_j)=p'_j, i = 1, k, j = 1, m.

ხლომილობა "(X;Y)=(x_i, y_j)" ნიშნავს "X=x_i" და "Y=y_j" ხლომილობის ნამრავლს. ამ ხლომილობის შესაბამისი ალბათობა აღვნიშნოთ p_{ij}=P(X=x_i; Y=y_j). ორგანზომილებიანი შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონია:

ცხრილი №5

(X;Y)	(x _i , y _j)
P	p _{ij}

საზოგადოდ:

$$p_{ij} = P(X=x_i; Y=y_j) = P(X=x_i) P_{X=x_i}(Y=y_j), \quad (1)$$

P_{X=x_i}(Y=y_j) პირობითი ალბათობაა.

თუ X და Y დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეებია, მაშინ

$$p_{ij} = p_i p'_j \quad (2)$$

ვთქვათ, მოცემულია X და Y შემთხვევითი სიდიდეების განაწილების კანონები:

X	x_i
P	p_i

და

Y	x_j
P	p_j'

$i = \overline{1, k}$ $j = \overline{1, m}$.

kX (k – რაიმე მუდმივია) არის შემთხვევითი სიდიდე, რომელიც ღებულობს kx_i მნიშვნელობებს p_i ალბათობებით.

X^2 შემთხვევითი სიდიდეა x_i^2 მნიშვნელობებით, შესაბამისი p_i ალბათობებით.

$X+Y$ შემთხვევითი სიდიდეა, რომელიც ღებულობს ყველანაირ მნიშვნელობას $x_i + y_j$, $p_i p_j$ ალბათობებით.

$X-Y$ შემთხვევითი სიდიდეა, რომელიც ღებულობს ყველანაირ მნიშვნელობას $x_i - y_j$, $p_i p_j$ ალბათობებით.

XY შემთხვევითი სიდიდეა, ყველანაირი $x_i y_j$ მნიშვნელობებით და $p_i p_j$ ალბათობებით.

p_i , საზოგადოდ, განისაზღვრება (1) ტოლობით, ხოლო, თუ X და Y დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეებია – (2) ტოლობით.

შემთხვევით სიდიდეებზე ოპერაციებისას შესაძლებელია ერთი და იმავე მნიშვნელობების მიღება. ასეთ შემთხვევაში განაწილების ცხრილის პირველ სტრიქონში ჩაიწერება მხოლოდ ერთი მნიშვნელობა, ხოლო ალბათობა ტოლია ერთი და იმავე მნიშვნელობების შესაბამისი ალბათობების ჯამისა. ამას გარდა, შემთხვევითი სიდიდის მიღებული მნიშვნელობები ლაგდება მათი ზრდის მიხედვით.

შემთხვევითი სიდიდეები ხასიათდება მუდმივი სიდიდეებით, რომლებიც განაწილების კანონის საფუძველზე მიიღება.

ალბათობათა განაწილებისათვის:

დისკრეტული ტიპის X შემთხვევითი სიდიდის (რომელიც სასრული რაოდენობის მნიშვნელობებს ღებულობს) მათემატიკური ლოდინი

$M(X)$ ეწოდება მისი მნიშვნელობების შესაბამის ალბათობებზე ნამრავლების ჯამს:

$$M(X) = x_1 p_1 + x_2 p_2 + \dots + x_k p_k = \sum_{i=1}^k x_i p_i .$$

სიხშირეთა განაწილებისათვის :

შემთხვევითი სიდიდის საშუალო არითმეტიკული

$$\bar{x} = \frac{1}{n} (x_1 n_1 + x_2 n_2 + \dots + x_k n_k) = \frac{1}{n} \sum_{i=1}^k x_i n_i .$$

რადგანაც $\omega_i = \frac{n_i}{n}$, საშუალო არითმეტიკული არის შემთხვევითი სიდიდის მნიშვნელობების შესაბამის ფარდობით სიხშირეებზე ნამრავლების ჯამი:

$$\bar{x} = x_1 \omega_1 + x_2 \omega_2 + \dots + x_k \omega_k = \sum_{i=1}^k x_i \omega_i .$$

ალბათობათა განაწილებისათვის:

X შემთხვევითი სიდიდის დისპერსია ეწოდება მათემატიკური ლოდინიდან გადახდის კვადრატის მათემატიკურ ლოდინს:

$$D(X) = M[(X - M(X))^2] = (x_1 - M(X))^2 p_1 + (x_2 - M(X))^2 p_2 + \\ + \dots + (x_k - M(X))^2 p_k = \sum_{i=1}^k (x_i - M(x))^2 p_i .$$

დისპერსია შეიძლება ასეთნაირადაც გამოითვალოს:

$$D(X) = M(X^2) - [M(X)]^2 = \sum_{i=1}^k x_i^2 p_i - [M(X)]^2 .$$

X შემთხვევითი სიდიდის საშუალო კვადრატული გადახრა არის დისპერსიიდან არითმეტიკული კვადრატული ფესვი:

$$\sigma = \sqrt{D(X)} .$$

სიხშირეთა განაწილებისათვის:

შემთხვევითი სიდიდის დისპერსია

$$\sigma^2 = \frac{1}{n} [(x_1 - \bar{x})^2 n_1 + (x_2 - \bar{x})^2 n_2 + \dots + (x_k - \bar{x})^2 n_k] = \frac{1}{n} \sum_{i=1}^k (x_i - \bar{x})^2 n_i.$$

რადგანაც $\omega_i = \frac{n_i}{n}$,

$$\sigma^2 = (x_1 - \bar{x})^2 \omega_1 + (x_2 - \bar{x})^2 \omega_2 + \dots + (x_k - \bar{x})^2 \omega_k = \sum_{i=1}^k (x_i - \bar{x})^2 \omega_i$$

ან:
$$\sigma^2 = \sum_{i=1}^k x_i^2 \omega_i - \bar{x}^2.$$

ზემოთ მოტანილი ფორმულები გამოიყენება დოქტომიური ცვლადისთვისაც, რომელსაც შეუძლია მიიღოს მხოლოდ ორი მნიშვნელობა — 0 და 1. ასეთი ცვლადი აფიქსირებს რაიმე თვისების არარსებობას ან არსებობას რესპონდენტისათვის. ვთქვათ, $x_i = 0$ ნიშნის რესპონდენტთა ხვედრითი წილია $\omega_i \equiv q$, ხოლო $x_i = 1$ ნიშნისა — $\omega_i \equiv p = 1 - q$, მაშინ $\bar{x} = p$ და $\sigma^2 = qp$.

ქორელაციური დამოკიდებულებები

საზოგადოდ, ცვლადებს შორის არსებობს დამოკიდებულების ორი სახე — ფუნქციონალური და სტატისტიკური. ორ ცვლადს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულებისას ერთი ცვლადის ყოველ მნიშვნელობას შეესაბამება სრულიად განსაზღვრული მნიშვნელობა მეორე ცვლადისა. მაგრამ პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ერთმანეთზე დამოკიდებული ცვლადები, როცა ერთ-ერთის ყოველ მნიშვნელობას შეესაბამება მეორის მნიშვნელობათა სიმრავლე.

X და Y ცვლადები დაკავშირებულია სტატისტიკურად, თუ ერთ-ერთის თითოეულ მნიშვნელობას შეესაბამება მეორე ცვლადის განაწილება, რომელიც იცვლება პირველის ცვლილებასთან ერთად. ამასთანავე, იცვლება როგორც ცვლადის მნიშვნელობები, ასევე სიხშირები (აბსოლუტური და შესაბამისად, ფარდობითიც). ვთქვათ, X და Y ცვლადების მიხედვით განაწილებას აქვს ასეთი სახე

$$(i = \overline{1, k}; j = \overline{1, m}):$$

X \ Y	Y						
	y_1	y_2	y_j	...	y_m	n_{x_i}	
x_1	n_{11}	n_{12}	...	n_{1j}	...	n_{1m}	n_{x_1}
x_2	n_{21}	n_{22}		n_{2j}	...	n_{2m}	n_{x_2}
\vdots	\vdots	\vdots		\vdots		\vdots	\vdots
x_i	n_{i1}	n_{i2}		n_{ij}	...	n_{im}	n_{x_i}
\vdots	\vdots	\vdots		\vdots		\vdots	\vdots
x_k	n_{k1}	n_{k2}		n_{kj}	...	n_{km}	n_{x_k}
n_{y_j}	n_{y_1}	n_{y_2}	...	n_{y_j}	...	n_{y_m}	n

ასეთი სახის ცხრილებს ეწოდება კორელაციური ცხრილები. n რაოდენობის ელემენტთა ერთობლიობიდან n_y ისეთია, რომელთათვისაც X ცვლადი ღებულობს x_i მნიშვნელობას, ხოლო Y - y_j -ს. X ცვლადის საერთო საშუალო

$$\bar{x} = \frac{\sum_{i=1}^k x_i n_{x_i}}{\sum_{i=1}^k n_{x_i}} = \frac{\sum_{i=1}^k x_i n_{x_i}}{n}$$

n_{x_i} არის იმ სიხშირეების ჯამი, რომლებიც მოთავსებულია i -ურ სტრიქონში:

$$n_{x_i} = n_{i1} + n_{i2} + \dots + n_{ij} + \dots + n_{im} = \sum_{j=1}^m n_{ij}, \quad i = \overline{1, k}.$$

Y ცვლადის საერთო საშუალო

$$\bar{y} = \frac{\sum_{j=1}^m y_j n_{y_j}}{\sum_{j=1}^m n_{y_j}} = \frac{\sum_{j=1}^m y_j n_{y_j}}{n}$$

n_j არის j -ურ სვეტში მოთავსებული სიხშირეების ჯამი:

$$n_j = n_{1j} + n_{2j} + \dots + n_{ij} + \dots + n_{kj} = \sum_{i=1}^k n_{ij}, \quad j = \overline{1, m}.$$

შერჩევითი ერთობლიობის წარმოდგენა, რომლის მოცულობაა n , შესაძლებელია სამი ვარიანტით:

$$n = \sum_{i=1}^k \sum_{j=1}^m n_{ij} = \sum_{i=1}^k n_{\cdot i} = \sum_{j=1}^m n_j.$$

მთელი ერთობლიობა, რომლის განაწილება X და Y ცვლადების მიხედვით წარმოდგენილია კორელაციურ ცხრილში, შეიძლება დაფიქსირდეს ორი განსხვავებული ხერხით.

ა) გაუერთიანოთ ჯგუფებში ელემენტები X ცვლადის ერთი და იმავე მნიშვნელობებით. i -ურ ჯგუფში მოხვდება ერთობლიობის ის ელემენტები, რომელთათვისაც X ცვლადი ღებულობს x_i მნიშვნელობას. მივიღებთ k ურთიერთარაგადასაწყვეთ ჯგუფს. თითოეული ჯგუფის ყველა ელემენტისთვის X ცვლადი ღებულობს ერთსა და იმავე მნიშვნელობას, ხოლო Y ცვლადს მათთვის განსხვავებული მნიშვნელობების მიღება შეუძლია.

ამ განაწილების (i -ური ჯგუფის) საშუალო არითმეტიკული არის Y ცვლადის ჯგუფისშიგნითა საშუალო:

$$\bar{y}_i = \frac{\sum_{j=1}^m y_j n_{ij}}{n_{\cdot i}} = \frac{\sum_{j=1}^m y_j n_{ij}}{\sum_{j=1}^m n_{ij}}$$

X ცვლადის ყოველ x_i მნიშვნელობას შეესაბამება \bar{y}_i საშუალო. X ცვლადის მნიშვნელობებსა და მათ შესაბამის y_i საშუალოებს შორის შესაძლებელია არსებობდეს ფუნქციონალური დამოკიდებულება:

$$y = f(x), \quad (1)$$

ანუ, $X = x_i$ მნიშვნელობას შეესაბამება სრულიად გარკვეული \bar{y}_i

რომელიც (1) ტოლობითაა განსაზღვრული. A, წერტილები, რომელთა კოორდინატებია $(x_i; \bar{y}_j)$, ასეთ შემთხვევაში ძვეს მრუდზე, რომლის განტოლება არის (1).

ბ) ერთობლიობა შეიძლება დაფიქსირდეს სხვაგვარადაც. კერძოდ, ჯგუფებში გაავარდინოთ ელემენტები, რომელთათვისაც Y ცვლადს აქვს ერთი და იგივე მნიშვნელობები.

j-ურ ჯგუფში მოხვდება ის ელემენტები, რომელთათვისაც Y ცვლადი ღებულობს y_j მნიშვნელობას. მივიღებთ m ურთიერთარაგადასაკვეთ ჯგუფს. თითოეული ასეთი ჯგუფის ყველა ელემენტისათვის Y ცვლადი ღებულობს ერთსა და იმავე მნიშვნელობას, მაგრამ X ცვლადს შეუძლია მიიღოს განსხვავებული მნიშვნელობები. ამ განაწილების (j-ური ჯგუფის) საშუალო არითმეტიკული არის X ცვლადის ჯგუფისშიგნითა საშუალო:

$$\bar{x}_j = \frac{\sum_{i=1}^k x_{ij}}{n_{j1}} = \frac{\sum_{i=1}^k x_{ij}}{\sum_{i=1}^k n_{ij}} .$$

Y ცვლადის ყოველ y_j მნიშვნელობას შეესაბამება \bar{x}_j საშუალო. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ Y ცვლადის მნიშვნელობებსა და მათ შესაბამის \bar{x}_j შორის არსებობს ფუნქციონალური დამოკიდებულება:

$$x = \varphi(y) . \quad (2)$$

C, წერტილები $(\bar{x}_j; y_j)$ კოორდინატებით ასეთ შემთხვევაში ძვეს მრუდზე, რომლის განტოლებაა (2).

ორ ცვლადს შორის კორელაციური დამოკიდებულება ეწოდება იმ ფუნქციონალურ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ერთ-ერთი ცვლადის მნიშვნელობებსა და მეორე ცვლადის ჯგუფისშიგნითა საშუალოებს შორის.

X და Y ცვლადებისთვის, რომელთა შორის დამოკიდებულება წარმოდგენილია კორელაციური ცხრილის სახით, შეიძლება არსებობდეს ორი კორელაციური დამოკიდებულება: პირველი, ფუნქციონალური დამოკიდებულება X ცვლადის მნიშვნელობებსა და \bar{y}_j საშუალოებს შორის. მას ეწოდება Y-ის X-ზე კორელაციური

დამოკიდებულება; მეორე, ფუნქციონალური დამოკიდებულება Y ცვლადის მნიშვნელობებსა და \bar{x} , საშუალოებს შორის, რომელსაც ეწოდება X -ის Y -ზე კორელაციური დამოკიდებულება.

(1) და (2) განტოლებებს ეწოდება კორელაციური განტოლებები (ან რეგრესიის განტოლებები) Y -სა X -ზე (და X -სა Y -ზე). კორელაციური განტოლებების გრაფიკებს ეწოდება რეგრესიის მრუდები Y -სა X -ზე და X -სა Y -ზე შესაბამისად. კორელაციური დამოკიდებულების კერძო შემთხვევაა ე.წ. წრფივი კორელაციური დამოკიდებულება, როცა იგი გამოისახება წრფის განტოლების სახით.

შესაძლებელია, რომ X -ის ცვლილებისას \bar{y}_i ($i = 1, k$) მუდმივი დარჩეს. ეს კი იმის მაჩვენებელი იქნება, რომ არ არსებობს Y -ის X -ზე კორელაციური დამოკიდებულება (ანალოგიურად, თუკი \bar{x}_j , ($j = 1, m$) დამთხვევა ერთმანეთს, არ არსებობს X -ის Y -ზე კორელაციური დამოკიდებულება). ამასთან, ყველა \bar{y}_i საშუალოს დამთხვევისას მათი ტოლი სიდიდე იქნება \bar{y} (ანალოგიურად, X ცვლადისთვის).

ამრიგად, Y -ის X -ზე კორელაციური დამოკიდებულების არარსებობა ხასიათდება $\bar{y}_1 = \bar{y}_2 = \dots = \bar{y}_k = \bar{y}$ ტოლობების შესრულებით. ანალოგიურად, X -ის Y -ზე კორელაციური დამოკიდებულების არარსებობა - $\bar{x}_1 = \bar{x}_2 = \dots = \bar{x}_m = \bar{x}$ ტოლობების შესრულებით.

ორგანზომილებიანი შემთხვევითი სიდიდის ალბათობების ერთობლივი განაწილება. განაწილების კარამიტრები

სოციალური ობიექტის დახასიათება შესაძლებელია ორგანზომილებიანი ($X; Y$) შემთხვევითი სიდიდის ალბათობების ერთობლივი განაწილებით. ორგანზომილებიანი შემთხვევითი სიდიდის მნიშვნელობათა ყველა შესაძლო წყვილი და მათი შესაბამისი ალბათობები ჩაწეროთ ცხრილის სახით:

X \ Y	Y			Σ		
	y_1	y_j	y_m			
x_1	$p(x_1; y_1)$	\cdots	$p(x_1; y_j)$	\cdots	$p(x_1; y_m)$	$p(x_1)$
\vdots	\vdots		\vdots		\vdots	\vdots
x_i	$p(x_i; y_1)$		$p(x_i; y_j)$		$p(x_i; y_m)$	$p(x_i)$
\vdots	\vdots		\vdots		\vdots	\vdots
x_k	$p(x_k; y_1)$	\cdots	$p(x_k; y_j)$	\cdots	$p(x_k; y_m)$	$p(x_k)$
Σ	$p(y_1)$	\cdots	$p(y_j)$	\cdots	$p(y_m)$	1

i -ური სტრიქონისა და j -რი სვეტის გადაკვეთაზე მოცემულია $p(x_i; y_j)$ ალბათობა იმისა, რომ ორგანზომილებიანი $(X; Y)$ შემთხვევითი სიდიდე მიიღებს $(x_i; y_j)$ მნიშვნელობას. ალბათობა $p(X=x_i)$ იმისა, რომ X მიიღებს x_i მნიშვნელობას, ტოლია i -ურ სტრიქონში ალბათობების ჯამისა:

$$p(x_i) = p(x_i, y_1) + \cdots + p(x_i, y_j) + \cdots + p(x_i, y_m), \quad i = \overline{1, k}.$$

ანალოგიურად, j -რ სვეტზე ალბათობათა შეკრებისას მივიღებთ:

$$p(y_j) = p(x_1, y_j) + \cdots + p(x_i, y_j) + \cdots + p(x_k, y_j), \quad j = \overline{1, m}.$$

ცხრილის ბოლო სვეტი და ბოლო სტრიქონი გამოხატავს ორგანზომილებიანი $(X; Y)$ შემთხვევითი სიდიდის შემადგენელი X და Y შემთხვევითი სიდიდეების ალბათობების უპირობო განაწილებებს.

ცხრილი №1 - ის ბოლო სვეტში მოცემულია X შემთხვევითი სიდიდის უპირობო განაწილება. იმ სვეტის თითოეული ელემენტი, რომელიც შეესაბამება, ვთქვათ, $Y=y_j$ მნიშვნელობას, გაცვით $p(y_j)$ უპირობო ალბათობის მნიშვნელობაზე. მივიღებთ:

$$\frac{p(x_i; y_j)}{p(y_j)} \equiv p(x_i | y_j) \quad i = \overline{1, k}.$$

ალბათობათა ახალი ერთობლიობა არის X შემთხვევითი სიდიდის ალბათობათა პირობითი განაწილება $Y=y_j$ პირობის მიმართ. და გამოხატავს $(X; Y)$ ორგანზომილებიანი შემთხვევითი სიდიდის შემადგენელი X და Y -ის დამოკიდებულებას. გვაქვს:

$$p(x_1 | y), \dots, p(x_i | y), \dots, p(x_k | y) \quad j = \overline{1, m}.$$

ამ ალბათობების ჯამი თითოეული სვეტის მიხედვით ერთის ტოლია. ორგანზომილებიანი $(X; Y)$ შემთხვევითი სიდიდის პირობითი ალბათობების ცხრილს აქვს სახე:

ცხრილი №2

$X \backslash Y$	y_1	y_j	y_m	Σ
x_1	$p(x_1 y_1)$	$p(x_1 y_j)$	$p(x_1 y_m)$	$p(x_1)$
\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots
x_i	$p(x_i y_1)$	$p(x_i y_j)$	$p(x_i y_m)$	$p(x_i)$
\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots
x_k	$p(x_k y_1)$	$p(x_k y_j)$	$p(x_k y_m)$	$p(x_k)$
Σ	1	1	1	1

ასეთი სახის ცხრილს ემპირიული კვლევებისას შეესაბამება ფარდობითი სიხშირეების ცხრილი.

ანალოგიური მსჯელობები შეიძლება ჩავატაროთ ორგანზომილებიანი $(X; Y)$ შემთხვევითი სიდიდის Y შემადგენელი სიდიდისთვისაც.

სოციოლოგიურ გამოკვლევებში ემპირიული მონაცემები, ჩვეულებრივ, გადმოცემულია n_{ij} აბსოლუტური და w_{ij} ფარდობითი სიხშირეებისათვის — $n_{ij} = n(x_i; y_j)$, $w_{ij} = w(x_i; y_j)$, აგრეთვე $w(x | y)$ და $w(y | x)$ ფარდობითი სიხშირეების პირობითი განაწილებების ცხრილების საშუალებით. $w(x | y)$ პირობითი განაწილების თითოეული სვეტი და შესაბამისად $w(y | x)$ პირობითი განაწილების თითოეული სტრიქონი ხასიათდება პირობითი საშუალო არითმეტიკულით, დისპერსიით და საშუალო კვადრატული გადახრით.

თითოეული X და Y შემთხვევითი სიდიდის ალბათობების ერთ-განზომილებიანი განაწილებები დახასიათებულია ორი პარამეტრით — საშუალოთი და დისპერსიით, ხოლო ორგანზომილებიანი $(X; Y)$ სიდიდის ალბათობათა განაწილება, საზოგადოდ, როცა X და Y შემადგენელი შემთხვევითი სიდიდეები დამოკიდებულია — ხუთი პარამეტრით: X -ის და Y -ის საშუალოებითა და დისპერსიებით და კორელაციის კოეფიციენტით.

სოციოლოგიური მონაცემების დაჯგუფება, ბანაწილების გვარიანობა, სტატისტიკური ცხრილები. ემპირიული მონაცემების ბრაზიკული წარმოდგენა

სოციოლოგიური მასალა, რომელიც ემპირიული კვლევებისას მოიპოვება, მრავალფეროვანია. სტატისტიკური მონაცემები საჭიროებს სისტემატიზაციასა და განზოგადებას მოვლენის (კვლევის ობიექტის) დამახასიათებელი ნიშნების, თვისებების დასადგენად, ჰიპოთეზების შესამოწმებლად. პირველადი მონაცემების დალაგება ხორციელდება სტატისტიკური დაჯგუფების, სტატისტიკური ცხრილების საშუალებით.

შესასწავლი ერთობლიობის განაწილება ერთგვაროვან ჯგუფებად ამ ერთობლიობისათვის არსებითი ცვლადის (ნიშნის ან ნიშნების) შესაბამისად არის სტატისტიკური დაჯგუფება. დაჯგუფების მიზანია კვლევისათვის საინტერესო ნიშნების მიხედვით იმ ერთგვაროვანი ჯგუფების რიცხვობის განსაზღვრა, რომლებიც დაყოფილია ნიშნის მნიშვნელობების შესაბამისად – ესაა მარტივი დაჯგუფება კვლევის ინსტრუმენტში ფორმულირებული კითხვების პასუხებისა სოციალურ-დემოგრაფიული საკითხების, აგრეთვე, რესპონდენტთა თვალსაზრისების, განწყობების, შეფასებებისა და ა. შ. მიხედვით. ასეთნაირად გამოყოფილი ჯგუფები ადვილი შესადარებელი და გასაანალიზებელია.

დაჯგუფების ნიშნების შერჩევა დამოკიდებულია სოციოლოგიური გამოკვლევის მიზნებსა და ამოცანებზე, სოციალური მოვლენის თავისებურებებზე, აგრეთვე, ნიშნის სახეზე – ყოველივე წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამაში და უზრუნველყოფდეს ჰიპოთეზების შემოწმების შესაძლებლობას. დაჯგუფებისათვის ნიშნის არასწორმა შერჩევამ არასწორ დასკვნებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ანალიზისას.

დაჯგუფებას, იმის მიხედვით, თუ რისთვის გამოიყენება იგი (თვისებრივი თუ რაოდენობრივი ცვლადისათვის), გარკვეული თავისებურებები გააჩნია. გაზომვის სკალის შესაბამისად, სოციოლოგიური ინფორმაციის დაჯგუფება შეიძლება წარმოადგენდეს: რესპონდენტთა გაერთიანებას

ნომინალურ ჯგუფებად — დაჯგუფება სქესის, ეროვნებისა და სხვათა მიხედვით; ინფორმაციის დალაგებას რანჟირებულ მწკრივად რაიმე მახასიათებლის მიხედვით; განაწილებას რაოდენობრივი ცვლადის მიხედვით, როდესაც რესპონდენტთა ჯგუფები რაოდენობრივად შედარებადია ერთმანეთთან.

მარტივი დაჯგუფების შედეგად მიღებული ინფორმაცია არის ერთგანზომილებიანი განაწილება რაიმე ნიშნის მიხედვით.

დაკვირვების ერთეულების დაჯგუფების შედეგს რაიმე ნიშნის მიხედვით ეწოდება სტატისტიკური (არადალაგებული) მწკრივი. თუ ცალკეულ დაკვირვებებს დავაღებთ ნიშნის მნიშვნელობათა ზრდის (ან კლების) მიხედვით, მივიღებთ ე. წ. რანჟირებულ მწკრივს. თუ რანჟირებულ მწკრივში ცვლადის ერთსა და იმავე მნიშვნელობებს გავაერთიანებთ, მიიღება ვარიაციული მწკრივი. ვარიაციული მწკრივით შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რამდენჯერ გვხვდება ნიშნის ესა თუ ის მნიშვნელობა (ანუ პასუხის ვარიანტები — ალტერნატივები) — n_i -ები, აბსოლუტური სიხშირე. ნიშნის მნიშვნელობებს შეიძლება შევუსაბამოთ ასევე ფარდობითი სიხშირე — აბსოლუტური სიხშირის შეფარდება შერჩევითი ერთობლიობის მოცულობასთან

$w_i = \frac{n_i}{n}$, ან პროცენტებში $w_i = \frac{n_i}{n} 100\%$. ისინი გამოხატავენ ნიშნის ერთსა n და იმავე მნიშვნელობების n ხვედრით წილს, წონას n მოცულობის ერთობლიობაში.

მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და მათი უფრო მეტად თვალსაჩინო წარმოდგენა გულისხმობს ცვლადის ცალკეული მნიშვნელობების გაერთიანებას ჯგუფებად — ინტერვალებად. ასეთ შემთხვევაში სიხშირეები შეეთანადება ცვლადის არა ცალკეულ, არამედ ისეთ მნიშვნელობებს, რომლებიც მოთავსდება გარკვეულ ინტერვალში. ასეთაირად მიღებულ მწკრივს ეწოდება ინტერვალური (უწყვეტი), ცვლადის მნიშვნელობების არაინტერვალებად დაჯგუფებულს — დისკრეტული. ვარიაციული მწკრივი შეიძლება წარმოვადგინოთ ცხრილის სახით, სადაც მითითებულია x_i ალტერნატივები და სიხშირეები (აბსოლუტური და ფარდობითი).

კერძოდ, დისკრეტული ვარიაციული მწკრივი:

ცხრილი №1

X	x_1	x_2	\dots	x_k
n_i	n_1	n_2	\dots	n_k
ω_i	ω_1	ω_2	\dots	ω_k

$n = \sum_{i=1}^k n_i$ შერჩევითი ერთობლიობის მოცულობაა.

უწყვეტი ვარიაციული მწკრივი:

ცხრილი №2

X	$\alpha_1 + \alpha_2$	$\alpha_2 + \alpha_3$	\dots	$\alpha_k + \alpha_{k+1}$
n_i	n_1	n_2	\dots	n_k
ω_i	ω_1	ω_2	\dots	ω_k

n_i მიუთითებს ერთობლიობიდან იმ წევრების რაოდენობას, რომელთათვისაც შესასწავლი ნიშანი ლეზულობს მნიშვნელობებს მოცემული ინტერვალის საზღვრებში (α_i -ებს ეწოდება ინტერვალის საზღვრები). ამასთან, ნიშნის ზუსტი, კონკრეტული მნიშვნელობები ფაქტობრივად უცნობია. თუკი უწყვეტი ვარიაციული მწკრივის სიხშირეებს შეუთანადებთ ინტერვალის შუა წერტილებს, მივიღებთ უწყვეტი განაწილების შესაბამის დისკრეტულ განაწილებას. ინტერვალების მითითებისას გულისხმობენ, რომ თითოეულ ინტერვალს ეკუთვნის მისი მხოლოდ ერთი ბოლო (მარჯვენა ან მარცხენა). ინტერვალების შედგენისას საჭიროა ჯგუფის რაოდენობრივი საზღვრების ზუსტი მითითება, რათა ერთობლიობის ცალკეული ერთეულები არ მიეკუთვნებოდეს ერთზე მეტ ჯგუფს. $h_i = \alpha_{i+1} - \alpha_i$ სხვაობას ეწოდება ინტერვალური სხვაობა ან ინტერვალის სიგრძე.

არათანაბარი ინტერვალები გამოიყენება მოვლენის თვისებრივად განსხვავებული ტიპების გამოვლენისათვის. მაგალითად, რესპონდენტთა ერთობლიობის ასაკის მიხედვით დაჯგუფება ინტერვალებად შეიძლება ეფუძნებოდეს სიცოცხლის ციკლის ეტაპებს. ამას გარდა, განაწილების მწკრივებს შეიძლება ჰქონდეს ჩაკეტილი ან არაჩაკეტილი (ქვედა ან ზედა) საზღვრები. მაგალითად, ასაკი, 18 წლამდე ან 65 წ. და მეტი.

ინტერვალური მწკრივების აგებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტერვალის ტიპს, რაოდენობასა და სიგრძეს. საერთო მოთხოვნა ამ შემთხვევაში ისაა, რომ დაჯგუფებამ საკმარისად სრულად უნდა გამოავლინოს განაწილების მწკრივების არსებითი თვისებები. როგორც წესი, ორ უკიდურესობათაგან საშუალოს ამორჩევა უხდება მკვლევარს: მსხვილი ინტერვალები შერჩევის მოცემული მოცულობისათვის მოვლენის ასახვისას ფარავს რიგ ნიუანსებს და, შესაბამისად, ინფორმაციის დაკარგვას იწვევს. ხოლო დაწვრილებითი ინტერვალები სტატისტიკურად უმნიშვნელო მცირე სიხშირეებს იძლევა. ნიშნის განაწილებისათვის, პრაქტიკულად, იღებენ არაუმეტეს 15-20 ინტერვალს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად საჭირო ხდება მონაცემების გადაჯგუფება (ან გრადაციების გაერთიანება) ახალი ინტერვალების ჩამოყალიბების გზით. თვისებრივი ნიშნების დაჯგუფებისას გათვალისწინებული უნდა იყოს დაკვირვების ერთეულის ამა თუ იმ გრადაციისადმი ცალსახად მიკუთვნების, აგრეთვე, გაუცემელი პასუხების დაფიქსირების შესაძლებლობა, რაც არსებითია მონაცემების კონტროლისათვის.

მარტივი კანონზომიერებების გამოვლენისათვის, რომლებიც ახასიათებს საკვლევი ერთობლიობის რაიმე ქვესიმრავლეს, გამოიყენება შესასწავლი ნიშნის მიხედვით ერთგანზომილებიანი განაწილებები სწორედ ამ ქვესიმრავლისათვის. ასეთი სახის ინფორმაცია არის პირობითი ერთგანზომილებიანი განაწილება.

მონაცემების დაჯგუფებას ორი ან მეტი ნიშნის მიხედვით ეწოდება კომბინაციური (ჯვარედინი) დაჯგუფება. ორი ნიშნის შემთხვევაში კვლევის ერთობლიობის ერთგანზომილებიანი განაწილებები, აგრეთვე, ერთობლიობის ქვესიმრავლეებისათვის პირობითი განაწილებები შეიძლება წარმოვადგინოთ ორგანზომილებიანი ცხრილის სახით. იგი არის ორი ნიშნის მიხედვით ორგანზომილებიანი განაწილება. ასეთ ცხრილს უწოდებენ, აგრეთვე, ორი ნიშნის ურთიერთშეუღლების ცხრილებს. ორგანზომილებიანი განაწილებების ერთ-ერთი დანიშნულებაა შესაბამისი ერთგანზომილებიანი განაწილებების შედარება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ფარდობითი სიხშირეების (პროცენტებში) საშუალებით სტრიქონებისა და სვეტების შესაბამისად. ამასთან, პროცენტირების სახე (სტრიქონებისა თუ სვეტების შესაბამისად) განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა და მისი ამორჩევა დამოკიდებულია გამოკვლევის ამოცანებზე. საზოგადოდ, ორი ნიშანი ერთმანეთისაგან სტატისტიკურად დამოუკიდებელია,

თუ ორგანზომილებიანი განაწილების შემადგენელი ერთგანზომილებიანი პირობითი განაწილებები, პროცენტებში გამოხატული, ერთმანეთს ემთხვევა (სტრიქონები ან სვეტები). მათი განსხვავების ხარისხის მიხედვით მსჯელობენ სტატისტიკურად დამოკიდებულ ნიშნებს შორის კავშირის შესახებ. თვისებრივი ნიშნის შესაბამისად დაჯგუფებას უწოდებენ ატრიბუტულს, რაოდენობრივი ნიშნის მიხედვით დაჯგუფებას კი — ვარიაციულს.



ამოსავალი მონაცემების განზოგადებისათვის გამოიყენება სტატისტიკური ცხრილები, რომელთა საფუძველია გამოკვლევის პროგრამით გათვალისწინებული ობიექტების დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნის (ცვლადის) მიხედვით. ცხრილის შინაარსი მის სახელწოდებაში უნდა იყოს გამოტანილი. იგი შეიძლება იყოს ზოგადი, ცხრილის საერთო სახელწოდება, რომელიც შესასწავლი ერთობლიობის დაჯგუფების სტრუქტურას ან ნიშნებს შორის კავშირს გამოხატავს და სახელწოდება, რომელიც ნიშნების (სტრიქონების და სვეტების) შინაარსს აფიქსირებს. ცხრილებს ასევე შეიძლება ახლდეს წყარო, საიდანაც არის მოტანილი მონაცემები ღროის, ადგილის და ა. შ. მითითებით.

სტატისტიკური მონაცემები გამოისახება, აგრეთვე, დიაგრამებისა და გრაფიკების სახით, რაც მათ თვალსაჩინოებას ანიჭებს, ცალკეულ შემთხვევებში კი შესაძლებელია მათი ანალიზიც. მონაცემების გრაფიკული წარმოდგენა შესასწავლი ერთობლიობის სტრუქტურის, მისი შემადგენლობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. სოციოლოგიური ინფორმაციის ანალიზისას ხშირად გამოიყენება განაწილების პოლიგონი, ჰისტოგრამა და კუმულიატა ვარიაციული მწკრივებისათვის.

თუ დისკრეტული ვარიაციული მწკრივი მოცემულია №1 ცხრილის სახით, კოორდინატთა სისტემაში იგება წერტილები, რომელთა კოორდინატებია $(x_i; n_i)$ ან $(x_i; \omega_i)$, $i = 1, k$. ამ წერტილების მონაკვეთებით მიმდევრობით შეერთებით მიიღება პოლიგონი. პოლიგონი გამოიყენება უწყვეტი ვარიაციული მწკრივის გრაფიკული წარმოდგენისათვისაც. საზოგადოდ, ასეთ შემთხვევაში ეს იქნება იმ დისკრეტული განაწილების პოლიგონი, რომელიც მოცემულ უწყვეტ განაწილებას შეესაბამება. უწყვეტი ტიპის განაწილებებისათვის პოლიგონის აგებისას იგულისხმება, რომ დაჯგუფების ინტერვალები თანაბარი სიდიდისაა და ტეხილი მიიღება იმ წერტილების

მიმდევრობით შუერთებით, რომელთა კოორდინატებია $\left(\frac{\alpha_{i+1} + \alpha_i}{2}; n_i\right)$, ან ფარდობითი სიხშირეებისათვის:

$$\left(\frac{\alpha_{i+1} + \alpha_i}{2}; \omega_i\right):$$




უწყვეტი ვარიაციული შწკრივების გრაფიკული გამოსახვისათვის გამოიყენება ჰისტოგრამა, რომელიც არის საფეხურებიანი ფიგურა მართკუთხედების სახით. მართკუთხა კოორდინატთა სისტემის აბსცისთა ღერძზე გადაიზომება ცვლადის მნიშვნელობების ინტერვალები და მათზე, როგორც ფუძეებზე, აიგება მართკუთხედები, რომელთა სიმაღლეები ინტერვალების სიხშირეების (აბსოლუტურის ან


ფარდობითის) პროპორციულია: $(\alpha_i; \alpha_{i+1})$ ინტერვალში $\frac{1}{\alpha_{i+1} - \alpha_i} n_i$;

(ან $\frac{1}{\alpha_{i+1} - \alpha_i} \omega_i$) მნიშვნელობებით.

ჰისტოგრამიდან შეიძლება მივიღოთ იგივე განაწილების პოლიგონი, თუ მართკუთხედების ზედა ფუძის შუაწერტილებს შევაერთებთ



ნახ. №3





მონაკვეთებით (იხ. ნახ. №3 და №4).

ვარიაციული მწკრივების წარმოდგენა გრაფიკულად შესაძლებელია, აგრეთვე, ე. წ. კუმულატური მრუდის საშუალებით. თუ განაწილება დისკრეტულია, მართკუთხა კოორდინატთა სისტემაში აიგება წერტილები, რომელთა აბსცისებია x_i -ები, ხოლო ორდინატები — მათი შესაბამისი დაგროვილი (აბსოლუტური ან ფარდობითი) სიხშირეები — N_i (ან W_i), $N_i = r_1 + \dots + r_i$ ($W_i = \omega_1 + \dots + \omega_i$). თუკი განაწილება უწყვეტია, აიგება წერტილები, რომელთა აბსცისებია ინტერვალების მარჯვენა ბოლოები, ორდინატები კი — მათი შესაბამისი დაგროვილი სიხშირეები (აბსოლუტური ან ფარდობითი): $(\alpha_{i+1}; N_i)$ ან $(\alpha_{i+1}; W_i)$. მიღებული წერტილების შეერთებით მიიღება კუმულიატა.



კუმულიატა საშუალებას იძლევა განისაზღვროს იმ შესასწავლი ობიექტების რაოდენობა (ან ხვედრითი წილი), რომელთაც გააჩნია ნიშნის ისეთი მნიშვნელობა, რომელიც მეტია ან ნაკლებია რაიმე მოცემულ რიცხვზე.

ემპირიულ სოციოლოგიურ გამოკვლევებში ფართო გამოყენება პოვა სტატისტიკური დაკვირვების სხვადასხვა მეთოდმა. საზოგადოდ, ეს მეთოდები შეიძლება დაიყოს სრულ და არასრულ დაკვირვებებად. სრული სტატისტიკური დაკვირვებისას იგულისხმება კვლევის ობიექტის ყველა ელემენტის გამოკვლევა. ისინი შეიძლება ერთდროულად ძალიან შრომატევადიც იყვნენ და ფინანსური თვალსაზრისითაც გაუმართლებელი. ამდენად, ძირითადად გამოიყენება არასრული დაკვირვებები. სრული დაკვირვების მაგალითია მოსახლეობის აღწერა.

ემპირიული გამოკვლევები ეყრდნობა შერჩევით მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს რესპონდენტთა ოპტიმალური რაოდენობის ამორჩევას რაც შეიძლება მცირე ცდომილებით და მიღებული ემპირიული მონაცემების მეტი საიმედოობით. სოციალური მოვლენის შესახებ დასკვნების სრულყოფილება (სანდობა) დამოკიდებულია განზოგადებულ კონკრეტულ შერჩევით გამოკვლევაზე. ამ შემთხვევაში ამოცანა ის არის, რომ შერჩევითი კვლევის საფუძველზე (რესპონდენტთა შემოსაზღვრული რაოდენობისათვის) მიღებული შედეგები და დასკვნები განზოგადდეს მთელს გენერალურ ერთობლიობაზე (კვლევის ობიექტზე) შესასწავლ პრობლემასთან დაკავშირებით. შერჩევა შემცირებულ ზომებში გადმოსცემს კვლევის ობიექტის შემადგენელი ელემენტების მრავალსახეობას. უნდა აღინიშნოს, რომ შერჩევითი გამოკვლევები უფრო სწორი დასკვნების მიღების საშუალებას იძლევა, ვიდრე მთელი ერთობლიობის გამოკვლევა.

იმ სოციალური ობიექტების ერთობლიობა, რომლებიც სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამით, დროით-ტერიტორიული საზღვრებით განიხილება, როგორც შესწავლის, კვლევის საგანი, შეადგენს გენერალურ ერთობლიობას. ნებისმიერ გენერალურ ერთობლიობას ახასიათებს რაიმე მოცემული ნიშანი (ან ნიშნები), რომლის მიხედვითაც ცალსახად შეიძლება განისაზღვროს ობიექტის კუთვნილება ამ ერთობლიობისადმი. მაგალითად, გენერალური ერთობლიობაა ამა თუ იმ ქალაქის მოსახლეობა, რომელიმე საწარმოს (ორგანიზაციის) პერსონალი, ქვეყნის ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობა და ა.შ.

გენერალური ერთობლიობის ობიექტების ნაწილი, როგორც უშუალოდ დაკვირვების ობიექტი, ქმნის შერჩევით ერთობლიობას, ანუ შერჩევას. სხვა სიტყვებით, თუ გენერალური ერთობლიობა შეიცავს ყველა ელემენტს, რომელიც გამოკვლევის ობიექტია, შემადგენელია, შერჩევითი ერთობლიობა არის გენერალური ერთობლიობიდან სპეციალური გზით ამორჩეული ნაწილი, რომელზეც უშუალოდ ტარდება დაკვირვება.

ამორჩევის ერთეული ეწოდება გენერალური ერთობლიობის იმ ელემენტს, რომელიც ამორჩევის სხვადასხვა პროცედურაში გადათვლის (გადანომერის) ერთეულს წარმოადგენს.

დაკვირვების ერთეული არის უკვე ჩამოყალიბებული შერჩევითი ერთობლიობის ის ელემენტი, რომელიც დაკვირვების უშუალო ობიექტია. ამორჩევის და დაკვირვების ერთეული ერთი და იგივე (ამორჩევის მარტივ სქემებში) ან განსხვავებული (კომბინირებულ სქემებში) შეიძლება იყოს.

პარამეტრი ეწოდება გენერალური ერთობლიობისათვის რაიმე ცვლადის რიცხვით მნიშვნელობას. მაგალითად, საშუალო შემოსავალი ყველა ოჯახისა ამა თუ იმ ქალაქში, ან ასაკობრივი განაწილება ქალაქის მოსახლეობისა.

სტატისტიკა არის შერჩევით კვლევაში მოცემული რაიმე ცვლადის რიცხვითი მნიშვნელობა, მაჩვენებელი. მაგალითად, საშუალო შემოსავალი, რომელიც გამოთვლილია შერჩევითი კვლევის საფუძველზე ან ამავე შერჩევისთვის ასაკობრივი განაწილება. შერჩევითი სტატისტიკა გამოიყენება გენერალური ერთობლიობის პარამეტრის შესაფასებლად.

შერჩევითი მეთოდის საშუალებით სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვებისას შესაძლებელია სხვადასხვა სახის შეცდომის დაშვება, რომელთა მიზეზი შეიძლება იყოს მონაცემების უზუსტობა რესპონდენტებისაგან, მიღებული მასალის არასწორი ფიქსაცია და ა.შ. მათ რეგისტრაციის შეცდომებს უწოდებენ. ისინი ორი ტიპისაა: სისტემატური და შემთხვევითი.

სისტემატურ შეცდომას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნებისმიერი სტატისტიკური დაკვირვებისას (შერჩევითი თუ სრული კვლევისას). ასეთი შეცდომები ფიქსირდება არაცალსახა შეფასებების გამო. მაგალითად, დაქორწინებული ქალებისა და მამაკაცების რაოდენობებში განსხვავებები.

შემთხვევითი შეცდომა მიიღება დაკვირვებისას სხვადასხვა სტატისტიკური ცდომილებების გამო. სისტემატური შეცდომებისაგან განსხვავებით, იგი გამოწვეულია მიზეზებით, რომელთაც ალბათური ხასიათი აქვთ.

ამას გარდა, ტიპურია შეცდომა, რომელიც გამოწვეულია დაგეგმილი შერჩევიდან სხვადასხვა სახის გადახრის გამო, კერძოდ, როცა შერჩევით გათვალისწინებული დაკვირვების ერთეულები იცვლება უფრო მისაწვდომი, თუმცა შერჩევის თვალსაზრისით არასრულფასოვანი ერთეულებით. მაგალითად, როცა კვლევისას ოჯახი იცვლება სხვა ოჯახით – ასეთ შეცდომას ე.წ. ჩანაცვლების შეცდომას უწოდებენ. მისი კონტროლირება შესაძლებელია სავსე სამუშაოების მსვლელობისას; ან, შერჩევითი ერთობლიობის არასრული გამოკვლევისას, დაკვირვების ერთეულების რაღაც ნაწილიდან საერთოდ არ მიიღება ან მიიღება არასრული ინფორმაცია. ეს შეცდომები დგინდება რეალურად განხორციელებული და დაგეგმილი შერჩევების შედარების გზით.

არსებობს, აგრეთვე, შეცდომები, როცა თვით შერჩევის გეგმა (სქემა) არასწორად არის შემუშავებული – მთელი გენერალური ერთობლიობა არასრულად არის ასახული შერჩევაში ან მასში უპირატესად ერთი და იმავე სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები ხვდებიან.

შერჩევის რეპრეზენტატულობაში იგულისხმება შერჩევის თვისება, რომელიც გამოკვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გენერალური ერთობლიობის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს, მახასიათებლებს ასახავს შერჩევით ერთობლიობაში.

შერჩევის ხარისხი, საზოგადოდ, ორი მაჩვენებლით განისაზღვრება – რეპრეზენტატულობით და საიმედოობით, ანუ, შერჩევითი შეფასების სიზუსტით და ამ სიზუსტის გარანტიით.

ვთქვათ, გენერალური ერთობლიობის უცნობი პარამეტრებია a —საშუალო, α^2 — დისპერსია და α — საშუალო კვადრატული გადახრა. მათი შეფასება უნდა მოხდეს შერჩევის \bar{x} , σ^2 და σ სიდიდეებით. მათ რიცხვით მნიშვნელობებს გენერალური ერთობლიობის შესაბამისი უცნობი პარამეტრების წერტილოვანი შეფასებები ეწოდება. ისინი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ გენერალური პარამეტრების ნამდვილი მნიშვნელობებისაგან. ამიტომ მიღებულია ინტერვალური შეფასებების გამოყენება. წერტილოვანი შეფასებისას მტკიცებაა, რომ გამოთვლილი შერჩევითი საშუალო დაახლოებით ტოლია გენერალური საშუალოსი, ინტერვალური შეფასებისას — გენერალური საშუალოს მნიშვნელობა მოთავსებულია ინტერვალში $(\bar{x} - \Delta; \bar{x} + \Delta)$, რომელსაც ეწოდება ნდობის ინტერვალი. სხვა სიტყვებით, შერჩევითი საშუალოს გენერალურისაგან გადახრა ნაკლებია Δ სიდიდეზე:

$$|\bar{x} - a| < \Delta, \text{ ანუ } \bar{x} - \Delta < a < \bar{x} + \Delta.$$

შეიძლება ითქვას, რომ გენერალური საშუალო მოხვედრა ნდობის ინტერვალში $\gamma = p(|\bar{x} - a| < \Delta)$ ალბათობით, რომელსაც ეწოდება ნდობის ალბათობა. ნდობის ინტერვალის Δ სიდიდეს ეწოდება შერჩევის ზღვრული შეცდომა (ცდომილება). იგი ახასიათებს შერჩევის რეპრეზენტატულობას. γ ნდობის ალბათობა ახასიათებს შერჩევის საიმედოობას, რადგანაც განსაზღვრავს იმის სარწმუნოობას, რომ ცალკეულად აღებულ შერჩევაში შერჩევით და გენერალურ საშუალოებს შორის განსხვავება არ აღემატება Δ -ს დასაშვებ სიდიდეს. ნდობის ალბათობა იმისა, რომ შერჩევით და გენერალურ საშუალოებს შორის სხვაობა ნაკლებია მოცემულ Δ სიდიდეზე, დიდი მოცულობის შერჩევებისთვის განისაზღვრება ლაპლასის ფუნქციით (იხ. [7], დანართი №2) და მცირე შერჩევებისთვის - სტიუდენტის ფუნქციით (იხ. [7], დანართი №6).

შერჩევითი ერთობლიობის n მოცულობა (ზომა) ე.წ. განმეორებითი შერჩევისათვის განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$n = \frac{t^2 \alpha^2}{\Delta^2} \quad (1)$$

ეს ფორმულა აკავშირებს n -ს და შერჩევის Δ ზღვრულ შეცდომას მოცემული t -თვის და α^2 -თვის. თუ დასახელებულია შერჩევის ზღვრული შეცდომა, შეიძლება გამოითვალოს შერჩევის მოცულობა

და, პირიქით, თუ ცნობილია n , შეიძლება განისაზღვროს $\Delta = t \sqrt{\frac{\sigma^2}{n}}$,

$\mu = \sqrt{\frac{\sigma^2}{n}}$ არის შერჩევის საშუალო შეცდომა (ცდომილება).

(1) ფორმულა გამოიყენება ორჯერ: შერჩევის n მოცულობის დასადგენად ძირითადი სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარებამდე და შერჩევითი კვლევის რეპრეზენტატიულობის, ანუ Δ -ს განსაზღვრისათვის ემპირიული მონაცემების შეგროვების შემდეგ. (1)-ში α^2 არის გენერალური ერთობლიობის უცნობი დისპერსია. α^2 -ის ნაცვლად შეიძლება მისი შეფასების, s^2 -ის ჩასმა, რომელიც გამოთვლილია ე.წ. პილოტაჟური გამოკვლევის მონაცემებით. t განისაზღვრება სპეციალური ცხრილებით. t ცვლადი არის ლაპლასის ფუნქციის არგუმენტი (ან მცირე შერჩევებისთვის - სტიუდენტის ფუნქციისა). შესაბამისად, თუ დავასახელებთ γ ნდობის ალბათობას, ცხრილში (იხ. [7], დანართი №2 ან №6) ვიპოვიოთ t -ს შესაბამის მნიშვნელობას (მაგალითად, თუ $\gamma=0,95$, $t=1,96$).

გენერალური ერთობლიობიდან ერთეულების ამორჩევის ხერხების მიხედვით განასხვავებენ განმეორებით და განუმეორებელ შერჩევებს. პირველ შემთხვევაში გენერალური ერთობლიობის ერთი და იმავე ელემენტი შერჩევით ერთობლიობაში შეიძლება აღმოჩნდეს რამდენჯერმე, რადგანაც ცდის შემდეგ იგი გენერალურ ერთობლიობაში ბრუნდება და განმეორებით შეიძლება ამოარჩიონ. განუმეორებელი შერჩევისას გენერალური ერთობლიობის თითოეული ელემენტი შერჩევაში მხოლოდ ერთხელ შეიძლება აღმოჩნდეს, რადგანაც ცდის შემდეგ იგი გენერალურ ერთობლიობაში არ ბრუნდება. სოციოლოგიურ კვლევებში, ცხადია, გამოიყენება განუმეორებელი შერჩევის ხერხი (კვლევისას თითოეული რესპონდენტისაგან მონაცემები მხოლოდ ერთი ინტერვიუთი მიიღება). (1) ტოლობით განსაზღვრული n გამოითვლება განმეორებითი შერჩევისათვის. განუმეორებელი შერჩევისას, როცა გენერალური ერთობლიობის

მოცულობა N , შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა

$$n = \frac{t^2 \alpha^2 N}{\Delta^2 N + t^2 \alpha^2} \quad (2)$$

(1) და (2) ფორმულებით მიღებული n -ის მნიშვნელობები, დიდი N -ის და მცირე α^2 -თვის უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან და შეიძლება (1)-ით სარგებლობა (ამ შემთხვევაში n გამოითვლება მარაგით).

დიქოტომიური ცვლადისათვის, იმის გამო, რომ $\alpha^2 = pq$ (p იმ ერთეულთა ხვედრითი წილია, რომელთაც ცვლადის მოცემული მნიშვნელობა აქვთ, $q=1-p$), განმეორებითი შერჩევისათვის:

$$n = \frac{t^2 pq}{\Delta^2},$$

განუმეორებელი შერჩევისათვის:

$$n = \frac{t^2 pqN}{\Delta^2 N + t^2 pq}$$

n -ის გამოსათვლელად ზემოთ მოცემულ ფორმულებში $\alpha^2 = pq$ შეიძლება შეიცვალოს $r_{\max}^2 = 0.25$ -ით.

ამორჩევის ისეთი სქემების ორგანიზებისათვის, როგორცაა, საკუთრივ-შემთხვევითი, სისტემატური, სერიული შერჩევები, აუცილებელია გენერალური ერთობლიობის ყველა ელემენტის შესახებ ინფორმაცია, მათი ნუსხა.

შერჩევის საფუძველი არის გენერალური ერთობლიობის ელემენტების ჩამონათვალი. ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს ნებისმიერი სია.

საკუთრივ-შემთხვევითი შერჩევის აგების ძირითადი პრინციპია გენერალური ერთობლიობის ყველა ელემენტისათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა შერჩევაში მოხვედრისთვის. მათთვის შედგენილი შერჩევის საფუძვლის საშუალებით შესაძლებელია ამორჩევის პროცედურის განხორციელება. თუ შერჩევის საფუძველი N ერთეულს შეიცავს, რომლებიც გადანომრილია, მათი წინასწარ არევის შემდეგ ამორჩევა დაკვირვების პირველი ერთეული და ა.შ.,

მე- n ელემენტი (თუ შერჩევის ზომა არის n). ასეთი პროცედურა საკმაოდ შრომატევადია. დიდი მოცულობის გენერალური ერთობლიობისას გამოიყენება ე.წ. შემთხვევით რიცხვთა ცხრილები. ასეთ ცხრილებში შემთხვევითი რიცხვები განსხვავებული მიმდევრობითაა დალაგებული. ამორჩევის პროცედურა შეიძლება დაიწყოს ცხრილის ნებისმიერი ადგილიდან ნებისმიერი მიმართულებით (სტრიქონების, სვეტების მიხედვით).

საკუთრივ-შემთხვევითი განმეორებითი შერჩევისათვის შერჩევის

საშუალო შეცდომა $\mu = \sqrt{\frac{\sigma^2}{n}}$, განუმეორებელი შერჩევისათვის

$$\mu = \sqrt{\frac{\sigma^2}{n} \left(1 - \frac{n}{N}\right)}, \text{ შერჩევის ზღვრული შეცდომა } \Delta = t\mu.$$

სოციოლოგიურ გამოკვლევებში გამოიყენება საკუთრივ-შემთხვევითი შერჩევის გამარტივებული ვარიანტი, ე. წ. სისტემატური შერჩევა. ასეთი შერჩევის საფუძვლად გამოდგება საარჩევნო, სამისამართო (საკომლო) სიები და სხვ. სისტემატური შერჩევისას ერთეულთა ამორჩევა ხორციელდება ერთი და იმავე k ინტერვალით (ბიჯით), ანუ შერჩევის ელემენტები ცალსახად განისაზღვრება პირველი ელემენტის ნომრით და ინტერვალის k სიდიდით. პირველ ელემენტად ზოგჯერ განსაზღვრავენ სიის შუა ან მის მეზობელ ელემენტს. პირველი ელემენტი შეიძლება იყოს შემთხვევით რიცხვთა ცხრილიდან ამორჩეული რაიმე რიცხვის შესაბამისნომრიანი ერთეული გენერალურ ერთობლიობაში.

სისტემატური შერჩევის მახასიათებლები (n, μ, Δ) გამოითვლება საკუთრივ-შემთხვევითი შერჩევისთვის ზემოთ მოცემული ფორმულების საშუალებით.

სერიული შერჩევისას ამორჩევის ერთეულები სტატისტიკურ სერიებს, ანუ სტატისტიკურად განსხვავებად ერთეულთა ერთობლიობებს წარმოადგენს. ასეთი ერთეულების მაგალითებია ოჯახი, საფოსტო განყოფილება, სამედიცინო უბნები, სასწავლო ან სამუშაო დაწესებულებებში ინდივიდთა რაიმე ერთობლიობები, დასახლებული

პუნქტები, ტერიტორიული ერთობები და სხვ. ამორჩეული სერიები ან მთლიანად გამოიკვლევა, ან შერჩევით.

საკუთრივ-შემთხვევით შერჩევასთან შედარებით სერიული შერჩევა ორგანიზაციული უპირატესობით ხასიათდება, რადგანაც უფრო იოლია იმ ინდივიდთა ერთობლიობების ამორჩევა და შესწავლა, რომლებიც ერთ ადგილზე არიან ლოკალიზებული.

სერიული შერჩევის მახასიათებლების გამოთვლა განსხვავებულია საკუთრივ-შემთხვევითი შერჩევისაგან.

განუმეორებელი სერიული შერჩევის საშუალო შეცდომა განისაზღვრება ასეთნაირად:

$$\mu = \sqrt{\frac{s_{\bar{x}}^2 (C - c)}{c(C - 1)}} \cdot s_{\bar{x}}, \text{ არის სერიული საშუალოების დისპერსია:}$$

$$s_{\bar{x}}^2 = \frac{1}{c} \sum_{i=1}^c (\bar{x}_i - \bar{\bar{x}})^2, \text{ სადაც } \bar{x}_i \text{ არის } i\text{-ური სერიის საშუალო.}$$

$$\bar{\bar{x}} = \frac{1}{c} \sum_{i=1}^c \bar{x}_i, \text{ ოგივე არასერიული შერჩევითი საშუალო: } \bar{x} = \frac{1}{n} \sum_{j=1}^n x_j,$$

„ დაკვირვების ერთეულთა რაოდენობაა (არასერიული ამორჩევისას შერჩევის ზომა), C – გენერალურ ერთობლიობაში სერიების რაოდენობაა, c – სერიების რიცხვი შერჩევაში. თუ სერიების

რიცხვი C საკმარისად დიდია, $\mu = \sqrt{\frac{s_{\bar{x}}^2}{c} \left(1 - \frac{c}{C}\right)}$, ხოლო

განმეორებითი სერიული შერჩევისთვის $\mu = \sqrt{\frac{s_{\bar{x}}^2}{c}}$.

შერჩევის ზღვრული ცდომილება $\Delta = t\mu$ და არჩეული ნდობის ალბათობით (ანუ t -ს განსაზღვრით) შეფასდება გენერალური საშუალო.

შემთხვევითი (ალბათური) შერჩევა ამორჩევის ნებისმიერი ხერხით (საკუთრივ-შემთხვევითი, სისტემატური, სერიული) გადაიქცევა სტრატეფიციკირებულ (ტიპიურ) შერჩევად, თუ ამორჩევის

პროცედურამდე გენერალურ ერთობლიობაში გამოიყოფა ერთგვაროვანი ნაწილები, რომელთაც სტრატები ეწოდება, ანუ ისეთი ჯგუფები, რომ მათ შიგნით შესასწავლი ნიშნების რხევა ნაკლებია, ვიდრე მათ შორის. ასეთნაირი დიფერენციაცია აუცილებელია ყოველთვის, როცა გენერალური ერთობლიობა არაერთგვაროვანია დაკვირვების ერთეულების სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა მახასიათებლების მიხედვით. მაგალითად, ქალაქის (ან ქვეყნის) სხვადასხვა საცხოვრებელ რაიონში შესაძლებელია გამოიყოს განსხვავებული სტრატები. სტრატებად გამოიყენება ბუნებრივი ან სოციოლოგიური გამოკვლევისათვის საეციალურად ჩამოყალიბებული წარმონაქმნები – ქვეყნის, ქალაქის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონები, რომლებიც კლასიფიცირებულია ადმინისტრაციული სტატუსით, მოსახლეობის რიცხოვნობით, ან ე. წ. იდეალური წარმონაქმნები.

ნიშანი (ცვლადი), რომლის მნიშვნელობების შესაბამისადაც ზორციელდება გენერალური ერთობლიობის დიფერენციაცია, არის სტრატის ფიკაციის ნიშანი. კვლევაში ასეთი ცვლადი ერთი ან მეტი შეიძლება იყოს.

სტრატის ფიკაცირებული შერჩევა ზორციელდება სხვადასხვა ვარიანტად.

ა) i - ურ ტიპიურ ჯგუფში f_i საშუალო კვადრატული გადახრის პროპორციულად, რომელიც დათვლილია პილოტაჟური კვლევის მონაცემებით. i -ური ტიპიური ჯგუფის შერჩევის ზომა:

$$n_i = n \frac{N_i f_i}{\sum_{j=1}^k N_j f_j}$$

n -შერჩევის მოცულობაა, N_i არის i -ური ჯგუფის მოცულობა გენერალურ ერთობლიობაში, k – ჯგუფების რაოდენობაა.

ბ) ჯგუფის ზომის პროპორციულად:

$$n_i = n \frac{N_i}{N}$$

გ) დაკვირვების ერთეულების ტოლი რიცხვის ამორჩევით:

$$n_1 = n_2 = \dots = n_k = c, \quad n = kc.$$

იმ შემთხვევაში, როდესაც ამორჩევა ხორციელდება სტრატებში

ერთეულების რაოდენობის პროპორციულად, $\mu = \sqrt{\frac{s_i^2}{n} \left(1 - \frac{n}{N}\right)}$,

n - შერჩევის ზომაა, ხოლო N - გენერალური ერთობლიობის

ზომა, ან $\mu = \sqrt{\frac{s_i^2}{n}}$. შერჩევის ზღვრული შეცდომა $\Delta = t\mu$.

ჯგუფისშიგნითა დისპერსია $\overline{s_i^2} = s^2 - s_{\bar{x}}^2$. s^2 არის შერჩევის საერთო

დისპერსია $s^2 = \frac{1}{n} \sum_{j=1}^n (x_j - \bar{x})^2$, ხოლო ჯგუფთაშორისი დისპერსია

$s_{\bar{x}}^2 = \frac{1}{k} \sum_{i=1}^k (\bar{x}_i - \bar{x})^2$, სადაც $\bar{x}_i (i = \overline{1, k})$ არის i -ური სტრატის

საშუალო, k - სტრატების რაოდენობა, $\bar{x} = \frac{1}{k} \sum_{i=1}^k \bar{x}_i = \frac{1}{n} \sum_{j=1}^n x_j$,

n - დაკვირვების ერთეულთა რაოდენობაა. სტრატისფიციცირებული შერჩევის შეცდომა ნაკლებია საკუთრივ-შემთხვევითი შერჩევის შეცდომასთან შედარებით ან მისი ტოლია, როცა ჯგუფთაშორისი დისპერსია $s_{\bar{x}}^2$ ნულის ტოლია.

შერჩევა ერთ ან მრავალსაფეხურიანი შეიძლება იყოს. მრავალსაფეხურიანი ამორჩევისას პირველ საფეხურზე ამორჩეული ერთეულები მეორე საფეხურის საფუძველია. მათგან ამორჩევა ერთეულები, რომლებიც მესამე საფეხურის საფუძველია და ა.შ. (მაგალითად, პირველ საფეხურზე დაწესებულებების, ორგანიზაციების ამორჩევა, მეორეზე - დაწესებულებებიდან ინდივიდთა ჯგუფები, მესამეზე - ჯგუფებიდან ინდივიდები). ასეთი შერჩევის აუცილებლობა გამოწვეულია გენერალური ერთობლიობის ყველა ერთეულის შესახებ ინფორმაციის არარსებობით.

თუ მრავალსაფეხურიან შერჩევაში გაერთიანებულია ამორჩევის

სხვადასხვა ხერხი (საკუთრივ-შემთხვევითი, სისტემატური ან სერიული), მაშინ ასეთი შერჩევა არის კომბინირებული.

სოციოლოგიურ გამოკვლევებში ასევე გამოიყენება შერჩევითი ერთობლიობის შედგენის სხვადასხვა ხერხი, ე.წ. ემპირიული შერჩევები. მაგალითად, “პირველი შემხვედრის” ამორჩევა. მათ ეწოდება არაალბათური, სტიქიური შერჩევები.

ასეთი შერჩევების სხვა სახეა ე. წ. ქვოტური შერჩევა. იგი გენერალური ერთობლიობის სტრუქტურას წარმოადგენს შესასწავლი ნიშნების (ან მათთან დაკავშირებული ნიშნების) განაწილების ქვოტების (პროპორციების) სახით. ქვოტური შერჩევა ხშირად გამოიყენება საზოგადოებრივი აზრის შესწავლისას – წინასწარ დგინდება, ამა თუ იმ (ან რამდენიმე) მახასიათებლის მატარებელი რამდენი ინდივიდი უნდა გამოიკითხოს. ასეთი სახის შერჩევების ძირითადი უპირატესობა მათი რეალიზაციის სიოლე და საველე სამუშაოების დროის მოკლე მონაკვეთში ჩატარებაა.

სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება სოციოლოგიურ გამოკვლევებში

ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევის ამოსავალია პრობლემის ფორმულირება. იგი შესწავლას, ანალიზს და მისი გამომწვევი მიზეზების გამოვლენას მოითხოვს. კვლევის ობიექტის რეალური მჩვენებლების ნორმებიდან გადახრა განიხილება როგორც სოციალური პრობლემა. ემპირიული გამოკვლევების დანიშნულებაა სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით ობიექტის მჩვენებლების ნორმებთან მიახლოება. ნორმატიული მჩვენებლები აისახება ჰიპოთეზებში. პრობლემის ანალიზი შეიძლება განხორციელდეს თითოეული მახასიათებლის (კითხვის) მიხედვით ცალ-ცალკე ან მათი შეთავსებით.

სოციოლოგიურ გამოკვლევებში რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებისას სტატისტიკური პროცედურების ორი ფუნქცია გამოიყოფა: შესასწავლი ერთობლიობის აღწერა და მისი შემადგენელი ელემენტების შესახებ გარკვეული გადაწყვეტილების მიღება. ეს უკანასკნელი უკავშირდება სტატისტიკურ დასკვნას.

სოციოლოგიური ინფორმაცია მოიპოვება კვლევის ინსტრუმენტის საშუალებით, რომლის კითხვებშიც ასახულია წინასწარ შემუშავებული ჰიპოთეზების მინიმალური მოცემული პრობლემის ამა თუ იმ ასპექტის შესახებ. ჰიპოთეზები აღწერიითი ან ახსნითი ხასიათისა შეიძლება იყოს. სტატისტიკური ერთობლიობის ანალიზისთვის გამოიყენება სტატისტიკური ჰიპოთეზები. სტატისტიკური ჰიპოთეზა არის ვარაუდი განაწილების კანონის შესახებ, რომელსაც ექვემდებარება ინდივიდთა შესასწავლი ერთობლიობა ან განაწილების პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობების (საშუალო, დისპერსია, კორელაციის კოეფიციენტი) შესახებ. სტატისტიკური ჰიპოთეზები არ შეიცავს ახსნას, თუ რატომ უნდა იყოს განაწილება (ან პარამეტრების მნიშვნელობები) ასეთი და არა სხვაგვარი.

ჰიპოთეზები შეიძლება დაიყოს ორ კლასად. პირველი ეხება სტატისტიკური განაწილებების კანონებსა და მათ პარამეტრებს სხვადასხვა მახასიათებლისათვის, ხოლო მეორე – მახასიათებლებს შორის კავშირებს. კვლევაში წამოყენებულ სტატისტიკურ ჰიპოთეზებში გამოხატული ვარაუდი შერჩევითი გამოკვლევის შედეგად მიღებულისაგან განსხვავებული შეიძლება აღმოჩნდეს. ამდენად, აუცილებელია კრიტერიუმი, რაც მათი გამიჯვნის საშუალებას მოგვცემდა. შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს კრიტიკული სასაზღვრო მნიშვნელობა, რომლის ერთ მხარეს დალაგდება არაარსებითი, მეორე მხარეს – არსებითი განსხვავებები. ამ კრიტიკული მნიშვნელობის მოძიების საშუალებას იძლევა სპეციალური შემთხვევისი სიდიდეების განაწილების კანონები.

სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება გულისხმობს, რომ ემპირიული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მიღებულია კონკრეტული, განხორციელებული შერჩევითი კვლევის შედეგად, გამოითვლება მახასიათებლის რიცხვითი მნიშვნელობა და მისი სხვაობა სავარაუდო ნამდვილ მნიშვნელობასთან. ეს სხვაობა შედარდება კრიტიკულ მნიშვნელობას: თუ სხვაობა ნაკლებია კრიტიკულზე, მას მივიჩნევთ, როგორც უმნიშვნელოს და ჰიპოთეზას მივიღებთ, ხოლო თუ მეტია – ჩაკვლით მნიშვნელოვნად და ჰიპოთეზას უარყოფთ. ანალოგიური პროცედურა ტარდება იმ სტატისტიკური ჰიპოთეზის შესამოწმებლად, რომელიც ეხება ემპირიული სიმშრეების შესაბამისობას განაწილების რაიმე კანონთან. თითოეული პარამეტრისათვის აგებულია სპეციალური ცვლადები, ჰიპოთეზის

სტატისტიკური მახასიათებლები, კერძოდ:

$$\chi^2 = \sum_{i=1}^k \frac{(n_i - np_i)^2}{np_i} \quad - \text{ განაწილების სიხშირეებისათვის};$$

$Z = \frac{|\bar{x} - a|}{\mu} = \sqrt{n} \frac{|\bar{x} - a|}{\sigma}$ ან $Z = \sqrt{n} \frac{|\omega - p|}{\sqrt{pq}}$ - შესაბამისად საშუალოსთვის ან ხვედრითი წილისთვის, როცა ცნობილია გენერალური ერთობლიობის დისპერსია;

$t = \frac{|\bar{x} - a|}{\mu} = \sqrt{n} \frac{|\bar{x} - a|}{\sigma}$ ან $t = \sqrt{n} \frac{|\omega - p|}{\sqrt{\omega_0 \omega_1}}$ - შესაბამისად საშუალოსთვის ან ხვედრითი წილისთვის, როცა გენერალური ერთობლიობის დისპერსია უცნობია და ამიტომ გამოიყენება შერჩევითი დისპერსია σ^2 ;

$$\chi^2 = (k-1) \frac{\sigma^2}{\alpha^2} \quad - \text{ დისპერსიისათვის},$$

k ინტერვალების რაოდენობაა;

$t = \sqrt{km-2} \frac{r}{\sqrt{1-r^2}}$ - წრფივი კორელაციის კოეფიციენტისთვის (k სტრიქონების რაოდენობაა, m - სვეტების) და სხვ.

χ^2, Z, T სტატისტიკური მახასიათებლებისათვის შემთხვევითი სიდიდე აღვნიშნოთ K -თი. ისინი აღიწერება შემდეგი კანონებით:

χ^2 შემთხვევითი სიდიდე - პირსონის განაწილებით ("ზი-კვადრატი"), Z შემთხვევითი სიდიდე - გაუსის განაწილებით (ლაპლასის ფუნქციით), T შემთხვევითი სიდიდე - სტიუდენტის განაწილებით (t -განაწილებით) და სხვ.

კითხვაზე მასუხს, ჩათვალოს თუ არა კვლევის შედეგებით გამოთვლილი მნიშვნელობები გენერალური ერთობლიობის პარამეტრების შეფასებად (ანალოგიურად, ემპირიული განაწილებების შესახებ), ეწოდება სტატისტიკური დასკვნა. სტატისტიკური ჰიპოთეზები იყოფა ძირითად, ანუ ნულოვან (შესამოწმებელ) და ალტერნატიულ ჰიპოთეზად. პირველს აღნიშნავენ H_0 -ით, მეორეს - H_1 -ით. ძირითადი ჰიპოთეზა შეიცავს გარაუდს განაწილების სახის, პარამეტრების კონკრეტული მნიშვნელობების შესახებ. ჰიპოთეზის შემოწმება ნიშნავს, უნდა მივიღოთ იგი თუ უარვყოთ. დასაშვები შეცდომების (ცდომილებების) არეს ეწოდება ჰიპოთეზის

მიღების არე, დაუშვებელი ცდომილებებისას - კრიტიკული არე.

გენერალური ერთობლიობის განაწილების პარამეტრების ნამდვილი მნიშვნელობიდან გადახრის ვარაუდისას შესაძლებელია სამი ვარიანტი: ორსავე მხარეს, მარჯვენა ან მარცხენა მხარეს. ამიტომ, ჰიპოთეზის შემოწმებისათვის განისაზღვრება ორმხრივი, მარჯვენა ან მარცხენა კრიტიკული არეები.

აღბათობა იმისა, რომ პარამეტრის ცდომილება არ გადააჭარბებს დასაშვებ სიდიდეს, ანუ შეფასება აღმოჩნდება ჰიპოთეზის მიღების არეში, ახასიათებს მიღებული შედეგის სარწმუნოების დონეს და მას ეწოდება ნდობის აღბათობა $\gamma = P(K < K_{\alpha})$. აღბათობა იმისა, რომ გადახრა გადააჭარბებს დასაშვებ სიდიდეს, ანუ, შეფასება აღმოჩნდება კრიტიკულ არეში, არის მნიშვნელობათა დონე $\varepsilon = P(K > K_{\alpha})$. ორმხრივი კრიტიკული არის შემთხვევაში $\gamma = 1 - \varepsilon$. ჩვეულებრივ, კვლევებისას $\gamma = 0.95$.

პრაქტიკულად, კვლევისას წინასწარ უნდა განისაზღვროს აღბათობა, ε მნიშვნელობათა დონე. K შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონი საშუალებას იძლევა მოცემულ მნიშვნელობათა დონისათვის დადგინდეს K_{α} , რომელიც კრიტიკულ არეს გამოყოფს ჰიპოთეზის მიღების არისგან.

აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე ε -ს შეესაბამება განსხვავებული კრიტიკული წერტილები ცალმხრივი და ორმხრივი კრიტიკული არისათვის და რომელი მათგანი უნდა იყოს განხილული, დამოკიდებულია ალტერნატიულ ჰიპოთეზაზე.

K_{α} განისაზღვრება სპეციალური ცხრილების საშუალებით. შემდეგ ემპირიული მონაცემების საფუძველზე გამოითვლება K_{α} და შედარდება K_{α} -ს. თუ $K_{\alpha} < K_{\alpha}$, ანუ K_{α} აღმოჩნდება ჰიპოთეზის მიღების არეში, H_0 ჰიპოთეზა მიიღება, თუ კრიტიკულ არეში - უარიყოფა. შესაბამისად, ალტერნატიული ჰიპოთეზა უარიყოფა ან მიიღება. არსებობს ორგვარი შეცდომის დაშვების შესაძლებლობა. კერძოდ, შეიძლება მოხდეს, რომ K_{α} აღმოჩნდეს კრიტიკულ არეში და ამდენად, აუცილებელია H_0 -ის უარყოფა, თუმცა, შესაძლოა ეს არ ნიშნავდეს იმას, რომ იგი მცდარია. ε აღბათობით არსებობს პირველი გვარის შეცდომის დაშვების შესაძლებლობა. პირიქითაც, შესაძლებელია, რომ K_{α} ჩავარდეს ჰიპოთეზის მიღების არეში და H_0 უნდა მივიღოთ, თუმცა იგი მცდარი შეიძლება იყოს - მეორე გვარის შეცდომა.

სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვებამდე მკვლევარს ჰიპოთეზების სისტემის საფუძველზე, შემუშავებული თეორიული მოდელის საშუალებით გარკვეული წარმოდგენა აქვს შესასწავლი მოვლენის შესახებ. სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით ხდება მისი შემოწმება, კორექტირება და დასკვნების გამოტანა. სოციოლოგიური ინფორმაციის ანალიზი გულისხმობს სოციოლოგიური კვლევის პროგრამაში ფორმულირებული სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმებას, სტატისტიკური და ზოგადი დასკვნების (ახსნითი ჰიპოთეზების საშუალებით) მიღებას და შედეგების განზოგადებას.

ემპირიული მონაცემების დაჯგუფება და სიხშირული განაწილებების აგება პირველი საფეხურია მიღებული მასალის ანალიზისთვის. შემდგომში იმ მახასიათებლების მიღება, რომლებიც გამოკვლევის ობიექტის სიღრმისეული შესწავლის საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია ცვლადის საშუალო მნიშვნელობა, აგრეთვე, ვარიაციის ხარისხი (ობიექტის ერთგვაროვნება-არაერთგვაროვნება). საშუალო სიდიდეებია საშუალო არითმეტიკული, მედიანა, მოდა და სხვ. გაფანტულობის ზომის (ვარიაციის) მაჩვენებლებია დისპერსია, საშუალო კვადრატული გადახრა, საშუალო აბსოლუტური გადახრა, ვარიაციის კოეფიციენტი.

სოციოლოგიური ინფორმაციის ანალიზი მოიცავს ერთგანზომილებიანი განაწილებებისათვის სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმებას იმ ცვლადების შესაბამისად, რომლებიც გამოკვლევაშია წარმოდგენილი.

სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება, თავის მხრივ, ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს: ჯერ ერთი, უნდა შეირჩეს ε მნიშვნელობათა დონე; მეორე, სტატისტიკური მახასიათებლების $K_{\text{კრიტიკული}}$ კრიტიკული მნიშვნელობები განისაზღვროს, ანუ ამ მახასიათებლების კრიტიკული არეები დადგინდეს სპეციალური ცხრილების საშუალებით; მესამე, შესაბამისი ემპირიული მონაცემების საფუძველზე გამოითვალოს $K_{\text{გაზომული}}$ სიდიდეები; მეოთხე, $K_{\text{გაზომული}}$ და $K_{\text{კრიტიკული}}$ მნიშვნელობების შედარების საფუძველზე ნულოვანი ჰიპოთეზების მიღება ან უარყოფა მოხდეს და, აქედან გამომდინარე, შინაარსობრივი ხასიათის დასკვნები იქნეს მიღებული შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით.

სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმებას წინ უსწრებს განაწილებების შედგენა ცხრილების და გრაფიკების სახით სოციოლოგიური კვლევის ინსტრუმენტში მოცემული საკითხებისათვის (კითხვებისათვის); შერჩევითი კვლევის მონაცემებით მაჩვენებლების

რიცხვითი სიდიდეების გამოთვლა. კერძოდ, უნდა განისაზღვროს: დიქტომიური ცვლადებისათვის – ხვედრითი წილი და დისპერსია; რაოდენობრივი ცვლადებისათვის – საშუალო, დისპერსია და სხვ. ცვლადებს, რომელთა შესაბამისია ნომინალური სკალები: მოდა და ა.შ; შერჩევის μ საშუალო და Δ ზღვრული ცდომილებები შესაბამისი სიზუსტით (γ ნდობის ალბათობით).

ძირითადი პარამეტრი, რომელიც ახასიათებს სოციოლოგიური კვლევის ინსტრუმენტში დისუნქციური ხასიათის კითხვის შესაბამის განაწილებას, არის მოდა. იგი ნიშნის (ცვლადის) ყველაზე უფრო ხშირად დაფიქსირებული მნიშვნელობაა. მედიანა არის ნიშნის მნიშვნელობა სტატისტიკური ერთობლიობის იმ ერთეულისა, რომელიც მოთავსებულია რანჟირებული მწკრივის შუაში. ინტერვალური მწკრივისთვის მედიანის გამოსათვლელად ჯერ პოულობენ მედიანურ ინტერვალს, რომელსაც შეესაბამება მთელი ერთობლიობის მოცულობაზე მეტი პირველი დაგროვილი სიხშირე, ხოლო შემდეგ განისაზღვრება მედიანის მნიშვნელობა:

$$Me = x_{ij} + \delta \frac{0.5n - n_{\text{კუმ.}}}{n_{\text{მ.}}}$$

x_{ij} არის მედიანური ინტერვალის დასაწყისი, δ – მედიანური ინტერვალის სიდიდე, n – სიხშირეების (ან ფარდობითების) ჯამი ყველა ინტერვალისათვის, $n_{\text{კუმ.}}$ – დაგროვილი სიხშირე (ან ფარდობითი) მედიანურ ინტერვალამდე, $n_{\text{მ.}}$ – სიხშირე (ან ფარდობითი) მედიანური ინტერვალისა. მედიანის გამოსათვლელად სარგებლობენ წინასწარ შედგენილი შემდეგი სახის ცხრილით:

	$\alpha_1 \div \alpha_2$	$\alpha_2 \div \alpha_3$	$\alpha_3 \div \alpha_4$...	$\alpha_k \div \alpha_{k+1}$
x_i	x_1	x_2	x_3	...	x_k
n_i	n_1	n_2	n_3	...	n_k
ω_i	ω_1	ω_2	ω_3	...	ω_k
N_i	N_1	N_2	N_3	...	N_k
W_i	W_1	W_2	W_3	...	W_k

$$\omega_i = \frac{n_i}{n} 100\%, W_i = \omega_1 + \dots + \omega_i. \text{ ასეთ შემთხვევაში } n=100\%.$$

მედიაან ვარიაციულ მწკრივს ყოფს ორ თანაბარ ჯგუფად. პირველი ჯგუფისთვის (მთელი შერჩევითი ერთობლიობის 50%) ცვლადის მნიშვნელობა ამ სიდიდეზე ნაკლებია და მეორე ჯგუფისთვის (დანარჩენი 50%-თვის) – მასზე მეტია.

ცვლადის მნიშვნელობების საშუალოსთან კონცენტრაციის (ან გაფანტულობის) მაჩვენებელია საშუალო წრფივი (აბსოლუტური) გადახრა, აგრეთვე, ვარიაციის კოეფიციენტი. საშუალო აბსოლუტური გადახრა:

$$\bar{d} = \frac{\sum_{i=1}^k |x_i - \bar{x}| n_i}{n}$$

x_i – აბსოლუტური სიხშირეებია, n – შერჩევითი ერთობლიობის მოცულობაა.

ვარიაციის კოეფიციენტი:

$$V_{\sigma} = \frac{\sigma}{\bar{x}} 100\% \quad (\text{ან } V_d = \frac{\bar{d}}{\bar{x}} 100\%).$$

სოციალურ-დემოგრაფიულ ბლოკში შემავალი მახასიათებლები (მაგალითად, სქესი, ასაკი, განათლება, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა, კვალიფიკაცია, ეროვნება, სარწმუნოება და ა.შ.) ე.წ. კონსერვატული ტიპისაა. მათი განაწილების შესახებ მონაცემები სოციოლოგიურ კვლევებში გამოიყენება სტატისტიკური ერთობლიობის მრავალგანზომილებიანი კლასიფიკაციისათვის. მონაცემების ანალიზისას კვლევის ინტერესის სფეროს შეიძლება განეკუთვნებოდეს სოციალურ-დემოგრაფიული და ძირითადი ბლოკების მახასიათებლებს შორის დამოკიდებულებების დადგენა.

დიქტომიური ნიშნის ანალიზისას ჰიპოთეზათა სამი ტიპი განაწილების სახის, საშუალოსა და დისპერსიის შესახებ დაიყვანება ერთ ჰიპოთეზაზე – ნიშნის არსებობის ფარდობითი სიხშირის შესახებ ვარაუდზე. ამდენად, დიქტომიური ნიშნის ანალიზისას უნდა შეფასდეს ω_1 -ის გადახრა p_1 ნორმისაგან Z (ან T) სტატისტიკური მახასიათებლით.

დიქტომიური ცვლადის ანალიზის სქემა შემდეგი შეიძლება იყოს. იგება ცხრილი, სადაც მოცემულია n_i, a_i, p_i რიცხვითი მნიშვნელობები ($i=0,1$). შედარდება ω_i და p_i ; დგინდება შერჩევის $\Delta = t\mu$ ზღვრული შეცდომის სიდიდე უკვე მოპოვებული ემპირიული მონაცემების გათვალისწინებით მოცემული γ ნდობის ალბათობისათვის (t -ს მნიშვნელობა დასახელებული γ -ს შესაბამისად მოიძებნება ცხრილში, იხ. [7], დანართი №3). საბოლოოდ დგინდება ხვედრითი წილის ინტერვალური შეფასება: $\omega \pm \Delta$ და γ ნდობის ალბათობით შეიძლება მტკიცება, რომ გენერალური ხვედრითი წილი მოცემული ნიშნისთვის მოთავსებულია ($\omega - \Delta; \omega + \Delta$) ნდობის ინტერვალში. ამას გარდა, გამოითვლება ნორმისგან გადახრა $\Delta\omega = p_1 - \omega_1$, რომელიც შედარდება შერჩევის ზღვრულ Δ ცდომილებას.

შერჩევის შეცდომის სიდიდის შესახებ დასკვნა კავშირშია შესაბამისი H_0 ჰიპოთეზის შემოწმებასთან p_1 ნორმატიული მაჩვენებლის შესახებ. განისაზღვრება ორმხრივი კრიტიკული არე Z სტატისტიკური მახასიათებლისათვის - Z_{μ} , მოიძებნება ცხრილში (იხ. [7], დანართი №2). გამოითვლება შესაბამისი ემპირიული მნიშვნელობა Z_{μ} :

$$Z_{\mu} = \frac{\omega - p}{\mu}$$
 მათი შედარების შემდეგ H_0 ჰიპოთეზა მიიღება ან უარყოფა.

სტატისტიკურ ჰიპოთეზებს და, შესაბამისად, სტატისტიკურ დასკვნებს განაწილების სიხშირეების და მაჩვენებლების ნორმისგან გადახრის შესახებ კონსტატაციური ხასიათი აქვთ. ისინი აფიქსირებენ მოცემული საკითხის მიხედვით პრობლემის არსებობას, თუმცა მათ ახსნას არ იძლევიან და, შესაბამისად, არც მის გამომწვევ მიზეზებს ავლენენ. ამიტომ, კვლევისთვის საჭიროა ახსნითი ჰიპოთეზების ჩამოყალიბებაც და, მათგან გამოძინარე, ახსნითი დასკვნების გამოტანა. ყოველივე ამისთვის კი სოციოლოგიური კვლევის ინსტრუმენტში ჩართული უნდა იყოს კითხვები, რომელთა საშუალებითაც პრობლემის გამომწვევი მიზეზები დადგინდება.

თუკი სოციოლოგიური კვლევის ინსტრუმენტში მოცემულია კითხვა

პასუხის ურთიერთარაგამომრიცხავი ვარიანტებით, ძირითადი მაჩვენებელია მოდა. ანალიზისას შესაძლებელია ასეთი სახის კითხვა წარმოადგინონ, როგორც დიქტომიური კითხვების ნაერთი, როცა თითოეული მათგანის მიხედვით რესპონდენტთა რაოდენობები ცვლადის მნიშვნელობის არსებობის ან არარსებობის ვარიანტების შესაბამისად 100%-ის ტოლი იქნება.

რაოდენობრივი მახასიათებლების ანალიზისას დაისმის საკითხი სტატისტიკური განაწილების შესაძლო კანონზე, აგრეთვე, ძირითად მაჩვენებლებზე, რომელთა შესახებაც ჰიპოთეზები ჩამოყალიბებული უნდა იყოს სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამაში. ერთის მხრივ, გამოკვლევის მიზანს შეიძლება შეადგენდეს შესასწავლი მოვლენის ამა თუ იმ კანონისადმი დაქვემდებარების ან მისგან გადახრის შეფასება. მეორე მხრივ, შეისწავლება საკითხი შერჩევითი სტატისტიკების ნორმებისგან გადახრების შესახებ.

სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება შემდეგნაირად ხორციელდება. უნდა განისაზღვროს ემპირიული განაწილების მაჩვენებლები. ამისათვის საჭიროა შერჩევის μ საშუალო და Δ ზღვრული ცდომილებების გამოთვლა და \bar{x} -ის ინტერვალური შეფასების დადგენა: $\bar{x} \pm \Delta$, მისი შესაბამისობა \bar{x}_g ნორმატიულ მაჩვენებელთან, $\Delta x = \bar{x}_g - \bar{x}$ -ის შედარება შერჩევის ზღვრულ ცდომილებასთან. H_0 ჰიპოთეზის შემოწმებისთვის, რომელიც გამოხატავს ვარაუდს საშუალოს მოსალოდნელი ნორმატიული \bar{x}_g მნიშვნელობის შესახებ, განისაზღვრება კრიტიკული არე T (ან Z) სტატისტიკური მახასიათებლისათვის: ცხრილში (იხ. [7], დანართი №6) მოიძებნება $t_{\alpha, \nu}$ მნიშვნელობათა დონის და $\nu = k-1$ თავისუფლების ხარისხის გათვალისწინებით, k - ინტერვალების

რაოდენობაა. ამას გარდა, გამოითვლება $t_{\text{ემპ.}} = \frac{|a - \bar{x}|}{\mu} = \frac{|\bar{x}_g - \bar{x}|}{\mu}$.

მათი შედარების საფუძველზე H_0 ჰიპოთეზა მიიღება ან უარიყოფა.

ანალოგიურად მოწმდება H_0 ჰიპოთეზა დისპერსიის ნორმატიული σ_g^2 მნიშვნელობის შესახებ. χ^2 სტატისტიკური მახასიათებლისათვის უნდა განისაზღვროს კრიტიკული არე, ანუ $\chi_{\alpha, \nu}^2$ ცხრილის საშუალებით ε და $\nu = k-1$ გათვალისწინებით (იხ. [7], დანართი

№5). გამოითვლება, აგრეთვე, $\chi^2_{\text{კლ.}}$: $\chi^2_{\text{კლ.}} = \nu \frac{\sigma^2}{\sigma_0^2}$ ($\nu = k-1$, k ინტერვალების რაოდენობა). მათი შედარების შემდეგ ნულოვანი ჰიპოთეზა მიიღება ან უარყოფა.

H_0 ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მოცემული ნიშნის მიხედვით მიღებული ემპირიული განაწილება ექვემდებარება, ვთქვათ, ნორმალური განაწილების კანონს, მოწმდება “ზი-კვადრატ” კრიტერიუმით. ამისათვის ცხრილში (იხ. [7], დანართი №5) მოიძებნება $\chi^2_{\text{კლ.}}$ ε და $\nu = k-3$ თავისუფლების ხარისხის შესაბამისად. k ინტერვალების რაოდენობა. გამოითვლება $\chi^2_{\text{კლ.}}$:

$$\chi^2_{\text{კლ.}} = \sum_{i=1}^k \frac{(n_i - np_i)^2}{np_i}$$

n – შერჩევის ზომა, $p_i = \frac{h}{\sigma} \varphi(x'_i)$, სადაც h -ინტერვალის სიგრძეა,

$x'_i = \frac{x_i - \bar{x}}{\sigma}$, x_i ცვლადის მნიშვნელობებია (ან ინტერვალების შუაწერტილებია), φ_i – ნორმალური სტანდარტიზებული განაწილების ალბათობათა სიმკვრივის მნიშვნელობებია (იხ. [7], დანართი №1). $\chi^2_{\text{კლ.}}$ შედარდება $\chi^2_{\text{კლ.}}$ -ს და H_0 მიიღება ან უარყოფა.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამა შეიძლება შეიცავდეს ჰიპოთეზებს სხვადასხვა ნიშანს შორის კავშირის შესახებ, რომლის დადგენა შესასწავლი ობიექტის სხვადასხვა ასპექტის ურთიერთგავლენის გაგების საშუალებას იძლევა. ამდენად, წამოიჭრება საკითხი ნიშნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ურთიერთდაზოკიდებულების კოეფიციენტი ბაზოგვის ინტერვალური ღონისათვის

რაოდენობრივ ცვლადებს შორის კავშირის ზომის დასადგენად გამოიყენება პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი. მისი გამოყენებისას იგულისხმება, რომ რეგრესულ განტოლებებს შესასწავლი ცვლადებისათვის აქვს წრფივი ფორმა

$$\hat{y}_x = \bar{y} + b_1(x - \bar{x}) \quad \text{და} \quad \hat{x}_y = \bar{x} + b_2(y - \bar{y}),$$

სადაც b_1 და b_2 - რეგრესიის კოეფიციენტებია.

არადაჯგუფებული მონაცემებისათვის რეგრესიის კოეფიციენტებისა და კორელაციის კოეფიციენტის გამოსათვლელად გამოიყენება ფორმულები:

$$b_1 = \frac{n \sum_{i=1}^n x_i y_i - \sum_{i=1}^n x_i \sum_{i=1}^n y_i}{n \sum_{i=1}^n x_i^2 - \left(\sum_{i=1}^n x_i \right)^2}, \quad b_2 = \frac{n \sum_{i=1}^n x_i y_i - \sum_{i=1}^n x_i \sum_{i=1}^n y_i}{n \sum_{i=1}^n y_i^2 - \left(\sum_{i=1}^n y_i \right)^2},$$

$$r = \frac{n \sum_{i=1}^n x_i y_i - \sum_{i=1}^n x_i \sum_{i=1}^n y_i}{\sqrt{\left[n \sum_{i=1}^n x_i^2 - \left(\sum_{i=1}^n x_i \right)^2 \right] \left[n \sum_{i=1}^n y_i^2 - \left(\sum_{i=1}^n y_i \right)^2 \right]}}.$$

n რესპონდენტთა რაოდენობაა, x_i და y_i შესაბამისად X და Y ცვლადების მნიშვნელობებია. $r_{xy} = r_{yx}$, $-1 \leq r \leq +1$.

დაჯგუფებული მონაცემებისათვის გამოიყენება ფორმულა:

$$r = \frac{1}{n \sigma_x \sigma_y} \sum_{i=1}^k x_i \left(\sum_{j=1}^m y_j n_{ij} \right) - \frac{\bar{x} \bar{y}}{\sigma_x \sigma_y},$$

სადაც n - შერჩევის ზომაა, ხოლო x_i და y_j - ცვლადების

მნიშვნელობები ან მათი შესაბამისი ინტერვალების შუაწერტილება.

ორგანზომილებიან $(X; Y)$ შემთხვევით სიდიდეს ახასიათებს X -ის და Y -ის საშუალოები, დისპერსიები და r .

კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლის შემდეგ წამოიჭრება საკითხი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის დამოკიდებულება, რომელსაც კოეფიციენტი აფიქსირებს. სხვა სიტყვებით, მოწმდება ნულოვანი ჰიპოთეზა: $H_0: r = 0$. შემოწმებისთვის გამოიყენება T კრიტერიუმი — განისაზღვრება მარჯვენა კრიტიკული არე, ცხრილის გამოყენებით მოიძებნება $t_{\alpha, \nu}$ და $\nu = km - 2$ თავისუფლების ხარისხის შესაბამისად (იხ. [7], დანართი №6). k და m X და Y ცვლადებისთვის ინტერვალების რაოდენობებია. ამას გარდა, გამოითვლება

$$t_{\alpha, \nu} = \sqrt{\frac{r^2}{1-r^2}}(km-2), \text{ დაჯგუფებული მონაცემებისათვის.}$$

თუ $t_{\alpha, \nu} > t_{\alpha}$, H_0 ჰიპოთეზა, რომ X და Y ცვლადებს შორის არ არსებობს კავშირი, უარიყოფა.

ცვლადებს შორის კავშირის სხვა მაჩვენებლებია, აგრეთვე, კორელაციის კერძო კოეფიციენტი, კორელაციის მრავლობითი კოეფიციენტი, კორელაციური ფარდობა.

$r = \pm 1$ პირობის შესრულება არის აუცილებელი და საკმარისი იმისთვის, რომ Y და X დაკავშირებული იყოს წრფივი ფუნქციონალური დამოკიდებულებით.

$r = 0$, თუ X და Y ცვლადები დამოუკიდებელია (შებრუნებული დებულება არასწორია).

ურთიერთდამოკიდებულების კოეფიციენტები ბაზ(ო)მვის (ო)რდინარული (რანბული) დონისათვის

ასეთ ჯგუფს მიეკუთვნება კენდალის τ , სპირმენის r და γ კოეფიციენტები. რანგული კორელაციის კოეფიციენტები გამოიყენება ისეთ ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გასაზომად,

რომელთა მნიშვნელობების რანჟირებაა შესაძლებელი მათი კლების (ან ზრდის) მიხედვით შესასწავლი სოციალური ობიექტებისათვის.

ვთქვათ, საჭიროა გაიზომოს კავშირის სიმჭიდროვე X და Y ცვლადს შორის. დავუშვათ, n ელემენტი A_i , $i = \overline{1, n}$ (სოციოლოგიურ კვლევაში n რესპონდენტი) რანჟირებულია X და Y ცვლადების მიხედვით და შესაბამისი რანგებია g_i და h_i .

ცხრილი №1

რესპონდენტები	A_i
X ცვლადი	g_i
Y ცვლადი	h_i

A_i ელემენტები შესაძლებელია დავალაგოთ X ცვლადის მიხედვით შემდეგნაირად. პირველ ადგილზე მოვათავსოთ ის A_i ელემენტი, რომლის შესაბამისი რანგი $g_i = 1$, შემდეგ ის, რომლისთვისაც $g_i = 2$ და ა.შ. (ცხადია, Y ცვლადის მიხედვით ასეთივე დალაგებას, საზოგადოდ, ადგილი არ ექნება).

ცხრილი №2

რესპონდენტები	A_1	...	A_i	...	A_j	...	A_n
X ცვლადი	$g_1=1$...	$g_i=i$...	$g_j=j$...	$g_n=n$
Y ცვლადი	h_1	...	h_i	...	h_j	...	h_n

მეორე მწკრივის რანგების განლაგება პირველი მწკრივის რანგებთან შედარებით განსაზღვრავს მათ ერთმანეთზე დამოკიდებულებას. მეორე მწკრივში არადალაგებულობის ხარისხი განისაზღვრება იმ ელემენტთა წყვილების რაოდენობით, რომლებიც შებრუნებული რიგით არიან განლაგებული. თითოეულ (A_i, A_j) წყვილს ($i \neq j$), მეორე მწკრივში პირდაპირი დალაგებისას მივაკუთვნოთ 1, ხოლო უკუდალაგებისას - 1.

ორ ცვლადს შორის კორელაციის ზომა განისაზღვრება დადებითი და უარყოფითი 1-ების რაოდენობების N სხვაობის შეფარდებით

ყველა შესაძლო წყვილების C_n^2 რაოდენობასთან:

$$\tau = \frac{S}{C_n^2} = \frac{2S}{n(n-1)}.$$

$S = P - Q$, P - $+1$ -ის რაოდენობა, Q - -1 -სა, $C_n^2 = \frac{n!}{2!(n-2)!}$.

τ -ს ეწოდება კენდალის τ_n რანგული კორელაციის კოეფიციენტი. $-1 \leq \tau_n \leq +1$. $\tau_n = 1$, როცა ყველა (A_i, A_j) წყვილს მიკუთვნებული აქვს $+1$. $\tau_n = -1$, თუ ყველა წყვილს მიკუთვნებული აქვს -1 . $\tau_n = 0$, როცა $P = Q$.

τ_n -ს გამოსათვლელად, როცა რანგების წყვილების რაოდენობა საგრძნობლად მატულობს დიდი n -სთვის, სარგებლობენ ფორმულებით:

$$\tau_n = \frac{4P}{n(n-1)} - 1 \quad \text{ან} \quad \tau_n = 1 - \frac{4Q}{n(n-1)}.$$

სპირმენის r_s რანგული კორელაციის კოეფიციენტის გამოსათვლელად გამოიყენება ფორმულა:

$$r_s = 1 - \frac{\sum_{i=1}^n d_i^2}{n^3 - n},$$

სადაც $d_i = g_i - h_i = i - h_i$ (იხ. ცხრილი №2). $-1 \leq r_s \leq +1$. რანგების სრული ურთიერთარადალაგებულობისას $r_s = 0$.

τ და r_s შორის განსხვავება ის არის, რომ τ -ს განსაზღვრისას ფიქსირდება რანგების მხოლოდ პირდაპირი ან უკუ დალაგების ფაქტი ელემენტთა თითოეული წყვილისათვის, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რამდენადაა დაშორებული ეს რანგები ერთმანეთს. r_s - ის შემთხვევაში კი გამოითვლება ე.წ. აწონილი ინვერსია, ანუ გათვალისწინებულია რანგების ერთმანეთისგან დაშორება.

ცხადია, რომ თუ შერჩევის ზომა n საკმარისად დიდია, ამა თუ იმ ნიშნით რანჟირება პრაქტიკულად ძნელი განსახორციელებელია. ამიტომ სოციოლოგიურ გამოკვლევებში რანჟირების ერთეულებად (ელემენტებად) ამოირჩევა არა ცალკეული ინდივიდები, არამედ

ინდივიდთა ჯგუფი. ამ მიზნით შერჩევითი ერთობლიობა წინასწარ დაიყოფა ტიპურ ჯგუფებად რაიმე ნიშნის (მახასიათებლის) შესაბამისად და შემდეგ ხდება მათი რანჟირება (ეთქვათ, გაცემული პასუხების პროცენტული რაოდენობის მიხედვით).

ორ ცვლადს შორის კავშირის სიმჭიდროვეს აღგენს γ კოეფიციენტი (თუ X ცვლადის შესაბამისი სკალა ბინარულია, ხოლო Y -სა – რიგის სკალა):

$$\gamma = \frac{J^+ - J^-}{J^+ + J^-},$$

სადაც J^+ და J^- გამოითვლება ასეთნაირად:

$$J^+ = n_{11}(n_{22} + n_{23} + \dots + n_{2m}) + n_{12}(n_{23} + n_{24} + \dots + n_{2m}) + \dots + n_{1,m-1} n_{2m},$$

$$J^- = n_{1,m}(n_{21} + n_{22} + \dots + n_{2,m-1}) + n_{1,m-1}(n_{21} + n_{22} + \dots + n_{2,m-2}) + \dots + n_{12} n_{21}.$$

ცხრილი №3

$X \backslash Y$	y_1	y_2	y_j	y_m	$n_{.j}$		
A	n_{11}	n_{12}	\dots	n_{1j}	\dots	n_{1m}	$n_{.1}$
არა A	n_{21}	n_{22}	\dots	n_{2j}	\dots	n_{2m}	$n_{.2}$
$n_{.j}$	$n_{.1}$	$n_{.2}$	\dots	$n_{.j}$	\dots	$n_{.m}$	n

r , r , და γ კოეფიციენტების შესახებ ნულოვანი ჰიპოთეზები (H_0 : კოეფიციენტის სიდიდე = 0) მოწმდება Z კრიტერიუმის საშუალებით.

ურთიერთდაკავშირებული კოეფიციენტები ბაზოზის ნომინალური დონისათვის

დაჯგუფებული ემპირიული მონაცემები შეიძლება მოცემულ იქნეს ცხრილების სახით n_{ij} აბსოლუტური და w_{ij} ფარდობითი სიხშირეებისათვის – $n_{ij} = n(a_i; b_j)$, $w_{ij} = w(a_i; b_j)$, ასევე $w(a | b_j)$ და

$\omega(b | a_i)$ პირობითი განაწილებების ფარდობითი სიხშირებისათვის. აქ a_i და b_j არის შესაბამისად X და Y ნომინალური ცვლადების i -ური და j -ური კატეგორიები (სოციოლოგიურ კითხვარში X და Y ცვლადების შესაბამისი კითხვების პასუხების i -ური და j -ური ალტერნატივები), $i = \overline{1, k}, j = \overline{1, m}$.

$n(a_i; b_j)$

ცხრილი №1

$X \backslash Y$	b_1	b_2	b_j	b_m	$n_{\cdot j}$		
a_1	n_{11}	n_{12}	\dots	n_{1j}	\dots	n_{1m}	$n_{\cdot 1}$
a_2	n_{21}	n_{22}	\dots	n_{2j}	\dots	n_{2m}	$n_{\cdot 2}$
\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots
a_i	n_{i1}	n_{i2}	\dots	n_{ij}	\dots	n_{im}	$n_{\cdot i}$
\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots
a_k	n_{k1}	n_{k2}	\dots	n_{kj}	\dots	n_{km}	$n_{\cdot k}$
$n_{\cdot j}$	$n_{\cdot 1}$	$n_{\cdot 2}$	\dots	$n_{\cdot j}$	\dots	$n_{\cdot m}$	n

ბოლო სვეტი და სტრიქონი არის შესაბამისად X და Y ცვლადების ერთგანზომილებიანი განაწილებები.

$\omega(a_i; b_j)$

ცხრილი №2

$X \backslash Y$	b_1	b_2	b_j	b_m	$\omega_{\cdot j}$		
a_1	ω_{11}	ω_{12}	\dots	ω_{1j}	\dots	ω_{1m}	$\omega_{\cdot 1}$
a_2	ω_{21}	ω_{22}	\dots	ω_{2j}	\dots	ω_{2m}	$\omega_{\cdot 2}$
\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots
a_i	ω_{i1}	ω_{i2}	\dots	ω_{ij}	\dots	ω_{im}	$\omega_{\cdot i}$
\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots
a_k	ω_{k1}	ω_{k2}	\dots	ω_{kj}	\dots	ω_{km}	$\omega_{\cdot k}$
$\omega_{\cdot j}$	$\omega_{\cdot 1}$	$\omega_{\cdot 2}$	\dots	$\omega_{\cdot j}$	\dots	$\omega_{\cdot m}$	1

$$\omega_{ij} = \frac{n_{ij}}{n}, \quad \omega_{x_i} = \frac{n_{x_i}}{n}, \quad \omega_{y_j} = \frac{n_{y_j}}{n}$$

ამას გარდა, $(X; Y)$ ორგანზომილებიანი შემთხვევითი სიდიდის პირობითი ალბათობების ცხრილებია:

$\omega(a_i | b_j)$

ცხრილი №3

$X \backslash Y$	b_1	b_2	b_j	b_m	ω_{x_i}		
a_1	$\omega(a_1 b_1)$	$\omega(a_1 b_2)$	\dots	$\omega(a_1 b_j)$	\dots	$\omega(a_1 b_m)$	ω_{x_1}
a_2	$\omega(a_2 b_1)$	$\omega(a_2 b_2)$	\dots	$\omega(a_2 b_j)$	\dots	$\omega(a_2 b_m)$	ω_{x_2}
\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots
a_i	$\omega(a_i b_1)$	$\omega(a_i b_2)$	\dots	$\omega(a_i b_j)$	\dots	$\omega(a_i b_m)$	ω_{x_i}
\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots
a_k	$\omega(a_k b_1)$	$\omega(a_k b_2)$	\dots	$\omega(a_k b_j)$	\dots	$\omega(a_k b_m)$	ω_{x_k}
Σ	1	1	\dots	1	\dots	1	1

$$\omega(a_i | b_j) = \frac{\omega_{ij}}{\omega_{y_j}}, \quad i = \overline{1, k}, \quad j = \overline{1, m}. \quad \text{ან:}$$

$\omega(b_j | a_i)$

ცხრილი №4

$X \backslash Y$	b_1	b_2	b_j	b_m	Σ		
a_1	$\omega(b_1 a_1)$	$\omega(b_2 a_1)$	\dots	$\omega(b_j a_1)$	\dots	$\omega(b_m a_1)$	1
a_2	$\omega(b_1 a_2)$	$\omega(b_2 a_2)$	\dots	$\omega(b_j a_2)$	\dots	$\omega(b_m a_2)$	1
\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots
a_i	$\omega(b_1 a_i)$	$\omega(b_2 a_i)$	\dots	$\omega(b_j a_i)$	\dots	$\omega(b_m a_i)$	1
\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots
a_k	$\omega(b_1 a_k)$	$\omega(b_2 a_k)$	\dots	$\omega(b_j a_k)$	\dots	$\omega(b_m a_k)$	1
ω_{y_j}	ω_{y_1}	ω_{y_2}	\dots	ω_{y_j}	\dots	ω_{y_m}	1

$$\omega(b_j | a_i) = \frac{\omega_{ij}}{\omega_{x_i}}, \quad i = \overline{1, k}, \quad j = \overline{1, m}.$$

იმისათვის, რათა განისაზღვროს X და Y ცვლადებს შორის დამოკიდებულების რაოდენობრივი ზომა, ჯერ უნდა გამოითვალოს, ვთქვათ, χ^2 მნიშვნელობა (იხ. ამ შემთხვევაში ცხრილი №4):

$$\chi_i^2 = \sum_{j=1}^n \frac{(\omega(b_j | a_i) - \omega_{r_j})^2}{\omega_{r_j}}$$

შემდეგ შევკრიბავთ თითოეულ χ_i^2 -ს წონების გათვალისწინებით (წონები X შემთხვევითი სიდიდის განაწილების აბსოლუტური n_{\cdot} სიხშირეების ტოლია). χ^2 გამოსათვლელ ფორმულას საბოლოოდ ასეთი სახე ექნება (იხ. ცხრილი №1 და №4):

$$\chi^2 = \sum_{i=1}^k n_{\cdot i} \left(\sum_{j=1}^n \frac{(\omega(b_j | a_i) - \omega_{r_j})^2}{\omega_{r_j}} \right)$$

ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად სოციოლოგიურ გამოკვლევებში გამოიყენება ურთიერთშეუღლების სხვადასხვა კოეფიციენტი. კერძოდ, კორელაციის ნორმირებული კოეფიციენტი – პირსონის კოეფიციენტი:

$$P = \sqrt{\frac{\chi^2}{n + \chi^2}}, \quad 0 \leq P \leq 1;$$

ჩუპროვის კოეფიციენტი:

$$T = \sqrt{\frac{\chi^2}{n[(k-1)(m-1)]^{\frac{1}{2}}}}, \quad 0 \leq T \leq 1;$$

k – სტრიქონების რაოდენობა, m – სვეტებისა.

ამ კოეფიციენტების მნიშვნელობა ნულის ტოლია იმ შემთხვევაში, თუ $\chi^2 = 0$, ანუ როცა X და Y დამოუკიდებელია და ერთის ტოლია, თუ პირობითი განაწილება $\omega(b | a_i)$ არ ეთანადება უპირობო განაწილებას ω_{r_j} , რაც ნიშნავს X და Y ძლიერ დამოკიდებულებას.

X და Y დიქტომიური ცვლადებისთვის ერთობლივი განაწილების ცხრილს აქვს ასეთი სახე:

ცხრილი №5

Y X \	B არა B	Σ
A	a b	a + b
არა A	c d	c + d
Σ	a + c b + d	n

a, b, c, d ორგანზომილებიანი განაწილების აბსოლუტური სიხშირეებია, n – შერჩევის ზომა. ორ დიქტომიურ ნიშანს შორის კავშირის დასადგენად გამოიყენება ასოციაციის კოეფიციენტი:

$$\Phi = \frac{ad - bc}{\sqrt{(a+b)(c+d)(a+c)(b+d)}}$$

$\Phi = 0$, თუ არ არსებობს თანადობა X და Y ცვლადებს შორის. $\Phi = 1$ ან $\Phi = -1$, როცა მათ შორის სრული თანადობაა. საზოგადოდ, $-1 \leq \Phi \leq 1$. მონაცემების ანალიზისას ხშირად სარგებლობენ $|\Phi|$ აბსოლუტური სიდიდით.

ზემოთ მოტანილი კოეფიციენტების შესახებ ნულოვანი ჰიპოთეზის (H_0 : კოეფიციენტის სიდიდე = 0) შესამოწმებლად გამოიყენება χ^2 სტატისტიკური მახასიათებელი. ცხრილში (იხ. [7], დანართი №5) მოიძებნება $\chi^2_{\alpha, \nu}$ და $\nu = (k-1)(m-1)$ თავისუფლების ხარისხის გათვალისწინებით. $\chi^2_{\alpha, \nu}$ გამოითვლება ზემოთ მოტანილი χ^2 -ის გამოსათვლელი ფორმულით. $\chi^2_{\alpha, \nu}$ შედარდება $\chi^2_{\alpha, \nu}$ -ს. თუ $\chi^2_{\text{გა}} > \chi^2_{\alpha, \nu}$, H_0 ჰიპოთეზა უარყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში H_0 მიიღება.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ კორელაციის თითოეული კოეფიციენტი გამოიყენება სრულიად გარკვეული სახის კავშირების გაზომვისათვის. კოეფიციენტის არჩევა (და მისი გამოთვლის ტექნიკა) დამოკიდებულია იმაზე, ცვლადები რაოდენობრივია თუ თვისებრივი და როგორაა მონაცემები წარმოდგენილი (დაჯგუფებულია ან

არადაჯგუფებული). გასათვალისწინებელია აგრეთვე სხვადასხვა კვლევის მონაცემების და შედეგების შედარების შესაძლებლობა.

ლიტერატურა

1. გ. მანია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, თბ., 1976.
2. ა. ელიბერიძე, ზ. ნაცვლიშვილი, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები, თბ., 1978.
3. ჯ. ყვავილაშვილი, მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, II, თბ., 1990.
4. Осипов Г. В., Андреев Э. П., Методы измерения в социологии, М. 1977.
5. Ядов В. А., Социологическое исследование: методология, программа, методы, М., 1987.
6. Социология, словарь-справочник, т. 4, М., 1991.
7. Гмурман В. Е., Руководство к решению задач по теории вероятностей и математической статистике, М., 1979.
8. Математические методы анализа и интерпретация социологических данных, М., 1989.
9. Рабочая книга социолога, М., 1983.
10. Интерпретация и анализ данных в социологических исследованиях, М., 1987.
11. Саганенко Г. И., Надёжность результатов социологического исследования, Л., 1983.
12. Гмурман В. Е., Теория вероятностей и математическая статистика, М., 1972.
13. Карасев А. Н., Теория вероятностей и математическая статистика, М., 1979.
14. Кокрен У., Методы выборочного исследования, М., 1976.
15. Шварц Г., Выборочный метод, М., 1978.
16. Allan G., Statistics, 1988.
17. A. Satin, W. Shastri, Survey Sampling, 1993.
18. D. A. de Vaus, Surveys in Social Research, 1990.
19. Herbert F. Weisbery, Bruce D. Bowen, An Introduction to Survey Research and Data analysis, 1977.
20. Floyd J. Fowler, Jr., Survey Research Methods, 1990.

სტატისტიკის ძირითადი ამოცანა

სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ჯგუფის სრული აღწერა. ჯგუფში იგულისხმება ინდივიდების/სუბიექტების გარკვეული ერთობლიობა. ინდივიდი შეიძლება იყოს დაკვირვების ნებისმიერი ობიექტი. მაგალითად, პიროვნება, წარმოების პროდუქტი, ბუნების ესა თუ ის მოვლენა და ა. შ. ცალკეული ინდივიდისა თუ ჯგუფის ყოველმხრივი აღწერა ხშირად შეუძლებელია, ამიტომ სტატისტიკაში ჩვეულებრივ მიმართავენ ინდივიდისათვის დამახასიათებელ რაიმე თვისებების აბსტრაქციას (ინდივიდისაგან და მისი სხვა თვისებებისაგან დამოუკიდებლად განზილვას) და ინდივიდის აღწერას აწარმოებენ ამ თვისების მიხედვით (ის შეიძლება იყოს წონა, ასაკი, განათლება, სქესი, ფერი, ფორმა და სხვა).

ყოველ იმ თვისებას, რომლის აბსტრაქტირებასაც ვახდენთ ამა თუ იმ ინდივიდის აღწერისათვის შეუესაბამოთ ცვლადი. ეს საშუალებას მოგცემს, რომ ინდივიდთა მოცემული ჯგუფი დაგახასიათოთ ცვლადთა გარკვეული ერთობლიობით. მაგალითად, პიროვნება შეიძლება დახასიათოსდეს ასაკის, განათლების, სქესის აღმნიშვნელი ცვლადებით. თითოეულ ამ ცვლადს ყოველი კონკრეტული პიროვნებისათვის შეესაბამება გარკვეული მნიშვნელობები, რომელთა სიმრავლეც ქმნის მოცემული ცვლადის მნიშვნელობათა არეს. სქესის აღმნიშვნელი ცვლადის მნიშვნელობათა არე იქნება ორეულ-მენტრიანი სიმრავლე ელემენტებით — მდედრობითი, მამრობითი. ეს იმას ნიშნავს, რომ სქესის აღმნიშვნელმა ცვლადმა მნიშვნელობად შეიძლება მიიღოს მდედრობითი ან მამრობითი. ასევე, ასაკის აღმნიშვნელი ცვლადი ჯგუფის თითოეული წევრისათვის მნიშვნელობად მიიღებს ამ წევრის ასაკს, ხოლო ჯგუფის ყველა წევრის ასაკთა სიმრავლე იქნება ასაკის აღმნიშვნელი ცვლადის მნიშვნელობათა არე. განათლების ცვლადი ყოველი კონკრეტული პიროვნებისათვის მნიშვნელობად მიიღებს მის განათლებას, ხოლო ყველა ჯგუფის ყველა წევრის განათლების სიმრავლე შექმნის განათლების აღმნიშვნელი ცვლადის მნიშვნელობათა არეს.

ზემოთ, ინდივიდის აბსტრაქტირებულ თვისებასთან დაკავშირებით,

ვასსენო ცნება „გაზომება“. გაზომება ცვლადების მნიშვნელობებისათვის ციფრების მიკუთვნების პროცესია გარკვეული წესების მეშვეობით.

ცვლადების მნიშვნელობებისათვის ციფრების მიკუთვნების ოთხი წესი არსებობს. შესაბამისად, ეს ოთხი წესი გვაძლევს ოთხ სხვადასხვა სკალას – სახელდებითს, რიგის, ინტერვალებისა და შეფარდების სკალებს.

თუ ცვლადის ერთი მნიშვნელობა შევვიძლია მხოლოდ განვასხვავოთ მისი მეორე მნიშვნელობისაგან, მაშინ საქმე გვექნება სახელდებით სკალასთან. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვიტყვით, რომ ცვლადის მნიშვნელობები იზომება სახელდებით სკალაზე. სახელდებითი ცვლადის მაგალითია ზემოთ მოტანილი სქესის ცვლადი. ის იღებს ორ მნიშვნელობას – მღებრობითს, მაძრობითს. სახელდებითი სკალის შემთხვევაში ცვლადის მნიშვნელობებს შეესაბამება ციფრები ან სიმბოლოები ისე, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდეს ამ ცვლადის მნიშვნელობები. მაგალითად, თუ მაძრობითს მივანიჭებთ ციფრს (კოდს) – 1, ხოლო მღებრობითს – 2, მაშინ შეგვეძლება მხოლოდ განვასხვავოთ ერთმანეთისაგან მოცემული ცვლადის ეს ორი რიცხვითი მნიშვნელობა.

ხშირად, შესაძლებელია ცვლადის მნიშვნელობების არა მარტო „თვისებრივი“, არამედ ხარისხობრივი კლასიფიკაცია (ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ცვლადის ერთი მნიშვნელობა წინ უსწრებს მეორეს, ერთის მნიშვნელობა უბრალოდ უკეთესია, უფრო მყარია მეორეზე და ა.შ.), მაგრამ შეუძლებელია განსხვავების რაოდენობის განსაზღვრა. ცვლადები, რომელთა მნიშვნელობებსაც ეს თვისება ახასიათებს, იზომება რიგითი სკალით. რიგითი სკალის შემთხვევაში ცვლადის მნიშვნელობებს ისე შეესაბამება რიცხვები, რომ რიცხვთა რიგი დაემთხვეს მნიშვნელობათა რიგს (1 შედარებით რბილია, ვიდრე 2 და ა.შ.).

იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია დადგენა, თუ ცვლადის ერთი მნიშვნელობა რამდენით მეტია მეორეზე, საქმე გვაქვს ინტერვალურ სკალასთან. ინტერვალური სკალის დროს შესაძლებელია არა მარტო ცვლადის მნიშვნელობების რიგში

განლაგება, არამედ გაზომვის ერთეულის დადგენაც და, შესაბამისად, ნებისმიერი ორი ცვლადისათვის იმის განსაზღვრა, თუ რამდენით მეტი ან ნაკლებია ერთი მეორეზე. ინტერვალური სკალა საშუალებას იძლევა ცვლადებს ისე შევსაბამოთ რიცხვები, რომ ორ ნებისმიერ რიცხვს შორის სხვაობა დაემთხვეს ამ რიცხვების შესაბამის მნიშვნელობათა შორის სხვაობას. ინტერვალურ სკალაზე შესაძლებელია, აგრეთვე, რიცხვების შეკრება ან გამოკლება. მაგრამ შეუძლებელია მათი ერთმანეთთან შედარება შეფარდების ტერმინებში, რადგან ამ სკალისათვის დადგენილი არ არის აბსოლუტური ნულის ცნება. ნულოვანი წერტილი საკსებით პირობითად არის აღებული. ჩვენივის ცნობილია ცვლადის მნიშვნელობებს შორის სხვაობა და არა მათი ნამდვილი სიდიდეები.

გარდა ზემოთ განხილულისა, პრაქტიკაში გვხვდება ისეთი ცვლადებიც, რომ ნებისმიერი ორი მნიშვნელობისათვის შესაძლებელია არა მარტო იმის განსაზღვრა, თუ რამდენით მეტი ან ნაკლებია ერთი მეორეზე, არამედ იმისაც, თუ რამდენჯერ მეტი ან ნაკლებია ერთი მეორეზე. ეს ნიშნავს, რომ ცვლადის მნიშვნელობებისათვის დადგენილი გვაქვს აბსოლუტური ნული. აქედან გამოძვინარე, შეგვიძლია ვილაპარაკოთ ცვლადის არა მხოლოდ ფარდობით, არამედ აბსოლუტურ მნიშვნელობებზეც. ასეთ შემთხვევებში ვიტყვი, რომ ცვლადის მნიშვნელობები იზომება შეფარდებით სკალაზე.

ცვლადს, რომლის მნიშვნელობებიც შეფარდებით სკალაზე იზომება, შეგვიძლია შევსაბამოთ რიცხვები შემდეგი წესების დაცვით:

1. სხვაობა ნებისმიერ ორ მნიშვნელობას შორის უდრიდეს სხვაობას მათ შესაბამის ორ რიცხვს შორის;
2. ფარდობა ნებისმიერ ორ მნიშვნელობას შორის უდრიდეს ფარდობას მათ შესაბამის რიცხვებს შორის.

ჯგუფი – ინდივიდთა ერთობლიობა შეიძლება იყოს ორი სახის – სრული და არასრული. სრული ჯგუფი ეს ისეთი ჯგუფია, რომელიც შეიცავს მოცემული სახის ყოველ ინდივიდს. სრულ ჯგუფს სტატისტიკაში გენერალურ ერთობლიობას უწოდებენ. სრული ჯგუფის შესწავლა ეკონომიკურ და სხვა სახის სირთულეებთანაა

დაკავშირებული, ხშირ შემთხვევაში კი ეს საერთოდ შეუძლებელია. ამიტომ, როგორც წესი, შეისწავლიან არა მთელ გენერალურ ერთობლიობას, არამედ შემთხვევით ამოირჩევენ N რაოდენობა ინდივიდებს გენერალური ერთობლიობიდან, რომელსაც შერჩევითი ერთობლიობა ეწოდება და ახდენენ მის შესწავლასა და მიღებული შედეგების განზოგადებას გენერალურ ერთობლიობაზე.

სტატისტიკას, რომელიც აღწერს შემთხვევით ერთობლიობას, ეწოდება აღწერიითი სტატისტიკა. ხოლო სტატისტიკას, რომელიც ახდენს აღწერიითი სტატისტიკის შედეგების განზოგადებას გენერალურ ერთობლიობაზე, დასკვნითი სტატისტიკა ეწოდება.

ჯგუფის აღწერა ჩვეულებრივ მდგომარეობს ემპირიულად მიღებული მონაცემების ისეთნაირად დამუშავებასა და ორგანიზებაში, რომ შესაძლებელი გახდეს პასუხის გაცემა შემდეგ კითხვებზე:

1. როგორ ზოგად სურათს იძლევა ემპირიული მონაცემები საკვლევი ცვლადის შესახებ;
 2. რა არის საუკეთესო წინასწარმეტყველება ინდივიდისათვის დამახასიათებელი საკვლევი ცვლადის შესახებ (ცენტრალური ტენდენციების განსაზღვრა);
 3. რამდენად ცუდია ეს წინასწარმეტყველება საკვლევი ცვლადის შესახებ;
 4. ჯგუფის ცალკეული ინდივიდის შედარება დანარჩენ წევრებთან, საკვლევი ცვლადის მიხედვით;
 5. ერთსა და იმავე ინდივიდზე გაზომილ ორ ან მეტ ცვლადს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა და შეფასება.
- ამ ზეით კითხვის მიხედვით შეისწავლით სხვადასხვა განზომილების სკალის მქონე ცვლადები.

სახელმძღვანის სკალის მონაცემების აღწერა

1. მონაცემთა ზოგადი სურათი საკვლევი ცვლადისათვის.

განვიხილოთ მაგალითი ვიქტორი, გენერალური ერთობლიობიდან ამოვარჩიეთ 11 რესპონდენტი. საკვლევი ცვლადი არის ეროვნება. აღმოჩნდა, რომ 100 რესპონდენტიდან 60 არის ქართველი, 10 აზერბაიჯანელი, 10 სომეხი, 10 რუსი, დანარჩენი 10 კი რომელიმე სხვა ქვეყნის წარმომადგენელი. მონაცემთა ზოგადი სურათის დადგენა ნიშნავს საკვლევი

ცვლადის ცვლა შესაძლო მნიშვნელობის დაიქირებასა და შერჩევით ერთობლიობაში ცალკეული მნიშვნელობების რაოდენობების დათვლას ან რაც იგივეა, მოცემული ცვლადის სისშირული განაწილების პოვნას. ჩვენს მაგალითში ეროვნების ცვლადის შესაძლო მნიშვნელობებია ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი და ცვლა დანარჩენი (რომელიც თავის თავში შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერ ეროვნებას გარდა ზემო აღნიშნული ოთხისა, მაგრამ გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე არ გვიანტერესებს მათი დაყოფა). ცხადია, რომ ეროვნების ცვლადი შეიძლება იზომებოდეს სახელდებით სკალაზე, რადგან ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ განვასხვავოთ ამ ცვლადის მნიშვნელობები. არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცვლადის ერთი მნიშვნელობა მეტია მეორეზე ან წინ უსწრებს მას. ამჟამად დროს ჩვენ შეგვიძლია ცვლადის თითოეულ მნიშვნელობას მივაწეროთ რაიმე რიცხვი ისე, რომ სხვადასხვა მნიშვნელობებს შეესაბამებოდეს სხვადასხვა რიცხვები.

სისშირული განაწილების პოვნა მოცემული ცვლადისათვის ნიშნავს შემდეგი ცხრილის აგებას:

ეროვნება	რაოდენობა	პროცენტული შემადგენლობა
ქართველი	60	60%
აზერბაიჯანელი	10	10%
სომეხი	10	10%
რუსი	10	10%
სხვა	10	10%
სულ	100	100%

პირველ სტრიქონში მოცემულია საერთო რაოდენობა, მეორეში კი შესაბამისი ეროვნების პროცენტული შემადგენლობა საერთო რაოდენობიდან.

ზოგად შემთხვევაში, თუ X ცვლადი შედგება n მნიშვნელობისაგან (X_1, X_2, \dots, X_n), სადაც X_1 საკვლევ ერთობლიობაში m_1 -ჯერ და ასე შემდეგ $X_n - m_n$ -ჯერ გვხვდება, ცვლადის სისშირული განაწილების ცხრილს ექნება შემდეგი სახე:

X_1	m_1
X_2	m_2

სულ

$$m = m_1 - m_2 - m_3 \dots m_n$$

თვალსაჩინოებისათვის ძალიან ხელსაყრელია სისხშირეების განაწილებისათვის ავაგოთ სვეტებიანი დიაგრამა. ასეთი დიაგრამის თითოეული სვეტი გამოხატავს ცვლადის გარკვეულ მნიშვნელობას. მისი სიმაღლე კი სათანადო სისხიარეს (რაოდენობას) ან პროცენტულ შემადგენლობას (უკეთესია, რომ სიმაღლე გამოხატავდეს ცვლადის მნიშვნელობის შესაბამის პროცენტულ მნიშვნელობას, რადგან ანალიზისათვის ძირითადად ყურადღება ექცევა პროცენტულ შემადგენლობას).



საუკეთესო წინასწარმეტყველება (ცენტრალური ტენდენციების განსაზღვრა)

სახელდებითი სკალის შემთხვევაში საუკეთესო წინასწარმეტყველებად შეიძლება ჩაითვალოს ცვლადის ის მნიშვნელობა, რომელიც შეიცავს ინდივიდთა ყველაზე მეტ რიცხვს ანუ საუკეთესო წინასწარმეტყველებად ჩითვლება ცვლადის ის მნიშვნელობა, რომელიც სისხშირეთა განაწილების ცხრილში ხასიათდება ყველაზე დიდი სისხირით. ცვლადის ამ მნიშვნელობას მოდა ეწოდება. ე. ი. მოდა არის ცვლადის ყველაზე ხშირი მნიშვნელობა და ის შემდეგი აზრით წარმოადგენს საუკეთესო წინასწარმეტყველებას: მისი დასახელების დროს უდიდესია შანსი იმისა, რომ ჩვენ აღმოვჩნდებით მართალი. მოდის დასახელება საუკეთესო წინასწარმეტყველებად ნიშნავს, რომ ინდივიდისათვის, რომლისათვისაც ჩვენ ამ ცვლადის მნიშვნელობა არ ვიცით, ამ ცვლადის მნიშვნელობად ვიდებთ მის მოლურ მნიშვნელობას. ზემოთ განხილულ მაგალითში მოდად შეიძლება ჩავთვალოთ ქართველი. იმ შემთხვევაში, როდესაც საკვლევე ცვლადში ყველაზე დიდსიხშირიანი მნიშვნელობები გვაქვს რამდენიმე, მაშინ ვამბობთ, რომ ამ ცვლადს გააჩნია რამდენიმე მოდა.



წინასწარმეტყველების შეფასება (ვარიაციურობის მოდა)

ვთქვათ, დავასახელოთ ცვლადის მოლური (ან სხვა რომელიმე) მნიშვნელობა საუკეთესო წინასწარმეტყველებად. თუ ინფორმაციის

უქონლობის გამო ცვლადის მნიშვნელობად ავიღებთ მის მოდურ (ან სხვა რომელიმე) მნიშვნელობას, შანსი იმისა, რომ ვიქნებით



მართალი, ან შევცდებით, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ცვლადის მნიშვნელობათა რაოდენობა და მისი სიხშირული



განაწილება. ეს ნათლად ჩანს შემდეგი დიაგრამების მაგალითზე.

დიაგრამა 1 ($P=1/2$)

დიაგრამა 2 ($P=1/3$)

დიაგრამა 3

დიაგრამა 4

პირველ და მეორე დიაგრამაში ცვლადის შესაძლო მნიშვნელობები სხვადასხვაა. მნიშვნელობათა სიხშირე როგორც პირველში, ისე მეორეში არის ერთნაირი. თუ პირველი დიაგრამის შემთხვევის დროს დავასახელებთ პირველ ან მეორე მნიშვნელობას როგორც საუკეთესო წინასწარმეტყველებას, ჩვენ მიერ სწორად გამოცნობის ალბათობა¹ არის $p=1/2$. მეორე დიაგრამის შემთხვევაში კი — უფრო ნაკლები — $p=1/3$, რაც გვიჩვენებს, რომ გამოცნობის ალბათობა მცირდება ცვლადის მნიშვნელობების ზრდასთან. ე. ი. ჩემ მიერ დაშვებული საალბათო შეცდომის რიცხვი იზრდება ცვლადის

¹ რაიმე მოვლენის ალბათობა განიმარტება როგორც ამ მოვლენის მოხდენის ხელშემწყობ შემთხვევათა რიცხვის შეფარდება შემთხვევათა საერთო რიცხვზე. განმარტებიდან ცხადია, რომ რაც დიდია მოვლენის მოხდენის შანსი (ანუ ხელშემწყობ შემთხვევათა რიცხვი), მით უფრო დიდია მოხდენის ალბათობა. ამიტომ ის შეგვიძლია გამოვიყენოთ მოვლენის მოხდენის ზომად. განმარტებიდან ცხადია, რომ ალბათობა არ შეიძლება ერთზე მეტი იყოს.

მნიშვნელობის ზრდასთან ერთად.

მესამე და მეოთხე დიაგრამაში აღებულია კატეგორიათა ერთი და იგივე რაოდენობა, ხოლო მათში სიხშირეების განაწილება სხვადასხვაა. თუ დავასახელებთ მოდას როგორც საუკეთესო წინასწარმეტყველებას, მაშინ მესამე დიაგრამის შემთხვევაში უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ აღმოჩნდებით მართალი, ვიდრე მეოთხე დიაგრამის შემთხვევაში. ეს არის მიზეზი იმისა, რომ მესამე დიაგრამის შემთხვევაში ერთ კატეგორიაში (მოდურში) შემაჯავლ სიხშირეთა რიცხვი უფრო მეტად აღემატება მეორე კატეგორიაში შემაჯავლ რიცხვს, ვიდრე ეს გვაქვს მეოთხე დიაგრამაში.

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ:

1. რაც უფრო მეტია ცვლადის მნიშვნელობათა რაოდენობა, მით უფრო „მცდარია/ცუდია“ ჩვენი წინასწარმეტყველება. ე. ი. მით უფრო მეტია ჩვენ მიერ შეცდომის დაშვების ალბათობა;

2. რაც უფრო მეტად განსხვავდება ცვლადის მნიშვნელობათა სიხშირეები ერთმანეთისაგან, მით უფრო მეტი შანსია წინასწარმეტყველების განხორციელებისათვის, ე. ი. მით უფრო ნაკლებია ჩვენ მიერ შეცდომის დაშვების ალბათობა.

სტატისტიკაში შემოაქვთ წინასწარმეტყველების სიცუდის შემფასებელი ანუ განუსაზღვრელობის საზომი სიდიდე ენტროპია (განუზღვრელობა), რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ თვისებებს, იზრდება ცვლადის მნიშვნელობათა რაოდენობის ზრდასთან ერთად და კლებულობს რაც უფრო მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან ცვლადის სხვადასხვა მნიშვნელობები.

რადგან სახელდებით სკალაზე შეგვიძლია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ცვლადის სხვადასხვა მნიშვნელობები, მათ შორის კი არავითარი ურთიერთმიმართება არ არსებობს, ამიტომ არ შეგვიძლია ერთი ინდივიდი შევედაროთ მეორეს. შესაბამისად, ამ საკითხის დასმას სახელდებითი სკალის შემთხვევაში აზრი ეკარგება.

5. ერთსა და იმავე ინდივიდზე გაზომილ ორ ცვლადს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა და შეფასება (რიგითი სკალის შემთხვევაში).

როგორ განვმარტოთ ორ ცვლადს შორის დამოკიდებულება? ორ ცვლადს შორის დამოკიდებულება ანუ, რაც იგივეა, კორელაცია ნიშნავს ერთი ცვლადის მნიშვნელობების მიღება რამდენად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეორე ცვლადს. ავიღოთ ორი ცვლადი X და Y. Y ცვლადის ყოველი მნიშვნელობისათვის X ცვლადი იღებს გარკვეულ მნიშვნელობათა სპექტრს. ამ ორ ცვლადს შორის კორელაციის პოვნა ნიშნავს შევაფასოთ განსხვავებები X ცვლადის განაწილების სპექტრებს შორის, რომლებიც მიიღება Y ცვლადის ყოველი შესაძლო მნიშვნელობისათვის. თუ ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, მაშინ ვიტყვი, რომ ეს ორი ცვლადი ერთმანეთზე დამოკიდებულნი არიან, ხოლო თუ უმნიშვნელოა, მაშინ ვიტყვი, რომ ერთმანეთზე დამოკიდებული არ არის (კორელაციების მათემატიკური მხარე განხილულია წინამდებარე თავში).

სახელდებითი სკალების შემთხვევაში, კორელაციის დადგენა ხდება “ზი კვადრატის მეთოდით”.

რიბითი სკალის აღწერა

როგორც აღვნიშნეთ, რიგითი სკალის უპირატესობა სახელდებით სკალასთან შედარებით ის არის, რომ რიგითი სკალის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია არა მარტო განვასხვავოთ ცვლადის შესაბამისი მნიშვნელობები ერთმანეთისაგან, არამედ დავაღვაწოთ ისინი ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით. თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ რიგითი სკალებისათვის მისი მნიშვნელობების გარკვეული წესით დალაგების შესაძლებლობას, მაშინ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ერთმანეთისაგან განვასხვავოთ მისი მნიშვნელობები, ე.ი. განვიხილოთ ის როგორც სახელდებითი სკალა. ამიტომ ის სტატისტიკური მახასიათებლები, რომლებიც გვაქვს სახელდებითი სკალის ცვლადებისათვის, ავტომატურად გადმოდის რიგითი სკალის ცვლადებისათვის. გარდა ამ სტატისტიკური მახასიათებლებისა, რიგითი სკალებისათვის შეგვიძლია შემოვიტანოთ ისეთი სტატისტიკური მახასიათებლები, რომლებიც ითვალისწინებს ცვლადის მნიშვნელობების ზრდადობით ან კლებადობით დალაგების შესაძლებლობას. ისმის კითხვა, როგორ მოვიქცეთ, როცა ერთი ცვლა-

დი იზომება რიგით სკალაზე და მეორე სახელდებით სკალაზე და გვანტერესებს ამ ორ ცვლადს შორის დამოკიდებულება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მხედველობაში არ მივიღოთ რიგითი სკალის უპირატესობა სახელდებით სკალასთან შედარებით (მონაცემების დალაგების შესაძლებლობა) და განვიხილოთ როგორც სახელდებითი სკალის ცვლადი. ამოცანა ასე დაიყვანება ორ სახელდებით სკალის მქონე ცვლადებს შორის დამოკიდებულების პოვნაზე.

განვიხილოთ აღწერითი სტატისტიკის ძირითადი საკითხების გაანალიზება რიგითი სკალის შემთხვევაში.

რიგითი სკალის მონაცემების აღწერა

როგორც სახელდებითი სკალის შემთხვევაში, აქაც მონაცემების აღწერისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სიხშირეთა განაწილების ცხრილები და მისი დიაგრამული წარმოდგენები.

საუკეთესო წინასწარმეტყველება (ცენტრალური ტენდენციების განსაზღვრა).

რიგითი სკალისათვის საუკეთესო წინასწარმეტყველებად შეგვიძლია გამოვიყენოთ რამდენიმე სტატისტიკური სიდიდე:

- ა) ცვლადის ყველაზე უაღბათესი მნიშვნელობა - მოდა.
- ბ) რადგანაც რიგითი სკალის მონაცემები შეგვიძლია დავალაგოთ ზრდადობის მიხედვით, ამიტომ რიგითი სკალისათვის შეგვიძლია ცენტრალური ტენდენციების საზომად შემოვიღოთ (როგორც მიღებულია) 25%, 50%, 75% კვანტილები. ამისათვის საჭიროა, რიგითი სკალის მნიშვნელობები ზრდადობის მიხედვით დავალაგოთ და გვერდით მივუწეროთ შესაბამისი სიხშირული მნიშვნელობა. ამ დალაგებაში ამოვირჩიოთ ის მნიშვნელობა, რომლის ზემოთ მონაცემთა 25%-ია, შესაბამისად ქვემოთ იქნება მონაცემების 75%. ამ მნიშვნელობას ეწოდება 25% კვანტილი. თუ ამოვარჩევთ იმ მნიშვნელობას, რომლის ზემოთ და ქვემოთ შემთხვევების ერთნაირი რაოდენობაა, მაშინ ასეთ მნიშვნელობას 50% კვანტილს ანუ მედი-

ანას უწოდებენ. ანალოგიურად განიმარტება 75% კვანტილი, ე.ი ის მნიშვნელობა, რომლის ზემოთ მოთავსებულია მონაცემთა 75%. ხოლო ქვემოთ 25%. მათი გამოთვლის მექანიზმი მოცემულია (მედიანის გამოთვლის მექანიზმი, მოცემული წინამდებარე თავში).

3. წინასწარმეტყველების ცდომილების ხარისხის შეფასება.

რანგული სკალების შემთხვევაში წინასწარმეტყველების ცდომილების ხარისხის შესაფასებლად შემოგვაქვს:

- ა) განუზღვრელობა (ისევე როგორც სახელდებითი სკალის შემთხვევაში)
- ბ) ცვალებადობის დიაპაზონი (იმ შემთხვევაში, როცა ცვლადის მნიშვნელობები ინდივიდზე გარკვეული წესით მინიჭებული ქულეები).

ცვლადის მნიშვნელობების შედარება

როგორც აღვნიშნეთ, სახელდებითი სკალის შემთხვევაში, არ შეგვიძლია ცვლადის ერთი მნიშვნელობა შევუდაროთ მეორეს, ვინაიდან ამ სკალის მონაცემებს შორის არავითარი ურთიერთმიმართება არ არსებობს. რადგან რიგით სკალის შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცვლადის ერთი მნიშვნელობა წინ უსწრებს მეორეს ან ჩამორჩება, ამიტომ ცვლადის ერთი მნიშვნელობა ჩვენ შეგვიძლია შევუდაროთ სხვა მნიშვნელობებს მისი რიგის მიხედვით. ამისათვის საჭიროა ცვლადის მნიშვნელობები დავალაგოთ მათი ზრდის მიხედვით. ყველაზე დაბალ მნიშვნელობას მივანიჭოთ ერთიანი, მის მომდევნოს 2-იანი და ა.შ. თუ რამდენიმე მნიშვნელობა მეორდება, მაშინ მათ მნიშვნელობებს შევკრებთ და გავყოფთ მათსავე რაოდენობაზე. შემდეგ, თითოეულს მივანიჭებთ რანგად ამ მნიშვნელობას. მაგ:

ცვლადის მნიშვნელობები(x _i)	მინიჭებული რანგები
1	1.000
3	2.500

3	2.500
5	5.000
5	5.000
5	5.000
6	8.500
6	8.500
6	8.500
6	8.500
7	13.000
7	13.000
7	13.000
7	13.000
7	13.000

რანგის მნიშვნელობა საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, თუ რომელი ადგილი, უჭირავს ცვლადის შესაბამის მნიშვნელობას აღებულ სიაში.

ვთქვათ, $x_k = x_{k+1} = x_{k+2} = \dots = x_{k+n}$, თუ n ($1 \leq n$) კენტიია. მინიჭებული რანგების საშუალო იქნება ნატურალური რიცხვი. ამ რანგების მნიშვნელობას გამოკლებული ერთი მიუთითებს, თუ თითოეული მათგანი ჩამოწერილ სიაში რამდენ ელემენტს აღემატება. ე.ი n ერთნაირი მნიშვნელობის შემთხვევაში, სადაც n კენტიია, ითვლება, რომ ცვლადის ეს მნიშვნელობა აღემატება $(n-1)/2$ ერთნაირ მნიშვნელობას; ხოლო თუ n ლუწია, მაშინ მინიჭებული რანგების მნიშვნელობა არ იქნება ნატურალური, ამიტომ ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეს მნიშვნელობა სიაში აღემატება მისი რანგის დამრგვალებული მნიშვნელობის რაოდენობის ცვლადის მნიშვნელობებს, ან მხოლოდ მის მთელ ნაწილს.

5. ერთსა და იმავე ინდივიდზე გაზომილ ორ ცვლადს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა და შეფასება.

როგორც აღვნიშნეთ, ორ ცვლადს შორის, თუ ისინი იზომებიან სახელდებით სკალაზე, კორელაციის დასადგენად გამოიყენება „ხი კვადრატის მეთოდი“, თუ ეს ორი ცვლადი რანგულ სკალაზე იზომება, ზემოთ თქმულის თანახმად, მათ შორის კავშირის დასადგენად შეგვიძლია გამოვიყენოთ “ხი კვადრატის მეთოდი” (მხედ-

ველობაში არ მივიღოთ რანგული სკალის უპირატესობა სახელდებით სკალასთან შედარებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ რანგული სკალის შემთხვევაში მონაცემები არა მარტო შეგვიძლია განვასხვაოთ ერთმანეთისაგან, არამედ დავალაგოთ ისინი ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით). რადგან რანგული სკალებისათვის შეგვიძლია მონაცემების დალაგება, ამიტომ აქ შესაძლებელია (სახელდებით სკალისაგან განსხვავებით) დაისვას შემდეგი კითხვა: X ცვლადის მნიშვნელობის ზრდა იწვევს Y ცვლადის მნიშვნელობების ზრდას თუ შემცირებას? როდესაც X ცვლადის მნიშვნელობის ზრდა იწვევს Y ცვლადის მნიშვნელობების ზრდას, მაშინ ვიტყვი, რომ გვაქვს პირდაპირი კავშირი, ხოლო, როდესაც X ცვლადის მნიშვნელობის ზრდა იწვევს Y ცვლადის მნიშვნელობების შემცირებას, — უკუკავშირი. ამიტომ სახელდებით სკალასთან შედარებით ასეთი უპირატესობის გამო, რანგული სკალებისათვის, გარდა “ზი კვადრატისა”, რომლებიც გვიჩვენებს მხოლოდ ორ ცვლადს შორის ნებისმიერ დამოკიდებულებას, და ვერაფერს გვეუბნება იმის შესახებ, ეს დამოკიდებულება პირდაპირია თუ უკუ, გამოიყენება სპირმენის, კენდალისა და გამა კოეფიციენტები (რომლებიც განხილულია წინამდებარე თავში). ეს კოეფიციენტები გარდა დამოკიდებულებისა, გვიჩვენებს მის მიმართულებასაც. ისინი იღებენ მნიშვნელობას -1 დან +1. უარყოფით მნიშვნელობებს უკუკავშირის შემთხვევაში, დადებითს კი პირდაპირი კავშირის შემთხვევაში. შემდეგ ზდება ამ კოეფიციენტების მნიშვნელობების სტატისტიკური შეფასება, ანუ იმის დადგენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისი სიდიდე, გვაძლევს თუ არა იგი საფუძველს, რომ ვივარაუდოთ დამოკიდებულება-არდამოკიდებულება, აგრეთვე, დამოკიდებულების მიმართულება გენერალურ ერთობლიობაში.

ლიტერატურა:

1. გ. მანია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, თბ., 1976.
2. ა. ელიბერიძე, ზ. ნაცვლიშვილი, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები, თბ., 1978.
3. ჯ. ყვავილაშვილი, მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, II, თბ., 1990.

სტანდარტული მნიშვნელობები

ზოგჯერ საჭიროა ინტერვალური ცვლადების მნიშვნელობათა გადაქცევა ე.წ. სტანდარტულ მნიშვნელობებად (Z-მნიშვნელობებად). ეს არის ცვლადის მნიშვნელობები, გამოხატული სტანდარტული გადახრის ერთეულებში. მაგალითად, თუ განაწილებაში საშუალო ასაკია 50 წელი და სტანდარტული გადახრა არის 5 წელი, მაშინ ცვლადის მნიშვნელობა 60-ის Z-მნიშვნელობა იქნება 2, რადგანაც 60 უდრის საშუალოს (50) მიმატებული 2 სტანდარტული გადახრა (10). 45 წლის შესაბამისი Z-მნიშვნელობა იქნება -1 (საშუალოს მინუს 1 სტანდარტული გადახრა), ხოლო 53 გამოისახება როგორც 0.6 (საშუალოს მიმატებული სტანდარტული გადახრის 6/10). ზოგადად, ცვლადის მნიშვნელობიდან Z-მნიშვნელობაზე გადასასვლელი ფორმულა ასეთია

$$Z = \frac{x_i - x}{s}$$

ამგვარად, თუ $x_i = 53$, მაშინ გვექნება $Z = 53 - 50 / 5 = 3 / 5 = 0.6$.

ცვლადის ჩვეულებრივი მნიშვნელობების Z-მნიშვნელობებად გადაქცევა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ რა პროპორციით ნაწილდება შემთხვევები განაწილებაში კონკრეტული მნიშვნელობის ზევით და ქვევით. ამისათვის იყენებენ შემდეგ ცხრილს:

Z	I	II
0.0	.5000	.5000
0.1	.5398	.4602
0.2	.5793	.4207
0.3	.6179	.3821
0.4	.6554	.3446
0.5	.6915	.3085
0.6	.7257	.2743
0.7	.7580	.2420
0.8	.7881	.2119
0.9	.8159	.1841
1.0	.8413	.1587

1.1	.8643	.1357
1.2	.8849	.1151
1.3	.9032	.0968
1.4	.9192	.0808
1.5	.9332	.0668
1.6	.9452	.0548
1.7	.9554	.0446
1.8	.9641	.0359
1.9	.9713	.0287
2.0	.9772	.0228
2.1	.9821	.0179
2.2	.9861	.0139
2.3	.9893	.0107
2.4	.9918	.0082
2.5	.9938	.00621
2.6	.9953	.00466
2.7	.9965	.00347
2.8	.9974	.00256
2.9	.9981	.00187
3.0	.9987	.00135

ცხრილი 1.

განვიხილოთ კვლავ მნიშვნელობა 53. ვიპოვოთ მისი შესაბამისი Z-მნიშვნელობა ცხრილის პირველ სვეტში (0.6) და ვნახოთ ამ სტრიქონის მეორე სვეტში მდგარი რიცხვი. ეს არის 0.7257. ეს ნიშნავს, რომ მოცემულ განაწილებაში გამოკითხულთა 72.57% არის 53-ზე ნაკლები წლის. შემდეგი სვეტი გვეუბნება რამდენია 53-ზე უფროსი. ჩვენს შემთხვევაში 0.2743, ანუ 27.43%. თუ Z-მნიშვნელობა უარყოფითია, მაშინ ცხრილში მოთავსებული რიცხვების აზრი შებრუნდება. კერძოდ, 0.7257 იქნება იმის მაჩვენებელი, რომ გამოკითხულთა 72.57% არის 47 წელზე უფროსი.

Z-მნიშვნელობები გამოიყენება ზოგიერთი უფრო რთული ანალიზის მეთოდებში, მაგალითად, მრავალკვლადიანი რეგრესიის დროს.

სკატერგრამები

სკატერგრამა (სიტყვიდან scatter-მიმოხევა) არის დეკარტის საკოორდინატო სისტემაში მიმოხეულ წერტილთა ერთობლიობა. პერიზონტალური ღერძი (X ღერძი) წარმოადგენს დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობებს, ხოლო ვერტიკალური ღერძი (Y ღერძი) - დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობებს. სკატერგრამის თითოეული წერტილის კოორდინატები წარმოადგენს ამ ორი ცვლადის შესაბამის მნიშვნელობებს (იხ. გრაფიკები 1, 2, 3, 4, 5).

კოსტაბულაციასთან შედარებით სკატერგრამა გაცილებით უფრო თვალსაჩინოდ წარმოადგენს ორ ცვლადს შორის კავშირის არსებობა-არარსებობას. დასამახსოვრებელია სამი გარემოება:

1. რაც უფრო კონცენტრირებულად, მჭიდროდაა წერტილები განლაგებული, მით უფრო ძლიერია ორ ცვლადს შორის კავშირი.
2. როდესაც მარცხნიდან მარჯვნივ მოძრაობისას წერტილები მიემართება ქვევიდან ზევით, მაშინ დამოკიდებულება დადებითია. თუ წერტილები ქვევით მიემართება - უარყოფითი.
3. როდესაც წერტილების მიერ შედგენილი ფიგურა ჰგავს სწორ ხაზს, მაშინ დამოკიდებულება წრფივია, ხოლო, თუ ეს ფიგურა ჰგავს რაიმე წირს, მაშინ დამოკიდებულებას მრუდწირული ეწოდება. თუ არავითარი ფორმა არ გამოიკვეთება, ეს იმის მაუწყებელია, რომ დამოკიდებულება ცვლადებს შორის არ არსებობს.

პირსონის კორელაცია

მიუხედავად იმისა, რომ სკატერგრამები საკმაოდ თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ცვლადებს შორის კავშირის ბუნებას, მაინც სასურველია ეს დამოკიდებულება გამოისახოს რიცხობრივად. ამისათვის იყენებენ პირსონის კოეფიციენტს, რომელიც r -ით აღინიშნება.

განხილულ სკატერგრამებზე მოცემულია პირსონის კოეფიციენტის შესაბამისი მნიშვნელობები. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ რაც უფრო კონცენტრირებულია წერტილები, მით მაღალია r -ის მნიშვნელობა (პირსონის კოეფიციენტის მნიშვნელობა ყოველთვის მოთავსებულია -1 -სა და 1 -ს შორის. უარყოფითი ნიშანი აღნიშნავს უარყოფით ურთიერთდამოკიდებულებას. რაც უფრო ახლოსაა ერთთან ან მინუს ერთთან, მით უფრო დიდია კავშირი. რაც უფრო ახლოსაა 0 -თან - მით მცირეა). მეხუთე გრაფიკ მოცემულ სკატერგრამაში $r=0,17$ მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. ეს იმის გამოა, რომ პირსონის კოეფიციენტი ასახავს მხოლოდ წრფივ და არა მრუდწირულ კავშირებს.

თუ პირსონის კოეფიციენტს ავიყვანთ კვადრატში, მივიღებთ სიდიდეს, რომელსაც ეწოდება შეცდომის პროპორციული დაყვანის მაჩვენებელი. ქვემოთ ჩვენ ავხსნით, როგორი ლოგიკა უდევს საფუძვლად ამ სიდიდის გამოთვლას.

მივმართოთ კონკრეტულ მაგალითს: დამოუკიდებელი ცვლადი (x) იყოს განათლება (წლების რაოდენობა), ხოლო დამოკიდებული ცვლადი (y) შემოსავალი (იხ. გრაფიკი 6). უნდა შევასრულოთ შემდეგი სამი პროცედურა:

1. პირველ რიგში დაუშვათ, რომ დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობები ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ახლა კი, თითოეული პიროვნებისათვის, ვივარაუდოთ რა იქნება მისი შემოსავალი (განათლების გაუთვალისწინებლად). ცხადია, რომ ეს ვარაუდი იქნება \$14000, ანუ საშუალო მნიშვნელობა ცვლადის მიხედვით. ე.ი. ამ შერჩევაში მონაწილე ყოველი ადამიანისათვის ჩვენ ვამბობთ, რომ მისი შემოსავალია საშუალოდ \$14000 (შემოსავლების ზომის მაჩვენებლები ყოველთვის არ იზომება საშუალოთი. ხშირად, მიზანშეწონილია, ეს მაჩვენებელი მედიანით გავზომოთ). ცხადია, იმ შემთხვევებისათვის, როდესაც პიროვნებას აქვს 14000-ზე მეტი ან ნაკლები შემოსავალი, ჩვენ ვუშვებთ შეცდომებს. ყველა ამ შეცდომის ჯამი მოგვცემს რაღაც სიდიდეს, რომელიც აღინიშნება E_1 -ით. აქ მთავრდება პირველი პროცედურა.

2. თითოეული პიროვნებისათვის, ვივარაუდოთ თუ რა იქნება მისი შემოსავალი, ოღონდ ამჯერად დამოუკიდებელი ცვლადის, განათლების, გათვალისწინებით. ამისათვის დაგვჭირდება რეგრესიის წრფის გავლება (იხ. გრაფიკი 7).

მოგვიანებით ჩვენ ავხსნით რეგრესიის შინაარსს, ჯერჯერობით კი ვივარაუდოთ, რომ ასეთი წრფე უკვე გავლებულია. მაშინ, თუ პიროვნებას აქვს 4 წლის განათლება, მისი სავარაუდო შემოსავალი იქნება 14000; თუ აქვს 8 წლის განათლება - 17500 და ა.შ. ეს საკმაოდ თვალსაჩინოდ ჩანს გრაფიკიდან. ისმის კითხვა, რამდენად ზუსტია ჩვენი ვარაუდები? გრაფიკზე შემოხაზულია ერთი წერტილი, რომელიც შეესაბამება პიროვნებას 5 წლის განათლებით და 20000 შემოსავლით. ჩვენი ვარაუდი კორელაციის წრფის გამოყენებით შეადგენს \$19500. ამგვარად ჩვენ დავუშვით გარკვეული შეცდომა (500), თუმცა ეს შეცდომა უფრო მცირეა, ვიდრე მაშინ, როდესაც ვვარაუდობდით შემოსავლებს ცვლადის გაუთვალისწინებლად (იხ. E_1 -ის გამოთვლა). კერძოდ, წინა შემთხვევაში ვარაუდი იყო 14000, ე.ი. შეცდომა იქნება 6000, რაც მნიშვნელოვნად უფრო დიდია, ვიდრე 500. ამგვარად, y ცვლადის გათვალისწინებით და რეგრესიის წრფის გამოყენებით ცვლადის მნიშვნელობების ვარაუდი უფრო დიდი სიზუსტითაა შესაძლებელი, ვიდრე ცვლადის გაუთვალისწინებლად. ამ შემთხვევაში დაშვებული ყველა შეცდომის ჯამი აღინიშნება E_2 -ით.

3. თუ ორი ცვლადი დამოკიდებულია (ერთი ცვლადის მნიშვნელობის შეცვლა იწვევს მეორე ცვლადის მნიშვნელობის ცვლილებასაც), მაშინ y -ის გათვალისწინებით x -ის მნიშვნელობების ვარაუდისას დაშვებული შეცდომები უფრო მცირე იქნება, ვიდრე y -ის გაუთვალისწინებლად. განვიხილოთ სხვაობა $E_1 - E_2$. ეს სიდიდე იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად დავიყვანეთ შეცდომა. თუ ამ

სხვაობას გავყოფთ E_1 -ზე $\frac{E_1 - E_2}{E_1}$, მივიღებთ 0-სა და 1-ს შორის

მოთავსებულ რიცხვს. სწორედ ამ რიცხვს ეწოდება შეცდომის პროპორციული დაყვანის მაჩვენებელი. მაგალითად, თუ ეს რიცხვი უდრის 0.25, ეს ნიშნავს, რომ y -ის ცოდნა x -ის მნიშვნელობების

ვარაუდში დაშვებულ შეცდომებს ამცირებს 25 პროცენტით.

ასეთია r^2 -ის გამოთვლის ერთი ყველაზე მარტივი მეთოდი. ეს სიდიდე კარგად ახასიათებს ცვლადებს შორის კავშირის სიძლიერეს, მაგრამ რამდენადაც იგი ყოველთვის დადებითია, იგი ვერ გვიჩვენებს დამოკიდებულების მიმართულებას. მიმართულებას გვიჩვენებს პირსონის r . შეიძლება პირველად გამოითვალოს r , ხოლო შემდეგ ავიყვანთ კვადრატში შეცდომის პროპორციული დაყვანის მაჩვენებლის მისაღებად. მკვლევარს შეუძლია ისარგებლოს როგორც r -ით, ისე r^2 -ით. უნდა გვახსოვდეს, რომ r გვიჩვენებს მიმართულებას, ხოლო r^2 უკეთესად გამოსახავს დამოკიდებულების სიძლიერეს.

რებრესიული ანალიზი

აქამდე ჩვენ განვიხილავდით ცვლადებს შორის კავშირის არსებობის საკითხს, სადაც ხშირად საჭიროა უფრო მეტი ინფორმაციის მოპოვება. კერძოდ ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს იმის ცოდნა, თუ რა შემოსავალი ექნება ამა თუ იმ პიროვნებას ამა თუ იმ განათლებით. კორელაცია გვიჩვენებს ასეთი წინასწარმეტყველების სიზუსტეს, მაშინ როდესაც რეგრესია გვეხმარება წინასწარმეტყველებაში. რეგრესია გვიჩვენებს, აგრეთვე, თუ რა ცვლილებას იწვევს დამოკიდებულ ცვლადში დამოუკიდებელი ცვლადის ერთი ერთეულით ცვლილება. რეგრესია მჭიდროდაა დაკავშირებული პირსონის კორელაციასთან და სკატერგრამებთან.

განვიხილოთ გრაფიკი 8, რომელზედაც გამოსახულია რეგრესიის წრფე განათლებისა და შემოსავლის უკვე ნაცნობი მაგალითისათვის. თუ პიროვნებას აქვს 4 წლის განათლება, მისი სავარაუდო შემოსავლის გასაგებად უნდა ავყვეთ ვერტიკალურ წყვეტილ ხაზს რეგრესიის წრფის გადაკვეთამდე და შემდეგ წავიდეთ მარცხნივ პორიზონტალურად ღერძის გადაკვეთამდე. მივიღებთ სავარაუდო შემოსავლას მნიშვნელობას 14000. შევნიშნოთ, რომ განათლების ყოველი დამატებითი წელი იწვევს შემოსავლის 1000-ით ცვლილებას. ეს არის x ცვლადის y ცვლადზე ზემოქმედების მაჩვენებელი. ამ სიდიდეს ეწოდება რეგრესიის კოეფიციენტი და აღინიშნება b -თი.

კოეფიციენტი ყოველთვის გამოისახება დამოკიდებული ცვლადის ერთეულებში. ჩვენს შემთხვევაში $b=1000$, ეს ნიშნავს \$1000. აღვნიშნავთ მეორე მნიშვნელოვან ადგილს ამ გრაფიკზე: ეს არის y ღერძის და რეგრესიის წრფის გადაკვეთის წერტილი. ეს სიდიდე აღვნიშნავთ a ასოთი და აღვნიშნავს იმ პიროვნების შემოსავალს, რომელსაც არა აქვს განათლება.

მოსახერხებელია რეგრესიის წრფის წარმოდგენა ალგებრული გამოსახულების სახით. ეს გამოსახულება ასეთია: $y=a+bx$. აქ y არის სავარაუდო შემოსავალი, a არის ღერძის და რეგრესიის წრფის გადაკვეთის წერტილი, b არის რეგრესიის კოეფიციენტი, ხოლო x - დამოუკიდებელი ცვლადი.

თუ ვიცით a და b , მაშინ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ x -ის საფუძველზე. აქ არ შევხებით საკითხს, თუ როგორ გამოითვლება a და b სკატერგრამის გარეშე. ეს ადვილად კეთდება სოციალური მეცნიერებებისათვის კომპიუტერული პაკეტების (მაგ. SPSS-ის) საშუალებით. ჩვენს შემთხვევაში ვიცით, რომ $a=9500$ და $b=1000$. მაშინ, თუ რომელიმე პიროვნებას აქვს 6 წლის განათლება, გვექნება $y=a+bx=9500+1000\cdot6=9500+6000=\15500 .

მაშასადამე, საკმარისია კოეფიციენტების ცოდნა. ეს უფრო ეფექტური და სწრაფი ხერხია რეგრესიის წარმოდგენისათვის, ვიდრე სკატერგრამა. უმეტეს შემთხვევებში კვლევების რაპორტებში a და b კოეფიციენტების მნიშვნელობებს წარმოადგენენ ხოლმე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რეგრესიული ანალიზის ჩატარება შესაძლებელია არაინტერვალური (მხოლოდ დიქტომიური) ცვლადებისთვისაც. მაგალითად, შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ შემოსავალი სქესის საფუძველზე. მართლაც, როგორც ვიცით, $y=a+bx$, სადაც y - სავარაუდო შემოსავალია, $a=14000$, $b=5000$ ხოლო x სქესია, რომელიც ღებულობს მნიშვნელობას 0 ქალებისათვის და 1 - კაცებისათვის. მაშინ გვექნება $y=14000+5000x$. აქედან ქალების სავარაუდო შემოსავალია 14000, ხოლო კაცებისა - 19000.

მიუხედავად მჭიდრო კავშირისა, კორელაცია და რეგრესია ორი განსხვავებული, ურთიერთშემავსებელი ცნებაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კორელაცია გვიჩვენებს ცვლადებს შორის დამოკიდებულების სიძლიერეს, ხოლო რეგრესია გვჩვენებს ა) ვიწინასწარმეტყველოთ დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობა დამოუკიდებელ ცვლადზე დაყრდნობით და ბ) დავადგინოთ, რა ზემოქმედებას ახდენს დამოუკიდებელი ცვლადის ერთი ერთეულით ცვლილება დამოკიდებულ ცვლადზე. განსხვავების უკეთესად დასანახავად მივმართოთ კონკრეტულ მაგალითს: ვთქვათ, რეგრესიის მეშვეობით დავადგინეთ, რომ ერთი წლის დამატებითი განათლება უმატებს \$3000 შემოსავალს. იმისათვის, რომ შევაფასოთ ამ ინფორმაციის სანდოობა, უნდა განვიხილოთ r^2 (კორელაციის კოეფიციენტი). თუ ეს სიდიდე მცირეა, მაშინ ცვლადებს შორის კავშირი სუსტია, რაც, თავის მხრივ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენი ვარაუდი დამატებითი \$3000-ის შესახებ უმრავლეს შემთხვევაში შორს იქნება რეალობისაგან. თუ r^2 მაღალია, მაშინ ჩვენ გვექნება საკმაოდ დიდი საფუძველი, რათა დავეყრდნოთ გაკეთებულ ვარაუდს.

ცვლადებს შორის ძლიერი კავშირი (მაღალი r^2) არ ნიშნავს, რომ ერთ ცვლადს ექნება დიდი ზემოქმედება მეორეზე და, პირიქით. შეგახსენებთ, რომ კორელაცია მაღალია მაშინ, როცა წერტილები მჭიდროდაა განლაგებული. რაც შეეხება რეგრესიას, რაც უფრო დახრილია (ციცაბოა) რეგრესიის წრფე, მით უფრო მნიშვნელოვანია ერთი ცვლადის ზემოქმედება მეორეზე. გრაფიკებზე 8, 9 მოყვანილია ორი შემთხვევა, საიდანაც თვალსაჩინოდ ჩანს განსხვავება კორელაციასა და რეგრესიას შორის.

მრავალცვლადიანი ანალიზი

როგორც წესი, კვლევების ჩასატარებლად ერთი და ორი ცვლადი საკმარისი არა არის. პრაქტიკაში ცვლადების რაოდენობა გაცილებით უფრო დიდია. ამასთანავე, ერთ რომელიმე ცვლადზე ხშირად რამდენიმე ცვლადი ახდენს ზემოქმედებას. ამიტომ

სასარგებლო იქნება მოკლედ შევეხოთ მრავალცვლადიანი ანალიზის რამდენიმე მეთოდს.

ვიგულისხმობთ, რომ გვაქვს სამი დამოუკიდებელი და ერთი დამოკიდებული ცვლადი. პირველი მეთოდი საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ, თუ რომელი ცვლადია უფრო მჭიდროდ დაკავშირებული დამოკიდებულ ცვლადთან (ნაწილობითი კორელაცია). მეორე მეთოდი გვეხმარება დავადგინოთ, რომელ ცვლადს აქვს უდიდესი ზემოქმედება დამოკიდებულ ცვლადზე (ნაწილობითი რეგრესია). მესამე მეთოდი იყენებს მთლიან ინფორმაციას (სამივე დამოუკიდებელი ცვლადის შესახებ) წინასწარმეტყველებისათვის (მრავალცვლადიანი რეგრესია) და ბოლოს, ამავე მთლიანი ინფორმაციის საფუძველზე ვარკვევთ, რამდენად ზუსტად შეგვიძლია ვივარაუდოთ ამა თუ იმ პიროვნებისათვის დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობა (მრავალცვლადიანი კორელაცია).

დამოუკიდებელი ცვლადები იყოს x_1 (სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი), x_2 (ინტელექტის დონე) და x_3 (განათლება), ხოლო დამოკიდებული ცვლადი იყოს x_4 (შემოსავალი).

დავიწყოთ ნაწილობითი კორელაციით. როგორც აღვნიშნეთ, დამოკიდებულ ცვლადზე ზემოქმედებას ახდენს სამივე დამოუკიდებელი ცვლადი. განვიხილოთ რომელიმე დამოუკიდებელი ცვლადი, ვთქვათ, x_1 და დამოკიდებული ცვლადი x_4 . ამ ცვლადებს შორის ნაწილობითი კორელაცია არის მათ შორის კავშირი x_2 და x_3 ცვლადების ზემოქმედების გარეშე, ანუ იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც აქვთ ერთნაირი მნიშვნელობები და ცვლადებისათვის. ეს კორელაციის კოეფიციენტი აღინიშნება ასე: $r_{41.23}$. ეს ნიშნავს, რომ გვაქვს ნაწილობითი კორელაცია x_1 და x_4 ცვლადებს შორის x_2 და x_3 ცვლადების ზემოქმედების გარეშე. ვთქვათ, $r_{43.12}=0.4$, $r_{41.32}=0.3$ და $r_{42.31}=0.1$. ამ სამი რიცხვიდან უდიდესია $r_{43.12}=0.4$. ეს იმას ნიშნავს, რომ x_3 (შემოსავალი) ყველაზე ძლიერადაა დაკავშირებული x_4 -თან (განათლებასთან).

ნაწილობითი რეგრესიის კოეფიციენტი გვიჩვენებს, რა ზემოქმედება

ექნება რომელიმე კონკრეტულ დამოუკიდებელ ცვლადს დამოკიდებულზე (შემოსავალზე) დანარჩენი ორი ცვლადის გავლენის გარეშე. როგორც ადრე, ეს კოეფიციენტები b სიმბოლოთი აღინიშნება და მას მიეწერება ისეთივე ინდექსები, როგორც ნაწილობითი კორელაციის კოეფიციენტს. კერძოდ, ვთქვათ, $b_{43,12}=1271$, $b_{41,32}=5$ და $b_{42,31}=19,1$.

ტოლობა $r_{43,12}=1271$ ნიშნავს იმას, რომ განათლების დამატებითი წელი იწვევს შემოსავლის 1271-ით ცვლილებას ინტელექტისა x_1 და x_2 სოციალური სტატუსის ზემოქმედების გარეშე. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ორ ადამიანს აქვს ერთნაირი მნიშვნელობები ცვლადებისათვის, მაშინ მათი განათლების წლებში სხვაობა იწვევს შემოსავალში სხვაობას 1271 ერთეულით.


აქ წარმოიშობა ერთი პრობლემა: იმის გამო, რომ დამოუკიდებელი ცვლადები სხვადასხვა ერთეულში იზომება, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ რომელ მათგანს აქვს უდიდესი ზემოქმედება შემოსავალზე. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ერთი ერთეულით ცვლილება იწვევს x_4 -ის ცვლილებას \$5-ით, ხოლო ინტელექტის ცვლილება ერთი ერთეულით იწვევს x_4 -ის ცვლილებას \$19.1-ით, მაგრამ ამ ცვლადების ერთეულები ერთმანეთთან არასადარია, ამიტომ ჩვენ ვერ ვიტყვიტ რომელი მათგანი ახდენს უფრო მეტ ზეგავლენას შემოსავალზე.


იმის დასადგენად, თუ რომელ ცვლადს აქვს უდიდესი ზემოქმედება, უნდა მოვახდინოთ ცვლადების მნიშვნელობათა სტანდარტიზაცია (იხ. პარაგრაფი “სტანდარტული მნიშვნელობები”). სტანდარტიზირებულ ნაწილობითი რეგრესიის კოეფიციენტებს ეწოდებათ ბეტა წონები და აღინიშნება b^* -ით შესაბამისი ინდექსებით. განათლებისათვის b უდრიდა 1271. სტანდარტიზაციის შემდეგ იგი შეიძლება უდრიდეს 0.45. ეს ნიშნავს იმას, რომ განათლების ერთი სტანდარტული გადახრით (ვთქვათ, $s=2$) გაზრდის დროს შემოსავალი გაიზრდება შემოსავლის სტანდარტული გადახრის (ვთქვათ, $s=5650$) 45%-ით, ანუ 2542-ით.


მრავალცვლადიანი რეგრესია ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ რაც უფრო მეტი ვიციტ პიროვნების შესახებ, მით უფრო ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ მისი შემოსავალი. მრავალცვლადიანი რეგრესია იყენებს ნაწილობითი რეგრესიის კოეფიციენტებს. როგორც გვასწავს, რეგრესიის განტოლება ორცვლადიან შემთხვევაში იყო ასეთი $y = a + bx$. ახლა კი იგი მიიღებს სახეს $x_1 = a + b_1x_1 + b_2x_2 + b_3x_3$, სადაც b_1 , b_2 და b_3 არის ნაწილობითი რეგრესიის კოეფიციენტების შემოკლებული აღნიშვნები (მაგ. b_2 ნიშნავს $b_{2.13}$). ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ სტანდარტიზირებული კოეფიციენტებიც. მაშინ ცვლადების მნიშვნელობები გადაიქცევა სტანდარტულ მნიშვნელობებად (z -მნიშვნელობებად), ხოლო 'a' წევრი განულდება. ამგვარად, ფორმულა მიიღებს სახეს $Z = b_1 * z_1 + b_2 * z_2 + b_3 * z_3$.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მეთოდი შეიძლება გავრცელდეს ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც დამოკიდებული ცვლადი ინტერვალურია, ხოლო ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ცვლადი - არაინტერვალური.


ბოლოს, მრავალცვლადიანი კორელაციის კოეფიციენტი აღინიშნება R -ით და აქვს იგივე აზრი, რაც r -ს: იგი გვიჩვენებს დამოკიდებულ ცვლადსა და დამოუკიდებელი ცვლადების სისტემას შორის კავშირის სიძლიერეს. რაც უფრო დიდია R , მით უფრო მეტად შეგვიძლია დავეყრდნოთ წინასწარმეტყველებას. აგრეთვე, R^2 გვეუბნება, თუ რამდენად გვეხმარება ადამიანთა მახასიათებლების ერთობლიობა ავხსნათ, რატომ განსხვავდებიან ადამიანები დამოუკიდებელი ცვლადის მიხედვით.











სურათი 3














ლიტერატურა:

1. ა. ელიბერიძე, ზ. ნაცვლიშვილი, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები, თბ., 1978.
2. ჯ. ყვავილაშვილი, მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, II, თბ., 1990
3. D.A. de Vaus, Surveys in Social research, 1990.

სარჩევი

რედაქტორისაზიანი.....	3
სოციალური ბანკარტობა /ემზარ ჯგერენაი/.....	5
კონკრეტი სოციალური კვლევის მეთოდოლოგია /იგო კაკუჭიშვილი/.....	22
სოციალური ინფორმაციის მონაცემების მეთოდები /მარინე ბერძენიძე/.....	45
მედიური მონაცემების კორექცია და მონაცემები ანალიზისათვის /მარინე ბერძენიძე, ნუგზარ კვაჭავაძე/.....	82
ინტერვიუების სოციალური ტრენდების მეთოდოლოგია /შირლი მ. ფლადი/.....	88
მედიური /ანა ჟვანი/.....	113
სოციალური რეკონსტრუქცია და რეკონსტრუქცია კვლევის მეთოდი (სოციალური რეკონსტრუქცია) /ამირან ბერძენიშვილი/.....	122
საზოგადოებრივი აზრის რეკონსტრუქცია და რეკონსტრუქცია /ამირან ბერძენიშვილი/.....	153
მეთოდოლოგია მეთოდები სოციალურ რეკონსტრუქციაში /ნუგზარ კვაჭავაძე/.....	175
სოციალური მონაცემების ანალიზი /ნუგზარ კვაჭავაძე/.....	216
სტატისტიკის ძირითადი მეთოდები /ვანო კვაჭავაძე/.....	232
სტატისტიკური მნიშვნელობები /ზაალ წერეთელი/.....	245

გამომცემლობის რედაქტორი ლ. გამცემლიძე
კორექტორი ქ. გაჩეჩილაძე
ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.11.98
საბეჭდო ქალაქი იფსეთი №1, პირ. ნაბეჭდო თაბახი 16,9
სააღრიცხვო-საგაქმცემლო თაბახი 12,64. ტირაჟი 800.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., № 14
შპს "საარი"
თბილისი, თეოდორე მღვდლის ქ. №57